გივი თაქთაქიშვილი

ეკონომიკური რეფორმები და ეროვნული ხელისუფლება

მოგონებები



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

რედაქტორი
კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია

დამკაბადონებელი
ირინე სტროგანოვა

წიგნში გამოყენებული ფოტოები დაცულია ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ და საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტოში (საქინფორმი).

ISBN 978-9941-31-371-4

© გივი თაქთაქიშვილი, 2021.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2021.

სარჩევი

რედაქტორისაგან 5

შესავლის მაგიერ 7

მოკლედ ჩემ შესახებ 9

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა
გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში 21

უზენაესი საბჭოს ეკონომიკური მუდმივმოქმედი
კომისიის მუშაობის შესახებ 34

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამეწარმეო
საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ 63

საქართველოს რესპუბლიკის კანონი
„საკუთრების საფუძვლების შესახებ“ 80

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს
რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების
შესახებ“ 90

საქართველოს რესპუბლიკის კანონი
უცხოური ინვესტიციების შესახებ 117

საქართველოს უზენაესი საბჭოს სხვა მუდმივმოქმედი
კომისიების მიერ მომზადებული ზოგიერთი
უმნიშვნელოვანესი კანონპროექტი
და უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები..... 135

საქართველოს უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივმოქმედი კომისია 135

სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისია 205

მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისია 234

ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისია 264

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის შესახებ 272

თანამშრომლობა უცხოელ ექსპერტებთან და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან 330

მოსაზრებები 90-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის განვითარების შესახებ 340

ᲒᲝᲚᲝᲡᲘᲢᲧᲕᲐ 360

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 1 367

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 2 399

გივი თაქთაქიშვილი – ეკონომისტი, პოლიტიკოსი, უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარე, ხელისმომწერი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ აქტზე – იგი იმ მოღვაწეთა წარმომადგენელია, ვინც პირნათლად შეასრულა მოვალეობა თავისი ამომრჩევლისა და სამშობლოს წინაშე, ვინც უხმაუროდ და პირუთვნელად აკეთა საქვეყნო საქმე. კვალიფიციური, პრინციპული და ფუტკარივით გამრჯე – ასე ახასიათებენ მას მეგობრები და თანამებრძოლები. ალმოდებულ მთავრობის სასახლეშიც კი ბოლომდე არ მიუტოვებია თავისი კაბინეტი, ვიდრე რუსთაველის პროსპექტიდან ნასროლმა რაკეტამ არ გაუნადგურა სამუშაო ოთახი და მისი იქ დარჩენა სიცოცხლისთვის სახიფათო გახდა.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ეროვნულ ხელისუფლებას ჰყავდა და ახლაც ჰყავს ისეთი მძვინვარე მტრები, რომლებიც ოპონენტზე აუგის თქმაში არ იღლებიან. ასეთებს ყოველთვის ვპასუხობდი: გასაგებია, რომ ხელისუფლება შეიძლება არ მოგწონდეს, მაგრამ ამბობდე და ტირაჟირებდე იმას, თითქოს თვითმიზნური მიტინგების მეტი ქვეყანაში იმ დროს არაფერი გაკეთებულა, უღირსი კრიტიკაა, ბანალური სიცრუეა, არასაქმიანი განაცხადია.

„მრგვალმა მაგიდამ“ არჩევნებამდე 67 სხდომა ჩაატარა, ეს იყო მომავალი საპარლამენტო მუშაობის ერთგვარი რეპეტიცია. გივი თაქთაქიშვილი ყველა სხდომას ესწრებოდა და აქტიურად მონაწილეობდა საკითხების განხილვაში. უზენაეს საბჭოში კანონშემოქმედების პროცესი პირველი სესიიდან მოყოლებული (1990 წლის 14 ნოემბერი) სამხედრო-კრიმინალური პუტჩის დაწყებამდე არ შეჩერებულა. მიღებული იქნა ასზე მეტი კანონი, გადაიდგა არაერთი სახელმწიფოებრივი ნაბიჯი, გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები – სწორედ ამაზე მოგვითხრობს ეს საინტერესო წიგნი.

დღეს საქართველო, სამწუხაროდ, პროფესიონალ ეკონომისტთა ნაკლებობას განიცდის (არიან გამონაკლისებიც, რომელთა არსებობაც ამინდს ვერ ცვლის არსებითად), მხოლოდ ბიზნესის ანაბარა დარჩა ქვეყანა. თვით კვების მრეწველობის სექტორშიც კი, სადაც, წესით, საქმე ასე თუ ისე მაღალ დონეზე უნდა აწყობილიყო, იმპორტის ხვედრითი წილი უჩვეულოდ მაღალია. იმ 106 ქარხნიდან, ქვეყანამ მემკვიდრეობით რომ მიიღო საბჭოთა კავშირისგან, რამდენიმე „დინოზავრი" დაგვრჩა, ისიც არაერთგზის პროფილ და მფლობელნაცვალი. სხვა ყველაფერი განადგურდა – დაიშალა, გაიზიდა, გაიყიდა – საწარმოო საშუალებად, ჯართად ან მასალად. დესტრუქციულმა შეიარაღებულმა ოპოზიციამ ტოტალური და რადიკალური პრივატიზაციის ლოზუნგიც წაიმძღვარა – „გამსახურდიას სურს დაგვაბრუნოს სსრკ-ში. არ მივცეთ მას ამის საშუალება" – გაჰყვიროდნენ ისინი. ბანდიტური ლიბერტარიანიზმის უკიდურესმა ფორმამ ნეობოლშევიზმთან ერთად შემოაბიჯა ქვეყანაში, რომელიც მოიცვა ტოტალურმა ენერგეტიკულმა კრიზისმა, გაჭენებულმა ინფლაციამ. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი პუტჩის პირველივე წელს 60 პროცენტით შემცირდა.

გივი თაქთაქიშვილის წიგნი მოგვითხრობს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებზე და მათი შექმნის ისტორიაზე. საინტერესოა ავტორის ინსაიდერული ხედვა მოვლენებისა, იგი აქტიურად მონაწილეობდა რა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებათა მიღებაში, ამავე დროს, ნდობით სარგებლობდა პოლიტიკის მთავარი აქტორების წინაშე – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასგან დაწყებული რიგითი დეპუტატებით დამთავრებული. წიგნი ასევე მოგვითხრობს იმ ძირითად ტენდენციებზე, რომლებიც მაშინვე გამოიკვეთა – როგორც ახალ უცხოელ ინვესტორებთან პარტნიორობაში, ისე ეკონომიკური რეფორმების ძირითადი კურსის ფორმირებისას.

კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია

შესავლის მაგიერ

ამ წიგნის დაწერა გადამაწყვეტინა იმ გარემოებამ, რომ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულნი და მათი სულიერი მემკვიდრენი, რომლებიც ახლაც ავრცელებენ ბევრ სიცრუეს და ჭორს კანონიერი ხელისუფლების (1990 წლის 28 ოქტომბერს პირველი მრვალპარტიული არჩევნების გზით დამტკიცებული უზენაესი საბჭოს) საქმიანობის შესახებ. მათ ბრალდებათაგან ერთ-ერთი იყო ის, რომ თითქოს საქართველოს უზენაესი საბჭო არაფერს აკეთებდა, მისი წევრები არ ასრულებდნენ სადეპუტატო მოვალეობებს, ხოლო მისი მუდმივმოქმედი კომისიები კანონშემოქმედებით საქმიანობას არ ეწეოდნენ. იმ ავადსახსენებელი მოვლენების შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი გავიდა, ახალი თაობები მოვიდნენ, რომლებიც ოცდაათი წლის განმავლობაში ქვეყნაში შექმნილი გაუსაძლისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ სიცრუეს ადვილად იჯერებენ, რადგან ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სათანადო ინფორმაციაზე. ჩვენ კი, სამშობლოდან იძულებით გადახვეწილებს (მოგეხსენებათ, მაშინ უზენაესი საბჭოს ბევრი დეპუტატი სისხლის სამართლებრივ დევნას განიცდიდა, ჩემზეც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და რამდენჯერმე ვიყავი დაპატიმრებული), მრავალი პრობლემის გარდა (უცხო ქვეყნის ენის დაუფლება, თვითდამკვიდრება, სამუშაოს ძებნა, ძლიერი კონკურენცის გამო თითქმის დღისა და ღამის გასწორება, არცთუ იშვიათად დისკრიმინაცია, სამშობლოში დარჩენილ ახლობლებზე და მეგობრებზე ზრუნვა და ა. შ.) ხშირად არც გვქონდა და ახლაც ხშირად არ გვრჩება დრო და არც საშულებაა მავანს პასუხი გავცეთ. ამ წიგნს (უფრო სწორად მოგონებებს) კი ვწერ (მართალია დაგვიანებით) ბატონი კონსტანტინე (კოკო) გამსახურ-

დიას დაჟინებული თხოვნით. ჩემი თბილისში მორიგი ყოფნის დროს (1993 წლის შემდეგ სამშობლოში პირველად 2007 წელს დავბრუნდი და მას შემდეგ ყოველ წელს, ზაფხულში შვებულებით ჩამოვდივარ) მან მითხრა, რომ ახალგაზრდობაში სრული ინფორმაციული წყვდიადია ჩვენი ეკონომიკური ჯგუფისა და მათ შორის, საქართველოს უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი ეკონომიკური კომისიის საქმიანობაზე და განსაკუთრებით, მის კანონშემოქმედებით ქმედებებზე და შესაბამისად, რას აღარ გვაბრალებდნენ. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, გამეხსენებინა და დამეწერა მოგონებები საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკური გუნდის, მათ შორის ეკონომიკური რეფორმების კომისიისა და ჩემი საქმიანობის შესახებ. ასევე შეძლებისდაგვარად გამეხსენებინა საქართველოს უზენაესი საბჭოს სხვა კომისიებისა და საქართველოს მთავრობის ეკონომიკის სფეროში გაწეული მუშაობა. თუმცა მივიჩნევდი, რომ ნაადრევი იყო, დამეწერა მოგონებები, მაგრამ გარკვეული ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი. რასაკვირველია, მრავლად იყო ხელის შემშლელი გარემოებანიც, რომლებსაც ნაწილობრივ ქვემოთ შევეხები. გარდა ამისა, ბუნებრივია, ბევრი რამეც მახსოვს, მაგრამ ზოგ ფაქტს ალბათ, გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ გავახმოვანებ: სამწუხაროდ, ზოგიერთი რამ ნაკლულად ან საერთოდ აღარ მახსოვს. მოგონებათა ნაწილი მიბმულია იმ კანონებთან და კანონპროექტებთან, რომლებიც მოყვანილია ამ წიგნში და ზოგიერთის შესახებ კი ცალკე მოგითხრობთ...

მოკლედ ჩემ შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო იყო დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ჩვენი ქვეყნის პირველი უზენაესი საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც მნიშვნელოვანი მისია შეასრულა ისტორიის წინაშე. საქართველოს უზენაესი საბჭო ეწეოდა რა საკანონმდებლო თუ სხვა საქმიანობას, იგი ქმნიდა ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნის ფუნქციონირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზას. აუცილებელია უზენაესი საბჭოს საქმიანობიდან გამოვყოთ მისი ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: 1991 წლის 31 მარტის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ რეფერენდუმის შედეგების დამტკიცება და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება. უზენაესი საბჭოს პირველი თავმჯდომარე იყო ბატონი ზვიად გამსახურდია, საქართველოს პრეზიდენტად არჩევამდე. იგი იყო არამარტო ეროვნული მოძრაობის ლიდერი, რომლის დიდი ძალისხმევით ჯერ კიდევ საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩატარდა ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი მრავალპარტიული არჩევნები, არამედ იგი იყო ასევე უზენაესი საბჭოს მუშაობის იდეური და პრაქტიკული ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მივიღე როგორც „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო ბლოკში შემავალი „ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირის“ პარტიის წევრმა და კენჭი ვიყარე მარიამ გარიყულის სახელობის მესამე საარჩევნო ოლქში, როგორც მაჟორიტარმა კანდიდატმა (პარტიული სიით ვიყავი რიგით ოთხმოცდამეშვიდე, სხვათა შორის, საარჩევნო სიაში ადგილი დამითმო ჩვენივე პარტიის წევრმა, ბესიკ მინდორაშვილმა, რადგან მიიჩნია, რომ პარლამენტში ჩემი პროფესიული გამოც-

დილებით და საქმიანობით უფრო მეტ სარგებელს მოვუტანდი ქვეყანას, თვითონ კი შემდეგ კენჭი იყარა ადგილობრივ არჩევნებში, ნაძალადევში, სადაც გამარჯვების შემდეგ აქტიურად ვუჭერდი მხარს მის კანდიდატურას ამავე რაიონის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე, არა იმიტომ, ადგილი რომ დამითმო საპარლამენტო სიაში, არამედ იმიტომ, რომ ბესიკი იყო ეროვნული მოძრობის აქტიური წევრი, ჰქონდა ამ რაიონში მდებარე თბილისის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობის დიდი გამოცდილება და კარგად უწყოდა იქ მცხოვრებთა პრობლემების შესახებ; იგი იყო მშრომელი ახალგაზრდა და არ უყვარდა ზედმეტი ლაპარაკი და ვფიქრობდი, რომ გამოცდილებით დიდად წაადგებოდა ნაძალადევის რაიონს. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ხშირად ქართველებს სჩვევიათ, მისი კონკურენტებისგან ამ მხარდაჭერას მოჰყვა ბინძური ჭორები, ამის მიუხედავად, ბესიკ მინდორაშვილის კანდიდატურას ოფიციალურადაც მტკიცედ დავუჭირე მხარი, თუმცა ამაოდ.

იმ დროისათვის უკვე მქონდა ადგილობრივ საბჭოში სადეპუტატო მუშაობის ხუთი წლის გამოცდილება. 1985-1990 წლებში ვიყავი თბილისის კალინინის რაიონული საჭოს დეპუტატი და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. რაიონული საბჭოს დეპუტატობამ, როგორც სადეპუტატო საქმიანობის, ისე ხალხთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება მომცა. მახსენდება მაშინდელი, კომუნისტური ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი თითქოს კურიოზული, მაგრამ ძალზე დამაფიქრებელი შემთხვევა. ერთხელ, ჩემი საარჩევნო უბნის შემოვლისას, პეტრიაშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა მოხუცმა ქალბატონმა, რომლის სახელი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს, გვარად თურქესტანიშვილმა, შემომჩივლა: პირველ სართულზე ვცხოვრობ; ამას წინათ, მეორე სართულზე ხანძარი გაჩნდა და მისი ჩაქრობისას წყლის დიდი ნაკადი ჩამოვიდა ჩემს ბინაში და იატაკი მთლიანად გამოსაცვლელია, მარტოხელა პენსიონერი ვარ და ახალი მასალის ყიდვა და იატაკის განახლება ჩემთვის შეუძლებელია, იქნებ დამეხ-

მაროთო. რა თქმა უნდა მოვინახულე მოხუცებულის ბინა და დახმარებას დავპირდი. შევედი რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან (გვარი აღარ მახსოვს), მან მიპასუხა, რომ „პარკეტი" ფონდირებულია და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ანაწილებდა. წავედი ამ თავმჯდომარესთან (უკვე გარდაცვლილია და გვარს არ ვასახელებ. სხვათა შორის, მერე იგი უზენაესი საბჭოს წევრი გახდა კომუნისტური პარტიიდან, ხოლო პუტჩის შემდეგ მისმა მამა-მარჩენალმა დააბრუნა ხელისუფლებაში), მან კი ასე გამომისტუმრა: არ გრცხვენია, ასეთი გვარის კაცი ვიღაც თურქესტანიშვილის გულისთვის რომ დადიხარო, ვუთხარი, რომ თურქესტანიშვილები თავადური წარმოშობის არიან და თანაც ეს ქალბატონი მარტოხელა მოხუცია-მეთქი. „ამხანაგი" თავმჯდომარე დახმარებას დამპირდა და მეც ჩემს სამსახურში – მაშინ ჯერ კიდევ არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (მაშინ რაიონული საბჭოს დეპუტატობა არ იყო ანაზღაურებადი და მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე იყო) წავედი. სამსახურში მისულს მალევე დამირეკა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ (თურმე ზემდგომს მოუსწრია მასთან დარეკვა და უსაყვედურებია – თქვენმა დეპუტატმა შემაწუხაო). შესაბამისად, თავს უფლება მისცა, ამყვირებოდა: როგორ გაბედე ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარესთან მისვლაო და ა. შ. მე გავბრაზდი და არანაკლებად ვუპასუხე, შემდეგ ვთხოვე, დამლოდებოდა და არსად წასულიყო. მართლაც, ცოტა ხანში მივედი კალინინის რაიონული საბჭოს აღმასკომში, მაგრამ თავმჯდომარეს მაინც მოესწრო წასვლა. არცთუ იშვიათად ხშირი იყო ასეთი შემთხვევები მუშათა და გლეხთა სახელმწიფოში, მმართველი ძალისა და მისი ბიუროკრატიული აპარატის დამოკიდებულება უბრალო ხალხისადმი. რაიონული საბჭოს დეპუტატად მუშაობისას, რა თქმა უნდა, შევხვედრივარ წესიერ, გულისხმიერ ადამიანებს, კერძოდ, ქალბატონ მანანა მაჭავარიანს, ბატონ ავთანდილ არაბულს და სხვებს.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების დროს ვიყავი 38 წლისა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომის ეკონომიკის განყოფილების გამგე (გავიარე ყველა საფეხური, უმცროსი ლაბორანტიდან განყოფილების გამგემდე, ვიყავი ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, დავამთავრე ქ. მოსკოვში სსრკ საგეგმო კომიტეტის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა და დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია). ზემოთ აღნიშნულ ინსტიტუტში ვიმუშავე 17 წელიწადი, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა მქონდა საინტერესო ადამიანებთან, რომელთაც სახელდებით დავასახელებ: – ვალერიან მელქაძე, კანდიდ ჩარკვიანი, ნუგზარ სანთელაძე, ვახტანგ ვეფხვაძე, ნიჟა ხურციძე, გია ფირცხალავა, ქეთევან დაიანი, დავით იაკობიძე, ჯომარ იოსავა, გიორგი მალაშხია, გურამ ყუფუნია, ომარ ვაშაკიძე, დემურ ჩომახიძე, ჯუმბერ არაბიძე, სერგო სანაძე, დილავარდისა დავითულიანთანი, იაშა მესხია, მურმან გედენიძე, ვალერი შარიქაძე, მირონ ტუღუში და სხვები. აქვე მუშაობდნენ ჩემი თაობის ადამიანებიც (ან ცოტა უფროსები) – მირიან ტუხაშვილი, თამაზ მთიულიშვილი, ოთარ მახარაძე, ზურაბ ბერიშვილი, თენგიზ ახობაძე, ზვიად გოცირიძე, გოგი კალანდაძე, თენგიზ ჯინჯოლავა, ვოვა კობეშავიძე, თომა გუგუშვილი, ნაზიბროლა ჩუხუა, ბესიკ ალადაშვილი, ჯემალ ქარჩავა, ამბროსი გრიშიკაშვილი, გივი ბედიანაშვილი, ციური ანთაძე, ფრიდონ კაციტაძე, უშანგი გავაშელიშვილი და სხვები. აქვე მუშაობდნენ ასევე ჩემი თანაჯგუფელები უნივერსიტეტიდან: მერაბ მიხელიძე, ელგუჯა ექსეულიძე, მალხაზ ბებერაშვილი და ამირან ხეცურიანი. რამდენიმე მათგანი შემდეგ მუშაობდა ჩვენს მთავრობაში. ჯგუფელებთან და ბევრ თანამშრომელთან ახლაც ახლო ურთიერთობა მაქვს. სამწუხაროდ, თანამშრომლეთაგან და ჯგუფელთაგან ზოგიერთი გარდაიცვალა.

სინანულით ვიხსენებ აწ გარდაცვლილ ჩემს ჯგუფელს და მეგობარს, მურმან ხაზალიას, რომელმაც უდიდესი დახმარება გამიწია ცნობილი ზუგდიდის მოვლენების დროს. საბედნიეროდ, მის ოჯახთან ახლაც მაქვს კარგი ურთიერთობა.

ჩემი კონკურენტები უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში იყვნენ ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, ქალბატონი ლანა ღოღობერიძე, ელმავალმშენებელი ქარხნის (ამ ქარხნის საგეგმო-ეკონომიკურ განყოფილებაში გავიარე სადიპლომო პრაქტიკა) დირექტორი ზურაბ ჩივაძე (მან ამ ქარხანაში დაიწყო თავისი კარიერა, როგორც რიგითმა ინჟინერმა და განვლო ყველა საფეხური და ბოლოს გახდა ქარხნის გენერალური დირექტორი) და სხვები (მათ შორის, ჩემი უბნელი და მეზობელი თამაზ დაუშვილი, პროფესიით არქიტექტორი). საარჩევნო ხმების დათვლის შედეგად მივიღე ხმათა 57% და გავხდი ამ ოლქის წარმომადგენელი უზენაეს საბჭოში (თუმცა, ბევრს, მათ შორის „მრგვალ მაგიდაში", არ სჯეროდა, რომ ამ კონკურენტთა შორის არჩევნებს მოვიგებდი). ამ გამარჯვებას უნდა ვუმადლოდე პირველ რიგში იმას, რომ კენჭს ვიყრიდი როგორც „მრგვალი მაგიდის" წარმომადგენელი, რომელსაც სათავეში ედგა ბატონი ზვიად გამსახურდია, შემდეგ ვიყავი ამ უბნიდან (სანზონა, თემქის დასახლების ნაწილი), აქ გავიზარდე, დავდიოდი საბავშვო ბაღში, ვსწავლობდი მე-15 საშუალო სკოლაში. სხვათა შორის, სკოლაში კარგად ვსწავლობდი, რაც ჩემი მასწავლებლების დამსახურებაც იყო. ახლაც დიდი პატივისცემით ვიხსენებ მათ: ნორა ბერძენიშვილს, იოსებ დათაშვილს, ანგელინა მარგალიტაძეს, ვენერა კაჭახიძეს, ჰამლეტ თუთბერიძეს, სერგო გოგელიას. ეს უკანასკნელი ისტორიას მასწავლიდა, საინტერესო პიროვნება იყო და უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტი მისი გავლენით ავირჩიე. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობით. მასწავლიდნენ საინტერესო

პროფესორ-მასწავლებლები: გაბრიელ მეგრელიშვილი, პავლე გარუჩავა, არჩილ გოკიელი, ვანო ქადარია, ჯემალ კახნიაშვილი, ანზორ თოთაძე და სხვები.

საქართველოს უზენაეს საბჭოში წინასაარჩევნო კამპანია იყო ძალზე დაძაბული და ჩემს მეგობრებთან ერთად სერიოზულად ვემზადებოდით. ბუნებრივია, ეს იყო ჩემი მეგობრების, უბნელების და თანაპარტიელების თავდაუზოგავი დახმარების შედეგი. მოსახლეობასთან ურთიერთობაში ვიყავი უშუალო და ვესაუბრებოდი მათთვის გასაგებ ენაზე, რადგან ეს იყო ძირითადად მუშათა რაიონი და მეც მუშათა ოჯახიდან ვიყავი (მამაჩემს ჰქონდა საშუალო განათლება, პროფესიით იყო ზეინკალი და სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი. დედაჩემს ჰქონდა საშუალო განათლება, მუშაობდა ხან მკერავად, ხან სანიტრად, მაგრამ უფრო მეტად საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული; უფროსი ძმა საშუალო განათლებით მუშობდა მუშად, უმცროს ძმას კი ჰქონდა ტექნიკუმი დამთავრებული, მაგრამ პროფესიით არ უმუშავია, მუშაობდა და ახლაც მუშაობს მძღოლად) და კარგად მესმოდა მათი პრობლემები. აქვე მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო: მახსოვს, ამომრჩევლებთან ვატარებდით შეხვედრას თემქის დასახლებაში ერთ-ერთ მრავალსართულიან სახლთან. იმ დროს საერთოდ თბილისში და კერძოდ თემქაზეც ინტენსიურად მიდიოდა ლოჯიების მიშენება. შუა შეხვედრის დროს ამ შენობის მაცხოვრებლებს დიდი სატვირთო მანქანით, „ტრაილერით“ მოუტანეს სამშენებლო ბლოკი. მძღოლს ეჩქარებოდა და ვიღას ეცალა შეხვედრისათვის და ამომრჩევლებმა გვირჩიეს, გადაგვედო ეს შეხვედრა. მე ჩემს მეგობრებს გადავულაპარაკე, ყველამ დავიკაპიწეთ ხელები და მობინადრეებს მივეხმარეთ მანქანის დაცლაში. ბოლოს კი ამომრჩევლებმა სუფრის გარეშე არ გაგვიშვეს, ბევრიც ვისაუბრეთ, ბოლოს დაგვლოცეს, მადლობა გადაგვიხადეს და არჩევნებში წარმატება გვისურვეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩევნების შემდეგ ამირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს

ეკონომიკური რეფორმების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ. 1991-1993 წლებში საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ იძულებული გავხდი, დამეტოვებინა სამშობლო და 1993 წლიდან 2007 წლამდე აქ აღარ ვყოფილიარ. საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ უკანონო ხელისუფლებამ რამდენჯერმე დამაპატიმრა. ზუგდიდის ცნობილი მოვლენების შემდეგ კი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, ამიტომ 1993 წლიდან მომიწია საქართველოდან წასვლა. 1999 წლამდე ვცხოვრობდი ხან რუსეთში, ხან ესტონეთში, ჩეჩნეთში და ხანაც უკრაინაში (საცხოვრებლის მონაცვლეობა განპირობებული იყო ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებით). ამ დროს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დევნილობაში მიღებული დადგენილებით, არ უნდა დაგვეტოვებინა ყოფილი საბჭოთაკავშირის ფარგლები, რადგან საგანგებო შემთხვევაში შედარებით ადვილი ყოფილიყო პრეზიდუმის წევრების შეკრება. 1999 წელს დამაპატიმრეს მოსკოვში როგორც ძებნილი, საქართველოსათვის გადმოცემის მიზნით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ 1999 წელს მოსკოვში ჩემი დაპატიმრების გამო საქართველოს პროკურატურაში შიმშილობა დაიწყო. სხვათა შორის, მას ახლოს არ ვიცნობდი. მხოლოდ გროზნოში ბატონი ზვიადის დაკრძალვის შემდეგ გავიცანი ახლოს. მანამდე კი მახსოვს, იგი დანიშნეს დროებითი კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც უნდა შეეფასებინა უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობის ავკარგიანობა და განსაკუთრებით მოსახლეობის წერილებზე რეაგირების მდგომარეობა. ამ კომისიამ აღნიშნული მიმართულებით ჩვენი, ეკონომიკური რეფორმების კომისიის მუშაობა დადებითად შეაფასა.

მას შემდეგ, რაც გროზნოში ომი დაიწყო, ქალბატონი მანანას ოჯახს მოუწია მოსკოვში გადასვლა. ამავე დროს საფრთხე ემუქრებოდა ბატონი ზვიადის საფლავს, რადგან ქალაქი გროზნო გამუდმებით იბომბებოდა. ქალბატონმა მანანამ გა-

დაწყვიტა უცხოეთში ეძებნა თავშესაფარი და ბატონი ზვიადის ცხედარიც იქ გადაესვენებინა. სამწუხაროდ, ყველა საელჩომ უარი უთხრა. შემდეგ მისი თხოვნით, ამავე საკითხზე სასაუბროდ ტალინში შევხვდი ესტონეთის მაშინდელ პრეზიდენტს, ლენარტ მერის. მაგრამ მან უარით გამომისტუმრა, თანაც ასეთი საბაბით, რომ რუსეთს ესტონეთთან იმჟამინდელი მტრული დამოკიდებულება შეიძლება უფრო გაემწვავებინა, რაც მის ქვეყანას დიდად დააზიანებდა.

ჩემი დაპატიმრების შესახებ მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს სხვადასხვა პარტიამ და საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რუსი დისიდენტების დახმარებით, ხელწერილით გამათავისუფლეს. ვისარგებლე დროებითი „თავისუფლებით“ და მეგობრების დახმარებით ფარულად გავემგზავრე უკრაინაში, საიდანაც გადავფრინდი ნიდერლანდებში და ვითხოვე პოლიტიკური თავშესაფარი. თითქმის სამი წელი ვცხოვრობდი ლტოლვილთა ბანაკში. სხვათა შორის, მესამე და ბოლო დაკითხვაზე (პირველად დამკითხეს ნიდერლანდების სამეფოში ჩასვლისთანავე, ხოლო მეორედ – უშუალოდ ლტოლვილთა ბანაკში. დაკითხვამ თითქმის ათ საათს გასტანა და მწვავე კამათის გარეშე არ დასრულებულა). ჩემს სახაზინო ადვოკატთან ერთად დამიბარეს დენ ჰააგაში, იუსტიციის სამინისტროში, კომისიის თავმჯდომარემ თავიდანვე გამაფრთხილა, ე. შევარდნაძეზე ცუდი არაფერი არ უნდა მეთქვა. რასაკვირველია, უკმაყოფილება არ დამიმალავს და ეს ხმამაღლაც განვაცხადე: მეგონა, დემოკრატიულ ქვეყანაში ჩამოვედი და როგორ შევმცდარვარ-მეთქი, ჩავილაპარაკე ყველას გასაგონად. თარჯიმანმა უთარგმნა რა ჩემი სიტყვები კომისიის თავმჯდომარეს, მან ირიბად შემომხედა და მითხრა: კარგი, მოგვიყევით თქვენ შესახებო. თავდაპირველად მაგიდაზე დავულაგე ევროპულ პრესაში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ობიექტურად კრიტიკული სტატიები საქართველოში პუტჩის ორგანიზატორზე

და ქვეყნის დამაქცევარზე, ყველა კითხვაზე ვპასუხობდი მწვავედ და ამავე დროს დასაბუთებულად (ხოლო ადვოკატი, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა მხოლოდ როგორც „მოწმე", მაგიდის ქვევიდან, ისე, რომ კომისის წევრებს არ დაენახათ, ცერა თითის აწევით მანიშნებდა, რომ კარგად ვპასუხობდი). ლტოლვილთა ბანაკი, სადაც ვცხოვრობდი, მდებარეობდა პატარა სოფელში და ფაქტობრივად მოწყვეტილი ვიყავი გარე სამყაროს. ამიტომ ვისარგებლე შემთხვევით და 2001 წელს ნიდერლანდების სამეფოს დედოფალს, მის უდიდებულესობას, ბეატრიქსს, წერილობით მივულოცე დაბადების დღე და ვთხოვე, დახმარება აღმოეჩინა ჩემთვის, რათა გადავსულიყავი ისეთ ლტოლვილთა ბანაკში, რომელიც განთავსებული იქნებოდა პატარა ან დიდ ქალაქში, რაც მომცემდა ბიბლიოთეკით სარგებლობის საშუალებას. სხვათა შორის, მისი უდიდებულესობის ადმინისტრაციიდან მივიღე სამადლობელი წერილი, რომელშიც აგრეთვე მაიმედებდნენ, რომ თხოვნას ადვილად შემისრულებდნენ და მომწერეს იმ პიროვნების სახელი და სამსახური (იუსტიციის სამინისტრო), ვისაც დაავალეს ჩემი გადაყვანა სხვა ლტოლვილთა ბანაკში. გადიოდა თვეები, მაგრამ არაფერი იცვლებოდა. ბოლოს დავურეკე ამ პიროვნებას იუსტიციის სამინისტროში და შევახსენე მისი უდიდებულესობის სამსახურიდან ნებართვა სხვა ლტოლვილთა ბანაკში ჩემი გადაყვანის შესახებ. მან კი ცინიკურად მიპასუხა: კი, მივიღე ეს წერილი, მაგრამ ჩვენთან დემოკრატიაა და დედოფლის ეს თხოვნა შემიძლია არ შევასრულო...

ჩემს მესამე დაკითხვაზე, კომისიის თავმჯდომარის უჩვეულო საქციელის შემდეგ, არც გამკვირვებია ამ ე. წ. ჩინოვნიკის პასუხი. ამიტომ გადავწყვიტე, ისევ მეგობრები და ნაცნობები შემეწუხებინა. გარდა ამისა, ბანაკშივე დავიწყე ფიზიკურად მუშაობა და გასამრჯელოს ნაწილს ვხარჯავდი წიგნების გამოწერა-შეძენაზე. მაინც არ მასვენებდა ფიქრი, რატომ მიხანგრძლივებდნენ ლტოლვილთა ბანაკში ყოფნას (ერთი მხრივ კი გასაგები იყო, რომ ბანაკის ბინადართ აკრძალული

გვქონდა რაიმე პოლიტიკური საქმიანობა და ამ გზით მაჩუმებდნენ და კარგადაც მაკონტროლებდნენ), ეს ხომ სამართლიანი არ იყო (მით უმეტეს, უკვე მოგვიანებით ნიდერლანდელი მეგობრების დახმარებით გავიგე, რომ ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩემს წარსულზე ინფორმაცია უკვე 1996 წლიდან ჰქონია. მე კი ეს მაშინ არ ვიცოდი.), ამიტომ გადავწყვიტე, დავკავშირებოდი ქალბატონ ვანდა ვანზიდლერს, ჰუმან რაით ვოჩის გერმანული სექციის წარმომადგენელს, რომელსაც ასევე დიდი წვლილი მიუძღოდა ჩემს განთავისუფლებაში, როდესაც მოსკოვში ვიყავი დაპატიმრებული (მითუმეტეს რუსული კარგად იცოდა და ჩემი მდგომარეობის ახსნა არ გამიჭირდებოდა). მართლაც დავურეკე ქალბატონ ვანდას და ვუთხარი, რომ ლტოლვილთა ბანაკში ჩემი ყოფნა უსაშველოდ გაიწელა (მესამე წელი იწურებოდა) და სტატუსს არ მაძლევდნენ და ვთხოვდი, ჩემთვის რაიმე ერჩია. მან კი გამაოგნებელი რამ მიპასუხა: „ეს ნიდელანდების საშინაო საქმეა და ვერ ჩავერევიო“. რასაკვირველია, გაკვირვება და წყენა არ შევიმჩნიე და ვუთხარი: „ქალბატონო ვანდა, ახლა რაღაც მინდა გითხრათ და გთხოვთ, ბოლომდე მომისმინოთ-მეთქი და შევახსენე; თქვენი ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში ადამიანის (განსაკუთრებით დისიდენტების) უფლებებს რომ იცავდა, ისიც ხომ საბჭოთა კავშირის საშინაო საქმე იყო და მაშინ რატომ ერეოდით მის საშინაო საქმეებში-მეთქი. იგი რამდენიმე წუთს დუმდა, ბოლოს კი მითხრა, დაახლოებთ ნახევარ საათში დაგირეკავო. მართლაც დამირეკა და მამცნო, სტატუსს ორ კვირაში მოგცემენო. მართლაც, მომდევნო კვირაში ნიდერლანდების იუსტიციის სამინისტროდან მივიღე თანხმობის წერილი – 2002 წლიდან დამრთეს ნება ამ ქვეყანაში ცხოვრებისა, ხოლო 2007 წლიდან მოქალაქეობაც მომანიჭეს...

მადლობა ღმერთს, გულისხმიერი და წესიერი ხალხი თითქმის ყველგან არის.

ჩემი მაშინდელი პრობლემებით თავს აღარ შეგაწყენთ. სულ კი მახსოვს ჩემი ჰოლანდიური ენის მასწავლებლის სიტყვები:

„დემოკრატია არ ნიშნავს, რომ რაც გეკუთვნის, ყველაფერს ავტომატურად მიიღებ, ზოგჯერ კიდეც უნდა იბრძოლო“. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ცხოვრებაში ადვილად არაფრისთვის მიმიღწევია, ყველაფერს უდიდესი ძალისხმევით, დიდი შრომის ფასად მოვიპოვებდი.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დევნილობაში ყოფნის დროს არაერთხელ შემომთავაზეს დეფაქტო ხელისუფლების გავლენიანმა პირებმა, დავბრუნებულიყავი საქართველოში. მპირდებოდნენ ხელშეუხებლობის გარანტიას და სამსახურს. ჟურნალისტმა მერაბ ბერაძემ და პოლიტიკოსმა თეიმურაზ შაშიაშვილმა ეს გაახმაურეს კიდეც ტელევიზიით (პირველი არხი). იმავე პერიოდში დამიკავშირდა ბაკურ გულუა და იგივე პირობები შემომთავაზა, რისთვისაც დიდი მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, რომ ზვიად გამსახურდიას ვერ ვუღალატებდი. ბოლო დროს კი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა, დავით იაკობიძემ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ (05. 09. 2013) გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში, რომელშიც ქართველი ემიგრანტების პოტენციალის გამოყენების აუცილებლობაზე წერდა, ჩემ შესახებაც აღნიშნა, რომ ვმოღვაწეობდი ნიდერლანდების სამეფოში და სამეცნიერო საქმიანობას ვეწეოდი ერთ-ერთ ცნობილ უნივერსიტეტში, როგორც ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. გაიხსენა ისიც, რომ 1991 წლის ქართულ პარლამენტში ეკონომიკური რეფორმების კომისიას ვთავმჯდომარეობდი, რომ ჩემი ხელმძღვანელობით შემუშავდა კანონი „თავისუფალი მეწარმეობის შესახებ“, რომელმაც საქართველოში ოთხი წლის განმავლობაში დაარეგულირა სამეწარმეო ურთიერთობები. რომ არა ეს კანონი, საქართველოს დსთ-ში შესვლის შემდეგ ჩვენს ეკონომიკას სრული „ბელორუსიზაცია“ ემუქრებოდა. შემდეგ მანვე ფეისბუკში ამ საკითხზე გამოაქვეყნა პოსტები, რომელთაც მრავალი ცნობილი პიროვნება გამოეხმაურა. ბუნებრივია, დიდად მადლობელი ვარ ბატონი დავითისა და ყველა მისი მხარდამჭერისა ამ საკითხში.

ჯერ კიდევ საქართველოში ვერ ჩამოვდიოდი, მაგრამ გულისყურით ვადევნებდი თვალს ჩემს სამშობლოში მიმდინარე პროცესებს, თავიდან ძნელი იყო, ინფორმაცია მომეპოვებინა. მეტწილად დამოკიდებული ვიყავი იმ ქართველებზე, რომლებიც ჩამოდიოდნენ იმ ქვეყნებში, სადაც ვცხოვრობდი და მაწვდიდნენ ჩემი მეგობრების მიერ გამოგზავნილ ქართულ გაზეთებს, წიგნებს, სტატისტიკურ მასალებს და ა. შ. ხოლო მას შემდეგ, რაც ოფიციალურად ცხოვრების უფლება მივიღე ნიდერლანდებში, ამ ინფორმაციებზე ხელი ადვილად მიმიწვდებოდა. სამწუხაროდ, მაშინაც და ახლაც ხშირად ვკითხულობ და მესმის ირონიული გამონათქვამები, რომ გამსახურდიას ხელისუფლება ციტრუსებით და ბორჯომის წყლით აპირებდა დამოუკიდებელი საქართველოს აშენებასო, რაზეც მწარედ მეცინება ხოლმე. ხოლო საქართველოში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების ორგანიზატორის და შემდეგ ე. წ. სამხედრო და შემდეგ კი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძის განცხადებას, რომ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭო არავითარ კანონშემოქმედებით საქმიანობას არ ეწეოდა ეკონომიკის სფეროში, იმავე ე. წ. პარლამენტის წევრებმა ბატონმა ნოდარ ნათაძემ და ბატონმა აკაკი ასათიანმა საკადრისად უპასუხეს და მიუთითეს, რომ ახლაც ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი კანონმდებლობით ვმუშაობთო. ქვემოთ კი შეძლებისდაგვარად მოგახსენებთ, რას და როგორ ვაკეთებდით და ვმუშაობდით 1990 წლის 28 ოქტომბერს ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოში. მანამდე კი რამდენიმე სიტყვით ვისაუბრებ საქართველოში ამ არჩევნებამდე შექმნილ ეკონომიკურ ვითარებაზე.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება აუცილებელი პირობაა მისი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა, თვით ქვეყნის გაძლიერებისა და განმტკიცების. იყო რა საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მისი ეკონომიკაც შეადგენდა სსრკ-ს სახალხო მეურნეობის ნაწილს და მონაწილეობდა ე. წ. შრომის საკავშირო დანაწილებაში. ამასთან, ძირითადად, საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა უპირატესად აგრარულ ხასიათს ატარებდა და ინდუსტრიული სექტორი სუსტად იყო განვითარებული. თუმცა ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად განვითარდა, მაგრამ წამყვან როლს მაინც აგრარული სექტორი და მასთან დაკავშირებული სამრეწველო დარგები ასრულებდნენ. და რადგან საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ნაწილი იყო, ბუნებრივია, მთელ იმპერიაში განვითარებული კრიზისული მოვლენები მეტ-ნაკლები სიმწვავით აისახებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზეც. ეკონომიკურმა კრიზისმა საბჭოთა კავშირში თავი იჩინა ჯერ კიდევ ორმოცდაათიანი წლების შუა ხანებიდან. იმპერიის უმაღლესი ხელმძღვანელობა გამუდმებით ცდილობდა რეფორმების გატარებას სოციალური და ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად. თუმცა ეს რეფორმები არ იყო სრულყოფილი და საფუძვლიანი. ამ კრიზისული მოვლენების საფუძველი სხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად იყო ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა და არაკონკურენტული გარემო. სამოციანი და სამოცდაათიანი წლების უძრაობის ხანის შემდეგ, ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, მაშინდელი სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, მ. გორბაჩოვის მიერ გამოცხადებულ ე. წ.

„გარდაქმნის პერიოდში“ დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ვერ უზრუნველყო იმპერიის კრიზისიდან გამოყვანა და ქვეყანა მიიყვანა კოლაფსამდე. რაც ასევე მძიმედ აისახა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მთელ საბჭოთა ეკონომიკაში საშემსრულებლო დისციპლინისა და ეკონომიკური კავშირების მოშლის გამო, მათ შორის საქართველოშიც, დაეცა წარმოების დონე, იზრდებოდა დასაწყობებული მზა პროდუქციის მოცულობა, უმართავი გახდა ფინანსური რესურსების მოძრაობა, იზრდებოდა დაუსაქონლებელი ფულის მასა და ძირეულად გაუფასურდა მაშინდელი ვალუტა – მანეთი; გაძვირდა და ამასთან დეფიციტური გახდა კვების პროდუქტები და ფართო მოხმარების საქონელი; ქვეყანა გადავიდა საკვები პროდუქტების საბარათო განაწილებაზე.

იმის გამო, რომ საქართველოს მრეწველობის დიდი საწარმოები ნედლეულით მომარაგებისა და ასევე პროდუქციის რეალიზაციის საქმეში დამოკიდებულნი იყვნენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბაზრებზე, ბუნებრივია, გართულდა მათი პროდუქციის რეალიზაცია, მოიშალა საშემსრულებლო დისციპლინა. მაგალითად, მთელ საბჭოთა კავშირში იყო ორი ელმავალმშენებელი ქარხანა და აქედან ერთი იყო თბილისში, რომლის საკონსტრუქტორო ბიურო ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი იყო; სსრკ-ში იყო სახეხი ჩარხების ერთადერთი ქარხანა და ისიც თბილისში მდებარეობდა, ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის კიროვის ჩარხმშენებელი ქარხანა თავისი პროდუქციითა და საკონსტრუქტორო ბიუროთი; ასევე იყო სამხედრო და საიდუმლი დანიშნულების ქარხნები (ე. წ. მიონის, რადიო, საავიაციო ქარხნები და სხვა, რომლებიც სპეციფიკური დანიშნულების პროდუქციას უშვებდნენ) და ა. შ. მათი პროდუქციის გასაღების ბაზარი მთელ იმპერიას მოიცავდა. ხოლო საყოველთაო ეკონომიკური კრიზისის გამო, ამ საწარმოთა დიდი ნაწილი იძულებული შეიქნა, გადასულიყო შემოკლებულ სამუშაო დღეზე ან შემოკლებულ სამუშაო კვირაზე ან სულაც მუშა-მოსამსახურეები გაეშვა იძულებით

შვეულებაში მდგომარეობის გამოსწორებამდე. ასევე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს სოფლის მეურნეობა, რომლის პროდუქციის წარმოების სტრუქტურა ორიენტირებული იყო საკავშირო მოთხოვნილობების დაკმაყოფილებაზე და ბუნებრივია, პროდუქციის რეალიზაციაც, ძირითადად, დამოკიდებული იყო ამავე საკავშირო ბაზარზე, სადაც რეალურად იშლებოდა საშემსრულებლო და საგადასახადო წესრიგი და საქართველოს ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ზუსტად ამ ორ დარგზე, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე, მოდიოდა საქართველოში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის 50,6% (1990 წ.: სოფლის მეურნეობაზე – 25.5% და მრეწველობაზე – 25,1%). საბჭოთა პერიოდში საკავშირო ინტერესების, ამასთან უფრო მეტად პოლიტიკური და არა ეკონომიკური ინტერესების, შესაბამისად საქართველოში საერთოდ გაქრა ბამბის წარმოება, მაშინ, როდესაც მუშაობდა გორის ბამბეულის კომბინატი, რომელშიც 3000-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული. საჩხერეში 1984 წელს კიდევ ამუშავდა ბამბისსართავი ფაბრიკა, რომელშიც 1000-მდე მუშა იყო დასაქმებული, ამ საწარმოებისთვის ნედლი ბამბა და ბამბის ნართი შუა აზიის რესპუბლიკებიდან შემოდიოდა, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორივე კომბინატი უმოქმედოდ დარჩა. ძირეულად შემცირდა ხორბლის წარმოება, რომელიც თითქმის ყველა ქვეყნისთვის სტრატეგიულ პროდუქტად ითვლება; სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში მინიმუმამდე შემცირდა და ბოლოს შეწყდა კიდეც საქართველოში აბრეშუმის წარმოება და გაჩერდა აბრეშუმის მრეწველობაც, ეს უკანასკნელი თავიდან ძირითადად ადგილობრივი ნედლეულით მარაგდებოდა, შემდეგ თუთის ხეების დაავადების გამო, განადგურდა მისი პლანტაციებიც და საკვები ბაზის განადგურებამ გამოიწვია აბრეშუმის წარმოების შემცირება და ბოლოს შეწყვეტაც კი, ხოლო მის რეაბილიტაცია-აღდგენაზე აღარავის უზრუნია. არადა ეს დარგი ძველად სოფლად მოსახლეობის დასაქმებისა და მათი დამატე-

ბითი შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა. მისი კვლავ აღდგენა-განვითარებით შესაძლებელი იქნებოდა მოსახლეობის დასაქმება და მათი შემოსავალიც გაიზრდებოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავიდანვე არასწორი იყო სათანადო სანედლეულო ბაზის არქონის შემთხვევაში საქართველოში მსუბუქი მრეწველობის დიდი მასშტაბით განვითარება. როგორც 1972-1985 წლებში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მინისტრი, გიორგი გამცემლიძე აღნიშნავს, „მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საერთო პროდუქციის გამოშვებით საქართველო მსუბუქ მრეწველობაში II-III ადგილს ინარჩუნებდა“[1].

ბუნებრივია, ასეთი დიდი მოცულობის პროდუქციის წარმოებისათვის საქართველოს არ გააჩნდა საკმარისი საკუთარი სანედლეულო ბაზა და დარგის ნედლეულზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება მთლიანად საკავშირო მოწოდებაზე იყო დამოკიდებული. ოთხმოციანი წლების ბოლოსა და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოში უფრო მეტად გართულდა ეკონომიკური მდგომარეობა, ვიდრე სხვა ყოფილ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში, რადგან ჩვენი ეკონომიკა უფრო მეტად იყო დამოკიდებული საერთო-საკავშირო ბაზარზე, როგორც ნედლეულით მომარაგების, ასევე პროდუქციის რეალიზაციის მხრივ. როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ეკონომიკური დაქვეითება აზერბაიჯანში, საქართველოსა და ყაზახეთში დაიწყო 1989 წლიდან, ხოლო დანარჩენ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში – 1990 წლიდან. ამასთან, საქართველოში 1992 წლისათვის ეკონომიკურმა დაქვეითებამ 1989 წელს 36,9%-ს მიაღწია. ეს იყო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ჩვენზე შედარებით „უკეთესი“ მაჩვენებელი ჰქონდა სომხეთს – 48,6%. ყველაზე ნაკლებად დაქვეითდა 1989-1992 წლებში ეს

---

[1] მსუბუქი მრეწველობის მძიმე პრობლემები. გიორგი გამცემლიძე, 1972-1985 წლებში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მინისტრი. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, მაისი 15, 2013.

მაჩვენებელი უზბეკეთში (1992 წელს დაეცა 1989 წლის დონის 87,7%-მდე და ბელორუსიაში შესაბამისად 87,9%-მდე, ხოლო რუსეთში დაეცა 78,8%-მდე.).

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში 1980 – 1992 წლებში (%-ში, 1989წ.- 100%.)[1]

	1980 წ.	1985 წ.	1986 წ.	1987 წ.	1988 წ.	1989 წ.	1990 წ.	1991 წ.	1992 წ.
აზერბაიჯანი	79,6	98,8	100,6	105.1	109,5	100,0	88,3	87,7	67,9
ბელარუსია	65,7	85,2	88,9	91,3	92,4	100,0	98,0	96,8	87,5
ესტონეთი	74,5	85,7	88,2	89,2	93,4	100,0	91,9	82,7	71,0
თურქმენეთი	80,7	89,5	93,4	97,1	107,5	100.0	101,8	97,0	82.5
ლატვია	68,5	81,3	85,1	89,0	93,4	100,0	102,9	92,2	60,1
ლიტვა	67,4	79,8	84,9	88,9	92,4	100,0	96,7	91,2	71,8
მოლდაველთი	72,1	82,6	89,2	90,3	91.9	100,0	97,5	80,5	57,2
რუსეთი	78,1	90,7	92,9	94,2	98,4	100,0	97,0	92,2	78,8
საქართველო	19,4	100,0	98,8	96,8	103,6	100,0	84,9	67,0	36,9
სომხეთი	73,5	95,9	97,7	94,5	92,2	100,0	94,5	83,4	48,6
ტაჯიკეთი	80,8	91,8	95,0	93,9	106,9	100,0	100,2	91,7	52,0
უკრაინა	75,0	88,7	90,0	93,4	95,2	100,0	96,4	88,0	79,2
უზბეკეთი	76,0	88,1	88,0	88,4	97,0	100,0	99,2	98,7	87,7
ყაზახეთი	87,0	90,8	92,3	92,1	100,1	100,0	99,0	98,1	83,4
ყირგიზეთი	69,1	82,9	83,6	84,7	95,6	100,0	104,8	96,5	83,2

სამწუხაროდ, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, იმის მაგივრად, სახელმწიფო საკუთრებას გავფრთხილებოდით, ინვესტორები მოგვეზიდა და საჭირო შემთხვევაში პრივატიზება გაგვეტარებინა, რაც საშუალებას მოგვცემდა, ეკონომიკის კატასტროფული დაცემა თავიდან აგვეცილებინა ან შეგვერბილებინა, ხელისუფლებაში მოსული კრიმინალების წაყრუებითა და ხელშეწყობით მოხდა ამ ქონების დატაცება

[1] ზაურ თეთრუაშვილი და მაია თეთრუაშვილი-ქარდავა. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში. თბილისი, 2006 წ. გვ. 71-72.

და ჯართად გაყიდვა. როგორც ბატონი ნუკრი მგელაძე აღნიშნავდა „ზოგადად, ერთ დროს ძლიერი სამრეწველო პოტენციალის დაკარგვა-გაპარტახებაში მთავარი დამნაშავენი ჩვენ ვართ. ნაცვლად იმისა, რომ სსრკ-სგან მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას გავფრთხილებოდით და, თუნდაც წარმოების მოცულობის განახევრების პირობებშიც მის შენარჩუნებაზე გვეზრუნა, პირადი კეთილდღეობის ინტერესი გვამოძრავებდა. დღეს ჩვენი უგუნურობის შედეგს ვიმკით"[1].

სხვათაშორის, სხვაგვარად მოიქცნენ ლატვიელები, მათ საბჭოთა კავშირში ცნობილი მიკროავტობუსების (ე. წ. რაფები) ქარხანა დღემდე შემოინახეს და რამდენიმე წლის წინათ ნიდერლანდელ ინვესტორებთან ერთად განაახლეს ახალი მოდელის მიკროავტობუსების წარმოება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბალტიისპირელები საბჭოთა კავშირის დროს ყოველთვის ცდილობდნენ იმპერიის კანონმდებლობა თავიანთი ქვეყნების სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ცნობილია, რომ ისინი მაქსიმალურად ხელს უწყობდნენ ადგილობრივი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოების განვითარებას, რადგან ამ უკანასკნელთა გადასახადები რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში ირიცხებოდა, განსხვავებით საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური საწარმოებისა. ამიტომაც მათთან მრეწველობაში პირველის წილად მოდიოდა წარმოებული პროდუქციის 30–40%, ჩვენთან კი ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო. ამასთან, ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოები ძირითადად ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდნენ და ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან მომწოდებლებზე.

ჯერ კიდევ 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია თავის გამოსვლაში უზენაესი საბჭოს სხდომაზე აღნიშნავდა, რომ

[1] ნუკრი მგელაძე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში დახურული და ჯართის ფასად გაყიდული უნიკალური ქარხნები. ambebi.ge, 17-05-12.

„ჩვენი მომავალი წარმატებები პოლიტიკურ სფეროში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, ეკონომიკურ რეფორმებზე, რომელსაც მიზნად ვისახავდით. ამისთვის კი აუცილებელია, ვიცნობდეთ რეალურ სურათს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისას, რომელიც ცხადყოფს, რომ ქვეყანა აშკარა ეკონომიკური კრიზისის პირზე დგას. ცენტრალური დაგეგმარებითი ეკონომიკა სულ უფრო და უფრო ამჟღავნებს, რომ საქართველოს საარსებო ეკონომიკური ინტერესების განხორციელების უნარი არ შესწევს. წლების განმავლობაში თავს იჩენდა დეფიციტი პირველადი მოხმარების საქონლისა, სურსათ-სანოვაგისა, საწვავისა".[1]

უფრო ზუსტად რომ დავახასიათოთ ეროვნული ძალების ხელისუფლებში მოსვლის დროს საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მოვიყვან შედარებით ვრცელ ციტატას ბატონი ზვიად გამსახურდიას ზემოთ აღნიშნული გამოსვლიდან საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომაზე: „სტატისტიკური მონაცემებით, საქონლის მარაგმა რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების საცალო ქსელში 1990 წლის 1 ოქტომბრისთვის შეადგინა 1426 მილიონი მანეთი, ნაცვლად შარშანდელი ამავე პერიოდის 1478 მილიონი მანეთისა, ანუ შემცირდა 3,6 პროცენტით, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საცალო ქსელში 500 მილიონი მანეთის საქონლის მარაგი იყო, ნაცვლად 1989 წლის 1 ოქტომბრის 533 მილიონი მანეთისა. ამ პერიოდისათვის რესპუბლიკაში გვქონდა 84 დღის საქონლის მარაგი, ანუ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 16 დღის მარაგით ნაკლები. ვაჭრობის სამინისტროს საცალო ქსელში 56 დღის მარაგი იყო, ანუ 14 დღის მარაგით ნაკლები. მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების მარაგმა საბითუმო ვაჭრობასა და მრეწველობაში აშკარად იკლო, მაგალითისათვის, თუ 1989 წელს კარაქის მა-

---

1 საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 1990 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 14.11.1990.

რაგი შეადგენდა 8,9 ათას ტონას, წელს ეს მარაგი შემცირდა 3,6 ათას ტონამდე, შესაბამისად, კვერცხის მარაგი შემცირდა 48,7 მილიონი ცალიდან 26,3 მილიონ ცალამდე, შაქარი – 15,7 ათასი ტონიდან – 14 ათას ტონამდე და ასე შემდეგ. მაგალითისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების მიერ კვების ძირითადი პროდუქტების წარმოება 1990 წლის იანვარ-ოქტომბერში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: ხორცის წარმოება წინა წელთან შედარებით შემცირდა 19 ათასი ტონით, ძეხვეულისა – 7 ათასი ტონით, კარაქისა – 3,2 ათასი ტონით, ყველისა – 5 ათასი ტონით, იგივე ხდება ყველა სახის პროდუქტის წარმოების სფეროში. ამასთან, მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის მრეწველობაში და საბითუმო ვაჭრობაში თამბაქოს მარაგი 75,6 %-ით ანუ 2,6 მილიონი მანეთით შემცირდა, ასეთივე სურათია მსუბუქი მრეწველობის საქონლის მიწოდების სფეროში, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ფონდში. საკოლმეურნეო ბაზრებზე თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობა შემცირდა 9,2 %-ით, ხოლო ფასები გაიზარდა საშუალოდ 25,6%-ით. მოსახლეობამ საკოლმეურნეო ბაზრებზე დახარჯა 69 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასული წლის იანვარ-ოქტომბერში, იმავე პროდუქციის შეძენაზე. გეგმები ჩავარდნილია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ყველა სფეროში, სამრეწველო საწარმოები ვერ ასრულებენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, განსაკუთრებით ჩამორჩენილია ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო, კულტურის სამინისტრო, ყოფილი საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო, კავშირგაბმულობის სამინისტრო, პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო, ახალგაზრდული საერთაშორისო ტურიზმის ბიურო, ჯანმრთელობის სამინისტრო, საწარმოო გაერთიანება „საქავტომატოსერვისი“, ცეკავშირი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

მძიმე მდგომარეობაა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროში. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფო სახსრებით საექსპლოატაციოდ ჩაბარებული საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობი შემცირდა 166 ათასი კვადრატული მეტრით, ანუ 33,4 %-ით, წლის გეგმა ამ მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა მხოლოდ 31,4 %-ით. ასეთივე მდგომარეობაა სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, ამბულატორიების, პოლიკლინიკების, პროფტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის სფეროშიც. გრძელდება საფინანსო კრიზისი. სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსების მობილიზაციის დავალების შესრულება კვლავ გაძნელებულია, ძირითადად საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან (შემოსავლებიდან) ბიუჯეტში გადასახდელების დავალებათა ქრონიკული შეუსრულებლობის გამო. ამ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს მოგებიდან გადასახდელების სახით დააკლდა 41,4 მილიონი მანეთი, ანუ 7,7 %. მოგების საგეგმო დავალების შესრულებას თავი ვერ გაართვა 300-მა საწარმომ და ორგანიზაციამ, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში ზარალით დაამთავრა 57-მა საწარმომ და ორგანიზაციამ, გრძელდება ჩამორჩენა სამშენებლო კომპლექსის საქმიანობაში, საფრთხის წინაშეა საწარმოო სიმძლავრეებისა და მშენებლობის ობიექტების ამოქმედების წლიური პროგრამების რეალიზაცია, საერთო-რესპუბლიკურ მაჩვენებელზე დაბალი შესრულება აქვს „საქნავთობს“ (42,3%), „საქნახშირს“ (64,4%), „საქაგრომშენს“ (77,1%) და სხვა გაერთიანებებს. ამასთან ჩვენ დიდ დახმარებას ვუწევთ სხვა რესპუბლიკებს, მაშინ როდესაც შინ თავად გვაქვს უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. დღევანდელი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა შესწავლილია მრავალი თვალსაზრისით. დღესდღეობით საექსპორტო მოწოდებას აწარმოებს საკავშირო რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების 66 საწარმო და ორგანიზაცია. მათ მიერ საექსპორტოდ განაწილებულია 140,7 მილიონი მანე-

თის პროდუქცია. საჭიროა კონტროლი, რათა ამგვარი საწარმოების საქმიანობა ყოველთვის შეესაბამებოდეს ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს, რათა არ დაზარალდეს ჩვენი საერთო ეკონომიკური სტრატეგია. განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაუწესდეს ჩვენი სტრატეგიული ნედლეულისა და პროდუქციის ექსპორტს, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე თანდათანობითი გადასვლის პერიოდში. ჩვენი ეკონომიკის ზემოხსენებული სავალალო სურათი, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია სოციალისტური ეკონომიკური სისტემის არაეფექტიანობით, ცენტრალური დაგეგმვის პრინციპი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია ასეთ ვითარებაში, ამასთან ერთად, იგი ხელს უწყობს საქართველოს კოლონიურ ძარცვას, ჩვენი ეკონომიკის დაქვემდებარებას ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკის სისტემის დიქტატისაგან. მნიშვნელოვანი დესტრუქციული ფაქტორია აგრეთვე კორუფცია, უკონტროლობა, სპეკულაცია, უყაირათობა, რაც გამოწვეულია ხელისუფლების სტრუქტურების მოშლით და უპასუხისმგებლობით. ჩვენი თვალსაზრისით, შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი: ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებზე და ცენტრალურ დაგეგმარებაზე დამყარებული სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლა. ჩვენს პროგრამებში აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპი მდგომარეობს მიწოდებისა და მოთხოვნილების საბაზრო ძალების რეგულირებაში. პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებისას კი მთავრობის მხრივ ჩარევა-რეგულირება ძირეულად განსხვავდება სოციალისტური სისტემის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური რეგულირებისაგან. აქ კერძო სექტორის საქმიანობაში ჩარევა ან მისი რეგულაცია ძირითადად მომხმარებლის ინტერესების დაცვისათვის ხდება. წარმოების საშუალებათა კერძოსაკუთრება, კერძო ფინანსური ბაზრები, თავისუფალი შრომის ბაზრები საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ინგრედიენტებია.

მას შემდეგ, რაც ეს ელემენტები ამოქმედდება, ხალხი თავის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით გადაწყვეტს, თუ როგორი ფორმით ჩამოყალიბდება საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები. მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან რესურსებს უნდა ანაწილებდნენ საბაზრო ძალები და არა ბიუროკრატია, სახელმწიფოს კონტროლი კი ამ განაწილებისადმი, ისევე, როგორც ფასების კონტროლი, არ უნდა ემყარებოდეს ადმინისტრირების დრომოჭმულ მეთოდს. ამასთან, არსებობს დიდი საფრთხე ე. წ. „საბაზრო სოციალიზმისა“, საბაზრო ეკონომიკა უშუალოდ უნდა დაეყრდნოს კერძო სექტორს და ღია საერთაშორისო ვაჭრობას. ამავე დროს აუცილებელია პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება, განსაკუთრებით სოფლად, საჭიროა შემოღება მიწის კანონისა, რაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღებას. ამ კანონის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს უნდა გადაეცეთ მინა კერძო მფლობელობაში გასხვისების უფლების გარეშე. რაც უთუოდ შეუწყობს ხელს მოსახლეობის სოფლად დამკვიდრებას და გლეხური მეურნეობის განვითარებას საქართველოში. აუცილებელია, აგრეთვე აღდგეს ტრადიციული ფორმები სოფლის მეურნეობისა, ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მევენახეობაზე, მეცხოველეობისა და მარცვლეული კულტურების განვითარებაზე. საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველადი მოხმარების საგნებისა და პროდუქტების მწვავე დეფიციტის გამო, გადაუდებელ ღონისძიებებად ჩავთვალეთ სავაჭრო ქსელში ნორმირების დაწესება და პასპორტების წარდგენით ვაჭრობა, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს მკაცრი კონტროლით, დავაწესეთ აგრეთვე საქართველოდან ღვინის, ხილისა და სხვა პროდუქტების უკონტროლოდ და დიდი რაოდენობით გაზიდვის აკრძალვა. უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა საბოტაჟის ფაქტებიც. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდი რაოდენობით აბარებენ პირუტყვს სასაკლაოებს და

ხორცკომბინატებს, ყიდიან მანქანებსა და სხვა ტექნიკას, რასაც შეგნებული საბოტაჟის ელფერი დაჰკრავს"[1].

როგორც ვხედავთ ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში 1990 წლის ბოლოსათვის ძალზე არასახარბიელო იყო. შექმნილი რთული ეკონომიკური პირობების შესარბილებლად საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან გადასულიყო პირდაპირი, ორმხრივი ეკონომიკური ხელშეკრულების გაფორმებაზე, რამაც გარკვეულწილად შეამსუბუქა მდგომარეობა. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ქვეყანაში ძირეული ეკონომიკური რეფორმების გატარება. ამიტომაც საქართველოს მთავრობამ ოპერატიულად შეიმუშავა „1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების პროგრამის" პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1991 წლის 14 ნოემბერს. ამ პროგრამის შესავალ ნაწილში – „საგანგებო ვითარების შეფასება" – დახასიათებულია ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება, მისი წარმოქმნის მიზეზები და ფაქტორები. აქვე აღნიშნულია, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების დაწყების აუცილებელი პირობაა პოლიტიკური სტაბილურობა და ამიტომ ამ სფეროში ხელისუფლება საჭიროდ მიიჩნევდა: „1. რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას როგორც უცხოეთის ქვეყნებთან, ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ცალკეულ რესპუბლიკებთან; 2. რესპუბლიკის შიგნით სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის კონსესუსის მიღწევას გონივრული კომპრომისებისა და ურთიერთშეთანხმებათა საფუძველზე, რათა ეკონომიკისათვის პოლიტიკურად სტაბილური ფონი შექმნილიყო; 3. პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახლანდელ

[1] საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 1990 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". 14.11.1990.

პირობებში ჩვენს რესპუბლიკაში ეკონომიკის სტაბილიზებისა და კრიზისიდან გამოსვლის საქმისათვის. ეს რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, მმართველი საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდისა“ და ყველა მიმდინარეობის ეროვნულ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა“[1].

როგორც ვხედავთ, საქართველოს ახალი ხელისუფლება ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ მთავარ პირობად მიიჩნევდა რესპუბლიკის შიგნით სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შორის კონსესუსის. მიღწევას გონივრული კომპრომისებისა და ურთიერთშეთანხმებათა საფუძველზე, რაც მეტყველებს მის შემრიგებლურ საშინაო პოლიტიკაზე. შემდეგ ამ დოკუმენტში მოცემულია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ძირითადი, სტრატეგიული ხასიათის ამოცანები და მიმართულებები მაკრო დონეზე. ამ პროგრამის საფუძველზე დარგობრივ სამინისტროებსა და ადგილობრივ მმართველობებს უნდა შეემუშავებინათ დარგობრივი და რეგიონალური პროგრამები დარგობრივ და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ახლად არჩეული უზენაესი საბჭო და ასევე მის მიერ დამტკიცებული საქართველოს მთავრობა კარგად აცნობიერებდნენ შექმნილ რთულ ეკონომიკურ ვითარებას და სახავდნენ შესაბამის გზებს შექმნილი პრობლემების დასაძლევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც მთლიანად უზენაესი საბჭოს, ასევე მისი ეკონომიკური პროფილის მუდმივმოქმედი კომისიების უმთავრესი ამოცანა იყო ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის სასწრაფოდ შექმნა.

---

[1] „1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების პროგრამის“ პროექტი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 14.11.1991.

უზენაესი საბჭოს ეკონომიკური მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის შესახებ

1990 წლის 22 ნოემბერს, როგორც ცნობილია, გაიმართა, საქართველოს ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველივე სხდომა, რომელზეც არჩეულ იქნა მისი თავმჯდომარე. მოადგილეები და აგრეთვე მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები. ამავე სხდომაზე ეკონომიკური რეფორმის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოყენებული იქნა ორი კანდიდატურა: ბატონი რომან გოცირიძე და მე, გივი თაქთაქიშვილი. იმ პერიოდში ბატონი რომან გოცირიძე პოპულარული პიროვნება იყო და „მრგვალი მაგიდის" ზოგიერთმა წევრმა მას დაუჭირა მხარი, მაგრამ საბოლოოდ, ხმების მცირე უპირატესობით მე ამირჩიეს ამ კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო ბატონი რომანი მოადგილედ[1]. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვიყავით და თანამშრომლობა არ უნდა გაგვჭირვებოდა (თუმცა, სამწუხაროდ, შემდეგში გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენ სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით).

საბოლოოდ ეკონომიკური რეფორმების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: დეპუტატები:

გივი ჩიტოს ძე თაქთაქიშვილი – თავმჯდომარე
რომან რაჟდენის ძე გოცირიძე – მოადგილე

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებები: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა არჩევის შესახებ; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის არჩევის შესახებ. საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი ,1990 წელი, № 11. გვ. 35, 36 და 43, 44.

ზურაბ ვახტანგის ძე გიგილაშვილი
ვაჟა გივის ძე გურგენიძე
ვალერი აკაკის ძე შარიქაძე
ნოშრევან მახმუდის ძე მამულაძე
ალექსანდრე ზურაბის ძე ახვლედიანი
ნოდარ ამბროსის ძე ჭითანავა
კონსტანტინე ვახტანგის ძე კაპანაძე
მალხაზ ტარიელის ძე კვანჭილაშვილი
ნიკოლოზ ჯიმშერის ძე სანებლიძე
იური გიორგის ძე ბურკაძე
მირიან შოთას ძე მირიანაშვილი
ავთანდილ დიმიტრის ძე პოპიაშვილი
ვლადიმერ ვასილის ძე ცოფურაშვილი

აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი კომისიის წევრები აგრეთვე იყვნენ ბატონები თემურ შაშიაშვილი და მიხეილ ჯორჯიაშვილი. რატომღაც ისინი ამ სიაში არ არიან. ეკონომიკური რეფორმის მუდმივმოქმედი კომისიის ზემოთ აღნიშნულმა შემადგენლობამ ორჯერ განიცადა ცვლილება. პირველად 1991 წლის აგვისტოში საქართველოს კომუნისტური პარტიიდან უზენაესი საჭოს წევრებისათვის უფლებამოსილების შეჩერების გამო და აგრეთვე ბატონ ბაკურ გულუას საქართველოს მთავრობაში ვიცე-პრემიერად დანიშვნის გამო. უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც იგი თავმჯდომარეობდა 1991 წლის 15 სექტემბრის უზენაესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე, შეუერთდა ჩვენს კომისიას და ეწოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკის მუდმივმოქმედი კომისია (ბატონ ბაკურ გულუას ვიცე-პრემიერად გადაყვანიდან აღნიშნულ ცვლილებამდე თავმჯდომარის მოვალეობას დროებით ასრულებდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი გელა ჩორგოლაშვილი). ამ კომისიამ 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მომხდარი ე. წ. „მცირე პუტჩის“ ფონზე კიდევ განიცადა ცვლილებები და საქართვე-

ლოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცდა ეკონომიკის მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა:

თავმჯდომარე – გივი ჩიტოს ძე თაქთაქიშვილი
წევრები:
შალვა გიორგის ძე აბზიანიძე
იური გიორგის ძე ბურკაძე
ავთანდილ ალექსანდრეს ძე კვეტენაძე
მერაბ შალვას ძე კიკნაძე
არჩილ ოთარის ძე მაჭავარიანი
მირიან შოთას ძე მირიანაშვილი
ზვიად გიორგის ძე ნადირაშვილი
ნოდარ გიორგის ძე ნონიაშვილი
არჩილ ვარლამის ძე ოდიშარია
ავთანდილ დიმიტრის ძე პოპიაშვილი
ნიკოლოზ ჯიმშერის ძე სანებლიძე
შალვა გივის ძე ცომაია

უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარედ არჩევისთანავე, დავიწყე ამ კომისიის განყოფილების კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომლექტებაზე ფიქრი. საჭირო იყო პროფესიონალი კადრები, რომლებსაც კანონმდებლობაზე მუშაობის გამოცდილება ექნებოდათ და გულმოდგინედ იმუშავებდნენ. ამ მიზნით მოვიწვიე ჩემი ჯგუფელები და ამავე დროს კოლეგები, ერთად რომ ვსწავლობდით ჯერ ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ კი თხუთმეტ წელიწადზე მეტხანს ერთად ვმუშაობდით საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ესენი გახლდათ ელგუჯა ექსეულიძე და მალხაზ ბებერაშვილი, ხოლო იურიდიულ საკითხებზე სამუშაოდ და თანაშემწედ კი მოვიწვიე ზურაბ შარეიძე.

გარდა ამისა, როგორც მაჟორიტარ დეპუტატს, უნდა მეზრუნა ასევე ჩემს საარჩევნო ოლქზეც. საქართველოს უზე-

ნაესი საბჭოს დეპუტატს კანონმდებლობით უფლება ჰქონდა, თავის საარჩევნო ოლქში ჰყოლოდა წარმომადგენელი, რომელსაც უშუალო კავშირი ექნებოდა, ერთი მხრივ, საარჩევნო ოლქის მოსახლეობასთან და მეორე მხრივ, უზენაესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატთან. ჩემს წარმომადგენლად საარჩევნო ოლქში დავნიშნე განათლებული, წესიერი და გულისხმიერი ახალგაზრდა ზაზა კობეშავიძე, იგი ძალზე ყურადღებიანად იღებდა მოქალაქეებს, იწერდა მათ თხოვნა-საჩივრებს და თითქმის ყოველ საღამოს მიკავშირდებოდა და მაცნობდა ინფორმაციას. ჩვენ ოპერატიულად ვცდილობდით გადაგვეწყვიტა მოქალაქეთა პრობლემები. შესაბამისად, ზაზამ მოსახლეობაში კარგი სახელი და სიყვარული დაიმსახურა.

აქვე მინდა მოვიყვანო უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 2 აპრილის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა მიღების ერთიანი დღის დაწესების შესახებ“ რომლის მიხედვითაც დადგინდა: „1. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა მიღების ერთიანი დღე – ყოველი ორშაბათი, 15-დან 19 საათამდე. 2. ორშაბათობით, მიღების საათებში, მიზანშეუწონლად ჩაითვალოს ყველა სხვა ღონისძიების ჩატარება, უზრუნველყოფილ იქნას ამ დღეს მოქალაქეთა მიღება. 3. რესპუბლიკურმა გაზეთებმა, საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა გამოაქვეყნონ ინფორმაცია ამ დადგენილების შესახებ.[1]“ ბატონი ზვიად გამსახურდია ჩვენგან მოითხოვდა ამ დადგენილების მკაცრად დაცვას.

როგორც მთელ უზენაეს საბჭოში, ჩვენს კომისიასაც ყოველ კვირაში, ორშაბათობით ჰქონდა მოქალაქეთა მიღების საათები, დღის სამი საათიდან, ოფიციალურად, შვიდ საათზე

[1] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა მიღების ერთიანი დღის დაწესების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი. 1991. №4, გვ. 8.

უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ხშირად ღამის 12 საათამდე გრძელდებოდა. ეს იყო რთული პერიოდი და კარგად გვესმოდა, რომ ხალხს დახმარება სჭირდებოდა. ბუნებრივია, მიღებაზე მოდიოდნენ არა მარტო უბრალო მოქალაქეები, არამედ კოოპერატორები, ბიზნესმენები და სხვები და არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე მოდიოდნენ უცხოეთში მცხოვრები ქართველები. მოდიოდნენ ისეთებიც, რომელთა პრობლემის გადაწყვეტაც ჩვენი კომისიის კომპეტენციაში არ შედიოდა, სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ მაინც იძულებულნი ვიყავით, მათ დავხმარებოდით. მახსოვს, კახეთის ერთ-ერთი რაიონიდან ცალხელა მოხუცმა კაცმა მოწიწებით შემოაღო ჩემი სამუშაო ოთახის კარი, პაპა, რამ შეგაწუხა-მეთქი? „ლუაზი“ (ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს უკრაინა აწარმოებდა მცირე ლიტრაჟიან მანქანებს „ზაპოროჟეცს“ და მის ბაზაზე ასევე მცირელიტრაჟიან მცირეგაბარიტიან სატვირთო მანქანებს) მინდაო. ატამი მომყავს, ქალაქში წამოღება დაქირავებული ტრანსპორტით ძვირი ჯდება, გადამყიდველებს კი ჩალის ფასად უნდათო. ამ „ლუაზს“ გადავაკეთებინებ ინვალიდისათვის და თვითონვე ჩამოვიტან ატამს ქალაქში გასაყიდადო. მივასწავლე, რომ უნდა მისულიყო ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ან შრომის ანდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ყველგან ვიყავი და ყველამ უარით გამომისტუმრაო – მიპასუხა ნაღვლიანად. ჩემთან როგორღა აღმოჩნდი-მეთქი, ჩავეძიე. გეტყვი და არ გამთქვაო. რა თქმა, უნდა დავპირდი... კარგა ხანია აქ, პარლამენტის მისაღებში დავიდივარ, უკვე მილიციელებიც შეწუხდნენ ჩემი მდგომარეობით და იმათ მირჩიეს, თქვენთან ამოვსულიყავი – ის თუ დაგეხმარებაო... რასაკვირველია, მოვუგვარე ის საქმე. დამლოცა და წავიდა. ასეთი შემთხვევა ბევრი მქონდა.

ერთხელ, საარჩევნო ოლქში ჩემმა წარმომადგენელმა ზაზა კობეშვიძემ დამირეკა, თქვენი ამომრჩევლები მოვიდნენ, საპენსიო ასაკის ოთხი კაცია, ვაჭრობაში მუშაობდნენ, შემცირებაში მოუყოლებიათ და უმუშევრები დარჩნენო. თქვენი იმე-

დიღა აქვთ, როგორმე დაგვეხმაროს სამსახურის მოძებნაშიო. მძიმე დრო იყო, მაგრამ რაღაც უნდა მეღონა. ზაზას ვუთხარი, გამოგზავნე ჩემთან და რამეს მოვიფიქრებ-მეთქი. მართლაც მოვიდნენ, მოვისმინე მათი საწუხარი. კარგად ვიცოდი მათი უბანი, იქ მართლაც დაიხურა ხილ-ბოსტნეულის სახელმწიფო მაღაზია. შევთავაზე, იქნებ კოოპერატივი დააფუძნოთ, ეს მაღაზია აიღოთ იჯარით და უბანი მოამარაგოთ ხილ-ბოსტნეულით-მეთქი, უბნის გარდა სხვა მყიდველებიც მოგემატებათ, მით უმეტეს მაღაზია ცენტრალურ გზაზე, ავჭალის გზატკეცილზე მდებარეობს-მეთქი. დამთანხმდნენ. დავეხმარე მათ ორგანიზაციული საქმეების მოგვარებაში და საქმეც კარგად წაიყვანეს. როდესაც სამშობლოდან გადავიხვეწე, თურმე ხშირად აკითხავდნენ ხოლმე ჩემს მშობლებს და ჩემს ამბებს კითხულობდნენ. შევარდნაძის პერიოდში კი ვინ შეარჩენდა იმ მოხუცებს მაღაზიას?! ემიგრაციიდან პირველად რომ ჩამოვედი 2007 წელს, მოვიკითხე ისინი და ვერ მივაგენი. მათი მაღაზია კი უკვე სხვას ეკუთვნოდა.

ეს ამბავი იმიტომ მოვყევი ასე დაწვრილებით, რომ მავანმა, ვინც ჯიუტად იმეორებს, რომ არაფერს ვაკეთებდით, იცოდეს, როგორ ვმუშაობდით, როგორ ვზრუნავდით ცალკეული ადამიანისთვის, თუკი დაჩაგრულად იგრძნობდა თავს. ხშირად სხვა მაჟორიტარი დეპუტატების (მათი გვარების დასახელებისაგან თავს შევიკავებ) ამომრჩევლებიც მოდიოდნენ ჩემთან სხვადასხვა საკითხის მოსაგვარებლად.

თავიდანვე 1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადებულიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. კანონში აღნიშნულია, რომ „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა.

ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელსაც უნდა დაეგვირგვინებინა სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა". კანონში აღინიშნებოდა, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და ინტერესებს". საქართველოს უზენაესი საბჭოს იმავე სესიაზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა: „საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, დღევანდელი სესია ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ ძირითად საკითხებზე: პირველი და უმთავრესი, რაც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ეს არის კონსტიტუციური რეფორმის საკითხი გარდამავალ პერიოდში, გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონის შექმნა არსებულ კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საფუძველზე. დეკლარაცია თავად გარდამავალი პერიოდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ; როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში ჩვენი ყურადღების ცენტრში იქნება ეკონომიკური რეფორმა გარდამავალ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის საფუძველის ჩაყრა, ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკური დიქტატისაგან მისი განთავისუფლება, ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება, მიწის კანონი, პრივატიზაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი პრინციპები, მუნიციპალური არჩევნები, სამართალდამცავი ორგანოების დეპარტიზაციის და მართლწესრიგის განმტკიცების ღონისძიებები, კულტურისა და განათლების სისტემის რეორგანიზაცია." ამრიგად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კომისიის მთავარი ამოცანა იყო საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

საქართველოს ეროვნული მოძრაობა რთულ პერიოდში მოვიდა ხელისუფლებაში. მაშინ არა მარტო საბჭოთა კავშირი იშლებოდა, არამედ იშლებოდა მთელი სოციალისტური წარმოების წესი ანუ სოციალისტური – გეგმიანი ეკონომიკა, რომელიც დამყარებული იყო წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო და „საზოგადოებრივ“ საკუთრებაზე და მეურნეობის გეგმიან გაძღოლასა და რესურსების ცენტრალიზებულად განაწილებაზე. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად სოციალისტურმა ეკონომიკამ კოლაფსი განიცადა. როგორც მთელი ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და მათ შორის, საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და ასევე საქართველოში. დღის წესრიგში იდგა სოციალისტური მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის ამოცანა.

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ეკონომიკური დოქტრინა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საბჭოთა სისტემაში მთლიანად ინტეგრირებული, ცენტრალიზებულად გეგმიანი ეკონომიკური სისტემიდან დამოუკიდებელი ქვეყნის სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, წარმოდგენილი იქნა „მრგვალი მაგიდის“ 1990 წლის უზენაესი საბჭოს საარჩევნო პროგრამაში და 1991 წელს საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებზე ზვიად გამსახურდიას პროგრამაში. ბუნებრივია ასეთი მასშტაბური ღონისძიებების გატარება ერთიანად და სწრაფად შეუძლებელი იყო. ამისთვის საჭირო იყო გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც უზენაეს საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების ძირითადი მიზანი იქნებოდა საკანონმდებლო საფუძვლების შემზადება გარდამავალ პერიოდში გასატარებელი რეფორმებისათვის.

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ძირითადი ამოცანა იყო დამოუკიდებლობის აღდგენა. საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტი კი მისი ეკონომიკის აღორძინების აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო.

საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისკენ მიმართული ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობდა ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარებას:

თავისუფალი მეწარმეობის განვითარება (მიღებული იქნა კანონი მეწარმეობის საფუძვლების შესახებ);

კერძო საკუთრების დამკვირვებისათვის არსებული სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობა – პრივატიზაცია (მიღებული იქნა კანონები საკუთრებისა და პრივატიზაციის შესახებ);

იზოლირებული ეკონომიკური სისტემიდან თავის დასაღწევად, საერთაშორისო ინტეგრაციაში საქართველოს თანმიმდევრული ჩაბმა მოკავშირეებთან და საერთაშორისო (მათ შორის ყოფილი სსრკ) პარტნიორებთან, ინვესტორებთან მოლაპარაკებებათა საფუძველზე მათთან ხელშეკრულებების დადება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ (მიღებული იქნა კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ);

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად ეროვნული ბანკისათვის ცენტრალური ბანკის სტატუსის მინიჭება, რომელსაც გარდა კომერციული და კოოპერაციული ბანკების კოორდინაციისა და ზედამხედველობისა, ექნებოდა ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, როგორიცაა: ფულის მიმოქცევა, დაკრედიტება, დაფინანსება, ანგარიშსწორება და სავალუტო ურთიერთობები რესპუბლიკაში ერთიანი პოლიტიკის გასატარებლად, ფულად-საკრედიტო სისტემის ცენტრალიზებული მართვა, მყარი ფულადი მიმოქცევისა და ქართული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცების უზრუნველყოფა, მისი გასაცვლელი კურსის დადგენა სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან და სხვა (მიღებული იქნა კანონები ეროვნული ბანკის შესახებ და ფულად-საკრედიტო სისტემის შესახებ; შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკი და დაინიშნა მისი პირველი მმართველი, გია თოფურია).

დამოუკიდებელი საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის გზაზე უმნიშვნელოვანესია ფულის ეროვნული ერთეულის შემოღება (მიმდინარეობდა მუშაობა ქართული ფულის შემოღების შესახებ);

საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვა და მისი შემდგომი განმტკიცება მოითხოვს თავსმოხვეული კოლონიური დარგობრივი სტრუქტურების დემონტაჟს და ერის ინტერესების შესაბამისად მის ხელახლა ფორმირებას. ეტაპობრივად მიმდინარეობდა მთავრობის რეორგანიზაცია.

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მაშინ საქართველოს ეროვნული ხელისუფლება ფიქრობდა ჩვენს ტერიტორიაზე არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მთელი კომპლექსის ფართოდ გამოყენებას, განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დათმობოდა ენერგეტიკის არატრადიციული დარგების: მზის, ქარის, თერმული წყლების განვითარებას და ასევე ჰიდრორესურსების სათანადო გამოყენებას, ამასთან, ასევე გეგმავდა, ბიოგაზის ენერგეტიკა მოსახლეობისთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისათვის საჭირო იყო, შეგვექმნა კარგი საკანონმდებლო ბაზა. ამ მიზნით მჭიდროდ ვთანამშრომლობდით უზენაესი საბჭოს სხვა მუდმივმოქმედ კომისიებთან, განსაკუთრებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან, რომლის თავმჯდომარე იყო ბატონი ტარიელ გელანტია; მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიასთან, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბეტონი ბაკურ გულუა; სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის კომისიასთან – თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი ჩხეიძე; ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიასთან, რომლის თავმჯდომარე იყო ბატონი რობერტ პეტრიაშვილი და ა. შ. გარდა ამისა, მჭიდროდ ვთანამშრომლობდით ი. ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სხვა ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან, ვ. მელქაძის სახელობის სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებთან. ასევე მუდმივად ვუკავშირდებოდით პრაქტიკოს ეკონომის-

ტებს და მეწარმეებს. ამასთან, ვცდილობდით საჭირო ინფორმაცია მიგვეღო ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნებიდან, რომელთაც იგივე პრობლემები ჰქონდათ გადასაწყვეტი და შესაბამისად, გვაინტერესებდა მათი გამოცდილება. ამასთანავე ვითვალისწინებდით მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით, აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის, და ბუნებრივია ე. წ. „აზიური ვეფხვების“ (სამხრეთ კორეის, სინგაპურის, ჰონგ-კონგის და ტაივანის) გამოცდილებას. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ კურიოზულ შემთხვევას გავიხსენებ: იმ ხანებში ეკონომიკური რეფორმების გატარებაში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ჩილემ და ვინაიდან ამის შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია გვქონდა, მივწერეთ წერილი, რომლითაც ვთხოვდით ჩილეს მთავრობას, მოეწოდებინა ინფორმაცია მათი ეკონომიკური რეფორმების შესახებ. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ უცნაური პასუხი მივიღეთ: ჩვენ კომუნისტურ ქვეყნებთან არ ვთანამშრომლობთ და შესაბამისად, ვერავითარ ინფორმაციას ვერ მოგაწვდითო. თუმცა ეს ინფორმაცია რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც მივიღეთ. ამ საქმეში დაგვეხმარა ამერიკელი ქართველი ებრაელი ბაბრი ორენი, რომელიც იმ ხანებში საქართველოში ჩამოჰყვა ამერიკელ მენავთობეს და როდესაც ჩამოვარდა საუბარი ჩვენს ეკონომიკურ რეფორმებზე, ვუამბე ამ კურიოზის შესახებ. ბაბრი ორენმა გვითხრა, რომ საქართველოს შემდეგ ზუსტად ჩილეში მიემგზავრებოდა და ეცდებოდა, ჩვენთვის საჭირო მასალები მოეპოვებინა და გამოეგზავნა. მან დანაპირები შეგვისრულა.

აქვე არ შემიძლია, არ ავღნიშნო შემდეგი: იმ ხანად, ოთხმოციან წლებში, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე იყო ომარ ვარძელაშვილი (სხვათა შორის მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის საგეგმო კომიტეტის წერილი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ჰქონდა სსრკ-ს დიდი ვალი, ბატონმა ომარმა საფუძვლიანი და დასაბუთებული პასუხი გასცა და დაამტკიცა, რომ პირიქით, საბჭოთა კავშირს ჰქონდა საქართველოს ვალი). მისი ხელმძღ-

ვანელობით ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ე. წ. „გარდაქმის პერიოდში“, საქართველოს საგეგმო კომიტეტში დამუშავდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის საჭირო კანონპროექტები, რაც კარგი სამუშაო მასალა იყო ჩვენთვის. ბუნებრივია, საერთოდ კი, რა თქმა, უნდა ჩვენი კომისიის საკანონმდებლო მუშაობის საფუძველი იყო „მრგვალი მაგიდის“ მიერ შემუშავებული საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პროგრამა. ბატონ ომართან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, თუმცა ჩვენი უშუალო გაცნობა არასახარბიელოდ დაიწყო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვმუშაობდი საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ამ კომიტეტის თავმჯდომარე ომარ ვარძელაშვილი იყო. უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე მივიღე მონაწილეობა რუსთაველის საზოგადოების მიერ გამოქვეყნებული საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პროგრამის შემუშავებაში. ამავე დროს საგეგმო კომიტეტმაც, ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობით, შეიმუშავა ასეთივე პროგრამა. ბატონ ომარს არ ესიამოვნა, რომ მონაწილეობა მივიღე რუსთაველის საზოგადოების მიერ დამუშავებულ პროგრამაში, დამიბარა და მისაყვედურა: რატომ ჩვენს დამუშავებულ პროგრამაში არ მიიღე მონაწილეობაო. ვუპასუხე, რომ არც მსმენია, ჩვენთან ასეთი პროგრამა თუ მუშავდებოდა-მეთქი. გადაამოწმა რა ჩემი ნათქვამი, ამის მერე შემომთავაზა, გვეთანამშრომლა და საჭიროების შემთხვევაში დამეხმარებოდა (კვლევითი მასალებით, ანგარიშებით და ა. შ.). უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ კი ახალ მთავრობაში ბატონი ომარი გახდა ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

ჩვენი კომისია დავაკომპლექტეთ რა წევრებით, შევადგინეთ კომისიის საკანონმდებლო მუშაობის გეგმა. კანონპროექტთა იმ ჯგუფში, რომელიც პირველ ყოვლისა უნდა დაგვემუშავებინა, შევიტანეთ შემდეგი კანონპროექტები: სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ, საკუთრების შესახებ,

უცხოური ინვესტიციების შესახებ და სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ, იჯარის შესახებ, სააქციო საზოგადოებების შესახებ, საწარმოთა გაკოტრების შესახებ და ა. შ. ამ კანონპროექტებზე ინტენსიურად ვმუშაობდით. ჩვენი კომისიის წევრების გარდა, არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი მთავარი სპეციალისტების – ელგუჯა ექსეულიძისა და მალხაზ ბებერაშვილის დაუღალავი შრომა. დღესა და ღამეს ვასწორებდით, შაბათ-კვირასაც კი ვმუშაობდით, მაგრამ არასოდეს მოგვითხოვია დამატებითი ანაზღაურება, პრემია თუ დანამატი ან რატომ უნდა მოგვეთხოვა?! ამ სამუშაოთა შესრულებაში ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევდნენ როგორც სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტების პროფესორები, მეცნიერ-თანამშრომლები, მრავალი პრაქტიკოსი ეკონომისტი და ბიზნესმენი. ისინი გვიზიარებდნენ თავის მოსაზრებებს (აქტიურობდნენ მოიჯარეთა, მეწარმეთა კავშირების თავმჯდომარეები და სხვა ორგანიზაციების წევრები). ხშირად ვმართავდით ამ კანონპროექტებთან დაკავშირებულ საკითხებზე განხილვებსა და დისკუსიებს. ასევე ვთანამშრომლობდით ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გამოცდილ პრაქტიკოს მუშაკებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, მთელი საინფორმაციო ბაზა, მასალები, წიგნები, წერილები, საბუთები, თვით კანონები, კანონპროექტები და კანონპროექტების განხილვის ოქმები, ასევე შავი, სამუშაო მასალები ინახებოდა ჩვენს კომისიაში, რომელიც მდებარეობდა უზენაესი საბჭოს შენობაში მეოთხე სართულზე, ლესია უკრაინკას ქუჩის მხარეს. 1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე საქართველოში მიმდინარე სახელმწიფო-კრიმინალური გადატრიალების დროს ჩვენი კომისიის ოთახები განსაკუთრებით დაზარალდა, რომლებსაც პუტჩისტებმა ჯერ ე. წ. „მუხა“ ესროლეს, შემდეგ ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას ქუჩების გადაკვეთის

ადგილიდან – ე. წ. „ჰაუბიცა“ და ღმერთის წყალობით ცოცხლები გადავრჩით (ალბათ მათ ის აღიზიანებდათ, რომ კომისიის რამდენიმე წევრი არ ვტოვებდით სამუშაო ოთახებს და ქვედა სართულზე მდებარე სასადილოში, ანუ ე. წ. ბუნკერში არ ჩავდიოდით,), ბოლოს კი ჩვენს მხარეს ცეცხლი წაუკიდეს და ბუნებრივია, ყველაფერი დაიწვა და განადგურდა. იმის იმედით, რომ იქნებ რამე გადარჩენილიყო, მათ გამოსატანად გადატრიალების შემდეგ, იანვრის მიწურული იქნებოდა (ზუსტად აღარ მახსოვს) მალულად მივედი მთავრობის სახლთან და დაცვის მუშაკების დახმარებით (რომლებიც ჩემი ძველი ნაცნობები აღმოჩნდნენ და გაუხარდათ, ცოცხალი რომ დამინახეს) ავედი ჩვენს სართულზე... ოთახები მთლიანად გამომწვარი იყო, თვით ფოლადის სეიფიც კი გამომწვარიყო და ლითონად გადამდნარიყო.

მახსოვს, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ჩემთან, სახლში (ვარკეთილში), მოვიდა ბატონი ნოდარ ნათაძე და მთხოვა, გადამეცა ჩვენი კომისიის მასალები, რომლებიც რომან გოცირიძესა და პაატა კოღუაშვილს სჭირდებათო. რაღას მივცემდი, როცა ყველაფერი თვით პუტჩისტებმა დაწვეს. ამდენი ხნის შემდეგ მიჭირს, ბევრი რამე დაწვრილებით გავიხსენო, მით უმეტეს, თითქმის ოცდაათი წლის წინათ სამშობლოდან გადავიხვეწე და მიზეზთა გამო რამდენიმე ქვეყნის გამოცვლა დამჭირდა, ვიდრე ნიდერლანდებში დავმკვიდრდებოდი და აქაც თავდაუზოგავი შრომით (ხშირად ფიზიკურადაც) მივაღწიე ასე თუ ისე საწადელს; გარდა ამისა, სამწუხაროდ, თავის დროზე არ მიწარმოებია დღიურები და არც ჩანაწერებს ვაკეთებდი ჩემი და ჩვენი კომისიის საქმიანობის შესახებ (ან სად იყო ამის დრო). ამიტომ ყველაფერს სრულფასოვნად ვერ ვიხსენებ. თუ უნებურად რაიმე შეცდომა დაუშვი, მკითხველს პატიებას ვთხოვ.

ბუნებრივია, კანონშემოქმედებითი მუშაობა ძალზე რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობაა, მისი დაწყებაც გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საკანონმდებლო (იურიდიული) ენა განსხვავდება სამეცნიერო და საერთოდ სალიტე-

რატურო ენისაგან. უზენაეს საბჭოში კი გვქონდა სარედაქციო განყოფილება, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი იყო, თავიდანვე როგორ დაიწერებოდა კონონპროექტი. ამიტომ დასაწყისშივე მიზნად დავისახეთ, კანონპროექტები დაგვეწერა მარტივი, გასაგები ენით, არ ყოფილიყო ტავტოლოგიები, ორაზროვანი ან ბუნდოვანი წინადადებები და გამონათქვამები, რათა იგი ადვილად გასაგები ყოფილიყო არა მარტო იურისტისთვის და ეკონომისტისთვის, არამედ რაც მთავარია, ადვილად გაეგოთ მეწარმეებსაც. ეს კანონები ხომ მათი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის იწერებოდა. ამიტომაც ხშირად ჩავკირკიტებდით ზოგიერთ წინადადებას და სიტყვასაც კი. აქვე მინდა აღვნიშნო, კანონპროექტის იურიდიულ დახვეწაში დიდ დახმარებას გვიწევდა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი სერგო ჯორბენაძე (კანონპროექტების ცალკეული მონაკეთების შესათანხმებლად ბატონ სერგოსთან თვითონ მივდიოდი ხოლმე. ერთხელ ისიც კი მითხრა: შენ ამდენი დრო სად გაქვს, სულ აქ რომ იარო, თანაშემწე იურისტი თუ გყავს, ის გამოგზავნეო. კი მყავდა, მაგრამ მერიდებოდა. თუმცა შემდეგ, როცა სამუშაო უფრო მეტად მომეძალა, ჩემს თანაშემწეს, იურისტს და მის ყოფილ სტუდენტს, ზ. შარეიძეს ვაგზავნიდი ხოლმე. ასევე აქვე მინდა აღვნიშნო ჩვენი უცხოელი კონსულტანტის შესახებ, რომელიც თითქმის მთელი ერთი თვე გვეხმარებოდა ეკონომიკური რეფორმებისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში და ასევე გვაძლევდა არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ რეკომენდაციებს. ბატონი რუდოლფ მეესი იყო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მსოფლიოში ცნობილი ნიდერლანდური ING ბანკის მმართველობითი საბჭოს წევრი. იმ ერთი თვის შემდეგაც არ გაგვიწყვეტია ურთიერთთანამშრომლობა, შემდეგაც ჩამოდიოდა თბილისში, მაგრამ უკვე ხანმოკლე დროით. ესეც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ზოგიერთი საკითხი განგვეხილა და შეგვეჯერებინა. ასევე გვეხმარებოდა

ბატონი ზვიადის მეგობარი, ამერიკაში მოღვაწე ქართველი მეწარმე კოკი გუგუშვილი, გამოცდილებებსა და მოსაზრებებს ასევე გვთავაზობდნენ ქართველი მეწარმეებიც.

ზემოთ აღვნიშნე, რომ საკანონმდებლო საქმიანობის გარდა, ხშირად მიწევდა სხვადასხვა დავალების შესრულებაც და მიმდინარე ეკონომიკური საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა, თუნდაც ეს საკითხები ჩვენი კომისიის გადასაწყვეტი არ ყოფილიყო. ბუნებრივია, აუცილებელი იყო საზოგადოებასთან ურთიერთობაც. ასე რომ, არც თუ იშვიათად მიწევდა სხვადასხვა შეხვედრაზე დასწრება-მონაწილეობა. ერთხელ ბატონმა ზვიადმა დამავალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე შევხვედროდი პროფესორ-მასწავლებლებს (მათ გარკვეულ ნაწილთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა) და ეს შემაჯამებელი შეხვედრა უნდა ყოფილიყო, სადაც ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, სხვა ბევრ საჭირბოროტო საკითხსაც მიმოვიხილავდით. თანაც მირჩია, ერთი ჩემი კოლეგა – დეპუტატი უნდა წამეყვანა. ორნი იქნებით და საქმესაც წაადგებაო. მივედით უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ეკონომიკის ფაკულტეტზე. იქ ერთ-ერთ დიდ აუდიტორიაში პროფესორ-მასწავლებლებს მოეყარა თავი. მასპინძლებმა გახსნეს შეხვედრა და ჩემს კოლეგა დეპუტატს მისცეს სიტყვა. მან მცირეოდენი შესავლის შემდეგ მენტორული ტონით დაიწყო საუბარი და მოჰყვა ჭკუის დარიგებას. დარბაზს შევამჩნიე, რომ შეხვედრა ჩაგვეშლებოდა. ჩემი კოლეგა იძულებული შეიქმნა, დაეტოვებინა იქაურობა... როცა მე მომეცა სიტყვა, გავაცანი როგორ ვმუშაობდით რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ბოლოს კი მივმართე: თქვენი დახმარება გვჭირდება; თქვენ წიგნებთან, სამეცნიერო ლიტერატურასთან გაქვთ საქმე; სიახლეებს ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში უფრო ოპერატიულად ეცნობით და ითვისებთ, ჩვენ კი ხშირად ვერ ვიცლით საამისოდ, რაც ძალზე საზიანოა საერთო საქმისთვის-მეთქი. ამიტომ შევთავაზე მათ, შეგვექმნა ჯგუფები ჩვენი კანონმდებლობითი მუშაობის

მიმართულებების მიხედვით და გვქონოდა ხშირი შეხვედრები, რომ ამ სიახლეთა გამოყენება ჩვენც შეგვძლებოდა. მოსაზრება გაიზიარეს და იქვე შევქმენით საკანონმდებლო მუშაობის ჯგუფები სხვადასხვა მიმართულებით (მეწარმეობა, ინვესტიციები, საკუთრება, პრივატიზაცია და ა. შ.). რაც ამ შეხვედრაზე გადაწყდა, ბატონი ზვიადისთვის არაფერი მითქვამს. გარკვეული დროის შემდეგ ისევ დამიბარა და მითხრა, კვლავ წავსულიყავი უნივერსიტეტში, ოღონდ ამჯერად ფილოლოგებთან, მათ ჩვენი ეკონომიკის პრობლემები და განვითარების გზები აინტერესებთო. თანაც ღიმილით დასძინა, ამჯერად მარტო ჯობია წახვიდეო. ამით მივხვდი, რომ მან ყველაფერი იცოდა უნივერსიტეტში წინა შეხვედრის შესახებ.

მახსოვს, პრემიერ-მინისტრობისას თენგიზ სიგუამ დამირეკა და მთხოვა, ერთად მივსულიყავით პრეზიდენტთან, ზვიად გამსახურდიასთან და საქმის კურსში ჩაგვეყენებინა, რაოდენ მძიმე ვითარება გვქონდა მოსახლეობის შაქრით უზრუნველყოფის მხრივ. პრემიერმა დახატა რა მძიმე სურათი, ბატონმა ზვიადმა მე მკითხა, რას ვფიქრობდი. ვუპასუხე, რომ მდგომარეობა არც ისე გამოუვალი იყო და მაგალითად მოვიყვანე, თურქეთი შაქარზე თავისი მოთხოვნილების 60%-ს თაფლით (მაშინდელი მონაცემებით) რომ იკმაყოფილებდა, თაფლი კი გვაქვს-მეთქი. გარდა ამისა, ვამცნე, რომ ქართველმა მეწარმემ შაქრის ჭარხლის ნარჩენებისაგან უკვე დაიწყო შაქრის ფხვნილისა და აბების წარმოება (მეორე დღეს კი პრეზიდენტს მივუტანე ამ პროდუქტების ნიმუშები. მოიწონა). საერთოდ კი ვუთხარი, რომ უნდა ვიზრუნოთ შაქრის ჭარხლის წარმოების განვითარებაზე, რაც შექმნის აგარის შაქრის ქარხნისათვის საკუთარ სანედლეულო ბაზას-მეთქი. ბოლოს ბატონმა ზვიადმა მიგვითითა, რომ მჭიდროდ გვეთანამშრომლა პრემიერის აპარატსა და ჩვენს კომისიას. მეწარმე, ვინც დაიწყო შაქრის ფხვნილისა და აბების წარმოება, იყო კობა ნაფეტვარიძე – მრავალმხრივად საინტერესო პიროვნება; გარდა იმისა, რომ ნიჭიერი გამომგონებელი იყო, აგრეთვე აღმოჩნდა კარგი მენე-

ჯერი და ბიზნესმენი. მან შექმნა მრავალდარგოვანი საწარმო და წარმოების სხვა დარგებშიც საინტერესო მიღწევები ჰქონდა. მაგალითად, მის ერთ-ერთ კოოპერატივში შექმნეს მოტივტივე (მცურავი) ტურბინა, რომელიც ჩამდინარე წყლის მეშვეობით ელექტროენერგიას გამოიმუშავებდა. მისი ერთ-ერთი ნიმუშის გამოცდას ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (სასტუმრო „აჭარის“ უკან მდებარეობდა) მეც დავესწარი და ვნახე, რომ ერთი ასეთი ტურბინით გამომუშავებული ელექტროენერგიით მუშაობდა მაცივარი, ტელევიზორი, რამდენიმე ნათურა და რამდენიმე საყოფაცხოვრებო ტექნიკა. კობამ ამ ტურბინებზე დიდი შეკვეთა მიიღო იტალიიდან და ამ მიზნით დავეხმარე, ელმავალმშენებელ ქარხანაში საამქროს ნაწილი იჯარით რომ აეღო. 2007 წელს, როდესაც პირველად დავბრუნდი საქართველოში, მოვიკითხე ბატონი კობა, სამწუხაროდ, გარდაცვლილიყო; ძალიან დამწყდა გული.

აქვე მინდა, კიდევ ერთი ეპიზოდი გავიხსენო. კვირა დღე იყო, დამირეკა თენგიზ სიგუამ სამთავრობო ტელეფონით – პრეზიდენტთან უნდა მივიდეთ სასწრაფოდ. ისინი წყნეთში იყვნენ, სამთავრობო აგარაკზე. სასწრაფოდ გავეშურე ჩემი „მოსკვიჩით“. სანამ ვარკეთილიდან წყნეთში ავაღწევდი კარგა ხანი გავიდა. ორივემ გაიკვირვა, დაგვიანების მიზეზი რომ ავუხსენი, გაოცებულებმა მითხრეს: ჩვენ გვეგონა, რომ აქ, წყნეთში იყავი გადმოსულიო. კი, ერთი კვირა ვიყავი, ქირა ჩემთვის ძვირი იყო და თბილისში დავბრუნდი. ეს იმიტომ გავიხსენე, ჭორები გამექარწყლებინა, რომ თითქოს უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრები უფასოდ ცხოვრობდნენ წყნეთის სამთავრობო აგარაკზე.

ასევე ნიჭიერი გამომგონებელი და ინიციატორი იყო სიმონ ბახტურიძე. ერთხელ მან მითხრა, გარდაბანთან ახლოს, დიდ ტერიტორიაზე, გროვდება მტკვრის, თბილისისა და რუსთავის გამწმენდი ნაგებობების ნალექების მასა, რაც დიდი მოცულობისაა, რომლისგანაც შეიძლება ბიოგაზი ვაწარმოოთო. წავედით ყოველივეს სანახავად და წავიყვანეთ ამ დარგის

სპეციალიტები, ავილეთ ნიმუშები, სპეციალისტებმა ცდებით დაადასტურეს ბიოგაზის წარმოების შესაძლებლობა. მაგრამ შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ამ პროექტის განხორციელების საშუალება არ მოგვცა და აღარც არავის უფიქრია. ბატონ სიმონს კიდევ რამდენიმე საინტერესო პროექტი ჰქონდა, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო, ვიღას ახსოვდა ეს პროექტები.

ქართველ მეცნიერებს, გამომგონებლებს და საქმიან ადამიანებს როდესაც ვიხსენებ, ხშირად მაგონდება ერთი შემთხვევა. ერთხელ ნიდერლანდებში გავეცანი მე-17 საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი მოგზაურის, ვაჭრისა და მეცენატის, ნიკოლას ვიტსენის წიგნს „ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის ტარტარია". ავტორმა ამ წიგნში აღწერა თავისი მოგზაურობა რუსეთში. წიგნში გარკვეული ნაწილი ეთმობა საქართველოსაც და ბევრ საინტერესო ამბავთან ერთად, ქართველებზე ამბობს, რომ „ისინი ნიჭიერი ხალხია და სათანადო განათლებაზე ხელი რომ მიუწვდებოდეთ, მრავალი მეცნიერი და ხელოვანი ეყოლებოდათო". (სხვათა შორის, მწერალ მიხეილ კეკელიძეს თავის ისტორიულ რომანში „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელი" მითითებული აქვს, რომ ნიკოლას ვიტსენი საქართველოში იმყოფებოდა ვახტანგ V-ის მეფობის დროს ორი კვირით, მაგრამ მას ვერ შეხვედრია, რადგან ვახტანგ V იმერეთში ყოფილიყო „სალაშქროდ". დამაინტერესა წყარომ, რომელსაც ეყრდნობოდა მ. კეკელიძე ჰოლანდიელი მოგზაურის საქართველოში სტუმრობის შესახებ. მოგვიანებით საშუალება მომეცა საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში მემუშავა ბატონ მიხეილ კეკელიძის პირადი არქივის ნაწილზე. სამწუხაროდ, რაიმე დამადასტურებელს იქ ჯერ ვერ მივაგენი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში, კერძოდ, თვითმმართველობასა თუ საერთოდ, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეიმჩნეობდა ინიციატივიანი, ალღოიანი, პასუხისმგებლიანი, ხალხის პრობლემების აღმოფხვრაზე მზრუნველი მუშაკების ნაკლებობა. მით უმეტეს, მაშინ გარდამავალი პე-

რიოდი იყო და ახალი კანონმდებლობა ჯერ კიდევ იქმნებოდა. 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ვემზადებოდით და როგორც ბატონი ზვიადის ნდობით აღჭურვილი პირი, გამაგზავნეს ახალქალაქსა და ნინოწმინდაში. დამირეკეს თბილისიდან, რომ ნინოწმინდიდან წალკაში წავსულიყავი, რადგან მის ერთ-ერთ სოფელში დაძაბული ვითარება იყო. სასწრაფოდ ჩავედი წალკაში, შევხვდი პრეფექტს, რომელმაც მირჩია იმ სოფელში (სამწუხაროდ, სახელი აღარ მახსოვს) არ წავსულიყავი, რთული ვითარება არისო. მე მაინც წავალ-მეთქი, ოლონდ მანქანის საწვავის გამართვაში დამეხმარე-მეთქი. გასამგზავრებლად კი უზრუნველმყო, მაგრამ კიდევ ერთხელ განმიცხადა, ვერ წამოგყვებიო. არ გამკვირვებია. რამდენიმე ხნის მერე, ჩემს მძღოლთან ერთად გავემართე სოფლისკენ, რომელიც ბერძნებით ყოფილა დასახლებული. დასახლებას რომ მივუახლოვდით, დავინახეთ, ხალხი შეჯგუფებულიყო. ვამჯობინე, გამგეობისაკენ წავსულიყავით და გზა განვაგრძეთ. მოულოდნელად მძღოლმა უკანა ხედვის სარკიდან დაინახა, შეჯგუფულ ხალხს გამოეყო რამდენიმე ახალგაზრდა და გამოგვედევნენ. მძღოლმა მითხრა, გავერიდოთო. ვუთხარი, გაეჩერებინა მანქანა და გადმოვედი. მდევრებიც შედგნენ. უკან დარჩენილი ხალხიც ჩვენკენ წამოვიდა. ყველა რომ მოგროვდა, მათ რამდენიმე მოხუცი გამოეყო და მკითხეს, ვინ ვიყავი. ვუთხარი, რომ ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი. მოხუცები მომიახლოვდნენ და ეცადნენ ხელზე ეკოცნათ. ხელები უკან წავიღე და ამის შესაძლებლობა არ მივეცი. თქვენთან დასალაპარაკებლად მოვედი, პრობლემები უნდა მოგიგვაროთ-მეთქი. ვისაუბრეთ. თურმე წყალი არ ჰქონდათ და ელექტროენერგიაც არ მიეწოდებოდათ. სკოლის შენობაც მისახედი ყოფილა და ა. შ. დავემშვიდობე მათ. აღვუთქვი, რომ ვიქნები პასუხისმგებელი. ჩამოსვლისთანავე დავუკავშირდი ყველას, ვისაც კი შეეძლო ამ სოფლის პრობლემათა მოგვარება და ვთხოვე, რაც შეიძლება დაეჩქარებინათ. დაახლოებით, თვე-ნახევარში ყველაფერი მოგვარდა.

ერთხელ ბატონმა ზვიადმა დამირეკა და მთხოვა, მასთან მივსულიყავი. დაუყოვნებლივ წავედი. იქ დამხვდა საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორი წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რაიონიდან. ბატონმა ზვიადმა მითხრა, რომ მათ რაიონულ ცენტრში, საიდანაც იყვნენ ორივენი წარმოშობით, გარკვეული პრობლემა იყო და უნდა წავსულიყავი. გამიკვირდა და ვუთხარი: ბატონო ზვიად, მე ქართლელი ვარ, იქაური ხალხი საკმაოდ განათლებული და ამაყია; ალბათ ჯობია, იქაურები წავიდნენ, მან კი ასე მიპასუხა: ესენი რომ იქ გავაგზავნო, ყველაფერს ამირევენ, შენ უნდა წახვიდე. ბუნებრივია, წავედი და თან დამატებითი დავალებებიც მივიღე. გზად თერჯოლაში უნდა წავსულიყავი, იქიდან – გალში.

ერთ ამბავსაც გავიხსენებ, 1991 წლის შემოდგომა იყო, მომაკითხეს კახელმა გლეხებმა. მათ უნდოდათ სახლის, უფრო სწორად, ქვევრის ღვინის ჩამოსხმა ბოთლებში, რათა გაეყიდათ. მანამდე მისულან კვების მრეწველობის სამინისტროში ნებართვის მისაღებად, მაგრამ უარით გამოუსტუმრებიათ. ვესაუბრე აღნიშნულ სამინისტროში შესაბამის პირებს და დავთქვით შეხვედრა ამ საკითხის გადასაჭრელად. სამინისტროს თანამშრომლებმა მითხრეს, რომ ქვევრის ღვინო გაუფილტრავია, შეიცავს მინარევებს და მისი გაყიდვა არ შეიძლებოდა. მე მათ შევთავაზე, რომ აგველო ამ გლეხების ღვინის ნიმუშები და მათი ღვინის რამდენიმე ქარხნის ნიმუშები და ლაბორატორიულად შეგვედარებინა ერთმანეთისთვის. თუ გლეხების ღვინო უფრო მეტად იქნება გასაწმენდი, ვიდრე მათი, არ მიეცათ გლეხებისათვი ნებართვა, ხოლო თუ პირიქით აღმოჩნდებოდა, მაშინ ულაპარაკოდ უნდა დათანხმებოდნენ. მათ მიპასუხეს, რომ ამის პირობას ვერ მომცემდნენ. უარი უადვილდებოდათ, ხოლო დახმარების გაწევა ეძნელებოდათ. ამიტომ სხვა გზას დავადექით. გადავწყვიტეთ შემოგვეტანა რამდენიმე მინი მოძრავი ჩამოსასხმელი ქარხანა, რომელიც ამ პრობლემის გა-

დაჭრაში დაგვეხმარებოდა. ამ დანადგარების შემოტანის შესახებ გაზეთებშიც დაიბეჭდა ინფორმაციები.

ბარემ „წიდას“ საქმესაც გავიხსენებ. ეს საწარმო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ნარჩენებისგან, კერძოდ ნაყარი წიდიდან ინერტულ მასალას აწარმოებდა და გამოიყენებოდა გზების მშენებლობაში. ერთხელ მოვიდა ჩემთან ამ საწარმოს დირექტორი ოთარ დოლიძე, ძალიან შეწუხებული. მისი წარმოება გაუჩერებიათ იმ მოტივით, რომ თურმე წიდა დიდი მოცულობით რკინას შეიცავდა და მისი ამ კოოპერატივის მიერ გამოყენება ქარხანას დიდად აზარალებდა. არადა წიდაში რკინის შემცველობა მაქსიმუმ 2% იქნებოდა. ვესაუბრე მათ, ვინც ამ წარმოების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო და შევახსენე, რომ არამარტო საბჭოთა კავშირში, ასევე უცხოეთშიც, თუ მადანში რკინის შემცველობა 37%-ზე დაბალი იყო, მისი მოპოვება დაბალი რენტაბელობის გამო, ხელსაყრელი არ იყო. მით უმეტეს წიდაში 2%-მდეც არ იყო რკინა. რახან მაინც ჯიუტობდნენ, შევთავაზე მათი წარმომადგენლებისა და კოოპერატივის დირექტორის თანდასწრებით ქიმიის ინსტიტუტში ჩაგვეტარებინა ანალიზი. შედეგად წიდაში რკინის შემცველობა 0,2%-ზე ნაკლები აღმოჩნდა. ამიტომაც „წიდას“ მიეცა მუშაობის განახლების საშუალება. სხვათა შორის, როგორც მითხრეს, პუტჩის შემდეგ ბატონი ოთარ დოლიძე გამოსულა ტელევიზიით და გაუკრიტიკებია ის პირები, მისი წარმოების შეჩერების გადაწყვეტილება რომ მიიღეს და უთქვამს ჩემი დახმარების შესახებაც. სამწუხაროდ, კოოპერატივი „წიდა“ შემდეგში ბევრისთვის მსუყე ლუკმა აღმოჩნდა და ბევრიც ცდილობდა, ამ კერძო წარმოებას უკანონოდ დაუფლებოდა.

ერთხელ გვესტუმრა თურქეთიდან ლაზი ბიზნესმენი, გვარად ქართველიშვილი. ჩვენი კომისიის ერთ-ერთ წევრს შევთავაზე, ორივენი შევხვდეთ-მეთქი. საუბრისას სტუმარმა გაგვაცნო თავისი ბიზნესინტერესები. მონდომებული იყო ინვესტიციები ჩაედო. მოულოდნელად ჩემი კოლეგა შეეკითხა: ჩვენ რატომ უნდა გენდოთ, იქნებ თაღლითი ხართო. სტუმარს

მაინცდამაინც არ ესიამოვნა ასეთი უნდობლობა და საქაღალდიდან სხვადასხვა საბუთი ამოიღო. კოლეგას გადავულაპარაკე, ამ საკითხზე სიტყვა აღარ დაძრა-მეთქი. შეხვედრის დასასრულს სტუმარს გამოვართვი სავიზიტო ბარათი, მისი ფირმის საბუთების ასლები და დავთქვით მომავალი შეხვედრის თარიღი. როდესაც მარტონი დავრჩით, კოლეგა ჩამეკითხა: იქნება მართლა თაღლითია. ვუპასუხე, რომ ამას სათანადო უწყებები დაადგენდნენ. რასაკვირველია, ასეც მოვიქეცი. დავურეკე ბატონ ოთარ ხატიაშვილს (მაშინდელ უშიშროების დეპარტამენტის უფროსს) და დახმარება ვთხოვე აღნიშნული თურქი ბიზნესმენის სანდოობის დადგენაში. საბოლოოდ სტუმარი მართლაც კარგი ბიზნემენი აღმოჩნდა.

თბილისში ღვინის ბირჟამ რომ დაიწყო მუშაობა, გამოჩნდნენ მეორე ბირჟის დაარსების მსურველნი, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდნენ. შედეგად ჩემთან მოვიდა ბატონი ამირან ქადაგიშვილი და მითხრა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი წინააღმდეგია, კავკასიის ბირჟის რეგისტრირებისათვის ნებართვა მომცესო. გავოცდი, დავურეკე ბატონ თენგიზ სიგუას და ვკითხე, თუ რატომ იყო უარზე. მან მიპასუხა: „რა საჭიროა, ხომ გვაქვს უკვე ერთი ბირჟა“. მაშინ ახალი დარეგისტრირებული იყო თბილისის ღვინის ბირჟა. მე ვკითხე, როგორლა იქნებოდა კონკურენცია და იქვე მოვუჭერი: ხვალ მთავრობის სხდომაზე მოვალ და განვაცხადებ, რომ კავკასიის ბირჟის დარეგისტრირების წინააღმდეგი ხართ. კარგი, კარგი, შემრიგებლური ტონით დამეთანხმა, დავარეგისტრიროთო. ასე გადაწყდა კავკასიის ბირჟის დარეგისტრირება.

მოსკოვის პუტჩის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა თენგიზ სიგუამ გადაწყვიტა, გადამდგარიყო. არ გაჭრა ბატონი ზვიადის თხოვნამ, რომ უარი ეთქვა გადადგომაზე. წინა დღეს კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიამ დამირეკა და შემომთავაზა, იქნებ ერთად მივსულიყავით ბატონ თენგიზთან და გვეთხოვა, არ გადამდგარიყო. მეორე დღეს მართლაც მივედით მასთან, თუმცა ამაოდ. დამშვიდობებისას გვითხრა:

ბატონ ზვიადს მისთვის უკითხავს, გადადგომის შემთხვევაში, ვის მიიჩნევდა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად. ბაკურ გულუას ან გივი თაქთაქიშვილს – გირჩევდიო – უპასუხია მას. კვირა დღე იყო და ჩვეულებრივ ვმუშაობდი. დილით მოვიდნენ ჩემთან ბაკურ გულუა და ამირან ხეცურიანი, ჩემი თანაჯგუფელი და მეგობარი, რომელიც მთავრობაში მუშაობდა. ბატონმა ბაკურმა მითხრა, რომ თავის კანდიდატურაზე უარი უთქვამს და მოვიდა, რათა გაეგებინებინა, რომ ჩემს დანიშვნას აპირებდნენ და მეც უარი მეთქვა, რადგან მდგომარეობა იყო რთული და შეიძლება ვერ გამერთვა თავი. ვუპასუხე, რომ თუ შემომთავაზებენ, უარს ვერ ვიტყოდი, მიუხედავად შექმნილი რთული ვითარებისა, ძალ-ღონის დაუზოგავად ვიმუშავებდი. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ დამირეკა პრეზიდენტის მდივანმა და გამაფრთხილა: არსად გახვიდე, უნდა დაგნიშნონ და დაგიძახებთო. თითქმის მთელი დღე გავიდა და არავის დაურეკავს. ხუთი საათი ხდებოდა, გადავწყვიტე, თვითონ მივსულიყავი პრეზიდენტთან.

გზად შემხვდა ბატონი პეტრე ბაქრაძე (იგი უაღრესად პატივსაცემი პიროვნება იყო. მე ვიცნობდი ჯერ კიდევ 1974 წლიდან, ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტში დიდხანს ერთადაც ვმუშაობდით). მომესალმა, მომილოცა და მითხრა, ყველანი გვერდში დაგიდგებითო. ბატონო პეტრე ჯერ არაფერია გადაწყვეტილი და რას მილოცავთ-მეთქი. ყველაფერი კარგად იქნებაო – დამაიმედა. ვნახოთ-მეთქი, დავემშვიდობე და გზა განვაგრძე.

კარი შევაღე, ბატონმა ზვიადმა დამინახა თუ, არა მითხრა: მოდი, მოდიო და მკითხა: გუგუშვილს თუ იცნობ და როგორი ეკონომისტიაო? (რასაკვირველია, მაშინვე მივხვდი, ჩემი საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილი რომ იყო. გულზე მომეშვა).

– ახლოს არ ვიცნობ, მის ეკონომისტობაზე ვერაფერს მოგახსენებთ-მეთქი.

– მისი ბოლო სტატია თუ გაქვს წაკითხული?

– დიახ, როგორ არა.

– შენი აზრი როგორია?

– ეს უკვე გავლილი გზაა, რომელიც ჩვენ არ გამოგვადგება.

– რატომ?

– თუ დრო გაქვთ, დაწვრილებით მოგიყვებით. ცოტახანი რომ ვისუბრეთ, ვუთხარი, თურქეთისა და ინდოეთის სახელმწიფო კაპიტალიზმის გზა არ გამოგვადგებოდა. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, უფრო „აზიური ვეფხვების“, ისრაელის გზას უნდა მივყვეთ-მეთქი.

– ბოლოს ასეთი რამ მითხრა. კარგი მჯერა შენი, მაგრამ ახლა ერთი თხოვნა მაქვს: გუგუშვილი უნდა დავნიშნო პრემიერად და ერთად იმუშავეთო.

– პრეზიდენტი ბრძანდებით, თქვენი გადასაწყვეტია. ოღონდ ჩვენ სხვადასხვა შეხედულება გვაქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ერთად მუშაობა გაგვიჭირდებაო მეთქი.

პრეზიდენტმა კვლავ გამიმეორა, რომ მეცადა, ერთად გვემუშავა.

– მეც შევპირდი და დავემშვიდობე.

ამასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევაც უნდა გავიხსენო. ზემოთ აღნიშნული საუბრიდან კარგა ხანი იყო გასული და პუტჩის დროს მომიწია ბატონ ზვიადს შევხვედროდი მცირე ხნით. დაინტერესდა, თუ რას ვფიქრობდი შექმნილ მდგომარეობაზე... მხოლოდ იმის თქმა მოვახერხე, რომ მდგომარეობა უფრო რთულდებოდა და ჩავფიქრდი. წასვლისას მითხრა: შენი დრო მოვაო...

1991 წლის სექტემბერში საქართველოს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის ვაჭრობის ქვეკომისიის თავმჯდომარე სემ გიბსონი. შეხვედრის შემდეგ ბატონმა ზვიადმა მე და ჩემი კოლეგა გვიხმო, გაგვაცნო სტუმარი და შემოგვთავაზა, როგორც ეკონომისტები, გავსაუბრებოდით მას. კოლეგამ მითხრა: ხომ იცი, კარგად განყობილო კაბინეტი მაქვს, ჩემთან

წავიდეთ სასაუბროდო, დავეთანხმე. კარგა ხანს ვისაუბრეთ. სამწუხაროდ, ჩემს კოლეგას ეჩქარებოდა, მე კი ცოტა ხნით შევყოვნდი სტუმართან და მან მოულოდნელად მკითხა: თქვენი კაბინეტი თუ გაქვთ?.. მივიწვიე ჩემს კაბინეტში, შესვლისთანავე მიაშურა იმ კედელს, სადაც დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს დიდი რუკა მქონდა გაკრული, რომელიც იმ ხანად დაბეჭდილი იყო. ცხადია, დაინტერესდა. მოკლედ მოვუყევი ჩვენი ქვეყნის ისტორია და გაოცებული მიყურებდა, მერე კი დასძინა, დიდი ისტორიის ხალხი ხართო. საუბარი გაგვიხანგრძლივდა. ბოლოს ვუთხარი, რომ ახალი დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობას ვიწყებთ, თქვენი დახმარება გვჭირდება, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური საკითხების გადასაჭრელად-მეთქი. მოულოდნელად კარადისაკენ გაიხედა იქ თაფლით სავსე რამდენიმე ქილა იდგა. გაიღიმა და მითხრა თაფლი გყვარებიათო. ვუპასუხე, რომ ფინეთში მიემგზავრება ჩვენი დელეგაცია და მინდა წავიღოთ, იქნებ დაინტერესდნენ და შეიძინონ-მეთქი. დამშვიდობებისას კი მითხრა: იქნებ ამერიკაში ჩამოხვიდეთ და იქ ბევრ საკითხზე მოვილაპარკებთ, ამისათვის კი მოწვევას გამოგიგზავნითო. მოწვევა მართლაც მივიღე, მაგრამ დეკემბრის დასაწყისში უკვე დაგვიანებული იყო...

რახან ფინეთი ვახსენე, ბარემ იმასაც ვიტყვი, როგორ აღმოვჩნდი ფინეთის დელეგაციაში. მანამდე უნგრეთში ვიყავი ბატონ აკაკი ასათიანთან ერთად. პრეზიდენტს მიაჩნდა, რომ ჩემი თბილისში ყოფნა უფრო აუცილებელი იყო, ვიდრე უნგრეთში გამგზავრება, ამიტომ არ დაეთანხმა დელეგაციის ხელმძღვანელს, მეც თან ვხლებოდი. ბოლოს მაინც ბატონი აკაკის თხოვნამ გაჭრა და მეც წავედი. გამგზავრებამდე ბატონ აკაკი ასათიანს შევთავაზე: კომუნისტებს უმაღლეს საბჭოში ჰქონდათ საჩუქრების განყოფილება და იქნებ მიხაი ზიჩის დასურათებული „ვეფხვისტყაოსნის“ რამდენიმე ეგზემპლარი და ერთი ყუთი ქართული კონიაკიც წავიღოთ-მეთქი. უნგრელები ღვინოს კი აწარმოებენ, მაგრამ მათი კონიაკისა

არაფერი მსმენია... შეხვედრებისას ჩვენ კონიაკს, როგორც ძღვენს, ისე გამოვიყენებთ და ქართული კონიაკის პოპულარიზაციასაც უდავოდ ხელს შეუწყობს-მეთქი. მართლაც, ბატონმა აკაკიმ სთხოვა შესაბამის სამსახურს და გავემგზავრეთ ასე ხელდამშვენებულები უნგრეთში. საქმიანი ვიზიტით სხვადასხვა საკითხთან ერთად ეკონომიკური საკითხიც იყო. მე აქ აღარ შევეხები სხვადასხვა მხარეს, გარდა ერთისა: მთავრობის წევრებთან შეხვედრისას ჩამოვარდა საუბარი საქართველოსათვის ხორბლის მიყიდვაზე. უნგრელებმა გვითხრეს, ჩვენ ხორბალი გვაქვს, მაგრამ თქვენ ფული არ გაგაჩნიათ. ეს არის პრობლემა. ბატონ აკაკის გადავუჩურჩულე, რომ ამ საკითს მე ვუპასუხებდი. მისი თანხმობით მათ მივმართე სიტყვით: საქართველოს შავ ზღვაზე სტრატეგიული ადგილი უკავია ევროპის თითქმის შუაგულში, ასევე უნგრეთსაც სტრატეგიული ადგილი უკავია უმნიშვნელოვანესი სამდინარო-სატრანსპორტო არტერიით. თუ ერთობლივ სატრანსპორტო საწარმოს შევქმნიდით, შევძლებდით ტვირთების გადაზიდვას აზიიდან ევროპაში და პირიქით. ხორბლის ფასს კი ამ სატრანსპორტო საწარმოს ჩვენი წილიდან გადავიხდით. ამ მოსაზრებამ გარკვეული მოწონება დაიმსახურა. აქვე დავამატებ: ქართულმა კონიაკმა დაიმსახურა დიდი მოწონება და მოგვიანებით „ხუმრობით“ გვეკითხებოდნენ, ხომ არ დაგვრჩა კიდევ გასაცემი კონიაკი.

ახლა რაც შეეხება ფინეთს. გამგზავრებამდე გაიმართა სხდომა (შეგნებულად არ ვასახელებ სახელწოდებას). სხდომის თავმჯდომარეს უთქვამს, ფინეთი იწვევს ჩვენს დელეგაციას და ითხოვენ, მის შემადგენლობაში ეკონომისტი იყოს აუცილებლადო. რახან გივი უკვე იყო უნგრეთშია, მისი კოლეგა წავიდესო. ამ დროს ბატონი ზვიადი რაღაცას წერდა თურმე, უცებ თავი აუწევია და უთქვამს, გივი წავიდესო. მაგრამ ამაოდ. მიუხედავად მათი მცდელობისა, ბატონი ზვიადის მოთხოვნით მაინც აღმოვჩნდი ფინეთის დელეგაციის შემადგენლობაში... თუმცა ეს ვიზიტი უნდა შემდგარიყო იანვრის თვეში, მაგრამ პუტჩის გამო ჩაიშალა.

უზენაეს საბჭოში მუშაობა მეტად საფრთხილოც იყო, რატომღაც ხშირად მავანი სარგებლობდა ჩემი სახელით, თანაც არაკეთილსინდისიერად. ხანდახან პროვოკაციებს მიწყობდნენ, ხანაც რაღაც ჭორებს მივრცელებდნენ და ა. შ. ამ ყველაფერზე თავს აღარ შეგაწყენთ, თუმცა ორ ამბავს გავიხსენებ: ერთ დილით დამირეკა მაშინდელი ვაჭრობის მინისტრმა და უხეშად დამელაპარაკა და მერე მოაყოლა ბაზებში წიხლის კვრით შედიხარო?! გავოცდი, მეც უკმეხად ვუპასუხე. ახლა ზვიადთან გადავალ, ნახავ, თუ არ მოგხსნას – ბოლოს დამემუქრა კიდეც. რამდენიმე ხნის შემდეგ დამირეკა პრეზიდენტის მდივანმა – არსად წახვიდე, მგონი სამსახურიდან უნდა დაგითხოვონო. ჩვეულებრივ ვმუშაობდი, ველოდებოდი ზარს პრეზიდენტისაგან. რა თქმა უნდა, ვღელავდი. გახდა ხუთი საათი და არავინ მეძახდა. გადავედი მე თვითონ. დროზე მივუსწარი, ბატონი ზვიადი გადიოდა თავის კაბინეტიდან, უცებ შეჩერდა და მითხრა, არაფერ შუაში არ ხარ. შენი პერსონალური მანქანით დაუკითხავად წასულა ორი ჩვენი ახალგაზრდა (გვარებს არ ვასახელებ) და სავაჭრო ბაზიდან გაუტანიათ ტანსაცმელი ისე, ფულიც არ გადაუხდიათო. ახალგაზრდები არიან, შეეშალათ და ვაპატიოთო. ვუპასუხე, რომ უნდა გადავდგე თანამდებობიდან. რადგან, ფაქტიურად, შეურაცხყოფა მომაყენეს-მეთქი. ბატონი ზვიადი მომიახლოვდა, მხარზე დამადო ხელი და მითხრა, გთხოვ, განაგრძე მუშაობა. იმის მერე იმ ახალგაზრდებთან ურთიერთობა გავწყვიტე. და მეორე მსგავსი შემთხვევაც მახსოვს: ერთხელ დამირეკა სასადილოს ბუღალტერმა და მითხრა, რომ 10 კილო ხორცის ფული გაქვთ გადასახდელიო. გავოცდი. ჩავედი მასთან და ვუთხარი, 10 კილო ცოტა არ არის, მისი წამღები სახით უნდა გახსოვდეთ და დამიხასიათეთ გარეგნობით-მეთქი. ბოლოს აღმოჩნდა ერთი დეპუტატის მძღოლი, რომელმაც აღიარა, რომ მისმა უფროსმა დაავალა, გივის სახელზე გამოიტანეო. მერე ეს დეპუტატი პუტჩისტი გახდა და თავიანთ მხარეს მთხოვდა გადასვლას...

სხვათა შორის, თუმცა ეს არ შეეხება უზენაეს საბჭოში ჩემს მუშაობას, მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო.

ემიგრაციაში ყოფნისას თუ რამე შემეძლო, ყოველმხრივ ვცდილობდი, დავხმარებოდი სხვა ქართველ ემიგრანტებს პრობლემათა მოგვარებაში. ერთხელ მომაკითხა ჩემმა ქართველმა მეგობარმა და დახმარება მთხოვა. თურმე მის სიძეს ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ქვეყანაში ცხოვრების უფლების მოპოვებისათვის დაკითხვის დროს უთქვამს, რომ საქართველოში პრობლემები ჰქონდა და მისი ადვოკატი ყოფილა ქართლოს ღარიბაშვილი. სინამდვილეში კი არც კი იცნობდა. ჩემმა მეგობარმა მთხოვა: იქნებ დამერეკა და მეთხოვა ბატონი ქართლოსისათვის, გამოეგზავნა სათანადო საბუთი ჩემი მეგობრის სიძის ადვოკატისათვის, რათა ამ უკანასკნელს მოსამართლე დაერწმუნებინა ემიგრანტის სიტყვების სიმართლეში. მიუხედავად იმისა, რომ პუტჩის დროს სხვადასხვა მხარეს ვიყავით, დავურეკე ბატონ ქართლოსს, გავახსენე ვინც ვიყავი (ერთხელ, ჩემი პატიმრობის დროს „მომინახულეს“ ქართლოს ღარიბაშვილმა, თემურ ხაჩიშვილმა, ავთანდილ პოპიაშვილმა და ლევან მეტრეველმა). ყველაფერი რომ ავუხსენი, დახმარებას დამპირდა. მართალაც, სიტყვა შეასრულა და ჩემი მეგობრის სიძემ ცხოვრების უფლებაც მიიღო. ამისთვის ბატონი ქართლოსის დიდი მადლობელი ვარ.

...უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიზანი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იყო ეკონომიკური რეფორმებისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა. პირველი კანონპროექტი, რომელიც უზენაესმა საბჭომ განიხილა და მოიწონა, იყო სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ. აქვე მინდა გამოვკვეთო, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები, რომლებიც ეკონომიკურ რეფორმებს და საერთოდ, ეკონომიკას ეხება, გამოქვეყნებულია 1991 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ასევე იმავე წლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში. მას შემდეგ ეს კანონები და კანონპროექტები, სამწუხაროდ, აღარ

გამოქვეყნებულა ან შესაძლოა, მე ვერ მოვიძიე. ყოველივეს გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ზოგიერთი მკითხველი ან მკვლევარი რომ დაინტერესდეს ქვემოთ განხილული კანონებითა და კანონპროექტებით ან მოინდომოს ახალ შესაბამის კანონებთან შედარება, ვამჯობინე, მათი მუხლები და პარაგრაფები სიტყვა სიტყვით შემომეთავაზებინა.

საქართველოს რესპუბლიკის „კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“

პირველი და ძირითადი კანონპროექტი, რომელზეც მუშაობა დავიწყეთ, იყო „კანონპროექტი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, რადგან ეს უნდა ყოფილიყო ეკონომიკური რეფორმების საკანონმდებლო ბაზაში ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი კანონი, რითაც განისაზღვრებოდა მეწარმის სტატუსი, განსხვავება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის, სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციის იურიდიული ფორმები, ასევე სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების უფლება-მოვალეობები და ა. შ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მოწონებული „კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“[1] საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დაამტკიცა 1991 წლის 25 ივლისს და ძალაში შევიდა ამავე წლის პირველ ოქტომბერს. კანონი შედგებოდა პრეამბულისაგან, ექვსი კარისა და 41 მუხლისაგან. პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ „კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, იგი არეგულირებს საწარმოთა ეკონომიკურ ურთიერთობებს, უზრუნველყოფს მათ თავისთავადობას და დამოუკიდებლო-

[1] საქართველოს რესპუბლიკის „კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. თბილისი. 01.08.1991.

ბას, აწესებს სამეწარმეო საქმიანობის პროცესის მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას.“ მითითებული იყო აგრეთვე, რომ კანონი მოქმედებდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ვრცელდებოდა მეწარმეობის ყველა სუბიექტზე; ეს კანონი არ გამოიყენებოდა იმ მოქალაქეებისა და იურიდიულ პირთა მიმართ, რომლებიც არ ეწევიან კომერციულ საქმიანობას. შემდეგ პირველი კარი იწყებოდა მეწარმეობის განმარტებით და აღნიშნული იყო, რომ „მეწარმეობა არის ცალკეული მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირების და მათი გაერთიანებების ინიციატივაზე დაფუძნებული დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მატერიალური დოვლათის, ინტელექტუალური ფასეულობების, ფასიანი მომსახურების ან სხვა სამუშაოების წარმოებასა და რეალიზაციას და ამის საფუძველზე მოგების (შემოსავლის) მიღებას“.

ამ კანონის II კარი მთლიანად ეძღვნებოდა მეწარმის უფლება-მოვალეობას, პასუხისმგებლობასა და გარანტიებს. ამ კარის შესაბამის მუხლებს დაწვრილებით გაგაცნობთ. ეს კარი იწყება მეხუთე მუხლით – მეწარმის უფლებები. აქ მითითებულია, რომ მეწარმეს უფლება აქვს:

დაიწყოს და წარმართოს სამეურნეო საქმიანობა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით, საწარმოს დაფუძნებით, ყიდვით ან გარდაქმნით, აგრეთვე მესაკუთრესთან ხელშეკრულების გაფორმებით;

განახორციელოს ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, თუ იგი არ არის აკრძალული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით;

სახელშეკრულებო საწყისებზე მოიზიდოს და გამოიყენოს ფინანსური სახსრები, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, ცალკეულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და ქონებრივი უფლებები;

გახსნას ანგარიშსწორების და სხვა სახის ანგარიშები საბანკო (მათ შორის საზღვარგარეთის) დაწესებულებებში;

დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საქმიანობის მიმართულებები, აირჩიოს მომწოდებლები და მომხმარებლები, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს საკუთარი პროდუქციის, მომსახურებისა და სამუშაოების ფასები;

განახორციელოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები;

დამოუკიდებლად მართოს საწარმო;

გამოიყენოს დაქირავებულ მუშაკთა შრომა მათთან ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე;

განაგოს საწარმოს მოგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, ხელშეკრულებებისა და საწარმოს წესდებათა მოთხოვნების შესაბამისად;

ისარგებლოს სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის, სამედიცინო და სოციალური დაზღვევის მომსახურების სისტემით;

შექმნას მეწარმეთა გაერთიანებები და კავშირები; შევიდეს მეწარმეთა გაერთიანებებსა და კავშირებში;

იყოს მოპასუხე და მოსარჩლე სასამართლოში (მათ შორის საარბიტრაჟო და სამედიატორო სასამართლოში);

მეწარმეს შეიძლება ჰქონდეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

II კარის მომდევნო, მეექვსე მუხლში მოცემულია მეწარმის მოვალეობანი და მითითებულია, რომ მეწარმე ვალდებულია:

შეასრულოს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობიდან და მის მიერ დადებული ხელშკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

შეასრულოს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება სამეწარმეო საქმიანობის რეგულირებას;

დაიცვას რესპუბლიკის ინტერესები საგარეო-ეკონომიკური გარიგებების დროს, უცხოური ინვესტიციების და სხვა რესურსების გამოყენებისას;

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებლად ან საწარმოს სახელით დადოს შრომითი ხელშეკრულება დაქირავებულ მოქალაქესთან ან მოქალაქეთა მიერ უფლებამოსილ ორგანოსთან;

დადებული ხელშეკრულების თანახმად, გაასწოროს ანგარიში საწარმოს ყველა მუშაკთან, მიუხედავად საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა;

განახორციელოს დაქირავებული მოქალაქეების სოციალური, სამედიცინო და აუცილებელი დაზღვევის სხვა სახეები, უზრუნველყოს მათი შრომითი საქმიანობისათვის აუცილებელი ყველა პირობა, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და დადებულ ხელშეკრულებათა მოთხოვნების შესაბამისად;

შეასრულოს ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებანი ინვალიდების და შეზღუდული შრომის უნარის მქონე სხვა პირების სოციალური დაცვისათვის;

დროულად წარადგინოს დეკლარაცია შემოსავლების შესახებ და გადაიხადოს გადასახადები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით:

გადახდისუუნარობის შემთხვევაში სათანადო ორგანოების წინაშე აღძრას შუამდგომლობა მისი გაკოტრებულად ცნობისათვის.

ამ კარის მომდევნო, მეშვიდე და მერვე მუხლები ეძღვნება მეწარმის პასუხისმგებლობასა და სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვებს, ხოლო შემდეგ, მეცხრე მუხლში – მეწარმის მონაწილეობას საწარმოს მოგების განაწილებაში და მითითებულია, რომ:

ბიუჯეტთან, კრედიტორებთან ანგარიშსწორებისა და დივიდენდების გადახდის შემდეგ, საწარმოს მოგება გადადის მეწარმის განკარგულებაში და დამოუკიდებლად გამოიყენება მის მიერ, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საწარმოს წესდებით;

მეწარმეს, რომელიც მუშაობს ხელშეკრულებით (კონტრაქტით), შეუძლია მიიღოს შრომის ანაზღაურება როგორც ხელფასის, ასევე საწარმოს მოგებიდან წილის სახით;

მეწარმის შრომის ანაზღაურების ფორმები, წესი და პირობები განისაზღვრება საწარმოს ქონების მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულებით (კონტრაქტით);

იმ შემთხვევაში, როცა მეწარმეობას ახორციელებს ამა თუ იმ ფორმის ამხანაგობა, თითოეული პარტნიორის შემოსავალი განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით;

მეწარმის პირადი შემოსავალი იბეგრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ კანონის მეორე კარის ზემოთ მოყვანილმა მუხლებმა გამახსენა რამდენიმე შემთხვევა. მაშინ ჯერ კიდევ მიმდინარეობდა მუშაობა შესაბამის კანონპროექტებზე; მეწარმეობა კი ფაქტობრივად ფეხს ახლად იდგამდა და ისინი ბევრ წინააღმდეგობასაც აწყდებოდნენ. ვცდილობდით შეძლებისდაგვარად დავხმარებოდით მათ.

მიუხედავად ქვეყნის მიერ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კურსისა, თვალსაჩინო ხდებოდა, რომ ხანგრძლივი დრო დასჭირდებოდა ჩვენში ჯერ კიდევ გაბატონებული სოციალისტური ფსიქოლოგიის დაძლევას და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებას. ერთხელ მილებაზე მოვიდა თბილისში მდებარე ერთ-ერთი საკვები პროდუქტების კომბინატის დირექტორი (კომბინატის სახელწოდებას და დირექტორის გვარს არც ამჯერად ვასახელებ, იგი ახლაც წარმატებით ეწევა თავის საქმიანობას). საუბრისას მითხრა, რომ აპირებდა ნარჩენების გადამუშავებას და მის საფუძველზე ახალი პროდუქციის წარმოების დაწყებას, ე. ი. საწარმოო პროფილის გაფართოებას, თუმცა რაიონის პრეფექტი უფლებას არ აძლევდა. არადა რა პრეფექტის ან რა ჩემი საქმე იყო, რას გააკეთებდა მეწარმე თავის საწარმოში. მაგრამ დახმარების მიზნით ვურჩიე, დაეწერა განცხადება ჩემს სახელზე, რომელსაც დავადებდი რეზოლუციას და მივუთითებდი, რომ ჩვენი

ნებართვით აპირებდა წარმოების გაფართოებას და პრეფექტი ველარ დააბრკოლებდათ. შემდეგში კი კანონში სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ, როგორც ზემოთ მოყვანილი მეორე კარის მუხლებიდან ჩანს, ხაზი გაესვა, რომ მეწარმე „დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი საქმიანობის მიმართულებას“, „დამოუკიდებლად მართავს საწარმოს“ და ა. შ. მაგრამ ამას მოჰყვა ასეთი კურიოზიც: რამდენიმე ხნის შემდეგ კომბინატის დირექტორმა ისევ მომაკითხა, ვიფიქრე, ისევ თუ პრობლემები შეექმნა-მეთქი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სანარმოო ნარჩენების გადამამუშავებელი საამქრო აუშენებია, გაუმართავს და წარმოებაც დაუწყია. ძალიან გამიხარდა და მივულოცე. საუბრის ბოლოს კონვერტი ამოიღო ჯიბიდან და მაგიდაზე დამიდო. ვკითხე, ეს რა არის-მეთქი? თქვენი წილიაო, კომუნისტების დროს ასე იყოო. ვუთხარი, ის დრო მოკვდა, ახლა ჩვენი ვალია, ეკონომიკას მივხედოთ და უკანონო ბარიერების დაძლევაში დაგეხმაროთ, ეს ფული კი უმჯობესია თქვენს წარმოებას ან ოჯახს მოახმაროთ-მეთქი. ცოტა შეცბა, შემდეგ გადამეხვია და მითხრა: თუ ბატონ ზვიადს თქვენნაირი ხალხი ჰყავს, აუცილებლად მიხედავთ ამ ქვეყანასო.

ერთი ასეთი შემთხვევაც გამახსენდა. ერთხელ ბატონმა ზვიადმა დამირეკა და მითხრა, საწარმოო გაერთიანება „ეთერზეთებში“ გენერალურ დირექტორს, კოკა ლაზიშვილს პრობლემები შეექმნა, ვისაც დავავალე ვერ დაეხმარა და იქნებ შენ გააწყო რამეო. დაუყოვნებლივ დავურეკე კოკას და დავუთქვი შეხვედრა. აღმოჩნდა, გაერთიანებაში საწარმოთა დირექტორები მოითხოვდნენ მეტ თავისუფლებას, ამასთან მეტ ანაზღაურებასაც, რადგან სოციალისტური გეგმიანი-განაწილებითი სისტემა აღარ მუშაობდა და ახლა თავიანთ ჩვეულებრივ სამუშაოს დაემატა ისიც, რომ ამიერიდან თვითონ უნდა მოეძებნათ ნედლეულის მომწოდებლებიც და პროდუქციის გასაღების ბაზრებიც. ბუნებრივია, ისინი ითხოვდნენ უფლებას, თავიანთი შრომის ანაზღაურებაც სათანადოდ გაზრდილიყო. ჩვენ ერთად შევხვდით საწარმოთა დირექტო-

რებს. დიდი დისკუსიისა და კამათის შემდეგ შევთანხმდით, რომ ცალკეული საწარმოს დირექტორი მოგების 10%-ს თვითონვე განკარგავდა და გამოიყენებდა თავისივე შეხედულების მიხედვით, თავისი და თავისი კოლექტივის წევრთა დამატებით შრომის ანაზღაურების მიზნით და ასე იქნებოდა შესაბამისი კანონმდებლობის შექმნამდე. მაგრამ ჩემი შეთავაზების მიუხედავად, მოითხოვეს გარანტიები. ბუნებრივია, მხოლოდ ჩემი სიტყვა ან დაპირება საკმარისი არ იყო და ამიტომაც ყოველივეს შესახებ იქიდანვე ვესაუბრე ტელეფონით ბატონ ზვიადს. მან დამიდასტურა თანხმობა, ოღონდ ჩემი პასუხისმგებლობით უნდა ყოფილიყო ეს გადაწყვეტილი. მახსოვს, გაზეთ „დრონში“ ამ ამბების შესახებ სტატია გამოქვეყნდა, სადაც ჟურნალისტი, თუ არ ვცდები, ბატონი სოსო სიმონიშვილი წერდა, რომ გივი თაქთაქიშვილმა საწარმოო გაერთიანება „ეთერზეთებთან“ დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებით კანონი დაარღვია, მაგრამ დარგი გადაარჩინა დაშლასო.

ამ პატარა მოგონებით იმის თქმა მინდა, რომ ცხოვრება საერთოდ და მათ შორის ეკონომიკური ცხოვრებაც, (პროცესებიც) უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე იქმნებოდა სათანადო კანონმდებლობა და ამიტომ ხშირად საჭირო იყო სწრაფი რეაგირება და არაორდინალური გადაწყვეტილების მიღება-განხორციელება. ამიტომაც შემდგომ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონში სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ, მეცხრე მუხლში – მეწარმის მონაწილეობა საწარმოს მოგების განაწილებაში, მითითებულია, რომ „ბიუჯეტთან, კრედიტორებთან ანგარიშსწორებისა და დივიდენდების გადახდის შემდეგ, საწარმოს მოგება გადადის მეწარმის განკარგულებაში და დამოუკიდებლად გამოიყენება მის მიერ, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საწარმოს წესდებით“.

მახსოვს განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ მეწარმის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი ორგანიზაციული ფორმების, ფიზიკური და იურიდიული პირის განმარტებაზე. კანონით განისაზღვრა, რომ „მეწარმე შეიძლება იყოს საქარ-

თელოს რესპუბლიკის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავს თავის სამეურნეო საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით". შემდეგ კი განმარტებული იყო, თუ რას წარმოადგენს საწარმო: „საწარმო არის გარკვეული სახის პროდუქციის წარმოების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის მიზნით შექმნილი დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული". ამის შემდეგ მოცემული იყო საკუთრების ფორმების ჩამონათვალი და ვინ შეიძლება ყოფილიყო მესაკუთრე: „საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების შესახებ" კანონის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოები. როგორც ვხედავთ, ჩვენ არ გამოვდიოდით სახელმწიფო და კოლექტიური საკუთრების წინააღმდეგ (როგორც ზოგიერთი პირი გვაბრალებს), მიუხედავად იმისა, რომ კურსი გვქონდა აღებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად. შემდეგ განმარტებული იყო, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მესაკუთრე. „საქართველოს რესპუბლიკაში საწარმოს მესაკუთრენი შეიძლება იყვნენ: საქართველოს რესპუბლიკა, მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უცხოეთის სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველოს რესპუბლიკის და საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები". ამის შემდეგ კანონში განსაზღვრული იყო მეწარმის უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა, სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვები, მეწარმის გარანტიები და მეწარმის მონაწილეობა საწარმოს მოგების განაწილებაში.

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" კანონში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე და მათ განმარტება-დახასიათებაზე. კანონში აღნიშნული იყო. რომ „საქართველოს

რესპუბლიკაში შეიძლება მოქმედებდნენ შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები:

1. ინდივიდუალური საწარმო:
2. სრული სამეურნეო ამხანაგობა;
3. შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა;
4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
5. ერთი პირის საწარმო;
6. დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება;
7. სააქციო საზოგადოება;
8. სახელმწიფო საწარმო;
9. ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმო;
10. საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო.

აქ თავის დროზე ბევრი კამათი გამოიწვია ინდივიდუალური საწარმოსა და ერთი პირის საწარმოს ცალ-ცალკე გამოყოფამ. მათი განმარტებების სათანადოდ დაზუსტების შემდეგ, გადაწყდა, ცალ-ცალკე დატოვებულიყო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ჩამონათვალში. კანონის თანახმად, ინდივიდუალურია საწარმო, რომელიც ეკუთვნის მოქალაქეს საკუთრების უფლებით ან მისი ოჯახის წევრებს საერთო (წილობრივი ან ერთობლივი) საკუთრების უფლებით, თუ მათი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ინდივიდუალური საწარმო იქმნება მოქალაქის (მისი ოჯახის წევრების) კანონიერი შემოსავლით. ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი. მისი ქონება განუყოფელია მეწარმის ქონებისაგან. მეწარმე საწარმოს ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. რაც შეეხება ერთი პირის საწარმოს, ამ კანონის თანახმად, იგი წარმოადგენს ერთი პირის მიერ შექმნილ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნაირსახეობას, რომლის ქონება მას ეკუთვნის საკუთრების უფლებით. საწარმოს აქვს საწესდებო კაპიტალი, რომელიც იქმნება დამფუძნებლის შენატანით. ერთი პირის საწარმო არის იურიდიული პირი და მისივე ქონება წარმოადგენს მისი ქონების განკერძოებულ ნაწილს,

რომელიც განკუთვნილია სამეწარმეო საქმიანობისათვის. საწარმოს ვალდებულებებზე კი იგი პასუხს აგებს საწარმოს ქონებით.

განსაკუთრებულად საკამათო აღმოჩნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განმარტების დადგენა, რომელიც კანონში „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისათვის ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირთა გაერთიანებას ხელშეკრულების საფუძველზე. საზოგადოებას აქვს საწესდებო კაპიტალი, რომელიც იქმნება მხოლოდ დამფუძნებელთა საპატიო შენატანებით. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი. მისი მონაწილენი საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი შენატანის ფარგლებში. საზოგადოების წევრების შენატანების ერთი მესაკუთრისგან სხვა მესაკუთრისათვის გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოების სხვა მონაწილეთა თანხმობით, საზოგადოების წესდებით დადგენილი წესით“.

თავის დროზე განსაკუთრებულ იმედებს ვამყარებდით სააქციო საზოგადოებების შექმნაზე და განვითარებაზე, მაგრამ საქართველოს ეკონომიკაში საწარმოს ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივმა ფორმამ ვერც 90-იან წლებში და ვერც მომდევნო საუკუნის დასაწყისში ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა. თუმცა შემდეგ ვაპირებდით სააქციო საზოგადოებათა შესახებ საფუძვლიანი კანონმდებლობა ცალკე შეგვექმნა. „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონში სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ამგვარად განიმარტა: „სააქციო საზოგადოება წარმოადგენს ხელშეკრულების საფუძველზე ერთობლივი სამეურნეო საქმიანობისთვის ფიზიკური და (ან) იურიდიული პირების გაერთიანებას, რომელთაც აქვთ აქციებად დაყოფილი საწესდებო კა-

პიტალი. სააქციო საზოგადოების ქონება იქმნება მონაწილეთა შენატანებით, აქციების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლებით და სხვა კანონიერი წყაროებით. აქციების თავისუფალი გაყიდვა ნებადართულია და იგი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი პირობებით. სააქციო საზოგადოება არის იურიდიული პირი. მისი მონაწილენი სააქციო საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი შენატანების (მათი კუთვნილი აქციების პაკეტის) ფარგლებში".

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" კანონის IV კარში კი მოცემული იყო ქვესაწარმოების, ფილიალებისა და წარმომადგენლობების განმარტებანი, მათი შექმნის და მოქმედების საფუძვლები. ამ კანონში მოცემული იყო აგრეთვე საწარმოთა საქმიანობის საფუძვლები (საწარმოთა საქმიანობის სფერო, საქმიანობის საწარმოო პროგრამა, ფასები და ფასწარმოქმნა, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობანი), საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა, შრომითი ურთიერთობანი საწარმოში, საწარმოს სოციალური საქმიანობა, საწარმოს საქმიანობის აღრიცხვა და ანგარიშგება, კომერციული საიდუმლოება და საქმიანობისადმი კონტროლი, საწარმოთა პასუხისმგებლობა. აქ აღნიშნულია, რომ საწარმოს შეეძლო განეხორციელებინა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არ იყო შეზღუდული ამ ან სხვა კანონით. გარდა ამისა იქვე აღნიშნული იყო, რომ ზოგიერთი სახის სამეურნეო საქმიანობას, რომელთა ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საწარმო შეიძლება ეწეოდეს მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღების საფუძველზე. განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ამ კანონში ფასებისა და ფასწარმოქმნის საკითხებს. კერძოდ, კანონში აღნიშნული იყო, რომ „საკუთარი პროდუქციის, შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და წარმოების ნარჩენების რეალიზაციას საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფასებით და ტარიფებით,

ხოლო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სახელმწიფო ფასებით".

აქვე აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფოს უფლება ჰქონდა დაერეგულირებინა ფასები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საფუძველზე. გარდა ამისა, ჩვენ მივიჩნევდით, საბაზრო ურთიერთობების განვითარების საწყის ეტაპზე უნდა შენარჩუნებულიყო სახელმწიფო ფასები, რასაც დაეთანხმა პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო და მთავრობა. იმ პროდუქციისა და რესურსების ნუსხა, რომელზეც გავრცელდებოდა ფასების სახელმწიფო რეგულირება, განისაზღვრებოდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

ამავე კანონის IV კარში საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობანი, (მუხლი 27) აღნიშნული იყო, რომ „საწარმოს ფინანსური რესურსების შექმნის წყაროებია: მოგება, ამორტიზაციის ანარიცხები, შემოსავლები ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან; შრომითი კოლექტივის წევრების, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საპატიო ან სხვა შენატანები, აგრეთვე სხვა შემოსულობანი. იგი სარგებლობს ბანკის კრედიტით კომერციულ საფუძველზე. საწარმო, რომელიც ვერ ასრულებს თავის საანგარიშგებო მოვალეობას, შეიძლება გამოცხდდეს გადახდის უუნაროდ (გაკოტრებულად), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კანონის ამავე კარში ასევე განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა შრომით ურთიერთობებს საწარმოში და საწარმოს სოციალურ საქმიანობას. 29-ე მუხლში მითითებული იყო, რომ „დაქირავების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი შრომითი ურთიერთობანი რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობით. შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებსა და ოდენობას, აგრეთვე შემოსავლების სხვა სახეებს საწარმო განსაზღვრავს დამოუკიდებლად". აქვე აღნიშნული იყო, რომ მეწარმე, მიუხედავად საწარმოს საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა, ვალდებული იყო, დაეცვა კანონმდებლობით დადგენილი

შრომის ანაზღაურების მინიმუმი, შეექმნა შრომისათვის აუცილებელი პირობები და განეხორციელებინა მუშაკთა სოციალური დაცვა. საწარმო ვალდებული იყო თავისი მუშაკებისათვის შრომის უსაფრთხო პირობების შექმნაზე და ა. შ.

რაც შეეხება საწარმოს პასუხისმგებლობას, აღნიშნული იყო, რომ „სახელშეკრულებო, საკრედიტო, საანგარიშგებო და საგადასახადო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის, ისეთი საქონლის რეალიზაციისათვის, რომელთა გამოყენებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ასევე სამეწარმეო საქმიანობისათვის დადგენილი სხვა წესების დარღვევისათვის საწარმო პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად“. ამ კანონში ასევე აღნიშნული იყო, რომ საწარმოს უნდა აენაზღაურებინა ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებით, გარემოს დაბინძურებით, წარმოების უსაფრთხოების წესებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით გამოწვეული ყოველგვარი ზარალი.

აღნიშნული კანონის V კარში მოცემულია მუხლები, რომელებიც ეძღვნებოდა საწარმოს მართვას. აქ მოცემულია ისეთი მუხლები, როგორიცაა: საწარმოს მართვის საფუძვლები და საწარმოს ხელმძღვანელი. საწარმოს მართვის საფუძვლებში აღნიშნულია, რომ: „საწარმოს მართვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და საწარმოს წესდების საფუძველზე. საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს მართვის ორგანოების სტრუქტურას და მათ შესანახ ხარჯებს. მესაკუთრე თავის უფლებას წარმოების მართვის სფეროში ახორციელებს უშუალოდ ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების (ცალკეული პირების) მეშვეობით. მესაკუთრეს ან მის მიერ უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მოახდინოს წარმოების მართვის უფლების სრული ან ნაწილობრივი დელეგირება, საწარმოს მართვის იმ უმაღლესი ორგანოსადმი, რომელიც გათვალისწინებულია მის წესდებაში (საბჭო, გამგეობა და ა. შ.).

მომდევნო მუხლში – საწარმოს ხელმძღვანელი, მითითებულია, რომ „საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) მესაკუთრის უფლებაა. ამ უფლების რეალიზაციას იგი ახდენს უშუალოდ, აგრეთვე მის მიერ უფლებამოსილი იმ ორგანოების მეშვეობით, რომელთაც დელეგირებული აქვთ საწარმოს მართვის უფლება. სხვადასხვა დამფუძნებლის მიერ შექმნილი საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავება (დანიშვნა, არჩევა) ხდება დამფუძნებელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, საწარმოს ქონებაში მათი წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით. საწარმოს ხელმძღვანელის დაქირავების (დანიშვნის, არჩევის) დროს მასთან იდება ხელშეკრულება (კონტრაქტი), სადაც მას განესაზღვრება უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობა ქონების მესაკუთრესა და საწარმოს მუშაკთა მიმართ, შრომის ანაზღაურების პირობები, კონტრაქტის ვადა, დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების პირობები".

„სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" კანონის ბოლო VI კარი ეძღვნება საწარმოს შექმნისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის ზოგად პირობებს. ამ კარის პირველ მუხლში მითითებულია, რომ „საწარმო შეიძლება შეიქმნას ქონების მესაკუთრის (მესაკუთრეების), მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებით, აგრეთვე საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა გამო საწარმოთა იძულებით გაყოფის გზით". შემდეგ დახასიათებულია საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტები და კერძოდ, აღნიშნულია, რომ „საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტებია წესდება და გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ და დამფუძნებელთა ხელშეკრულება. წესდებაში მოცემულია საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, დასახელება, იურიდიული სტატუსი, ადგილმდებარეობა, საქმიანობის მიმართულებანი და საგანი, მართვისა და კონტროლის ორგანოები, მოგების განაწილებისა და საწარმოს ფონდების წარმოქმნის წესი, საწარმოს რეორგანიზაციის და ლიკვი-

დაციის პირობები. სხვადასხვა სახის საწარმოთა წესდებაში შესაძლებელია სხვაგვარი მონაცემების შეტანაც. წესდებას ამტკიცებს დამფუძნებელი (დამფუძნებლები)". შემდეგ აქვე აღნიშნულია, რომ საწარმო დაფუძნებულად ითვლება მხოლოდ მისი სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებენ რაიონის და ქალაქის მმართველობის ორგანოები, ხოლო რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში – მმართველობის რაიონული ორგანოები. რაც შეეხება ბანკებს, აქვე აღნიშნულია, რომ „სხვადასხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების რეგისტრაციას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო იქმნება სახელმწიფო სახსრებით, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, მის რეგისტრაციას ახდენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო". აქვე აღნიშნულია, რომ საწარმო სახელმწიფო რეგისტრაციისათვის იხდის სარეგისტრაციო გადასახადს. ამასთან ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ რეგისტრირებულ საწარმოებს სარეგისტრაციო გადასახადი შეაქვთ ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში – რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში. შემდეგ მოცემულია საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის შესაბამის ორგანოში წარსადგენი დოკუმენტების სია, ესენია:

1. დამფუძნებლის (დამფუძნებლების) განცხადება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ;
2. საწარმოს წესდება;
3. გადაწყვეტილება საწარმოს შექმნის შესახებ ან დამფუძნებელთა ხელშეკრულება;
4. მოწმობა საწარმოს სარეგისტრაციო გადასახადის გადახდის შესახებ.

საწარმოს რეგისტრაციაში გატარების ან არგატარების შესახებ გადაწყვეტილება შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს ყველა საჭირო დოკუმენტის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში. ამასთან საწარმოს სახელმწიფოს რეგისტრაციის გამტარებელმა ორგანომ ათი დღის განმავლობაში უნდა აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილ იმ ორგანოს, რომელსაც ევალება სახელმწიფო რეესტრის წარმოება. ამ კანონში ცალკე მუხლი აქვს დათმობილი, თუ რა შემთხვევაში შეიძლება საწარმოს უარი ეთქვას სახელმწიფო რეგისტრაციაზე. „საწარმოს შეიძლება უარი ეთქვას სახელმწიფო რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელი დოკუმენტები არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სხვა ნებისმიერი მოტივით რეგისტრაციაზე უარის თქმა უკანონოა.

ამ კანონის ამავე კარში მოცემულია, თუ როგორ გაიცემა და ვინ გასცემს ნებართვებს მიწის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსების გამოყოფის შესახებ. თუ საწარმოს საქმიანობისათვის საჭიროა მიწის ნაკვეთის ან სხვა სახის ბუნებრივი რესურსის გამოყოფა, ნებართვას გასცემს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანო, საწარმოს განცხადების საფუძველზე. ამავე კანონის ამავე კარის ბოლოს მოცემულია საწარმოს ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის წესი და ასევე კრედიტორთა პრეტენზიების დაკმაყოფილება. აქ აღნიშნულია, რომ საწარმოს ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს მესაკუთრის ან მისი უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით. საწარმოს ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს აგრეთვე სასამართლომ და საარბიტრაჟო სასამართლომ საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში. საწარმო ლიკვიდირებულად ითვლება სახელმწიფო რეესტრიდან მისი ამოღების მომენტიდან. საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში მისი ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის

შესაბამისად. სალიკვიდაციო კომისიის (ლიკვიდაციის განმახორციელებელი ორგანოს) დანიშვნის მომენტიდან საწარმო იღებს სალიკვიდაციო საწარმოს სტატუსს: საწარმოს მართვის ორგანოებს ერთმევათ უფლებამოსილება და საწარმოს მართვის ორგანოების ფუნქციებს ახორციელებს სალიკვიდაციო კომისია ან ლიკვიდაციის განმახორციელებელი სხვა ორგანო. სალიკვიდაციო საწარმოსადმი კრედიტორთა პრეტენზიები კმაყოფილდება ამ საწარმოს ქონებიდან, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, უპირველეს ყოვლისა, იფარება ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე.

ასეთია საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შემუშავებული „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" კანონის მოკლე აღწერილობა.

აქვე მინდა შევეხო, ჩემი აზრით, ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც, კერძოდ, მთელი 1991 წლის განმავლობაში ოპოზიცია ბრალს გვდებდა, რომ ვაგვიანებდით ეკონომიკური რეფორმების და განსაკუთრებით, პრივატიზაციის დაწყებას. მახსოვს, პირველად როდესაც დამაპატიმრეს, ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოში მიმიყვანეს თუ არა, იქ მყოფმა რამდენიმე პირმა (იქ იმყოფებოდნენ მხედრიონელები და ე. წ. გვარდიელები), როდესაც გაიგეს, ვინც ვიყავი, ზუსტად ეს ბრალდებები წამომიყენეს. მე შევეცადე განმემარტა, რომ უზენაეს საბჭოს მიღებული ჰქონდა დადგენილება გარდამავალი პერიოდის შესახებ, რომლის მიხედვით, ყველაფერი მიმდინარეობდა დადგენილი წესითა და რიგით. მაგალითად, კანონი საწარმოებისა და სამეწარმეო საქმიანობის შესახებ რუსეთის ფედერაციაში მიიღეს თითქმის ნახევარი წლით ადრე, ვიდრე ჩვენ, 1990 წლის 25 დეკემბერს, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოსკოვში ამ საკითხებზე მუშაობდა რამდენიმე დიდი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. უკრაინაში კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ მიიღეს 1991 წლის 1 მარტს, ხოლო მოლდავეთის რესპუბლიკაში კანონი სამეწარმეო სა-

ქმიანობისა და საწარმოების შესახებ მიიღეს 1992 წლის 3 იანვარს, სომხეთის რესპუბლიკაში იგივე კანონი მიღებულ იქნა 1992 წლის 14 მარტს. რაც შეეხება ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკას, აქ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ე. წ. გარდაქმნის პერიოდიდან დაწყებული აქტიურად მუშაობდნენ ეკონომიკური რეფორმების კანონმდებლობის შექმნაზე და მათ დიდ დახმარებას უწევდნენ გერმანია, შვედეთი, დანია, ფინეთი და ა. შ. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული კანონი „სამეწარმეო საფუძვლების შესახებ“ გამოიყენეს პუტჩისტებმა და ძალაში იყო თითქმის 1996 წლამდე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საკუთრების საფუძვლების შესახებ“

შემდეგი კანონპროექტი, რომელიც ეკონომიკის მუდმივმოქმედმა კომისიამ საქართველოს უზენაეს საბჭოს წარუდგინა განსახილველად და დასამტკიცებლად, იყო „კანონპროექტი საკუთრების საფუძვლების შესახებ.

ამ კანონის შემუშავებასა და უზენაესი საბჭოს მიერ მიღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის სამოცდაათწლიანი საბჭოთა პერიოდის სახელმწიფო საკუთრების ბატონობის შემდეგ. სახელმწიფო საკუთრება წარმოების საშუალებებზე აფერხებდა კერძო ინიციატივის და საერთო ეკონომიკის განვითარებას. ამ სფეროში უნდა მომხდარიყო ძირეული ცვლილებები და აღდგენილიყო საკუთრების მრავალფეროვნება. ამისათვის დაგვჭირდა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მასალების გაცვლა-გაზიარება, კონსულტაციები ჩვენს მეცნიერებთან და ა. შ. ამ საკითხებთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საინტერესო სტატიები გამოაქვეყნეს რევაზ დვალიშვილმა – „მუნიციპალური საკუთრების საჭესთან“, (1991.01.18.), ლეო ჩიქავამ – შენიშვნები „საკუთრების საფუძველების შესახებ“, (1991.10.29.), ბესარიონ

ზოიძემ „საკუთრების უფლების შესახებ". (1991 12.18.) და სხვებმა.

ამასთან თავიდანვე გავითვალისწინეთ, რომ შემდგომში ეს კანონი უნდა ყოფილიყო საკუთრების კოდექსის შემადგენელი ნაწილი და ამიტომ მჭიდროდ ვთანამშრომლობდით როგორც უზენაესი საბჭოს იურიდიულ მუდმივმოქმედ კომისიასთან, ასევე ამ დარგში მოღვაწე მეცნიერებთან და სპეციალისტებთან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აქ ვიხილავთ „კანონპროექტს საკუთრების საფუძვლების შესახებ"[1], რადგან საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებულსა და უკვე კანონად გამოქვეყნებულს ვერ მივაკვლიე ვერც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" არქივში და ვერც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებების არქივში, თუმცა ამ უკანასკნელის 1991 წლის აგვისტოს ნომერში არის ინფორმაცია, რომ 1991 წლის 10 აგვისტოს „საკუთრების საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნას პირველი მოსმენით[2]. კანონი (პროექტი) საკუთრების საფუძვლების შესახებ შედგება ხუთი კარისაგან და 30 მუხლისაგან. პირველი კარის (რომელსაც ეწოდება ზოგადი დებულებები) პირველივე მუხლში აღნიშნულია, რომ ეს კანონი ადგენს საკუთრების ძირითად დებულებებს და პრინციპებს საქართველოს რესპუბლიკაში. შემდეგ კი მითითებულია, რომ საკუთრებითი ურთიერთობები, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ კანონით, რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრების კოდექსით და ამ საფუძველზე გამოცემული საკანონმდებლო აქტებით. რაც შეეხება საკუთრების რეგულირებას განსაკუთრებული სახის ქონებაზე, კერძოდ, ისტორიულ, კულტურულ ძეგლებსა და ფასეულობაზე, აგრეთვე ინტელექტუალურ საკუთრებაზე და სხვ. საკუთრების უფლების განხორციელების

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის „კანონი საკუთრების საფუძვლების შესახებ", პროექტი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 08.08.1991.

[2] საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება „საკუთრების შესახებ საფუძვლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე, საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი, 1991 წელი, № 8, გვ. 99.

პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სპეციალური კანონმდებლობით.

„საკუთრების საფუძვლების შესახებ" კანონპროექტის მეორე მუხლში მოცემულია საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების ფორმების ჩამონათვალი, სახელდობრ: კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრების ფორმები. აქვე აღნიშნული იყო, რომ საკუთრების აღნიშნული ფორმები თანასწორნი არიან. მომდევნო, მესამე მუხლში, კი ხაზგასმულია, რომ საკუთრების უფლებას საქართველოს რესპუბლიკაში აღიარებს და არეგულირებს მოცემული კანონი. ნებისმიერ მესაკუთრეს აქვს კანონით დადგენილ ფარგლებში, საკუთრების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლება. აქვე მითითებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების შეწყვეტა ხდება კანონით განსაზღვრული პირობების საფუძველზე. ამავე კანონის საფუძველზე ქვეყანაში გარანტირებული იყო საკუთრებით ურთიერთობათა სტაბილურობა და უზრუნველყოფილი იყო მათი განვითარებისა და დაცვის პირობები. მეოთხე მუხლში – საკუთრების უფლების განხორციელება – მითითებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების განხორციელებისას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მმართველობის ორგანოების მიერ დაუშვებელია რაიმე სახის შეზღუდვის ან უპირატესობის მინიჭება საკუთრების რომელიმე ფორმის მიმართ. და პირიქით, მესაკუთრის (ვინც არ უნდა იყოს ის) მიერ საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა შელახოს სახელმწიფოს ან ფიზიკური თუ იურიდიული პირის უფლებები და კანონით დაცული მათი ინტერესები. ამავე მუხლის ბოლოში კი მითითებულია, რომ მესაკუთრე საკუთრების უფლების განხორციელებისას უფლებამოსილია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე დადოს ხელშეკრულება მოქალაქესთან მათი შრომის (მათ შორის დაქირავებული) გამოყენების შესახებ.

ამ კანონპროექტის მეხუთე მუხლში მოცემულია საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების სუბიექტების ჩამონათვალი, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები და უცხოეთის სახელმწიფოების მოქალაქეები;

ბ) საქართველოს რესპუბლიკისა და უცხოეთის სახელმწიფოების იურიდიული პირები;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების და უცხოეთის სახელმწიფოების მოქალაქეებისა და იურიდიული პირების გაერთიანებები;

დ) საქართველოს რესპუბლიკა;

ე) ავტონომიური რესპუბლიკა;

ვ) საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები;

ზ) უცხოეთის სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

მეექვსე მუხლში ჩამოთვლილია საქართველოს რესპუბლიკაში დაშვებული საკუთრების უფლების ობიექტები და მითითებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრებაში შეიძლება იყოს: მიწა, და მისი წიაღი, შიგა და ტერიტორიული წყლები, საჰაერო სივრცე და კონტინენტური შელფი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში; ტყეები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, სხვადასხვა სახის საწარმოები, წარმოების, ტრანსპორტისა და ინფორმაციის საშუალებები, ინფრასტრუქტურა, საბინაო ფონდი, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და დანადგარები; ინფორმაცია, ინტელექტუალური მოღვაწეობის პროდუქტები, ქონების სამეურნეო და სხვა გამოყენების შედეგები; ძვირფასი ლითონები, ფული, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ფასეულობები, აგრეთვე სხვა ქონება, რომელზეც საკუთრების უფლება კანონით არ არის აკრძალული".

მეშვიდე მუხლში, – სანივთო უფლებები – აღნიშნულია, რომ „კანონით დადგენილ და მესაკუთრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში მისი ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებით შეიძლება აღიჭურვონ სახელმწიფო,

ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ იმ უფლებას კანონის და მესაკუთრის მიერ გათვალისწინებულ ფარგლებში. სახელმწიფოს და იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა უფლებები, რომლებიც აღნიშნულ შემთხვევაში ახორციელებენ მესაკუთრის ქონების სამეურნეო ან სხვაგვარ გამოყენებას, დაცულია მესაკუთრის უფლების მსგავსად, თუ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული". მერვე მუხლში, საერთო საკუთრება – მითითებულია, რომ „საერთო საკუთრების უფლებით ქონება შეიძლება ეკუთვნოდეს ერთდროულად რამდენიმე ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირს, თითოეული მათგანის წილის განსაზღვრით (წილობრივი საკუთრება) ან წილის განსაზღვრის გარეშე (თანასაკუთრება). საერთო საკუთრებაში მყოფი ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება ყველა მესაკუთრის შეთანხმებით".

საკუთრების საფუძვლების შესახებ კანონპროექტის მეორე კარი მთლიანად ეძღვნება კერძო საკუთრებას და იწყება მეცხრე მუხლით, რომელსაც ეწოდება – ზოგადი დებულებები კერძო საკუთრების შესახებ. აქ მითითებულია კერძო საკუთრების წარმოშობის წყაროები და აღნიშნულია, რომ „საკუთრების წარმოქმნა და გადიდება ხდება მოქალაქის (მოქალაქეების) მიერ წარმოებაში მიღებული შემოსავლით, სამეწარმეო საქმიანობით, საკუთარი მეურნეობის წარმართვის შედეგად, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდებისაგან მიღებული დივიდენდებით, სხვადასხვა გარიგებებით, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების შედეგად, ან სხვა ისეთი საქმიანობით, რომელიც კანონით არ არის აკრძალული. მოქალაქის უფლებას კერძო საკუთრების მემკვიდრეობაზე აღიარებს და იცავს კანონი". ამ კანონის შემდეგ, მეათე მუხლში – კერძო საკუთრების უფლების ობიექტებში, ჩამოთვლილია ის ობიექტები, რომლებიც, ამ კანონის თანახმად, შეიძლება ყოფილიყო კერძო საკუთრებაში. კერძოდ, კანონის თანახმად, „კერძო საკუთრებაში შეიძლება იყოს: „მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი, ბინა, აგარაკი,

საბაღე სახლი, ფარეხი (გარაჟი), საოჯახო მეურნეობისა და პირადი მოხმარების საგნები, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, ფრინველი; ძვირფასი ლითონები და ფასეულობები, ფული, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; საწარმოები, შენობა-ნაგებობები, დანადგარები და მოწყობილობები, სხვადასხვა სახის საწარმოო და სამომხმარებლო დანიშნულების ქონება, წარმოებული პროდუქცია, სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე სხვა ისეთი ქონება, რომელზეც საკუთრების უფლება მოქალაქისათვის კანონით არ არის აკრძალული".

საკუთრების საფუძვლების შესახებ კანონპროექტის შემდეგ მუხლებში დახასიათებულია სამეურნეო საწარმოებისა და გაერთიანების საკუთრება, მისი შექმნის წყაროები და ამ სამეურნეო ერთეულთა ქონებრივი პასუხისმგებლობა. ამ კანონში ცალკე, მეთერთმეტე მუხლი ეძღვნება მოქალაქის მიერ სამეწარმეო საქმიანობისათვის საკუთარი ქონების გამოყენებას. ეს მუხლი იწყება შემდეგი განმარტებით: „მოქალაქის საკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის მიერ სამეურნეო საქმიანობაში იურიდიული უფლების შეძენის გარეშე. მოქალაქეს შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა და ამ საქმიანობისას გამოიყენოს თავისი ქონება შენატანის სახით სხვადასხვა სახის სამეურნეო საზოგადოებაში და ამხანაგობაში ან მოქალაქეთა და იურიდიული პირების გაერთიანებაში. მოქალაქეთა ქონება, რომელსაც ერთობლივად იყენებენ სამეურნეო საქმიანობისათვის, ამ საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქცია და შემოსავალი განეკუთვნება ამ მოქალაქეებს, საერთო წილობრივი საკუთრების უფლებით, თუ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული".

საკუთრების საფუძვლების შესახებ კანონპროექტში ასევე ცალკე, მეთორმეტე მუხლი ეძღვნება ინდივიდუალური საწარმოს საკუთრებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ინდივიდუალური საწარმო ეკუთვნის მოქალაქეს საკუთრების უფლებით

ან მისი ოჯახის წევრებს საერთო საკუთრების უფლებით, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი. იგი იქმნება მოქალაქის (ან მისი ოჯახის) ქონების და სხვა შემოსავლების საფუძველზე, აგრეთვე მოქალაქის (მისი ოჯახის) მიერ სახელმწიფო ან ადგილობრივი საწარმოს ან მისი ქონების შეძენის გზით, ან კანონით დაშვებულ სხვა საფუძველზე. ინდივიდუალური საწარმოს ქონება განუყოფელია მეწარმის ქონებისაგან. მეწარმე საწარმოს ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. ინდივიდუალური საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში ბანკთან და სხვა კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ, დარჩენილი ქონება ამ საწარმოს მფლობელი მოქალაქის (მისი ოჯახის) საკუთრებაა".

ამ კანონპროექტის მეცამეტე მუხლი ეძღვნება ერთი პირის საწარმოს საკუთრებას. ეს მუხლი იწყება შემდეგი განმარტებით: „ერთი პირის საწარმო იურიდიული პირია. იგი ეკუთვნის მოქალაქეს საკუთრების უფლებით. ერთი პირის საწარმოს ქონება წარმოადგენს მისი (მოქალაქის) ქონების განკერძოებულ ნაწილს, რომელიც განკუთვნილია სამეწარმეო საქმიანობისათვის. საწარმოს ვალდებულებებზე იგი პასუხს აგებს საწარმოს ქონებით. ერთი პირის საწარმო შეიძლება შეიქმნას სახელმწიფო, ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოს ან სხვა ქონების შეძენის ან ახალი საწარმოს შეძენის, ან ახალი საწარმოს დაფუძნების გზით. ერთი პირის საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში კრედიტორებთან და ბანკთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონება მისი მფლობელი მოქალაქის საკუთრებაა".

მეთოთხმეტე მუხლში განხილულია სამეურნეო საზოგადოებისა და ამხანაგობების საკუთრება. ამ მუხლის დასაწყისში აღნიშნულია, რომ „სხვადასხვა სახის საზოგადოებას და (სრული სამეურნეო ამხანაგობა, შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება,

სააქციო საზოგადოება) აგრეთვე სრული სამეურნეო ამხანაგობის ისეთი სახეებს, როგორიცაა კოოპერატივი და სასოფლო კოოპერაცია (დღევანდელი კოლმეურნეობა) აქვთ საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც მათ გადაეცათ წევრების მიერ შენატანების სახით, აგრეთვე იმ ქონებაზე, რომელიც მიღებულია ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად ან შექმნილია მათ მიერ კანონით დაშვებულ სხვა საფუძველზე. სააქციო საზოგადოებები არიან იმ ფულადი სახსრების მესაკუთრეები, რომლებიც მიიღება აქციების გაყიდვით. სამეურნეო საზოგადოებისა და ამხანაგობის ქონების გამოყენების წესი განისაზღვრება მათი წესდებით და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით. სამეურნეო საზოგადოებისა და ამხანაგობის წევრები შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

სამეურნეო საზოგადოება და ამხანაგობა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით მისი ერთ-ერთი ფორმის სრული სამეურნეო ამხანაგობის გარდა". სრული სამეურნეო ამხანაგობის ქონება განუყოფელია ამხანაგობის წევრთა ქონებისაგან და ამხანაგობის ვალდებულებებზე მისი წევრები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი მთელი თავისი ქონებით. ამავე დროს, სრულ სამეურნეო ამხანაგობაში შემავალი იურიდიული პირები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას და იურიდიული პირის უფლებებს. იქვე აღნიშნულია, რომ „სამეურნეო საზოგადოების ან ამხანაგობის წევრების შენატანებს შეადგენს ნივთები, ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე ქონების გამოყენების უფლებები. სამეურნეო საზოგადოების ან ამხანაგობის წევრი თავისი შენატანის შესაბამისად იძენს უფლებას მოგების წილის მიღებაზე და როგორც წესი, ამ საზოგადოების ან ამხანაგობის მმართველობით საქმიანობაში მონაწილეობაზე. სამეურნეო საზოგადოების ან ამხანაგობის ლიკვიდაციის შემთხვევაში მის წევრებს აქვთ უფლება ქონების ნაწილზე, რომელიც დარჩა საზოგადოებას ან ამხანაგობას

კრედიტორების პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ, ან მისი რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალზე საკუთარი წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე".

საკუთრების საფუძვლების შესახებ კანონპროექტის მეორე კარის მეთხუთმეტე მუხლში განიხილება სამეურნეო გაერთიანების საკუთრება. „სამეურნეო გაერთიანებას (კონცერნი, დარგობრივი, დარგთაშორისო, რეგიონალური და სხვა გაერთიანებები) აქვს საკუთრების უფლება წევრების მიერ მისთვის ნებაყოფლობით გადაცემულ ან სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულ, ან სხვა კანონით დაშვებულ საფუძველზე შეძენილ ქონებაზე. სამეურნეო გაერთიანება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით. სამეურნეო გაერთიანებას არ აქვს საკუთრების უფლება გაერთიანების წევრთა ქონებაზე, თუ კანონმდებლობით ან მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გაერთიანება არ აგებს პასუხს მისი წევრის ვალდებულებებისათვის და პირიქით, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. სამეურნეო გაერთიანების საქმიანობის კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონება განიკარგება თავისი წესდების შესაბამისად".

საკუთრების საფუძვლების შესახებ კანონპროექტის მეორე კარის ბოლო, მეთექვსმეტე მუხლი ეძღვნება უცხოელი სახელმწიფოს მოქალაქისა და იურიდიული პირის საკუთრებას საქართველოს რესპუბლიკაში, სადაც აღნიშნულია, რომ: „ამ კანონის ის დებულებები, რომლებიც ეხება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების საკუთრებას, ვრცელდება ასევე უცხოეთის სახელმწიფოების მოქალაქეებზე და იურიდიულ პირებზე იმ განსხვავებით, რომ კანონმდებლობით ცალკე განისაზღვრება ქონების ნუსხა, რომლის ფლობაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათთვის აკრძალულია".

საკუთრების საფუძვლების შესახებ კანონპროექტის მესამე კარი ეძღვნება კოლექტიურ საკუთრებას. მის პირველ მუხლ-

ში (კანონის მეჩვიდმეტე მუხლი) მოცემულია კოლექტიური საკუთრების ზოგადი დებულებანი და აღნიშნულია, რომ „კოლექტიურ საკუთრებას განეკუთვნება სხვადასხვა სახის საზოგადოების, კავშირისა და ფონდის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებისა და რელიგიური ორგანიზაციების საკუთრება".

შემდეგ, მეთვრამეტე მუხლში ცალკეა მოცემული სხვადასხვა სახის საზოგადოების, კავშირისა და ფონდის საკუთრება. აქ აღნიშნულია, რომ „სხვადასხვა სახის საზოგადოება, კავშირი და ფონდი სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, მათ აქვთ საკუთრების უფლება დამაარსებლის მიერ მათთვის საკუთარი წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის გადაცემულ ქონებაზე. სხვადასხვა სახის საზოგადოებას, კავშირისა და ფონდს აქვთ საკუთრების უფლება ასევე იმ ქონებაზეც, რომელიც მათ შეიძინეს ან შექმნეს საკუთარი სახსრებით, წესდებით რეგლამენტირებული სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლით, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების ან სახელმწიფოს მიერ მათთვის გადაცემული, ანდა სხვა კანონით დადგენილ საფუძველზე შეძენილ ქონებაზე. სხვადასხვა სახის საზოგადოების, კავშირისა და ფონდის საკუთრებაში შეიძლება იმყოფებოდეს მიწის ნაკვეთები, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები, დანადგარები და მოწყობილობები, სტამბები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია მისი საპროგრამო დოკუმენტებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად. სხვადასხვა სახის საზოგადოებასთან და ფონდთან შეიძლება შეიქმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო. საზოგადოებრივი საწარმო იურიდიული პირია. სხვადასხვა სახის საზოგადოება და ფონდი პასუხს არ აგებს საზოგადოებრივი საწარმოს ვალდებულებებზე და პირიქით. სხვადასხვა სახის საზოგადოების, კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონება ბიუჯეტთან, ბანკთან და სხვა კრედიტორებ-

თან ანგარიშსწორების შემდეგ განიკარგება მათი პროგრამის მიზნების შესაბამისად.

ამავე კარის შემდეგ, მეცხრამეტე მუხლში განხილულია მოქალაქეთა პოლიტიკური პარტიების საკუთრება.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში კანონი საკუთრების შესახებ სხვადასხვა დროს მიიღეს, მაგალითად: სომხეთში მიიღეს 1990 წლის 31 ოქტომბერს, ყაზახეთში – 1990 წლის 15 დეკემბერს; რუსეთის ფედერაციაში კი ეს კანონი მიიღეს 1990 წლის 24 დეკემბერს, მოლდავეთში – 1991 წლის 22 იანვარს, უკრაინაში – 1991წლის 7 თებერვალს, აზერბაიჯანში – 1991 წლის 15 ნოემბერს. ესტონეთში – კანონი საკუთრების რეფორმირების შესახებ მიღებულ იქნა 1991 წლის 13 ივნისს. საქართველოში კანონი (პროექტი) საკუთრების საფუძვლების შესახებ პირველი მოსმენით მიღებულ იქნა 1991 წლის 8 აგვისტოს. აღსანიშნავია, რომ შემდგომში ზოგიერთ ქვეყანაში ეს კანონი ცალკე კი არ არსებობდა, არამედ მათ შემდგომში მიიღეს სამოქალაქო კოდექსი და ასევე სამეწარმეო კოდექსი, რომლებშიც აისახა ეს კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის „კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ"

საქართველოს რესპუბლიკაში „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" კანონპროექტზე მუშაობა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საკმაო სამეცნიერო ლიტერატურა, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, გარდა ამისა, დახმარებას გვიწევდნენ ჩვენი ეროვნული სამეცნიერო წრეების და ბიზნესის წარმომადგენლები. საჭირო იყო გაგვეთვალისწინებინა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და ასევე პოლიტიკური მდგომარეობა, ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორია, ხალხის ფსიქოლოგია

და ა. შ. საქართველოს რესპუბლიკაში „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ კანონპროექტის განხილვის შემდეგ, უზენაესმა საბჭომ მოიწონა და დაადგინა, კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ[1] სამოქმედოდ შემოღებულიყო 1991წლის 1 ოქტომბრიდან[2].

საბოლოო სახით აღნიშნული კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ შემდეგი სახით ჩამოყალიბდა. იგი შედგება სამი კარისაგან და ოცდაოთხი მუხლისაგან. აღნიშნული კანონის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ „ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს, პრივატიზების განხორციელების ძირითად პირობებსა და წესს. კანონის მიზანია სამართლებრივად მოაწესრიგოს და უზრუნველყოს მოქალაქეთა, მათი გაერთიანებების და არასახელმწიფო იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესი“. აღნიშნული კანონის პირველ კარში მოცემულია პრივატიზების საერთო დებულებანი და ეს კარი შედგება შვიდი მუხლისაგან. პირველ მუხლში განმარტებულია პრივატიზების ცნება. ამ კანონის მიხედვით, „პრივატიზება არის მოქალაქეთა, მათი გაერთიანებებისა და არასახელმწიფო იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა, რომლის შედეგად ისინი თავის თავზე იღებენ ამ უფლებიდან გამომდინარე ქონებრივ, საფინანსო და სხვა ვალდებულებებს. პრივატიზების შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების (ობიექტების) ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს, ხოლო სახელმწიფო ორგანოები – მათი

[1] საქართველოს რესპუბლიკის „კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი, 1991 წელი, № 8, გვ. 85-97.

[2] იქვე. გვ. 97.

მართვის უფლებას". აქვე აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვრული ვადით შეზღუდოს პრივატიზებული ქონებით შექმნილ საწარმოთა საქმიანობის მიმართულება.

საქართველოს რესპუბლიკის კანონის „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" პირველი კარის მეორე მუხლში განხილულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება" წესრიგდება აღნიშნული კანონის, „საკუთრების საფუძვლების შესახებ კანონის", „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ", „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" კანონების და აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებისა და საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. აქვე ცალკეა აღნიშნული, რომ „მიწისა და საბინაო ფონდის პრივატიზება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობისა და აქტების საფუძველზე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს რესპუბლიკაში მიწის პრივატიზების კანონპროექტს ამუშავებდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიის მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ირაკლი ჩხეიძე; ხოლო საქართველოს რესპუბლიკაში საბინაო ფონდის პრივატიზების კანონპროექტს ამუშავებდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი რობერტ პეტრიაშვილი.

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" კანონის პირველი კარის მეორე მუხლის მესამე პარაგრაფი ეხებოდა ჯერ კიდევ სსრკ საკავშირო

დაქვემდებარებაში არსებული საწარმოების პრივატიზირებას და აღნიშნული იყო, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ იმ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება, რომელთა მართვას ახორციელებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო მართვის ორგანოები, ხორციელდება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე". ამავე მუხლის მეოთხე პარაგრაფი განმარტავდა უცხოელების მონაწილეობას საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების პროცესში და აღნიშნული იყო, რომ საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა შესყიდვა, სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა და ამხანაგობათა საწესდებო კაპიტალის წილის შეძენა (აქციები, პაი) წესრიგდება ამ კანონით, „უცხოური ინვესტიციების შესახებ" კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონის „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" პირველი კარის მესამე მუხლში მოცემულია პრივატიზების სფეროსა და ობიექტების დახასიათება. ამავე მუხლის პირველივე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება დასაშვებია მეურნეობის ყველა დარგში". ამასთან, ამავე მუხლის შემდეგ, მეორე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საწარმოთა გარკვეული ნაწილი შეიძლება არ დაექვემდებაროს პრივატიზებას. ასეთი ობიექტების ნუსხას ყოველწლიურად განსაზღვრავს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო". ამავე მუხლის მესამე პარაგრაფში დახასიათებულია საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზების ობიექტები და მითითებულია, რომ „პრივატიზების ობიექტია სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმო, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომლის პრივატიზების შესახებ გადაწყ-

ვეტილება მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ, მისი სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოების მიერ. პრივატიზების ობიექტების ნუსხა აისახება პრივატიზების პროგრამაში, რომელსაც ყოველწლიურად აზუსტებს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო".

ზემოთ აღნიშნული კანონის მეოთხე მუხლი ეძღვნება საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზების ხელმძღვანელ ორგანოსა და სახელმწიფო პროგრამის დახასიათებას. მეოთხე მუხლის პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების განმახორციელებელ ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი. სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი (შემდეგში კომიტეტი) იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით. კომიტეტი უშუალოდ ექვემდებარება რესპუბლიკის მთავრობას. ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება კომიტეტის შესაბამისი ორგანოები, ხოლო რეგიონებში მისი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები".

შემდეგ აქვე, მეოთხე მუხლის მესამე პარაგრაფში, განხილულია, თუ რას აკეთებს საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზების ერთიანი პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზების ერთიანი პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად კომიტეტი: შეიმუშავებს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად წარუდგენს პრივატიზების სახელმწიფო პროგრამას, აგრეთვე მასში შესატან ყოველწლიურ დამატებებსა და ცვლილებებს. პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ცალკეული საწარმოების მუშაკთა, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა წინადადებებს; მეთოდურად და ორგანიზაციულიად ხელმძღვანელობს,

კოტროლს უწევს რესპუბლიკაში პრივატიზების პროცესს, გამოავლენს ამ სფეროში კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებსა და ფაქტებს, იღებს ზომებს მათ აღსაკვეთად; ავტონომიურ რესპუბლიკებში და პრეფექტურების შესაბამის სამსახურებთან ერთად ქმნის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების კომისიებს; მათი დასკვნების შესაბამისად აძლევს სახელმწიფო ქონების ფონდს მოწმობებს პრივატიზებულ საწარმოთა საკუთრების უფლებაზე; ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფონდის და მისი ადგილობრივი განყოფილების შექმნას:

ავტონომიურ რესპუბლიკებში პრივატიზების პროგრამებს ადგენენ სახელმწიფო ქონების მართვის შესაბამისი ორგანოები".

განსახილველი კანონის მეხუთე მუხლი მთლიანად ეძღვნება სახელმწიფო საწარმოს პრივატიზებით შემოსული სახსრების განაწილებასა და გამოყენებას. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო საწარმოს პრივატიზებით შემოსული სახსრები ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და პრეფექტურების სპეციალურ ანგარიშებზე. პრივატიზებით ამოღებული სახსრების განაწილების თანაფარდობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ. პრივატიზების შედეგად შემოსული სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო". სამწუხაროდ, შესაბამის კანონპროექტში სხვადასხვა მოსაზრების გამო, არ აისახა ჩვენი მოსაზრებები პრივატიზებით შემოსული თანხების განაწილების მიმართულებები. შესაბამისად, მიგვაჩნდა, რომ პრივატიზებიდან შემოსული სახსრები უნდა მოხმარებოდა ისევ ეკონომიკას, კერძოდ, უპირატესად საშუალო და მცირე წარმოების განვითარებას, უმუშევართა დახმარებას და ა. შ.

კანონის – „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" – მეექვსე მუხლში დახასია-

თებულია პრივატიზების მთავარი მონაწილენი: გამყიდველები და მყიდველები. ამ მუხლის პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში მყოფი სახელმწიფო საწარმოების, აგრეთვე, სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო კაპიტალის იმ წილის (პაის, აქციის) გამყიდველს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის, წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფონდი (შემდეგში ფონდი) – სახელმწიფო საფინანსო კომპანია, რომელიც კომერციულ საწყისებზე მოქმედებს. ფონდი იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით და ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას“.

ფონდი და მისი ადგილობრივი განყოფილებები:

ფლობენ საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილ სახელმწიფო საწარმოების საკუთრების მოწმობებს, აგრეთვე მოწმობებს სახელმწიფო სააქციო საზოგადოებების საწესდებო კაპიტალში წილის (პაის, აქციები) საკუთრების შესახებ; წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის, როგორც მესაკუთრის, ინტერესებს აქციონერთა საერთო კრებებზე და მათ მფლობელობაში არსებული აქციების ფარგლებში ეწევიან რისკს (კისრულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას) შესაბამის საწარმოთა კომერციულ საქმიანობაში. ფონდს უფლება არ აქვს, ჩაერიოს საწარმოთა საქმიანობაში მეწარმესთან (მმართველთან, დირექტორთან) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც ამ კანონით, საწარმოს წესდებით ან საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით არ არის გათვალისწინებული:

ყიდიან კუთვნილ პაის, აქციებს, აგრეთვე საწარმოებზე საკუთრების უფლების მოწმობებს;

რესპუბლიკის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად ყიდულობენ სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების აქციებს და პაის:

ანაწილებენ დივიდენდებს;

ანაწილებენ საწარმოთა პრივატიზებით შემოსულ სახსრებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების სახელმწიფოს კუთვნილ აქციებს (პაის) ცვლიან კომერციული კომპანიების აქციებზე".

ამავე მეექვსე მუხლის მეორე პარაგრაფში განხილულია, თუ ვინ არის საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების და ადმინისტრაციული ტერიტორიების (ქალაქების) სახელმწიფო საკუთრების გამყიდველი და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადმინიტრაციული-ტერიტორიული რაიონების (ქალაქების) საკუთრებაში მყოფი სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო კაპიტალის იმ წილის (პაის, აქციების) გამყიდველს, რომელსაც ეს ავტონომიური რესპუბლიკა ან ადმინიტრაციული-ტერიტორიული რაიონი (ქალაქი) ფლობს, წარმოადგენს სათანადო რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკა) და რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო ფონდი. სახელმწიფო ქონების ფონდები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფონდის ანალოგიურ ფუნქციებს, რომლებიც ჩამოთვლილია ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფში".

რაც შეეხება იმას, თუ ვინ შეიძლება იყოს სახელმწიფო ქონების მყიდველი, ამავე მეექვსე მუხლის მესამე და მეოთხე პარაგრაფებში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო საწარმოთა, სააქციო საზოგადოებებისა და ამხანაგობების საწესდებო კაპიტალში გარკვეული წილის (პაის, აქციების) მყიდველები შეიძლება იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები ან მოქალაქეთა გაერთიანებები, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ის არასახელმწიფო იურიდიული პირები, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების,

საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25 პროცენტზე ნაკლებს. სხვა შემთხვევაში სყიდვითი გარიგება ბათილად ჩაითვლება. სახელმწიფო საწარმოს მყიდველები შეიძლება იყვნენ მისი მუშაკები, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობებს და სარგებლობენ კანონით დაშვებული შეღავათებით. ამხანაგობის წევრად შეიძლება მიღებულ იქნენ ის მოქალაქენიც, რომლებიც ამ საწარმოში არ მუშაობენ".

ამავე მეექვსე მუხლის ბოლოში, მეხუთე პარაგრაფში, აღნიშნულია, რომ „პრივატიზების დროს გამყიდველებსა და მყიდველებს შეუძლიათ იმოქმედონ თავიანთი წარმომადგენლების (ნდობით აღჭურვილი პირების) ან შუამავლების მეშვეობით. ორივე შემთხვევაში გარიგების მონაწილეთა იურიდიული უფლებამოსილება უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღნიშნული კანონის პირველი კარის ბოლო მეშვიდე მუხლი ეძღვნება სახელმწიფო საწარმოს შესაძენად საჭირო სახსრების წყაროებს და მითითებულია, რომ „სახელმწიფო საწარმოს, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებების ან ამხანაგობების საწესდებო კაპიტალის წილის (პაის, აქციების) შესაძენად გამოიყენება მოქალაქეთა პირადი დანაზოგები, სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებების საკუთარი სახსრები, აგრეთვე საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში დარჩენილი სახსრები. ამავე მიზნით მყიდველებმა შეიძლება გამოიყენონ ნასესხები და აგრეთვე სხვა სახსრები".

საქართველოს რესპუბლიკის კანონის „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" მეორე კარი ეძღვნება პრივატიზების წესსა და ფორმებს და შემოიფარგლება მერვე მუხლიდან მეოცე მუხლამდე. ეს კარი იწყება მერვე მუხლით და იგი ეხება პრივატიზების შესახებ განცხადების წარდგენასა და განხილვას. ეს მუხლი შედგება რვა პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში აღნიშნულია,

რომ „სახელმწიფო საწარმოს მუშაკებს შეუძლიათ ინიციატივის წესით შეიტანონ განცხადება ამ საწარმოს პრივატიზების შესახებ. განცხადებას წარადგენენ კომიტეტის ტერიტორიულ ორგანოში. განცხადების ფორმა და გადასახდელად სავალდებულო სახელმწიფო მისაგებლის სიდიდე დგინდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ. საწარმოს მუშაკთა განცხადება საწარმოს პრივატიზების შესახებ განსახილველად მიიღება იმ შემთხვევაში, თუ მას ხელს აწერს საწარმოს მუშაკთა ნახევარზე მეტი". შემდეგ აღნიშნულია, რომ „პრივატიზების შესახებ განცხადებასთან ერთად კომიტეტის ტერიტორიულ ორგანოში შეიძლება წარდგენილ იქნეს აგრეთვე საწარმოს შესყიდვის მსურველთა წინადადებები პრივატიზების შესახებ. გადაწყვეტილებას საწარმოს პრივატიზების შესახებ კომიტეტი იღებს ამ წინადადებათა გათვალისწინებით". ამავე მუხლის მესამე პარაგრაფში მითითებულია, რომ კომიტეტი სახელმწიფო საწარმოს პრივატიზების შესახებ განცხადებას და წინადადებებს განიხილავს მათი კომიტეტში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში და კომიტეტის გადაწყვეტილება წერილობით ეცნობება განმცხადებლებს. მეოთხე პარაგრაფში აღნიშნულია, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი პრივატიზებაზე უარის თქმა – „პრივატიზებაზე უარის თქმა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მიღებულია კანონით დადგენილი შეზღუდვა მოცემული საწარმოს პრივატიზების გამო; ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განმცხადებელი პირი არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტის მყიდველად". ხოლო იმ შემთხვევაში, „თუ განცხადება სახელმწიფო საწარმოს პრივატიზების შესახებ დადგენილ ვადაში არ განხილულა ან განმცხადებელი დაუსაბუთებლად თვლის უარყოფით გადაწყვეტილებას, მას აქვს ამ გადაწყვეტილების სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში გასაჩივრების უფლება".

მერვე მუხლის მეექვსე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „პრივატიზების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები ქმნიან სახელმწიფო

საწარმოს პრივატიზების კომისიას. კომისიის შემადგენლობაში შედიან მესაკუთრის, საწარმოს ადმინისტრაციის საფინანსო ორგანოების, ბანკის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები. კომისიას უფლება აქვს შექმნას ექსპერტთა ჯგუფები ცალკეული მიმართულების მიხედვით. სპეციალისტები და ექსპერტები კომისიაში სამუშაოდ მოიწვევიან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელთა ანაზღაურების წესი განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილებით. კომისია საწარმოს ადმინისტრაციასთან ერთად მყიდველებისათვის და გამყიდველებისათვის ამზადებს აუცილებელ ინფორმაციას ამ საწარმოს შესახებ". ამ მუხლის ბოლო, მერვე პარაგრაფში დადგენილია, თუ რას აკეთებს კომისია, კერძოდ: „კომისია ადგენს პრივატიზების პროგრამას, რომელიც მოიცავს: საწარმოს რეორგანიზაციის პროექტს, პრივატიზების ფორმას, საწარმოს საწყისი ფასის დადგენას, ღირებულების გადახდის (ანგარიშსწორების) რეკომენდებულ ფორმას. პრივატიზების პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს საწარმოს გარკვეული სტრუქტურული ქვედანაყოფების დამოუკიდებელ საწარმოებად გამოყოფას. სახელმწიფო ქონების გამგებელი ორგანო კომისიის წარდგინებით ღებულობს გადაწყვეტილებას საწარმოთა ბალანსზე არსებულ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ცალკეული ობიექტების შესახებ. მათ მიმართ შეიძლება განხორციელდეს: მოცემული ობიექტების მიყიდვა საწარმოს მუშაკებისათვის და მოქალაქეებისათვის, საჯეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებებისათვის, რომლებიც იძენენ საწარმოს ქონებას; მათი უსასყიდლოდ გადაცემა საწარმოს მუშაკებისათვის და მოქალაქეებისათვის, სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოებებისათვის, რომლებმაც შეიძინეს საწარმოს ქონება, აუცილებლობის შემთხვევაში ამ ობიექტების დაფინანსების და ექსპლუატაციის პირობით; ამ ობიექტების გადაცემა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და სხვა სახელმწიფო საწარმოს ბალანსზე".

აღნიშნული კანონის მეცხრე მუხლი ეხება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების ფორმებს. ამ მუხლის პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „პრივატიზება ხორციელდება სანარმოთა შესყიდვით კონკურსის ან აუქციონის წესით". მეორე და მესამე პარაგრაფებში კი განმარტებულია პრივატიზების ორივე ფორმა. მეორე პარაგრაფში განმარტებულ იქნა პრივატიზების საკონკურსო ფორმა: „კონკურსის წესით საწარმოს გაყიდვის მიზანია საწარმოზე საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც შესთავაზებს გამყიდველისათვის ყველაზე უკეთეს პირობებს". მესამე პარაგრაფში კი აღნიშნულია, რომ „აუქციონის წესით საწარმოს გაყიდვის მიზანია საწარმოზე საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს გამყიდველს". მეოთხე პარაგრაფში კი მითითებულია, რომ „რეკომენდაციებს საწარმოს პრივატიზების ფორმის შერჩევისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ შეიმუშავებს საპრივატიზაციო კომისია. პრივატიზების ფორმის შერჩევისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული: საწარმოს მუშაკთა აზრი; მყიდველთა წინადადებები, რომლებიც კომიტეტს წარედგინება სახელმწიფო საწარმოს შესყიდვის განცხადებასთან ერთად; საწარმოს თავისებურება და მისი როლი რესპუბლიკის ეკონომიკაში; საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა მოცემული რეგიონისათვის". დაბოლოს, მეხუთე პარაგრაფში მითითებულია, რომ „გადაწყვეტილებას საწარმოთა პრივატიზების ფორმებისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ იღებენ კომიტეტი და ტერიტორიული ორგანოები".

როგორც ვხედავთ, ჩვენ თავიდანვე უარი ვთქვით ვაუჩერული პრივატიზების ფორმაზე და აქცენტი გავაკეთეთ საწარმოთა შესყიდვაზე კონკურსის ან აუქციონის ფორმით. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ვაუჩერული პრივატიზაცია დროში გაწელავდა პრივატიზაციის პროცესს. ამასთან, ჩვენ არ გაგვაჩნდა ამისათვის საჭირო არც საბაზრო (კომერციული) საბანკო სისტემა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ამასთან

ჩვენ ვფიქრობდით, რომ მაშინ აუცილებელი იყო, რაც შეიძლება სწრაფად მომხდარიყო საწარმოების პრივატიზება, რათა საწარმოებს ემუშავათ და ხალხი დასაქმებული ყოფილიყო; ამის საშუალებას კი იძლეოდა საწარმოს გაყიდვა კონკურსის წესით, სადაც პრივატიზებისას მთავარი მოთხოვნა უნდა ყოფილიყო, მაგალითად, დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში საწარმოს ძირითადი პროფილის და მუშახელის რაოდენობის შენარჩუნება და ასეთ შემთხვევაში ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნდა, რომ მყიდველს გადასახდელი თანხა არა ერთბაშად, არამედ ნაწილ-ნაწილ, გრაფიკით გადაეხადა თუნდაც, მაგალითად, ხუთი წლის განმავლობაში. მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში საკმაოდ გამოჩნდნენ უცხოელი ინვესტორები და თვით ჩვენი მოქალაქეებიც ცხოველ ინტერესს იჩენდნენ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციისადმი. გარდა ამისა, როგორც შემდგომმა პრაქტიკამ დაგვანახვა, იმ ქვეყნებში, სადაც გამოიყენეს ვაუჩერული პრივატიზების ფორმა, მაინცდამაინც ვერ გაამართლა. მაგალითად, რუსეთში მრავალრიცხოვანი კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ვაუჩერული პრივატიზება იყო უსამართლო და ქვეყანა მიიყვანა ადამიანთა პატარა ჯგუფის დაუმსახურებულ გამდიდრებამდე. რაზეც ა. ჩუბაისმა, რუსეთის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ საპასუხოდ განაცხადა: „ჩვენ არ შეგვეძლო არჩევანის გაკეთება „პატიოსან“ და „უპატიოსნო“ პრივატიზაციას შორის, რადგან პატიოსანი პრივატიზაცია მოითხოვს ძლიერი სახელმწიფოს მიერ დადგენილ მკაფიო წესებს, რომელიც უზრუნველყოფს კანონების დაცვას. 1990-იან წლებში კი ჩვენ არ გაგვაჩნდა არც სახელმწიფო, არც წესრიგი... ჩვენ გვიხდებოდა არჩევანის გაკეთება ბანდიტურ კომუნიზმსა და ბანდიტურ კაპიტალიზმს შორის“[1].

არანაკლები კრიტიკა გამოითქვა უკრაინაში, იქ ჩატარებულ ვაუჩერულ პრივატიზებაზე, კერძოდ, იმ წლებში უკრაინის პრეზიდენტის, ლ. კუჩმას მრჩეველი ა. გალჩინსკი თავის მემუ-

[1] https://ru.wikipedia.org/ Ваучерная приватизация в России

არებში აღნიშნავს, რომ „უკრაინულმა ვაუჩერულმა პრივატიზებამ არსებითად კრახი განიცადა, გაართულა საკუთრების სფეროში პრივატიზების პროცესი, პრივატიზების პროცესმა განიცადა დეფორმაცია; პრივატიზებული აქტივების მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავი მოიყარა არა მოსახლეობის ან საბოლოო ინვესტორების ხელში, არამედ ფინანსური შუამავლების, მმართველობაში მოკალათებული ბიუროკრატიის ხელში, რამაც უნდობლობა გაამძაფრა მოსახლეობისა სახელმწიფოსადმი, ბაზრისადმი და შემდგომი რეფორმებისადმი. შედეგად, პირველ რიგში მოხდა იმაზე გაცილებით ნაკლები საწარმოების პრივატიზება, ვიდრე მოველოდით; მეორე, პროცედურების სირთულის გამო, 7,8 მილიონმა მოქალაქემ ვერ მიიღო მონაწილეობა პრივატიზების პროცესში და პრივატიზებული ქონების დიდი ნაწილი აღმოჩნდა ჩინოვნიკების, მათ უკან მდგომი პარტიული ნომენკლატურის და კრიმინალების ხელში“[1]. რაც შეეხება ჩეხოსლოვაკიას, აქ 1992 წლიდან დაიწყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დიდი და საშუალო საწარმოების პრივატიზაცია. თავიდან დაგეგმილი იყო, რომ ეს პრივატიზება განხორციელდებოდა ვაუჩერების მეშვეობით, მაგრამ თანდათანობით დომინანტური პოზიცია დაიკავა შემდეგმა მიდგომამ, თუ რომელიმე ინვესტორი გამოხატავდა სურვილს ამა თუ იმ ობიექტის შეძენაზე, მაშინ პრივატიზების სამინისტრო ამ გარიგებაზე ნებართვას გასცემდა. თუ სახელმწიფო საწარმოზე მყიდველი არ იყო, მაშინ სახელმწიფო ახდენდა მის აქციონირებას და აქციების არანაკლებ 60%-ს მოსახლეობაზე ყიდიდა. ხოლო თუ რომელიმე საწარმოზე იყო რამდენიმე მყიდველი, მაშინ მათ შორის ეწყობოდა კონკურსი[2].

საერთოდ, კი უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქვეყნისა (რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი) ვაუჩერული პრივატიზაცია ჩატარდა ბულგარეთში, პოლონეთში, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში (ცოტა მოგვი-

[1] https://petrimazepa.com/voucherprivat.html. ВАУЧЕРНАЯ ПРИВАТИЗАЦИЯ

[2] http://www.finmotivate.ru/fonds-82-6.html. Опыт приватизации в Чехии

ანებით ჩეხეთსა და სლოვაკიაში). მაგრამ პრაქტიკულად ჩეხოსლოვაკიის გარდა (აქაც ნაწილობრივ) ვაუჩერული პრივატიზაცია 90-იანი წლების შუახანებამდე პრაქტიკულად არ განხორციელებულა, სანამ ამ ქვეყნებში არ შეიქმნა რეალური საბაზრო საბანკო სისტემა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ამ ქვეყნებში (და არამარტო ამ ქვეყნებში) აღნიშნულ პერიოდში მმართველობითი ფენის წარმომადგენლებისა და სხვადასხვა ჯგუფის კონტროლის ქვეშ მოექცა სახელმწიფო ქონება და ერთმანეთში იყოფდნენ ამ ქონებას; ხოლო ვაუჩერული პრივატიზების ქვეშ მოექცნენ ის საწარმოები, რომელთა გაყიდვა სახელმწიფომ ვერ შეძლო, ე. ი. ნაკლებეფექტიანი საწარმოები. შედეგად ვაუჩერულმა პრივატიზებამ მოსახლეობისათვის დაკარგა თავისი მიმზიდველობა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ 1996 წელს პოლონეთში ჩატარებულ რეფერენდუმზე მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ფასიან და არა ვაუჩერულ პრივატიზებას[1].

აქვე მინდა ერთ მომენტსაც შევეხო: მე მომხრე ვიყავი და კომისიის წევრების ნაწილიც მიჭერდა მხარს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მცირე საწარმოები (მაღაზიები, ატელიები და ა. შ.) მიგვეყიდა იქ მომუშავე კოლექტივისათვის და შემდეგ თვითონ გადაწყვეტდნენ, როგორ გაენაწილებინათ ერთმანეთში წილები და როგორ აემუშავებინათ ეს საწარმო. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ეს საწარმოები ოფიციალურად სახელმწიფო საკუთრებაში იყო, მაგრამ რეალურად უმეტესობაში მათი ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების საკუთარი ფულადი სახსრები ბრუნავდა. ამიტომ ამ საწარმოთა გაყიდვა აუქციონის წესით (სხვა მყიდველზე) გამოიწვევდა იქ დასაქმებულთა მკვეთრ უკმაყოფილებას ან თავიდანვე გაართულებდა პრივატიზებას. ამიტომ ჯობდა, საპრივატიზაციო კომისიის მიერ ასეთი სახელმწიფო საწარმოს გასაყიდი ფასის დადგენის შემდეგ, ეს საწარმო გასაყიდად ჯერ იქ მომუშავე კოლექტივისათვის შეგვეთავაზებინა და გარკვეული

[1] https://delo.ua/econonomyandpoliticsinukraine/zhizn-posle-sssr-opyt-reform-polshi-334446/

შეღავათებიც გაგვეწია მათთვის (თუნდაც გადასახდელი თანხა არა ერთბაშად, არამედ გრაფიკით გადაეხადა და ა. შ.). ასეთი მიდგომა თავიდან აგვაცილებდა ბევრ გართულებას.

ზემოთ აღნიშნული კანონის მეათე მუხლში განხილულია საწარმოთა რეორგანიზაცია პრივატიზების წინ. მის პირველ პარაგრაფში მითითებულია, რომ „პრივატიზებისათვის საწარმოს მომზადება გულისხმობს მისი ძირითადი საწარმოო და არასაწარმოო ფონდების ინვენტარიზაციას, აგრეთვე სტრუქტურულ რეორგანიზაციას იმ მიზნით, რომ მასში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფები, ეკონომიკურად გამართლებულ საზღვრებში, საჭიროების შემთხვევაში გამოცალკევდნენ და გარდაიქმნან დამოუკიდებელ საწარმოდ". ამავე მუხლის მეორე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „საწარმოს ბალანსზე მყოფი სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები კომისიის შეხედულებისამებრ შეიძლება გაიყიდოს ან მუნიციპალურ საკუთრებაში გადაიცეს, კომიტეტისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრული იქნება ამ ობიექტების დაფინანებისა და შენახვის წესი".

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ კანონის მეთერთმეტე მუხლი ეძღვნება პრივატიზებისათვის განკუთვნილი საწარმოს საწყისი ფასის განსაზღვრას. ამ მუხლის პირველივე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „კონკურსის ან აუქციონის წესით გაყიდვისათვის საწარმოს საწყისი ფასი შეიძლება განისაზღვროს ორი შესაძლო ვარიანტით: პირველი, გამომდინარე საწარმოს სავარაუდო შემოსავლიანობიდან და მეორე, იმ მოსალოდნელი ამონაგების შეფასებიდან, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს საწარმოს ქონების გაყიდვით, მის მიერ დაკავებული მიწის ფართობის გათვალისწინებით". შემდეგ ახსნილია, თუ რომელ შემთხვევაში გამოიყენება საწარმოს ფასის განსაზღვრის ამ ორი შესაძლო ვარიანტიდან ერთ-ერთი, კერძოდ: „პირველი ვარიანტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს

საფინანსო მდგომარეობის ანალიზის და მისი განვითარების პერსპექტივის შეფასების საფუძველზე კომიტეტი არ იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ. ამ შემთხვევაში საწარმოს საწყისი ფასი განისაზღვრება იმ შემოსავლის სიდიდის გათვალისწინებით, რომელსაც სახელმწიფო მიიღებდა საწარმოს სამეურნეო საქმიანობიდან. შეფასების მეორე ვარიანტი გამოიყენება ქრონიკულად ზარალიანი საწარმოების მიმართ. შეფასების ეს ვარიანტი გამოიყენება აგრეთვე სალიკვიდაციოდ განკუთვნილ საწარმოთა მიმართ. ამ შემთხვევაში შეფასება წარმოებს ქონების ინვენტარიზაციის შედეგებზე დაყრდნობით და იმ რეალური ფასების საფუძველზე, რომლებიც მოცემულ მომენტში ყალიბდება წარმოების საშუალებათა ბაზარზე". ამ მუხლის ბოლოში აღნიშნული კი იყო, რომ პრივატიზების ობიექტის ღირებულების შეფასების მეთოდურ მითითებებს შეიმუშავებს და ამტკიცებს კომიტეტი.

ამავე კანონის მეთორმეტე მუხლი ეძღვნება ინფორმაციას საპრივატიზაციო საწარმოთა შესახებ. ეს მუხლი შედგება სამი პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ: „ინფორმაცია საკონკურსო საწყისებზე გასაყიდად განკუთვნილი სახელმწიფო საწარმოს შესახებ, აგრეთვე კონკურსის წესით სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა საწესდებო კაპიტალის წილის (პაის) შეძენისა და მათივე აქციების გაყიდვის შესახებ ქვეყნდება პრესაში. ინფორმაცია ქვეყნდება კონკურსის ჩატარების ან აქციების თავისუფალი გაყიდვის დათქმულ თარიღამდე ერთი თვით ადრე". ამავე მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებულია, თუ რა ინფორმაცია უნდა გაცხადდეს საწარმოს შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებში, კერძოდ: „საწარმოს შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებში აუცილებლად შესატანია: საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ფართობი და მასზე განთავსებულ ნაგებობათა დახასიათება, საწარმოს გაყიდვის პირობები, ძირითადი ფონდების ნუსხა ჯგუფების მიხედვით, წამოწყებულ ინვესტიციათა საპროექტო შეფასება, მათი სავარაუდო ღირებულება, გაწეული ხარჯების სიდიდე, მატე-

რიალურ ფასეულობათა მარაგი, ფულადი სახსრების მდგომარეობა, საწარმოს მფლობელობაში არსებული აქციები ან წილი (პაი) სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, არამატერიალური ფასეულობანი (პატენტი, ლიცენზია, სავაჭრო მარკა და სხვა), საწარმოს ვალდებულებანი (სავაჭრო, საბიუჯეტო, საკრედიტო), საწარმოს ბალანსები სამი უკანასკნელი წლის მიხედვით, მისი წილი გამოშვებული პროდუქციის საშინაო ბაზარზე, კონკურენტუნარიანობის დონე და სხვა. კომიტეტი საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს დამატებით მონაცემთა ჩამონათვალს და მათი მიწოდების ფორმას". ამავე მუხლის მესამე პარაგრაფში კი მითითებულია, რომ „პრივატიზება ტარდება საჯაროდ. მას საზოგადოებრივ კონტროლს უწევენ საწარმოს მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები".

მეცამეტე მუხლში მოცემულია გადახდის წესი და აღნიშნულია, რომ „შეძენილი საწარმოს ან სახელმწიფო სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში წილის (პაის, აქციების) ღირებულების გადახდა შეიძლება ერთბაშად ან განვადებით. გადახდის წესს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს გამყიდველი".

აღნიშნული კანონის მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე მუხლებში განხილულია თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს გაყიდვაზე შესაბამისად კონკურსის და აუქციონის წესით. მეთოთხმეტე მუხლში აღნიშნულია, რომ: „გადაწყვეტილებას საწარმოს კონკურსის წესით გაყიდვის შესახებ იღებს კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო საწარმოს მუშაკებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა". მეთხუთმეტე მუხლში კი აღნიშნულია, რომ „გადაწყვეტილებას საწარმოს აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ იღებს კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო საწარმოს მუშაკებთან და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან

შეთანხმებით. აუქციონის ჩატარების წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა". მეთექვსმეტე მუხლში განხილულია მყიდველის მიერ სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა და ამხანაგობათა აქციების (პაის) შეძენის წესი და მოიცავს სამ პარაგრაფს. ამ მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებულია, რომ, „საწარმოთა პრივატიზება აქციების (პაის) გაყიდვის გზით ხორციელდება სახელმწიფო საწარმოთა სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებად და ამხანაგობებად წინასწარი გარდაქმნის შემდეგ. გარდაქმნის წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა". ამავე მუხლის მეორე პარაგრაფში კი აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა და ამხანაგობათა დამფუძნებლები არიან კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანოები, რომლებიც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს რეგისტრაციისათვის წარუდგენენ განცხადებას სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) რეგისტრაციის შესახებ და შესაბამის დოკუმენტებს". ამავე მუხლის ბოლო მესამე პარაგრაფში კი მითითებულია, რომ „სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) რეგისტრაციის შემდეგ კომიტეტი მისი აქციების პაკეტს გადასცემს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფონდს, რომელიც აწყობს მათ გაყიდვას საკონკურსო საწყისებზე; გაუყიდავი აქციები (პაი) რჩება ფონდის განკარგულებაში.

ამავე კანონის მეჩვიდმეტე მუხლი ეძღვნება სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) მუშაკების მიერ აქციების (პაის) შესყიდვას შეღავათიან პირობებში და შედგება ოთხი პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) მუშაკებს უფლება აქვთ, შეიძინონ აქციები (პაი) შეღავათიან პირობებში. ამ შემთხვევაში აქციებზე (პაიზე) ფასდაკლება არ უნდა აღემატებოდეს 20 პროცენტს. აქციების (პაის) გამოსყიდვის ვადა არ უნდა იყოს 2 წელზე მეტი საზოგადოების

(ამხანაგობის) რეგისტრაციის დღიდან". მეორე პარაგრაფში კი მითითებულია, რომ „შეღავათიან პირობებში აქციების (პაის) გამოსასყიდად სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) მუშაკებისათვის დასაშვებია გამოყენებული იქნეს შესაბამისი საწარმოების ეკონომიკური სტიმულირების ფონდში დარჩენილი სახსრები". აქვე მესამე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „საწარმოს მუშაკთა გადაწყვეტილებით ამ მუხლის პირველი პუნქტით (პარაგრაფით) გათვალისწინებული შეღავათები შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფო საწარმოს იმ ყოფილ მუშაკებზე, რომლებიც ამ საწარმოდან გავიდნენ პენსიაზე". და ბოლოს ამ მუხლის მეოთხე პარაგრაფში მითითებულია, რომ: „ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათები ძალაშია აქციების გაყიდვიდან 1 წლის განმავლობაში. შეღავათიან პირობებში შესყიდული აქციების ხელმეორედ გაყიდვა დაუშვებელია ნასყიდობის რეგისტრაციიდან 2 წლის განმავლობაში".

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" კანონის მეთვრამეტე მუხლი ეძღვნება სახელმწიფო საწარმოთა შეძენას, მათი მუშაკების მიერ კონკურსით ან აუქციონზე. ამ მუხლის პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „კონკურსში (აუქციონზე) სახელმწიფო საკუთრების ობიექტის მყიდველის როლში შეიძლება გამოვიდნენ საწარმოთა მუშაკები იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ ჩამოაყალიბებენ შესაბამის ამხანაგობებს". მეორე და მესამე პარაგრაფებში კი აღნიშნულია, რომ „კონკურსის (აუქციონის) მონაწილე ამხანაგობა აერთიანებს პრივატიზებული საწარმოს (ან მისი სტრუქტურული ერთეულის) მუშაკთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს, მას ეძლევა ობიექტის განვადებით შესყიდვის უფლება. აგრეთვე ეძლევა უფლება ამ მიზნით გამოიყენოს საწარმოს ეკონომიკური სტიმულირების ფონდებში დარჩენილი სახსრების ნაწილი (ამხანაგობაში გაერთიანებული მუშაკების ხვედრითი წილის პროპორციულად). ობიექტის განვადებით გამოსყიდვის უფლებას იძლევა კომიტეტი ან მისი ტერიტორიული ორგანო. განვადება არ უნდა აღემატებოდეს

2 წელს, ხოლო თავდაპირველად შესატანი თანხა არ უნდა იყოს გამოსასყიდი ობიექტების ფასის 50 პროცენტზე ნაკლები". ამ მუხლის ბოლო მეოთხე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „ამხანაგობა, რომელიც აერთიანებს საწარმოს მუშაკთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, კონკურსში (აუქციონზე) მონაწილეობს შეღავათების გარეშე, სხვა მყიდველებთან თანაბარი უფლებებით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ამხანაგობა და სხვა მყიდველები გამყიდველს სთავაზობენ თანაბარ პირობებს, ობიექტის შეძენისას პრიორიტეტი ენიჭება ამ ამხანაგობას".

ამავე კანონის მეცხრამეტე მუხლი ეძღვნება სოციალურ გარანტიებს პრივატიზებულ საწარმოთა მუშაკებისათვის და მოიცავს ორ პარაგრაფს. პირველ პარაგრაფში მითითებულია, რომ „მყიდველის მიერ კონკურსით ან აუქციონზე შეძენილი საწარმოები, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებები (ამხანაგობები) პასუხს აგებენ პრივატიზებამდე გაფორმებული შრომითი შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე"; ხოლო მეორე პარაგრაფში აღნიშნულია შემდეგი: პრივატიზებულ საწარმოზე მყიდველის საკუთრების უფლების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში მეწარმე (მმართველი, დირექტორი) ვალდებულია ხელშეკრულება გააფორმოს საწარმოს მუშაკებთან ან საწარმოს პროფკავშირულ ორგანიზაციასთან, რომელშიც შესატანია შრომის ორგანიზაციასთან, ანაზღაურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები, მუშაკთა სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა და სხვა საკითხები. პრივატიზებული საწარმოდან მეწარმის (დირექტორის, მმართველის) ინიციატივით განთავისუფლებულ მუშაკებს ეძლევათ ერთდროული დახმარება კანონით დადგენილი წესით. გამოთავისუფლებული მუშაკების შრომითი მოწყობა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ კანონის ბოლო, მესამე კარი ეძღვნება გარიგებათა გაფორმებას, მხარეთა პასუხისმგებლობას,

უფლებებსა და მოვალეობებს და შედება ოთხი მუხლისაგან. მესამე კარი იწყება მეოცე მუხლით და მასში განხილულია საპრივატიზებო გარიგებები და შედგება სამი პარაგრაფისაგან. პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ „პრივატიზების ფორმებისაგან დამოუკიდებლად სახელმწიფო საწარმოთა, სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) საწესდებო კაპიტალში წილის (პაი, აქციები) გამყიდველსა და მყიდველ შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც შინაარსითა და ფორმით უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მოთხოვნებს". მეორე პარაგრაფი ეძღვნება ხელშეკრულებაში შესატან ინფორმაციას და მითითებულია, რომ „ხელშეკრულებაში შესატანია: ცნობები გამყიდველის, მყიდველისა და შუამავლის შესახებ, საწარმოს დასახელება და ადგილმდებარეობა, საწარმოს ქონების შემადგენლობა და ფასი, სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) აქციების რაოდენობა და ფასი (ან პაის სიდიდე), გადახდის წესი და ვადები; მხარეთა ვალდებულებები საწარმოს შემდგომი გამოყენების შესახებ; სხვა პირობები მხარეთა შეთანხმების მიხედვით". მესამე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „საწარმოზე ან სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) საწესდებო კაპიტალის წილზე საკუთრების უფლება გამყიდველიდან მყიდველს გადაეცემა ხელშეკრულების ნოტარიულად რეგისტრაციის მომენტიდან თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული".

ამავე კარის 21-ე მუხლში აღწერილია გამყიდველისა და მყიდველის მოვალეობანი, ამ მუხლის პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო საწარმოს ან სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) აქციების (წილი, პაი) გამყიდველი ვალდებულია საწარმო მოამზადოს პრივატიზაციისათვის, გამოაქვეყნოს განცხადება საწარმოს პრივატიზების შესახებ, მყიდველს მისი მოთხოვნებისამებრ წარუდგინოს საწარმოს ქონება და დოკუმენტები მისი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, გადასცეს საწარ-

მო (პაი, აქციები) და შეასრულოს სხვა ვალდებულებანი თანახმად მყიდველთან დადებული ხელშეკრულებისა“. ამავე მუხლის მეორე პარაგრაფში კი აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო საწარმოს მყიდველი ხდება მის ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სრული სამართალმემკვიდრე. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის) აქციების (წილი, პაი) მყიდველი ხდება მის ქონებრივ უფლება-მოვალეობათა ნაწილობრივი სამართალმემკვიდრე პროპორციულად ნაყიდი აქციების (წილის, პაის) რიცხვისა და საერთო ღირებულებისა“.

22-ე მუხლი ეძღვნება მესაკუთრეთა უფლებების გარანტიებს და დაცვას და შედგება ორი პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში მითითებულია, რომ „პრივატიზების პროცესში სახელმწიფო იძლევა გამყიდველის, მყიდველის, შუამავლისა და სხვა სუბიექტების მხრივ უფლებათა და მოვალეობათა დაცვის გარანტიას. იმ შემთხვევაში, თუ პრივატიზება ჩატარდება ამ კანონის დარღვევით, სახელმწიფო არ იძლევა მყიდველის უფლებათა დაცვის გარანტიას და იღებს ზომებს დადებულ გარიგებათა გასაბათილებლად“; ხოლო მეორე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „პრივატიზების პროცესში მესაკუთრეთა უფლებების დაცვა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად“.

მომდევნო, 23-ე მუხლში აღწერილია პრივატიზების შესახებ გარიგებათა ბათილობა. ამ მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებულია, რომ „გარიგებები სახელმწიფო საწარმოთა, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) აქციების (წილის, პაის) გაყიდვის შესახებ ბათილად ითვლება, თუ:

საწარმოს პრივატიზებაზე არ იყო კომიტეტის ან მისი ტერიტორიული ორგანოს თანხმობა;

უხეშად დაირღვა კონკურსის ან აუქციონის ჩატარების წესი;

მყიდველმა უარი განაცხადა ნაყიდი საწარმოს, აქციების, პაის, წილის ღირებულების განაღდებაზე;

საწარმო, აქციები, წილი, პაი იყიდა სუბიექტმა, რომელსაც არ გააჩნდა ამის უფლება;

ყიდვის დროს გამოყენებული იქნა გადახდის უკანონო საშუალებები;

გამყიდველი და მყიდველი შეთანხმდნენ არამართლზომიერ განაწილებასა და საწარმოს აქციების, წილის, პაის ფასების ხელოვნურად შემცირებაზე;

მყიდველს გაეწია უკანონო შეღავათები და მიეცა არაკანონიერი უპირატესობა სხვა მყიდველთან შედარებით;

დარღვეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნები".

ამავე მუხლის მეორე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „პრივატიზების გარიგებათა ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად". ბოლო, მესამე პარაგრაფში კი მითითებულია, რომ: „დავა პრივატიზების გარიგებათა ბათილად ცნობის შესახებ, აგრეთვე მესაკუთრისათვის ზარალის მიყენებისა და სხვა ანალოგიური ხასიათის საკითხებზე განიხილება სასამართლოს წესით, გამყიდველის, მყიდველის, შუამავლის, პროკურორის ან სხვა უფლებამოსილი პირის სარჩელის საფუძველზე".

ამავე კანონის ბოლო, 24-ე მუხლი ეძღვნება პასუხისმგებლობას პრივატიზების შესახებ კანონმდებლობის დარღვევას და აღნიშნულია. რომ: „პრივატიზების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით".

საქართველოს რესპუბლიკის „კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ განიხილა და მიიღო 1991 წლის 9 აგვისტოს და ამავე თარიღით მიღებული მისივე დადგენილების საფუძველზე სამოქმედოდ შემოღებული იქნა 1991 წლის 1 ოქტომბრიდან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში 1991 წლის ოქტომბერში აუქციონის წესით მოხდა მაღაზია „გოლიათის" პრივატიზება და დაგეგმილი

იყო სხვა სახელმწიფო საკუთრების საწარმოების პრივატიზებაც.

ახლა ვნახოთ, როდის მიიღეს კანონი პრივატიზების შესახებ და როდის დაიწყეს სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება ზოგიერთმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყანამ.

რუსეთში 1991 წლის 29 დეკემბერს გამოცემულ იქნა „რუსეთის ფედერაციაში 1992 წელს სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის ძირითადი დებულებები“, ხოლო 1992 წლის 11 ივნისს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით დამტკიცდა „1992 წელს რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა“; ხოლო 1992 წლის ზაფხულში დაიწყო პრივატიზების პროგრამის განხორციელება. ამავე წლის აგვისტოში გამოიცა რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება „რუსეთის ფედერაციაში საპრივატიზაციო ჩეკების შემოღების შესახებ“;

ყაზახეთში 1991 წლის 22 ივლისს მიღებული იქნა კანონი „სახელმწიფო საწარმოთა განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების შესახებ“;

უკრაინაში 1991 წლის 31 ოქტომბერს უმაღლესმა რადამ დაამტკიცა „სახელმწიფო საწარმოების, მიწის და საბინაო ფონდის განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების კონცეფცია“, რომლის საფუძველზეც დაიწყეს მუშაობა პრივატიზაციის ძირითად კანონპროექტებზე;

მოლდავეთში 1991 წლის 4 ივლისს მიღებულ იქნა კანონი პრივატიზების შესახებ;

აზერბაიჯანში 1993 წლის 7 იანვარს მიიღეს კანონი „აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“;

ესტონეთში 1992 წლის 4 ივნისს მიღებული იქნა კანონი – „კოოპერატიული, სახელმწიფო, სახელმწიფო-კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქონების განსახელმწი-

ფოებრიობისა და პრივატიზების შესახებ". 1992 წელსვე ესტონეთში შეიქმნა საპრივატიზაციო სააგენტო, რომელიც ყიდდა ქონებას როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ მყიდველებზე;

ლიტვაში პრივატიზების შესახებ საბაზისო კანონი მიღებული იქნა 1991 წლის მარტში. 1992 წლის ბოლოსათვის ლიტვაში პრივატიზებული იქნა საწარმოთა 50%, ანუ კერძო საკუთრებაში გადაეცათ ქვეყნის საწარმოო ფონდების ერთ მესამედზე მეტი;

ლატვიის პარლამენტმა 1991 წლის მარტში წარადგინა პირველი დოკუმენტი „სახელმწიფო ქონების კონვერსიის შესახებ", ხოლო 1991 წლის ბოლოს დაიწყო მუშაობა პრივატიზების კანონმდებლობის შესაქმნელად. აქ საყურადღებოა ერთი ფაქტი. ახლახან ნიდერლანდურ გაზეთში წავიკითხე, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ცნობილი რიგის მიკროავტობუსების ქარხანა წელს (2017 წელს?!) შეიძინა ნიდერლანდურმა ფირმამ და დაიწყო მიკროავტობუსების წარმოება.

ჩეხეთში 1992 წელს დაიწყო დიდი და საშუალო საწარმოთა პრივატიზაცია.

როგორც ვხედავთ, პრივატიზების შესახებ არც საკანონმდებლო საქმიანობაში და არც პრივატიზების რეალურ განხორციელებაში საქართველოს უზენაესი საბჭო და მთავრობა 1990-1991 წლებში არანაირად არ ჩამორჩებოდა და მაშინდელი ე. წ. ოპოზიციის ბრალდებები, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ უსაფუძვლო იყო. მაგრამ მაინც რა იყო ეს, მართლა ოპოზიციის ბრალდება, თუ ქართველი ნითელი დირექტორებისა ან ე. წ. „ცეხავიკების", ან კიდევ საქმოსნების, ან მართლაც სულით ხორცამდე მეწარმეთა მოუთმენლობით და სულსწრაფობით გამოწვეული სურვილი, ოღონდ რაიმე და თან სასწრაფოდ ჩაეგდოთ ხელში და მერე ღმერთმა იცის, ვინ რისთვის და როგორ გამოიყენებდა ამ სახელმწიფო ქონებას; ამის შედეგიც სახეზეა: სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გავერანდა, გაიძარცვა და ჯართად გაიყიდა ჯერ კიდევ უკანასკნელ დრომდე წარმატებული უდიდესი და მნიშვნელოვანი სა-

წარმოები. მაგონდება ერთი ამონარიდი ჯაბა იოსელიანის წიგნიდან „სამი განზომილება“: კიტოვანი გარშემორტყმულია საქმოსნებით. ისინი რუსი სამხედროების გამოთავისუფლებულ შენობებს, ჰოსპიტლებს, რომელიღაც გასამხედროებულ ქარხნებს უმიზნებენ, მათ ხელში ჩასაგდებად ჩალიჩობენ... მამუკა გვარიშვილს ჩემთან მოჰყავს ვიღაც ვახტანგ რჩეულიშვილი, გინდა თუ არა, რუსის ჯარის რომელიღაც ყოფილი ქარხანა ჩვენ გადმოგვეცით, რაღაც ფირმას თუ კოოპერატივს ვხსნითო. „ვინ ხართ თქვენ?“ – მათ ჩემი კოწია აუყოლებიათ, რაღაც კოოპერაცია შევქმნათო. ძალიან თავხედი ვინმეა. კოწიას მაგრად დავუცაცხანე, მამუკასაც უარი ვტკლიცე, თუმცა არ ვიცი, რა ქარხანაზეა საუბარი.“[1]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობდით, პრივატიზება ისე უნდა განგვეხორციელებინა, რომ საწარმოები რეალური ინვესტორის ხელში მოხვედრილიყო. ამას გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხარს ვუჭერდით მცირე საწარმოები იქ მომუშავე კოლექტივებს შეესყიდათ, თუ მათ ამის სურვილი ექნებოდათ და კოლექტივში თავად მოაგვარებდნენ ამ ქონების ერთმანეთში განაწილების პრობლემას მათ მიერ დაბანდებული სახსრების ან შრომითი წვლილისა და დამსახურების ან სხვა ნიშნის პროპორციულად. რადგან საბჭოთა პერიოდში ეს მცირე საწარმოები ოფიციალურად სახელმწიფო საკუთრება კი იყო, მაგრამ რეალურად აქ მათი ხელმძღვანელობის და ასევე ზოგიერთ შემთხვევაში აქ მომუშავეთა საკუთარი ფული (რა თქმა უნდა სახელმწიფო ფულთან ერთად, რაც წარმოადგენდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთერთ სახეს) ტრიალებდა და ამ საწარმოების სხვაზე გაყიდვა გამოიწვევდა მათ უკმაყოფილებას და დაპირისპირებას ხელისუფლებასთან. მათ ამ განწყობას კარგად გამოიყენებდა (როგორც მატერიალურად, ისე მორალურად) „ოპოზიცია“. მართლაც მათ ვერ მოითმინეს პრივატიზების განხორციელებამდე და მათმა

[1] ჯაბა იოსელიანი. „სამი განზომილება“. გვ. 78. გამომცემლობა „საარი“. თბილისი. 2007 წ.

გარკვეულმა ნაწილმა პუტჩისტებს დაუჭირა მხარი. სხვათა შორის, ჩემი პირველი დაპატიმრებისას პუტჩისტების პირველი შეკითხვა თუ ბრალდება იყო, რატომ დროულად არ დავიწყეთ პრივატიზება?! ჩემი პასუხი იყო, რომ ყველაფერი მიდიოდა გეგმის მიხედვით და ამასთან, სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით ჩამორჩენა არ გვქონია.

ამასთან დაკავშირებით მახსენდებოდა საფრანგეთის პრეზიდენტის (1913-1920 წლებში), რაიმონ პუანკარეს სიტყვები, რომელც მან წარმოთქვა, როდესაც პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში საფრანგეთს უკან დახევა მოუწია: „იპოვის კი ფრანგი ხალხი, ზოგჯერ მოუთმენელი და ნერვიული, თავის თავში ძალას, რათა თავის თავში შეიკავოს ნერვები და შეიარაღდეს მოთმინებით“. ფრანგებმა იპოვეს ეს ძალა. ქართველების ნაწილმა კი, სამწუხაროდ, ვერ იპოვა იგი (რადგან ეჩქარებოდათ სახელმწიფო ქონების დაუფლება) და მონაწილეობა მიიღოს კანონიერი ხელისუფლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით დამხობაში, რომლის სავალალო შედეგებს, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ახლაც ვიმკით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ

ეს კანონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო იმ დროიდელ ქართულ ეკონომიკურ კანონმდებლობაში, რადგან უცხოურ ინვესტიციებს ერთ-ერთი წამყვანი როლი უნდა შეესრულებინა ჩვენი ეკონომიკის აღმავლობაში. მართლაც, იმ პერიოდში, უცხოელი ინვესტორები დიდ დაინტერესებას იჩენდნენ ჩვენი საწარმოებისადმი და ამიტომაც სურდათ სცოდნოდათ, თუ როგორი კანონმდებლობა გვექნებოდა ამ მიმართულებით. კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური ინვესტიციების შესახებ გამოქვეყნდა 1991 წლის ივლისის დასაწყისში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ კანონპროექტის განხილვას მოჰყვა მწვავე დებატები, განსაკუთრებით ოპოზიციიდან,

რომელთა აზრით, ქვეყანაში ინვესტიციების უკონტროლო შემოსვლა არ შეიძლებოდა და ა. შ. არადა სად იყო იმდენი უცხოელი ინვესტორი, რომლებსაც ვერ გააკონტროლებდი, თანაც ამ დროს უკვე ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება მძიმდებოდა და სანამ დიდი ქარხნები გაიძარცვებოდა, ჯობდა ისინი უცხოელი ინვესტორებისათვის მიგვეყიდა და აგვემუშავებინა. იყო ასეთი შემთხვევაც: გარკვეული დებატების შემდეგ განსახილველი კანონპროექტის მიღება გადაიდო შემდგომი დამუშავების მიზნით. იმავე საღამოს ამ კანონპროექტის მიღების გადადებას უარყოფითი გამოხმაურება მოყვა სხვადასხვა ქვეყანაში: გვირეკავდნენ უცხოური გაზეთების რედაქციებიდან (იაპონიიდან, კანადიდან, საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ა. შ.) და აინტერესებდათ, უარს ამბობდა თუ არა საქართველო ეკონომიკურ რეფორმებზე. იმავე დღეს გვიან ღამით დამირეკა ქალბატონმა დოდონა კიზირიამ (მანამდე მას მე პირადად არ ვიცნობდი) და მითხრა: ხვალ ამერიკის კონგრესში მოხსენება მაქვს გასაკეთებელი და რა ხდება თქვენთან რეფორმებთან დაკავშირებით. მანდ ვისაც დავურეკე, ვერაფერი გამაგებინეს და იქნებ ამიხსნათ, რა მოხდა უცხოური ინვესტიციების კანონპროექტის განხილვისასო. დაახლოებით ოცი წუთი ვისაუბრეთ, მის კითხვებს ვუპასუხე და ვუთხარი, რომ ეკონომიკური რეფორმები ჩვეულებრივ გაგრძელდება და გამოთქმული შენიშვნების სათანადოდ გათვალისწინების შემდეგ ამ კანონპროექტს მალე მივიღებთ-მეთქი. მეორე დილით ბატონ ზვიადთან მივედი და მოვუყევი წინა ღამით რაც გადამხდა, მან მითხრა, რომ თვითონაც მსგავსი ვითარება ჰქონდა და მთხოვა, რომ ტელევიზიით გამოვსულიყავი და მეთქვა, რომ ამ კანონპროექტს სათანადო შესწორებების შეტანის შემდეგ ორიოდე კვირაში შევიტანდით უზენაეს საბჭოში განსახილველად. რაც განვაცხადე კიდეც ტელევიზიით. სხვათა შორის იმ დღეებში (12 ივლისს) საქართველოში სახელმწიფო ვიზიტით ჩამოვიდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი, აიაზ მუთალიბოვი. მან ბატონ ზვიადთან ისაუბრა მის ქვეყანაში მიმდინარე ეკონო-

მიკურ რეფორმებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი მიღებული ჰქონდათ კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ. სტუმარი რომ გავაცილეთ, ბატონმა ზვიადმა მკითხა, თუ რა მდგომარეობაში იყო კანონპროექტი უცხოური ინვესტიციების შესახებ და თუ იყო მზად უზენაეს საბჭოში განსახილველად. ვუპასუხე, კანონპროექტი მზად არის-მეთქი. განხილვის შედეგად კი უზენაესმა საბჭომ მოიწონა და 1991 წლის 25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ხელი მოაწერა კანონს უცხოური ინვესტიციების შესახებ[1]. ამავე დღეს კი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადენილებით, რომელსაც ხელს აწერდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი აკაკი ასათიანი, ეს კანონი უნდა ამოქმედებულიყო 1991 წლის პირველი ოქტომბრიდან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ კანონის განხილვისას ბატონი ზვიადი შემოვიდა წინადადებით: საქართველოში აკრძალულიყო უცხოური ინვესტიციის ნაციონალიზაცია, რაც აისახა კიდეც ამ კანონის მესამე კარის მეშვიდე მუხლის მეორე პარაგრაფში.

კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ შედგება ხუთი კარისა და ოცდაექვსი მუხლისაგან. შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ „ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელ ინვესტორთა საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, უცხოელი ინვესტიციების სახელმწიფოებრივ დაცვას და რეგულირების ნორმებს. კანონი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობის ყველა უცხოელი მონაწილისა და იმ საწარმოების მიმართ, რომლებსაც უცხოური ინვესტიციები აქვთ“.

ამ კანონის პირველი კარი ეძღვნება ზოგად დებულებებს და მის პირველ მუხლში განმარტებულია თვით უცხოური ინვესტიციები და აღნიშნულია, რომ „უცხოურ ინვეტიციებს

[1] საქართველის რესპუბლიკის კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ. საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი, 1991 წელი, №7, გვ. 70-81.

მიეკუთვნება ქონებისა და ინტელექტუალურ ფასეულობათა ყველა სახე, რომლებიც უცხოური ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი გაერთიანებების, საერთაშორისო ორგანიზაციების და უცხოეთის სახელმწიფოების (შემდეგში – უცხოური ინვესტორები) მიერ გამოიყენება სამეურნეო საქმიანობაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. უცხოური ინვესტიციები შეიძლება შეიცავდეს: ყოველგვარ უძრავ და მოძრავ ქონებას და ამ ქონებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ უფლებას; აქციებს, ანაბრებს, ობლიგაციებს და სხვა სახის ფასიან ქაღალდებს ან წარმოებაში მონაწილეობის სხვა ფორმებს; ფულად წარდგინებას, ან ფულადი წარდგინების უფლებას; ყოველგვარ უფლებას ინტელექტუალური საკუთრების მიმართ, საავტორო და საპატენტო უფლებების, სასაქონლო ნიშნების, სახელწოდების, სამრეწველო ნიმუშების, კომერციული საიდუმლოებისა და „ნოუ-ჰაუს“ ჩათვლით. სამეწარმეო საქმიანობის უფლებას, ბუნებრივი რესურსების მოძიების, მოპოვების, დამუშავებისა და ექსპლუატაციის უფლების ჩათვლით“.

აღნიშნული კანონის პირველი კარის მეორე მუხლი ეძღვნება უცხოელ ინვესტორთა საქმიანობას და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელ ინვესტორთა საინვესტიციო საქმიანობა წარმოებს როგორც დამოუკიდებლად, ისე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებთან და იურიდიულ პირებთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე“. მომდევნო მესამე მუხლში „უცხოური ინვესტიციების ობიექტები“ მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური ინვესტიციების ობიექტებს წარმოადგენენ: ახლად შექმნილი ან მოდერნიზებული ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები; ფასიანი ქაღალდები; მიზნობრივი ფულადი ასიგნებები; სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია, ინტელექტუალური ფასეულობები; ქონებრივი უფლებები; საკუთრების სხვა ობიექტები“. მეოთხე მუხლი ეძღვნება უცხოური ინვესტიციების რეგულირებას და აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციე-

ბის მოზიდვისა და გამოყენების პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილი ორგანო. უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით წარმოქმნილ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" და „საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები".

ამ კანონის მეორე კარი ეძღვნება უცხოელი ინვესტორის უფლება-მოვალეობებს. ეს კარი იწყება მეხუთე მუხლით, რომელშიც აღწერილია უცხოელი ინვესტორის უფლება-მოვალეობანი და აღნიშნულია, რომ: „საინვესტიციო საქმიანობაში ყველა ინვესტორი სარგებლობს თანაბარი უფლებით. უცხოელ ინვესტორებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ინვესტორი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ინვესტიციების მოცულობას და მისი გამოყენების მიმართულებას. ინვესტორის გადაწყვეტილებით ინვესტიციებისა და მათი განხორციელების შედეგების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლება შეიძლება გადაეცეთ სხვა მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს კანონით გათვალისწინებული წესით. ასეთ შემთხვევაში მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. უცხოელ ინვესტორებს უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საბანკო დაწესებულებაში გახსნან მიმდინარე და სხვა სახის ანგარიშები მანეთებში და უცხოური ვალუტით, შეიძინონ აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები. ინვესტორს უფლება აქვს ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ინვესტიციათა შედეგებს, მათ შორის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეინვესტირებისა და სავაჭრო ოპერაციების სახით, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საკანონმდებლო აქტებით შეიძლება განისაზღვროს ობიექტები, რომლებშიც ინვესტირება არ გულისხმობს საკუთრების უფლების შეძენას მათზე, მაგრამ არ გამორიცხავს

მათი შემდგომში ფლობის, ოპერატიული მართვის ან ამ ობიექტის ექსპლოატაციით მიღებულ შემოსავლებში ინვესტორის მონაწილეობის შესაძლებლობას. უცხოელ ინვესტორებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების პრივატიზებაში, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. ინვესტორს უფლება აქვს შეიძინოს მისთვის აუცილებელი ქონება, მოცულობისა და ნომენკლატურის შეუზღუდავად, მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისაგან უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით, იმ ფასებსა და იმ პირობებში, რომელიც განსაზღვრულია მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს უფლება აქვს თავისი ქონება გამოიყენოს მის მიერ აღებული ყოველგვარი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, ნასესხები სახსრების ჩათვლით. ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაწილეების მიერ საწარმოს ანგარიშზე შენატანის სახით გადაცემული ქონებრივი უფლებები შენობაზე, მოწყობილობაზე, დანადგარებზე, აგრეთვე სხვა ქონებრივი უფლებები, გარდა უფლებისა მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსზე. უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს დააგირაოს თავისი ქონება. დაგირავებული ქონება გირაოს მიმღების მიერ შეიძლება რეალიზებულ იქნეს მანეთებით და უცხოური ვალუტით, კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით".

აღნიშნული კანონის მეორე კარის მეექვსე მუხლში ჩამოთვლილია უცხოელი ინვესტორის მოვალეობანი, რომელთა თანახმად იგი ვალდებულია: „წარუდგინოს საფინანსო ორგანოებს დეკლარაცია შემოსავლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილი წესით; მიიღოს საექსპერტო დასკვნა საინვესტიციო პროექტებზე სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვის შესახებ; დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა; დაიცვას საქონლისა და მომსახურების ხარისხისადმი, ტექნიკური სტანდარტებისადმი საქართველოს რესპუბლიკის

ტერიტორიაზე მოქმედი ნორმატიული მოთხოვნები; შეასრულოს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობრივი პირების მოთხოვნები მათი კომპეტენციის ფარგლებში; დადგენილი წესით წარადგინოს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგება. საინვესტიციო საქმიანობის თითოეულ მონაწილეს, რომელიც სპეციალური სახის სამუშაოს ასრულებს და აქვს სათანადო ატესტაცია, უნდა ჰქონდეს ლიცენზია ამ სამუშაოს შესასრულებლად და მათი ლიცენზირების წესი განისაზღვრება რესპუბლიკის კანონმდებლობით".

განსახილველი კანონის მესამე კარი მთლიანად ეძღვნება უცხოური ინვეტიციების დაცვის გარანტიებს. ეს კარი შედგება სამი მუხლისაგან: მეშვიდე, მერვე და მეცხრე მუხლებისაგან. მეშვიდე მუხლში მოცემულია უცხოური ინვესტიციების დაცვის საკითხები და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური ინვესტიციები სამართლებრივად დაცულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოური ინვესტიციების ნაციონალიზაცია ან შედეგების მიხედვით ტოლფასი ზომების გამოყენება კანონით აკრძალულია. სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის შეთანხმებით შესაძლებელია უცხოური ინვესტიციების გამოსყიდვა. გადაწყვეტილება უცხოური ინვესტიციების იძულებით გამოსყიდვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. უცხოურ ინვესტორს კომპენსაციას უხდის ის სახელმწიფო ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი ქონების ნაციონალიზაციის შესახებ. კომპენსაცია უნდა შეესაბამებოდეს ნაციონალიზებული ქონების რეალურ ღირებულებას მსოფლიო ფასებით. კომპენსაციის გადახდის ვადები და ფულის ერთეული განისაზღვრება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. კომპენსაციის გადახდის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. სახელმწიფო ან სხვა ორგანოების, აგრეთვე მათი თანამდებობის პირების უკანონო გადაწყვეტილებით უცხოე-

ლი ინვესტორისთვის მიყენებული ზარალი (დაკარგული მოგების ჩათვლით) უნდა ანაზღაურდეს სრული მოცულობით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად".

ამ კარის მომდევნო მერვე მუხლი ეძღვნება სადავო საკითხების გადაწყვეტას და აღნიშნულია, რომ „იურიდიული ხასიათის სადავო საკითხები, რომლებიც ეხება უცხოურ ინვესტიციებს ან ინვესტორისათვის გასაცემი კომპენსაციის მოცულობას და გაცემის წესს, ან სხვა საკითხებს, შეიძლება განხილულ იქნეს სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლოში. უცხოელი ინვესტორების დავა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ექვემდებარება განხილვას სასამართლოში, ხოლო უცხოელ ინვესტორთა მოთხოვნით სამედიატორო სასამართლოში, ან მხარეთა შეთანხმებით – საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად; იმ შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილია სხვა წესები, ვიდრე განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, გამოიყენება საერთაშორისო შეთანხმების წესი". ამავე მესამე კარის ბოლო მეცხრე მუხლში განხილულია შემოსავლების რეინვესტირებისა და საზღვარგარეთ გატანის საკითხები და აღნიშნულია, რომ „უცხოელ ინვესტორებს გარანტირებული აქვთ მათი კუთვნილი თანხების შეუფერხებელი გადარიცხვა საზღვარგარეთ უცხოური ვალუტით, რომელიც მიიღება: მოგების განაწილების, საწარმოს საწესდები ფონდში მათი წილის სხვისთვის დათმობის, საწარმოდან გასვლის ან საწარმოს ლიკვიდაციის, ქონების, აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შედეგად, აგრეთვე მიწით სარგებლობის და სხვა ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე; უცხოელი ინვესტორების მიერ მანეთებში მიღებული მოგება შეიძლება რეინვესტირებული იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან გამოყენებული იქნეს მის საზღვრებს გარეთ მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად; უცხოელ ინვესტორებს შეიძლება საქართველოს ბანკებში ჰქონდეთ მიმდინარე ანგარიშზე თანხები მანეთებში, საზღვარგარეთ გადარიცხვის უფლების გარეშე, გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც ოფიციალურ ფულის ნიშანს წარმოადგენს მანეთი; უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს ანგარიშებიდან საზღვარგარეთ გადარიცხოს თანხა მათ უცხოურ ვალუტაზე საბაზრო კურსით კონვერტირების გზით".

ამ კანონის მეოთხე კარი ეძღვნება საწარმოს შექმნას უცხოური ინვესტიციებით და მოიცავს მეათე-მეცამეტე მუხლებს. მეათე მუხლში ჩამოთვლილია უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოების სახეები და მითითებულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით საწარმო შეიძლება შეიქმნას ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებივი ფორმით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

საქართველოს რესპუბლიკაში უცხოეთის სახელმწიფოების ინვესტორების მიერ იქმნება: უცხოეთის სახელმწიფოს ფიზიკური პირის (პირების) საწარმო; უცხოეთის სახელმწიფოს იურიდიული პირის (პირების) საწარმო; უცხოეთის სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირების წილობრივი საკუთრების საწარმო; უცხოეთის სახელმწიფოს ფიზიკური და (ან) იურიდიული პირების და საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური და (ან) იურიდიული პირების წილობრივი საკუთრების საწარმო". ამავე კარის მეთერთმეტე მუხლში აღნიშნულია, რომ: „უცხოური ინვესტიციებით საწარმოს შექმნისათვის აუცილებელია ეკოლოგიური ექსპერტიზა. თუ საწარმოს შექმნა დაკავშირებულია მსხვილმასშტაბურ მშენებლობასთან ან რეკონსტრუქციასთან, მაშინ აუცილებელია საერთო ექსპერტიზის ჩატარება. ექსპერტიზა ტარდება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად". მეთორმეტე მუხლში განხილულია უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს რეგისტრაციის წესი და აღნიშნულია, რომ: „საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს რეგისტრაციაში ატარებს საქართვე-

ლოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანო. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

ა) მთლიანად უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოსათვის: წერილობითი განცხადება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ; საწარმოს წესდება; ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წერილობითი თანხმობა; ინვესტორის გადახდისუნარიანობის დამადასტურებული დოკუმენტი, გაცემული მისი მომსახურე საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციის მიერ.

ბ) უცხოელი ინვესტორის მონაწილეობით შექმნილი საწარმოსათვის: წერილობითი განცხადება საწარმოს რეგისტრაციაში გატარების შესახებ; საწარმოს წესდება; საწარმოს შექმნის ეკონომიკური დასაბუთება; ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წერილობითი თანხმობა; ინვესტორის გადახდისუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული მისი მომსახურე საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციების მიერ.

გ) უცხოური ინვესტიციით შექმნილი ქვესაწარმოსა და ფილიალისათვის: ქვესაწარმოს (ფილიალის) დამაარსებელი საწარმოს ხელმძღვანელობის წერილობითი განცხადება; ქვესაწარმოს (ფილიალის) დამაარსებელი საწარმოს დამფუძნებული დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებული ასლი; ქვესაწარმოს წესდების (ფილიალის დებულების) ნოტარიულად დამოწმებული ასლი; ადგილობრივი მმართველობის ორგანოს წერილობითი თანხმობა; იმ შემთხვევაში, როდესაც სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭიროა მიწის ან სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყოფა, ნებართვას ამის შესახებ იძლევა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანო. აღნიშნული ნებართვა საჭიროა საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს დამფუძნებელ დოკუმენტებში უნდა აისახოს მონაწილეთა კონკრეტული ვალდებულებანი, რომლებიც ეხება საწარმოს საწესდებო კა-

პიტალში თითოეული მონაწილის შენატანების შეფასებას, შეტანის ვადებს, ობიექტს და წესს.

ქონების ღირებულება, რომელიც შეაქვთ უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმოს მონაწილეებს საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით, გაიანგარიშება მსოფლიო ბაზრის ფასებით. ამ ფასების არარსებობის შემთხვევაში კი – მონაწილეთა მოლაპარაკების საფუძველზე".

ამავე კარის მეთორმეტე მუხლის მესამე და მეოთხე პარაგრაფები ეძღვნება უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს რეგისტრაციის დოკუმენტებში ცვლილებების შეტანას და აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს, ქვესაწარმოსა და ფილიალის დამფუძნებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, საჭიროა მათი ხელახალი რეგისტრაცია. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს დამფუძნებელ დოკუმენტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანიდან 30 დღის განმავლობაში სარეგისტრაციო ორგანოში წარადგენს ნოტარიულად დამოწმებულ საბუთებს". აქვე მომდევნო მეხუთე და მეექვსე პარაგრაფებში განხილულია უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს რეგისტრაციისა და ასევე უარის თქმის შემთხვევები და აღნიშნულია, რომ: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია 30 დღის განმავლობაში რეგისტრაციაში გაატაროს უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმო ან აცნობოს განმცხადებელს რეგისტრაციაზე უარის მიზეზი. რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ეთქვას უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს, რომლის დამფუძნებელი არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას ან დარღვეულია საწარმოს შექმნის დადგენილი წესი. რეგისტრაციაზე უარის თქმა ობიექტის შექმნის მიზანშეუწონლობის მოტივით დაუშვებელია. გამონაკლისს შეადგენს შემთხვევები, როდესაც საწარმო იქმნება მთლიანად უცხოური ინვესტიციებით. სახელმწიფო რეგისტრაციაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომელსაც განმცხადებელი უსაფუძვლოდ თვლის, შესაძლებე-

ლია გასაჩივრდეს სასამართლო წესით". მეთორმეტე მუხლის ბოლო, მეშვიდე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს საქმიანობის დაწყება შეუძლია რეგისტრაციის მომენტიდან. ინფორმაცია საწარმოს რეგისტრაციის შესახებ ეცნობება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს საწარმოს ადგილმდებარეობის მიხედვით და რეესტრის მწარმოებელ ორგანოს რეესტრში შესატანად".

მეოთხე პარაგრაფის ბოლო, მეცამეტე მუხლში, რომელიც ეძღვნება საწესდებო კაპიტალის შექმნის წესს, აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მონაწილეები ვალდებულნი არიან რეგისტრაციიდან 1 წლის ვადაში შეავსონ საწესდებო კაპიტალი, წინააღმდეგ შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო საწარმოს აცხადებს ლიკვიდირებულად. განსაკუთრებულ შემთხვევაში რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია საწესდებო კაპიტალის შევსების ვადის გაგრძელება".

„უცხოური ინვესტიციების შესახებ" კანონის ბოლო, მეხუთე კარი ეძღვნება უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს საქმიანობას. ეს კარი იწყება მეთოთხმეტე მუხლით და მთავრდება ოცდამეექვსე მუხლით. ამ კარის მეთოთხმეტე მუხლში განხილულია საწარმოს საქმიანობა და აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს შეუძლია ეწეოდეს ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც პასუხობს საწარმოს წესდებაში გათვალისწინებულ მიზნებს და არ არის აკრძალული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით. ცალკეული სახის საქმიანობა, რომლის ნუსხასაც განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა, საწარმოს შეუძლია წარმართოს მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე; ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საბანკო, სავალუტო, სადაზღვევო და საშუამავლო საქმიანობა დაიშვება სპეციალური ლიცენზიით, რომლებიც გაიცემა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ". მომდევნო მეთხუთმეტე მუხლში საუბარია სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ

და მითითებულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ შეუძლია შექმნას იურიდიული პირის უფლების მქონე ქვესაწარმოები, აგრეთვე იურიდიული პირის უფლების არმქონე ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები, ქვესაწარმოები, ფილიალები, წარმომადგენლობები და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები მოქმედებენ უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მიერ დამტკიცებული წესდების ან დებულების საფუძველზე". მეთექვსმეტე მუხლში – „კავშირებისა და სხვა გაერთიანებების შექმნა" აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს შეუძლიათ ნებაყოფლობის საფუძველზე გაერთიანდნენ სხვადასხვა კავშირებში, ასოციაციებში, კონცერნებში, დარგთაშორის, რეგიონალურ და სხვა სახის გაერთიანებებში". მეჩვიდმეტე მუხლი „ფასები და პროდუქციის ხარისხი" აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს უფლება აქვთ სახელშეკრულებო საფუძველზე დაადგინონ ფასები თავიანთ პროდუქციაზე და მათი რეალიზაციის წესი".

მეხუთე კარის მეთვრამეტე მუხლში განხილულია შეღავათები და აღნიშნულია, რომ „ქონება, რომელიც დამფუძნებელი დოკუმენტების მიხედვით, უცხოელ ინვესტორებს საქართველოს რესპუბლიკაში შემოაქვთ საწარმო-საწესდებო კაპიტალში შენატანის სახით, აგრეთვე ქონება, რომელიც განკუთვნილია საკუთარი მოხმარებისათვის, თავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან და არ იბეგრება იმპორტზე გადასახადით. უცხოელი ინვესტორის თავისუფალი კონვერტირებული ვალუტის შენატანი საწარმოს საწესდებო კაპიტალში ირიცხება მოცემული საწარმოს ანგარიშზე ვალუტით და დაუბრკოლებლად შეიძლება გამოიყენოს მან საწარმოს საერთაშორისო ბაზარზე თავისი საქმიანობისათვის საჭირო წარმოების საშუალებათა შესაძენად. ამგვარად შეძენილი წარმოების სა-

შუალება, საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანისას თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან და არ ექვემდებარება იმპორტზე გადასახადს. საწარმოები, რომლებიც მთლიანად შექმნილია უცხოური ინვესტიციებით და საწარმოები, რომელთა საწესდებო კაპიტალში უცხოური ინვესტიციები შეადგენენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრულ პროცენტულ ოდენობას, უფლებამოსილნი არიან საკუთარი წარმოების პროდუქცია გაიტანონ საექსპორტოდ და საკუთარი საჭიროებისათვის შემოიტანონ პროდუქცია ლიცენზიის გარეშე. საკუთარი წარმოების საექსპორტო და საკუთარი საჭიროებისათვის შემოტანილი (იმპორტული) პროდუქციის განსაზღვრის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს სავალუტო ამონაგები საკუთარი პროდუქციის ექსპორტიდან მთლიანად რჩება მის განკარგულებაში. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს სხვა პროდუქციის (სამუშაოების და მომსახურების) ექსპორტი და იმპორტი ხდება საერთო საფუძველზე. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო, აგრეთვე უცხოელი ინვესტორი გადასახადებს იხდის მოქმედი კანონმდებლობით. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დამატებით ადგენს იმ დარგებისა და საქმიანობის სახეების ნუსხას, რომლებზეც ვრცელდება შეღავათიანი დაბეგვრა". მომდევნო მეცხრამეტე მუხლში „საფინანსო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციები" მითითებულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო საფინანსო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციებს (მათ შორის სავალუტო) ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად". მეოცე მუხლში „დაზღვევა" მითითებულია, რომ უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო დამოუკიდებლად ირჩევს თავისი ქონებისა და რისკის დამზღვევ ორგანიზაციას". მომდევნო ოცდამეერთე მუხლი „ფინანსური და კომერციული საქმიანობის შემოწმება დაბეგვრის მიზნით" აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს ფინანსური და კომერციული

საქმიანობის შემოწმება დაბეგვრის მიზნით ხორციელდება აუდიტორული ორგანიზაციების მიერ. საჭიროების შემთხვევაში საწარმოებს შეუძლიათ ისარგებლონ უცხოური აუდიტორული ორგანიზაციის მომსახურებით". ოცდამეორე მუხლში „აღრიცხვა და ანგარიშგება" აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი წესით; უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო საბალანსო შეფასებისა და აღრიცხვის მიზნით ახორციელებს უცხოური ვალუტის გადაანგარიშებას მანეთებზე, გადაანგარიშების მომენტში არსებული კომერციული კურსით".

მეხუთე კარის მომდევნო, ოცდამესამე მუხლი ეძღვნება „ინტელექტუალური საკუთრების უფლებას" ეს მუხლი შედგება ოთხი პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში მითითებულია, რომ „უცხოელი ინვესტორების ინტელექტუალური საკუთრების უფლების განხორციელება და დაცვა (ლიტერატურული, სამეცნიერო და მხატვრული ნაწარმოების საავტორო უფლების, მათ შორის კომპიუტერული პროგრამები, პატენტების და სხვა უფლებები გამოგონებაზე და სამრეწველო ნიმუშებზე „ნოუ-ჰაუზე", კომერციულ საიდუმლოებაზე, სასაქონლო და მომსახურების ნიშნებზე, საფირმო სახელწოდებათა ნიშნების დაცვაზე) უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით". მეორე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო თავის თანამშრომლებთან აფორმებს ხელშეკრულებას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე, რომელიც იქმნება მათ მიერ საწარმოსათვის განსაზღვრული კონკრეტული ამოცანის შესრულების შედეგად. პატენტი გამოგონებაზე და სამრეწველო ნიმუშებზე მიეცემა საწარმოს, თუკი თანამშრომელსა და საწარმოს შორის ხელშეკრულებაა გაფორმებული. ეს ხელშეკრულება პატენტის მიღების უფლებაზე, პატენტის მიღების უფლების დათმობასთან ერთად, განსაზღვრავს საწარმოს ვალდებულებას თანამშრომელთა მატერიალური, საწარმოო და სოციალური

პირობების უზრუნველყოფისათვის". მომდევნო, მესამე პარაგრაფში კი აღნიშნულია, რომ „თუ უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოსა და თანამშრომელს შორის აღნიშნული ხელშეკრულება არ დადებულა, მაშინ პატენტი მიეცემა საწარმოო ნიმუშის ან გამოგონების ავტორს. საწარმოს უფლება აქვს გამოიყენოს ეს გამოგონება ან საწარმოო ნიმუში იმ პირობით, რომელიც განისაზღვრება პატენტის მფლობელ ავტორთან შეთანხმებით". ამ მუხლის ბოლო მეოთხე პარაგრაფში მითითებულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მისი კუთვნილი გამოგონებისა და სამრეწველო ნიმუშის საზღვარგარეთ დაპატენტებაზე".

ამ კარის ოცდამეოთხე მუხლი ეძღვნება შრომით ხელშეკრულებას. მის პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „საწარმოო და შრომითი ურთიერთობანი, მუშაკთა განთავისუფლება და დაქირავება, შრომისა და დასვენების რეჟიმი, შრომის ანაზღაურების პირობები, გარანტიები და კომპენსაციები უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოში რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით. შრომითი ხელშეკრულების პირობებმა არ უნდა გააუარესოს ამ საწარმოების თანამშრომელთა მდგომარეობა იმ პირობებთან შედარებით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობით. ამავე მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებულია, რომ „პროფესიული კავშირების საქმიანობა უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოში ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად". მესამე პარაგრაფი კი მიანიშნებს, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მართვის ნებისმიერ ორგანოში შეიძლება შევიდნენ უცხოეთის მოქალაქეები. სხვა უცხოელ მუშაკთა დაქირავება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის საფუძველზე. უცხოელი თანამშრომლის დაქირავებისა და შრომითი საქმიანობის საკითხების შეთანხმება

ხდება თითოეულ მათგანთან დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულებით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. უცხოელი თანამშრომლების მიერ უცხოური ვალუტით მიღებული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ შეიძლება გატანილ იქნას საზღვარგარეთ".

ოცდამეხუთე მუხლში განხილულია საწარმოს მუშაკთა სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა. ამ მუხლის მიხედვით, „უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მუშაკთა სოციალური დაზღვევა და მათი სოციალური უზრუნველყოფა (უცხოელი თანამშრომლების საპენსიო უზრუნველყოფის გარდა) რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო უცხოელ მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფისათვის გადასახადებს გადარიცხავს ვალუტით იმ ქვეყნების შესაბამის ფონდში, სადაც ეს მუშაკები ცხოვრობენ მუდმივად. უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს შეაქვს ანარიცხები ადგილობრივ და უცხოელ მუშაკთა სახელმწიფო სოციალური დაზღვევისათვის, ხოლო ადგილობრივ მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფისათვის იმ განაკვეთებით, რომლებიც განსაზღვრულია საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით". მეხუთე კარის და საერთოდ, „უცხოური ინვესტიციების შესახებ" კანონის ბოლო, ოცდამეექვსე მუხლი ეძღვნება საწარმოს ლიკვიდაციას და აღნიშნულია, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით".

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტები „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ", „საკუთრების საფუძვლების შესახებ" და „უცხოური ინვესტიციების შესახებ" გარდა იმისა, რომ ვთარგმნეთ ინგლისურად, ჩვენი მეგობრების დახმარებით ექსპერტიზა გავაკეთებინეთ ნიდერლანდებში ING ბანკში, პეპსი-კოლას სათავო ოფისში (აშშ) და ორივესაგან მივიღეთ დადებითი პა-

ხუხი; ასევე ჩეხოსლოვაკიის ფინანსთა სამინისტროს მივაწო-
დეთ, მათივე თხოვნის საფუძველზე, ამ კანონპროექტების
ინგლისური თარგმანი და მათგანაც მოგვივიდა დადებითი გა-
მოხმაურება. ამ კანონპროექტების კანონებად დამტკიცების
შემდეგ მათ ინგლისურ თარგმანს ყველა უცხოელ ინვესტორს
ვუცილებლად ვაწვდიდით გასაცნობად. მათი პასუხები ძირი-
თადად დადებითი იყო.

საქართველოს უზენაესი საბჭოს სხვა მუდმივმოქმედი კომისიების მიერ მომზადებული ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი კანონპროექტი და უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მომზადებული და უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი კანონები. ამავე დროს იმ პერიოდში ამ მიმართულებით აქტიურ კანონშემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ უზენაესი საბჭოს სხვა მუდმივმოქმედი კომისიებიც. აქ მოკლედ შევეხები ზოგიერთი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შემუშავებულ კანონსა თუ კანონპროექტებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივმოქმედი კომისია

აღნიშნული მიმართულებით ინტენსიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტარიელ გელანტია. უმოკლეს დროში ამ კომისიამ შეიმუშავა ისეთი უმნიშვნელოვანესი კანონები, როგორებიცაა: „კანონი საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ“, „კანონი საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“, „კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“, „კანონი საქართველოს რესპუბლიკაში მოგების დაბეგვრის შესახებ“,

„კანონი საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ და ა. შ. გაგაცნობთ რამდენიმე კანონს.

I.

კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ“[1] საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო და დაამტკიცა როგორც კანონი 1991 წლის 2 აგვისტოს და გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ასევე საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებებში. ეს კანონი შედგება ცხრა კარისაგან და ოცდათერთმეტი მუხლისაგან. აღნიშნული კანონის პირველი კარი ეძღვნება ზოგად დებულებებს და მის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ „ქვეყანაში ერთიან სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლება“. მეორე მუხლში კი განსაზღვრულია ის ორგანო, რომელიც ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო რეგულირებას და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო და სავალუტო რეგულირების ორგანოა ეროვნული ბანკი, რომელიც ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს ფულის მიმოქცევის მართვას მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებით“. მესამე მუხლში ჩამოთვლილია მიმოქცევაში ფულადი მასის რეგულირების ეკონომიკური მეთოდები:

ა). ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გასაცემი კრედიტების მოცულობის განსაზღვრა;

ბ). ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა;

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ. საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი, 1991 წელი, № 8, გვ. 60-65.

გ). ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ გადასარიცხი აუცილებელი რეზერვების ნორმების დადგენა:

დ). ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გასაცემ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების, აგრეთვე სადისკონტო და სალომბარდო განაკვეთების განსაზღვრა".

ამავე კარის მეოთხე მუხლში აღნიშნულია, რომ „ერთიან სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს ყოველწლიურად ადგენს ეროვნული ბანკი, რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით და რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო". მომდევნო მეხუთე მუხლი ეძღვნება ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, რომელიც მოიცავს:

„ა). რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზს სახელმწიფო ბიუჯეტთან კავშირში;

ბ). მიმოქცევაში მყოფი ფულადი მასის მაქსიმალური საზღვრების ეკონომიკურ დასაბუთებას;

გ). საპროცენტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;

დ). ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითად მეთოდებს".

შემდეგ მეექვსე მუხლში ხაზგასმულია, რომ „ფულად-საკრედიტო პოლიტიკას უნდა ჰქონდეს ანტიინფლაციური ხასიათი. ხელს უწყობდეს ეკონომიკის შეწონასწორებულ და მეურნეობრიობის გააქტიურების სტიმულირებას". მომდევნო მეშვიდე მუხლში განსაზღვრულია ეროვნული ბანკის უფლებები და აღნიშნულია, რომ: „საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს დაუწესოს ბანკებს ეკონომიკური ნორმატივები, მოახდინოს ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების სასესხო და სადეპოზიტო საქმიანობის რეგულირება, შეასრულოს სხვადასხვა ოპერაციები და მოქმედებანი, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას".

აღსანიშნავია, რომ პირველი კარის მეცხრე მუხლი ეძღვნება ეროვნული ბანკის დამატებით უფლებებს ფულად-საკრედიტო რეგულირებაში სირთულეების წარმოშობისას და აღნიშნულია: „ფულადი მასის მაქსიმალური საზღვრების გამუდმებული გადამეტებისა და ფასების ინფლაციური ზრდის შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელი ხდება რეგულირება ამ კანონის მე-2 მუხლში გათვალისწინებული ეკონომიკური მეთოდებით, ეროვნულ ბანკს შეუძლია გაატაროს დამატებითი ღონისძიებანი კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდებათა შეზღუდვის, მათ აქტიურ-პასიურ ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისა და მათთვის საკომისიო ანაზღაურების საზღვრების დაწესებით. ეს ზომები შეიძლება გატარდეს დიფერენცირებულად ბანკის ტიპის, კრედიტის სახის, დარგისა და რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით“. ამასთან, აქვე მითითებულია, რომ „დროებითი ღონისძიებები ტარდება ეროვნული ბანკის მიერ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების საფუძველზე ან დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში მათი მოქმედების ვადა შეზღუდულია ერთ თვემდე და მისი გაგრძელება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს“. მეცხრე მუხლში კი ხაზგასმულია, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ფულის ერთეულის კურსს სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან“.

ამავე კარის მეათე მუხლში კი მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მოგებიდან სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების შექმნის წესს მოსალოდნელი ზარალის ასანაზღაურებლად. ფულადი თანხები, რომლებიც ირიცხება სარეზერვო ანგარიშებზე, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისათვის“. მომდევნო მეთერთმეტე მუხლში აღნიშნულია, რომ „საგანგებო შემთხვევებში ეროვნულ ბანკს, საქართველოს პრეზიდენტის ნებართვით, უფლება აქვს დააწესოს დაკრედიტებისა და მანეთებსა და უცხოურ

ვალუტაზე შეძენილი ობლიგაციების მატების თანხის 100%-მდე სპეციალურ ანგარიშზე დეპონირების ნორმატივი". ამ კარის ბოლო მეთორმეტე მუხლში მითითებულია, რომ „ეროვნულ ბანკს საქართველოს პრეზიდენტის ნებართვით შეუძლია დაუწესოს ბანკებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, საპენსიო ფონდებს, სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებს სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში სავალდებულო ინვესტიციების ნორმატივი".

„საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ" კანონის მეორე კარი ეძღვნება კრედიტების და გარანტიების რეგულირებას. იგი შედგება სამი მუხლისაგან. ეს კარი იწყება მეცამეტე მუხლით, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საგანგებო შემთხვევებში ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით უფლება აქვს დააწესოს ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების დაკრედიტების ოპერაციებისა და გარანტიების მოცულობათა პირდაპირი შეზღუდვები". მომდევნო მეთოთხმეტე მუხლში კი აღნიშნულია, რომ ეს შეზღუდვები შეიძლება დიფერენცირებული იყოს ბანკის ტიპის, კრედიტის სახის, დარგისა და რეგიონის თავისებურებების მიხედვით. ამ კანონის მესამე კარი ეძღვნება საპროცენტო განაკვეთების რეგულირებას. ამ კარის მეჩვიდმეტე მუხლში აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკი ახორციელებს რესპუბლიკაში ბანკების საპროცენტო განაკვეთების რეგულირებას კომერციული ბანკებისათვის გასაცემ კრედიტებზე განაკვეთების ცვლილებების საშუალებით". აქვე მომდევნო მუხლში მითითებულია, რომ ეროვნული ბანკი ასევე განსაზღვრავს განაკვეთებს თავის სადისკონტო და სალომბარდო ოპერაციებზე. ამ კარის ბოლო მეთვრამეტე მუხლში კი აღიშნულია, რომ საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის მიზნით აკრძალულია ბანკების გაერთიანების შექმნა.

ამავე კანონის მეოთხე კარი ეძღვნება რეფინანსირების სისტემას და იწყება მეცხრამეტე მუხლით, რომელშიც აღნიშ-

ნულია, რომ „საბანკო სისტემის ლიკვიდურობაზე ზემოქმედების მიზნით ეროვნული ბანკი ახორციელებს რეფინანსირებას ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთებით მათთვის მოკლევადიანი კრედიტების გამოყოფის გზით. აქვე, მომდევნო მუხლში კი მითითებულია, რომ ბალანსის მოცულობის მიუხედავად, ყველა ბანკს აქვს უფლება ეროვნული ბანკიდან კრედიტის მიღებისა. ამ კარის ბოლო 21-ე მუხლში კი აღნიშნულია, რომ „ეროვნულ ბანკს შეუძლია მისცეს ბანკებს კრედიტი სამ თვემდე ვადით ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების, უცხოური ვალუტის, ობლიგაციებისა და ფასიანი ქაღალდების გირაოს (უზრუნველყოფის) ქვეშ". ამასთან, სხვადასხვა აქტივების გირაოთი გასაცემი კრედიტების პირობებს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს დამოუკიდებლად. მომდევნო მეხუთე კარი ეძღვნება ფულის მასის მიზნობრივ საზღვრებს, შედგება ორი, 22-ე და 23-ე მუხლებისაგან. 22-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში ყოველწლიურად დაწესდება მიმოქცევაში ერთობლივი ფულადი მასის სხვადასხვა მაჩვენებლის ზრდის საზღვრები". მომდევნო 23-ე მუხლი მიუთითებს, რომ ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხებში თავის საქმიანობას წარმართავს მიმოქცევაში ერთობლივი ფულადი მასის სხვადასხვა მაჩვენებლის დამტკიცებული ზრდის საზღვრების შესაბამისად. მომდევნო მეექვსე კარი შედგება ერთი 24-ე მუხლისაგან და ეხება საზღვარგარეთის აქტივებისა და პასივების რეგულირებას და აღნიშნულია, რომ „ეროვნულ ბანკს შეუძლია ნორმატიული მოთხოვნები დაუწესოს ბანკის საზღვარგარეთის აქტივებისა და პასივების (მთლიანად ან ცალკეულ სახეობებზე) მოცულობის მიმართ, მათი მთლიანობაში შეფარდებისა ან ცალკეული ელემენტების მიხედვით".

აღნიშნული კანონის მეშვიდე კარი ეძღვნება სავალუტო პოლიტიკას და შედგება ხუთი მუხლისაგან. მეშვიდე კარის

25-ე მუხლში მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით და საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით უფლებამოსილია მართოს საქართველოს ვალუტისა და ოქროს ფონდი". აქვე მომდევნო, 26-ე მუხლის მიხედვით, „მოქმედი ფულადი ერთეულის ოფიციალური კურსი უცხოურ ვალუტაში ეროვნული ბანკის მიერ დაწესდება ქვეყნის ეკონომიკისა და საგადასახადო ბალანსის გათვალისწინებით". მომდევნო მუხლში კი აღნიშნულია, რომ მოქმედი ფულადი ერთეულის საბაზრო კურსის რეგულირებას ახდენს ეროვნული ბანკის გამგეობა საქართველოს რესპუბლიკის სავალუტო ფონდიდან უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით. შემდეგ 27-ე მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სავალუტო ოპერაციებზე კონტროლს ახორციელებს ეროვნული ბანკი. ამავე კარის ბოლო 28-ე მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ურთიერთობებს ამყარებს სხვა სახელმწიფოების ეროვნულ ბანკებთან და მონაწილეობს საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციების მუშაობაში. აღნიშნული კანონის მერვე კარი ეძღვნება კონტროლს და შედგება ერთი მუხლისაგან. მასში აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ"კანონის შესაბამისად უფლებამოსილია დააწესოს კონტროლი ამ კანონისა და მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე". ამ კანონის ბოლო, მეცხრე კარი ეძღვნება ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან და ასევე შედგება ერთი მუხლისაგან. მასში მითითებულია, რომ „იმ შემთხვევაში თუ საქართველოს რესპუბლიკა ეკონომიკურ კავშირებს დაამყარებს სხვა სახელმწიფოებთან, საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოები ამ კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს შეასრულებენ საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონების საფუძველზე".

როგორც ვხედავთ, 1991 წლის აგვისტოს დასაწყისში საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონში „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ" გაწერილია, თუ ვინ შეიმუშავებს ქვეყანაში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ვინ და როგორ ახორციელებს ამ პოლიტიკას, რა ფუნქციები აკისრია შესაბამის ორგანოს; რა ურთიერთობები აკავშირებს ქვეყნის ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს, როგორ არეგულირებს ერონული ბანკი ვალუტის კურსს და ა. შ. ამასთან კანონში მითითებულია, რომ ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკას უნდა ჰქონდეს ანტიინფლაციური ხასიათი და ხელს უწყობდეს ეკონომიკის შეწონასწორებულ განვითარებას. გარდა ამისა, ამ კანონში მითითებულია აგრეთვე, რომ ეროვნული ბანკის მიერ წესდება მოქმედი ფულადი ერთეულის ოფიციალური კურსი უცხოურ ვალუტაში ქვეყნის ეკონომიკისა და საგადასახადო ბალანსის გათვალისწინებით და ეროვნული ბანკის გამგეობა ახდენს ასევე მოქმედი ფულადი ერთეულის საბაზრო კურსის რეგულირებას საქართველოს რესპუბლიკის სავალუტო ფონდიდან უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით.

II.

ზემოთ განხილულ კანონთან ერთად, საქართველოს უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შემუშავდა „კანონი ეროვნული ბანკის შესახებ"[1], რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ფულად-საფინანსო-საკრედიტო საქმიანობის წარმატებით წარმართვისათვის. ეს კანონი საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 1991 წლის 2 აგვისტოს. კანონი შედგება რვა კარისაგან და 31 მუხლისაგან. მისი პირველი კარი ეძღვნება ზოგად დე-

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნული ბანკის შესახებ. საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი, 1991 წელი, № 8, გვ. 39-48.

ბულებებს რომლის პირველი მუხლი – „რესპუბლიკის ეროვნული ბანკი" შედგება 11 პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში ეროვნული ბანკი) არის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი და მის საკუთრებას წარმოადგენს". მეორე პარაგრაფში კი მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი იქმნება ამ კანონის საფუძველზე საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე". ამავე მუხლის მესამე პარაგრაფში განსაზღვრულია ეროვნული ბანკის ამოცანები, კერძოდ: ეროვნული ფულის ერთეულის სიმტკიცის უზრუნველყოფა; დაკრედიტების, ანგარიშსწორების, ფულის მიმოქცევისა და სავალუტო ურთიერთობათა სფეროში სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის გატარება; კრედიტორებისა და მეანაბრეთა ინტერესების დაცვა კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების წესების განსაზღვრით და მათ შესრულებაზე კონტროლი; საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი ბაზრის შექმნა და მისი მსოფლიოს ეკონომიკაში ინტეგრირებისათვის ხელშეწყობა. მომდევნო, მეოთხე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყოველგვარ ხარჯებს უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლებით. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებებზე, არც საქართველოს მთავრობა არის პასუხისმგებელი ეროვნული ბანკის ვალდებულებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკი ან მთავრობა თავად იღებენ თავის თავზე ასეთ ვალდებულებებს". მომდევნო, მეხუთე პარაგრაფში მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი იცავს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან და სხვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებთან, სადაც სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება ქვეყნის ცენტრალური ბანკის დონეზე". მეექვსე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „ეროვნულ ბანკს აქვს უფლება გაწევრიანდეს სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან საერთაშორისო კავშირებში". მეშვიდე პარა-

გრაფი მიუთითებს, რომ ეროვნული ბანკი საქართველოში არსებული ყველა ბანკისათვის გამოსცემს სავალდებულო ნორმატიულ აქტებსა და სხვა მითითებებს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გარშემო". შემდეგ, მერვე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებზე დაყრდნობით ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებითა და საკუთარი წესდებით". მომდევნო მეცხრე-მეთერთმეტე პარაგრაფებში აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომლის წესდებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. ეროვნულ ბანკს და მის დანესებულებებს აქვთ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბით და თავისი სახელწოდებით. ეროვნული ბანკის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი". აღნიშნული კანონის მეორე მუხლი ეძღვნება ურთიერთობას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან და შედგება თორმეტი პარაგრაფისაგან. პირველ და მეორე პარაგრაფებში მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი თავისი ფუნქციების შესრულებისათვის ამ კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში მონაწილეობს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს უფლება აქვს სათათბირო ხმით მონაწილეობდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომების მუშაობაში. ეროვნული ბანკი კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს არა აქვთ უფლება ჩაერიონ მის საქმიანობაში. ბანკის საქმიანობაში არაკანონიერი ჩარევის შემთხვევაში მას აქვს უფლება გაასაჩივროს ეს ქმედებანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში".

მეორე მუხლის მომდევნო მესამე-მეექვსე პარაგრაფებში აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია ორი კვირით

შეაჩეროს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება საკითხის გარკვევამდე ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ეროვნული ბანკი ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ ერთმანეთს გათვალისწინებული ღონისძიების ჩატარების თაობაზე და ისწრაფოდნენ კოორდინირებული მოქმედებისაკენ. ეროვნულ ბანკს ეკრძალება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება და პირველადი განთავსებით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესაძენად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისათვის (საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსათვის) კრედიტების გამოყოფა. საგანგებო შემთხვევაში ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით შეუძლია გამოუყოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას (საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს) კრედიტი". აქვე, მერვე-მეთორმეტე პარაგრაფებში მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი უსასყიდლოდ უწევს საბანკო მომსახურებას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას (საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს), ახორციელებს რესპუბლიკური ბიუჯეტის საკასო შესრულებას და ატარებს საანგარიშსწორებო და სხვა ოპერაციებს. სახელმწიფო სახსრები ინახება ეროვნული ბანკის უპროცენტო ანგარიშებზე. ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით უსასყიდლოდ ახორციელებს შინაგანი და საგარეო ვალის მართვას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსების, პროცენტების გაცემის, რეფინანსირებისა და სესხების დაფარვის ოპერაციების წარმოებასთან. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებანი სახელმწიფო ვალის მართვის საკითხებში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონით „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის

შესახებ". ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მართავს საქართველოს რესპუბლიკის ვალუტის და ოქროს რეზერვებს. ეროვნული ბანკი და მისი დაწესებულებები თავისუფლდებიან ყველა სახის სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების, გამოსაღებების და სახელმწიფო ბაჟის (საგერბო და საბაჟოს ჩათვლით) გადასახადებისაგან. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში შესატანი ფულად-საკრედიტო რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტები ექვემდებარება ეროვნულ ბანკთან წინასწარ შეთანხმებას".

ამ კანონის მესამე მუხლი ეძღვნება ეროვნული ბანკის ფუნქციებს, რომლებიცაა:

ა) ფულის ემისია და ფულის მიმოქცევის ორგანიზება;

ბ) ეროვნული ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირება;

გ) როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორი, კომერციული ბანკების დაკრედიტება;

დ) კომერციულ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზაცია, ლიცენზიების გაცემა;

ე) რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის მომსახურება;

ვ) რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტთან ოპერაციების წარმოება;

ზ) ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოება;

თ) რესპუბლიკის სავალუტო და ძვირფასი ლითონების რეზერვების მართვა;

ი) კომერციული ბანკებისათვის საბანკო ოპერაციებისა და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოება;

კ) კომერციული ბანკების საქმიანობის კონტროლი;

ლ) საინფორმაციო სისტემისა და საბანკო სტატისტიკის ორგანიზაცია.

მეოთხე მუხლი ეძღვნება ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალსა და ფონდებს და აღნიშნულია, რომ „ეროვნულ ბანკს აქვს საწესდებო ფონდი, რომელიც ემსახურება მისი ვალდებულებების უზრუნველყოფას. ეროვნული ბანკის წესდებით განისაზღვრება საწესდებო ფონდის ოდენობა, მისი შექმნის წესი და წყაროები. ეროვნული ბანკი საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ქმნის სადაზღვევო და სარეზერვო ფონდებს ბანკების ანარიცხების ხარჯზე. ეროვნულ ბანკს შეუძლია შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ფონდები, რომელთა შექმნისა და გამოყენების წესებს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის წესდება“. მომდევნო, მეხუთე მუხლი ეხება ეროვნული ბანკის მოგებასა და მის განაწილებას და აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკის მოგება იქმნება თავისი საქმიანობიდან მიღებული ყველა შემოსავლისაგან და ნაწილდება ბანკის წესდების შესაბამისად. ეროვნულ ბანკს და მის დაწესებულებებს არა აქვთ უფლება იყვნენ კომერციული ბანკების ან სხვა დაწესებულებების აქციონერები, გარდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დაშვებული და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული გამონაკლისი შემთხვევებისა“. ამ კანონის პირველი კარის ბოლო, მეექვსე მუხლში განხილულია ეროვნული ბანკის ანგარიშგების საკითხები და აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკის საქმიანობის საანგარიშგებო პერიოდია წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ეროვნული ბანკი ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 აპრილისა, განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ანგარიშგებას, 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. ანგარიშგება უნდა შეიცავდეს რესპუბლიკის საბანკო სისტემის, ფულის მიმოქცევისა და ფინანსების, საგადასახადო ბალანსის და სავალუტო მდგომარეობის, აგრეთვე ეროვნული ბანკის ოპერაციების ანალიზს, წლიურ ბალანსად მოგება-ზარალის ანგარიშს. წლიური ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში

დადასტურებული უნდა იყოს აუდიტორული ორგანიზაციის მიერ".

„ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ" კანონის მეორე კარი ეძღვნება ეროვნული ბანკის საემისიო უფლებას და ფულის მიმოქცევის ორგანიზაციას და შედგება სამი მუხლისაგან: მეშვიდე, მერვე და მეცხრე მუხლებისაგან. მეშვიდე მუხლში განხილულია საქართველოს რესპუბლიკის ფულის ერთეული და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური ფულის ეროვნული ერთეული ფულის ნიშანი, რომლის სახელწოდება, სახე, შემადგენლობა, უზრუნველყოფა, სხვა აუცილებელი ნიშნები და დებულებები განისაზღვრება „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ფულადი სისტემის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონით". მომდევნო მერვე მუხლი ეხება ფულის ემისიას და მითითებულია, რომ „1. ეროვნული ბანკი წარმოადგენს რესპუბლიკის საემისიო ცენტრს და მხოლოდ მას აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების მიმოქცევაში გამოშვებისა და მიმოქცევიდან ამოღების უფლება. 2. ფულის უნაღდო ემისია ხორციელდება სადეპოზიტო-სასესხო ოპერაციების პროცესში. 3. ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო ბერკეტების მეშვეობით ახდენს ნაღდი და უნაღდო ემისიის რეგულირებას. 4. ფულის ემისიის გამოყენება უშუალოდ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აკრძალულია". ამ კარის ბოლო, მეცხრე მუხლში განხილულია ფულის ნიშნების მიმოქცევის ორგანიზაცია და აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად: ა) ახდენს ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ორგანიზებას; ბ) ადგენს ბანკებში ნაღდი ფულის გადაზიდვას, შენახვას და ინკასაციის წესს; გ) ადგენს ბანკნოტებისა და მონეტების სარეზერვო ფონდების შექმნის წესს; დ) ადგენს ფულადი ნიშნების ვარგისიანობის განსაზღვრის, აგრეთვე დაზიანებული ბანკნოტებისა და მონეტების გამოცვლისა და განადგურების წესს".

განსახილველი კანონის მესამე კარი ეძღვნება ფულად-საკრედიტო რეგულირებას და მოიცავს ერთ, მეათე მუხლს, იმავე სათაურით და აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკი „საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად ახორციელებს რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის მართვას, მიმოქცევაში ერთობლივი ფულადი მასის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილების გზით“.

აღნიშნული კანონის მეოთხე კარი ეძღვნება ეროვნული ბანკის ოპერაციებს, შედგება ხუთი მუხლისგან და იწყება მეთერთმეტე მუხლით, რომელშიც ასახულია ოპერაციები ბანკებთან. ამ მუხლში მითითებულია, რომ ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) კომერციულ ბანკებს მისცეს კრედიტები მსესხებლებთან შეთანხმებულ ვადებში:

ბ) შეიძინოს, გაყიდოს და აწარმოოს სხვა გარიგებები თამასუქებითა და ჩეკებით, რომელთაც აქვთ მათზე ვალდებული ცნობილი გადახდისუნარიანი სამი პირის ხელმოწერა და გადახდის ვადით არა უგვიანეს სამი თვისა შეძენის თარიღიდან;

გ) შეიძინოს, შეინახოს და გაყიდოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;

დ) გასცეს კრედიტები სამ თვემდე ვადით ამ მუხლის ბ და გ პუნქტებში მითითებული ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ, ამასთან, არა უმეტეს მათი საერთო თანხის 90 პროცენტისა;

ე) შეიძინოს და გაყიდოს უცხოური ვალუტა და ბანკების მიერ წაყენებული საგადასახადო საბუთები უცხოურ ვალუტაში;

ვ) შეიძინოს და გაყიდოს ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები.

მომდევნო მეთორმეტე მუხლში განხილულია ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და აღნიშნულია, რომ „ფულის მიმოქცევის რეგულირების მიზნით, ეროვნულ ბანკს შეუძლია შეიძინოს და გაყიდოს საბაზრო ფასებში თამასუქები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონის მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნებს, აგრეთვე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები“.

მეცამეტე მუხლი ეძღვნება ბანკებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზაციას და აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკი აწარმოებს კომერციულ ბანკებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზაციას საკორესპოდენტო ანგარიშების მეშვეობით ან სხვა კომერციული ბანკებისათვის მიზანშეწონილი ფორმით". მეთოთხმეტე მუხლში განხილულია ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ უფლებამოსილია აწარმოოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული ყველა ოპერაცია უცხოურ ვალუტაში". ამ კარის ბოლო მეთხუთმეტე მუხლი მოიცავს სავალუტო და ძვირფასი ლითონების რეზერვების მართვას და მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი მართავს სავალუტო და ძვირფასი ლითონების რეზერვებს, რომლებიც ეროვნული ბანკის ბალანსზეა და ემსახურება ეროვნული ბანკის ვალდებულებების უზრუნველყოფას. ამ რეზერვების განთავსებისა და შენახვის ოპერაციებს ეროვნული ბანკი აწარმოებს დამოუკიდებლად ან შესაბამისი რწმუნებით აღჭურვილი ბანკებისა და ორგანიზაციების მეშვეობით".

ამ კანონის მეხუთე კარში ასახულია ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის საკითხები და იწყება მეთექვსმეტე მუხლით და მთავრდება ოცდამეოთხე მუხლით. მეთექვსმეტე მუხლი ეძღვნება ეროვნული ბანკის კომერციულ ბანკებთან ურთიერთობის პრინციპებს და მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს კომერციული ბანკების ნორმალურ ფუნქციონირებას და მათ შორის კონკურენციისათვის თანაბარი პირობების შექმნას. ეროვნული ბანკი არ ერევა კომერციული ბანკების ოპერატიულ საქმიანობაში. რაც შეეხება ეროვნული ბანკის მარეგულირებელ და საკონტროლო ფუნქციებს, ისინი შეზღუდული არიან ამ კანონით და იცავენ ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობას და მეანაბრეთა ინტერესებს". მომდევნო მეჩვიდმეტე მუხლი „საბანკო ოპერაციების წარმოე-

ბისათვის ლიცენზიების გაცემა და მათი რეგისტრაცია“ მითითებულია, რომ „1. საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ლიცენზიებს გასცემს ეროვნული ბანკი „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად. 2. ეროვნული ბანკი აწარმოებს კომერციული ბანკების რეგისტრაციის საერთო რესპუბლიკურ რეესტრს“. მეთვრამეტე მუხლში კი მოცემულია უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემა და მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი აძლევს ლიცენზიებს კომერციულ ბანკებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებაზე მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად“. მეცხრამეტე მუხლში „სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების შექმნის წესების დადგენა“ მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მოგებიდან მოსალოდნელი ზარალის ასანაზღაურებლად გამიზნული სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების შექმნის საერთო წესს“. ამ კარის შემდეგ, მეოცე მუხლში „კომერციული ბანკებისათვის ეკონომიკური ნორმატივების დაწესება“ მითითებულია, რომ ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის წესდება შემდეგი ეკონომიკური ნორმატივები:

ა) საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;

ბ) ბანკის საკუთარი სახსრებისა და მისი აქტივების ზღვრული თანაფარდობა;

გ) ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებლები;

დ) ეროვნულ ბანკში მოსათავსებელი აუცილებელი რეზერვების ოდენობა;

ე) ერთ მსესხებელზე რისკის მაქსიმალური ოდენობა;

ვ) მოსახლეობიდან მოზიდული ანაბრების საკუთარ სახსრებთან ზღვრული თანაფარდობა (გარდა შემნახველი ბანკებისა).

ამავე კარის ოცდამეერთე მუხლში „ეროვნული ბანკის საკონტროლო ფუნქციები“ მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი აკონტროლებს კომერციული ბანკების მიერ საბანკო კანონმდებლობის დაცვას. ამ მიზნით კომერციული ბანკების

შემოწმებას აწარმოებს ეროვნული ბანკი ან მისი დავალებით აუდიტორული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს შესაბამისი რწმუნებანი". ოცდამეორე მუხლში „ეროვნული ბანკის უფლებამოსილებანი საბანკო კანონმდებლობის დარღვევის აღმოსაფხვრელად" ჩამოთვლილია შემდეგი ღონისძიებები:

„1. საბანკო კანონმდებლობის დარღვევების ფაქტების აღმოჩენისას ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს აუცილებელ მითითებებს აძლევს გამოვლენილი დარღვევების განსაზღვრულ ვადებში აღმოსაფხვრელად.

2. თუ კომერციული ბანკი სისტემატურად არღვევს ეკონომიკურ ნორმატივებს, არ ასრულებს ეროვნული ბანკის მიწერილობებს დარღვევების აღმოფხვრის ვადებისა და პირობების შესახებ, არ წარმოადგენს ან წარმოადგენს არაზუსტ ანგარიშგებას, ფუნქციონირებს ზარალიანად, ან რეალური საშიშროება ექმნება ბანკის მეანაბრეებსა და კრედიტორების ინტერესებს, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) დააყენოს საკითხი კომერციული ბანკის დამფუძნებლების (მონაწილეთა) წინაშე ბანკის ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების (საკუთარი სახსრების ზრდა, აქტივების სტრუქტურის შეცვლა და სხვა), ბანკის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ბ) მიუყენოს შემდეგი სანქციები: გადაახდევინოს ფულადი ჯარიმა ბანკის არასწორი ქმედებიდან მიღებული დამატებითი შემოსავლის ოდენობით; გაუზარდოს აუცილებელი რეზერვების ნორმა; გამოაცხადოს გაკოტრებულად კომერციული ბანკი „გაკოტრების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად; გააუქმოს ლიცენზიები საბანკო ოპერაციების წარმოებაზე".

ამავე კარის ოცდამესამე მუხლში, „ანტიმონოპოლიური უფლებამოსილებანი" მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს (აკრძალოს) საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციისაკენ მიმართული საბან-

კო კავშირებისა და გაერთიანებების ნებისმიერი ქმედება". ამ კარის ბოლო ოცდამეოთხე მუხლში „სადავო საკითხების გადაწყვეტის წესი" მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი შეიძლება გასაჩივრდეს კომერციული ბანკების მიერ ან მათი დამფუძნებლების მიერ სასამართლოში, ან სახელმწიფო არბიტრაჟში".

განსახილველი კანონის მეექვსე კარი – აღრიცხვა და ანგარიშგება ბანკებში – შედგება ორი, ოცდამეხუთე და ოცდამეექვსე მუხლებისაგან. ოცდამეხუთე მუხლი – აღრიცხვის წესები ბანკში – მითითებულია, რომ „ეროვნული ბანკი ადგენს ყველა ბანკისათვის საბუღალტრო აღრიცხვის წესებს". ხოლო ოცდამეექვსე მუხლში – კომერციული ბანკებისათვის ანგარიშგების დადგენა – აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკი განუსაზღვრავს კომერციულ ბანკებს საანგარიშგებო და სხვა საინფორმაციო მასალების მოცულობასა და ფორმებს".

ამ კანონის ბოლოსწინა, მეშვიდე კარი ეძღვნება ეროვნული ბანკის მოსამსახურეთა უფლებების რეგლამენტირებას და შედგება ერთი, ამავე სახელწოდების ოცდამეშვიდე მუხლისაგან და აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკის მოსამსახურეებს არა აქვთ უფლება იმუშაონ შეთავსებით და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მიიღონ ფულადი ანაზღაურება ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებისაგან (გარდა ჰონორარებისა და სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობისა) გახდნენ კომერციული ბანკების მეპაიეები (მონაწილეები) ან მიიღონ, რაიმე ფორმით, მონაწილეობა მათ მართვაში. ეროვნული ბანკის მოსამსახურეებს უფლება აქვთ მიიღონ სესხი მხოლოდ ეროვნულ ბანკში".

„ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ" კანონის ბოლო მერვე კარი – ეროვნული ბანკის მართვა – შედგება ორი, ოცდამერვე და ოცდამეცხრე მუხლებისაგან. ოცდამერვე მუხლი ეძღვნება ეროვნული ბანკის სტრუქტურას და აღნიშნულია:

„1. ეროვნული ბანკი წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც შედგება ცენტრალური აპარატისა

და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან.

2. ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკებში აქვს დაქვემდებარებული დაწესებულებები ამ რესპუბლიკების ცენტრალური ბანკების სტატუსით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ეროვნული ბანკისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბების, დახურვისა (გაუქმების) და ფუნქციონირების წესებს".

ამ კარის ბოლო, ოცდამეცხრე მუხლი ეძღვნება ეროვნული ბანკის მმართველობას, სადაც აღნიშნულია, რომ

„1. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ახორციელებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ეროვნული ბანკის გამგეობა.

2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ნიშნავს (5 წლით) და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით. ეროვნული ბანკის გამგეობის პერსონალურ შემადგენლობას ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს (5 წლით) და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან იქმნება მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობას პერსონალურად ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. მრჩეველთა საბჭოს ამოცანაა სისტემატურად გააანალიზოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების მიმდინარეობა რესპუბლიკაში და შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლებსაც, როგორც წესი, ითვალისწინებს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა.

4. ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური ბანკის სტატუსის მქონე ეროვნული ბანკის დაწესებულებების ხელმძღვანელებს ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული ბანკის გამგეობა ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს წარდგინებით.

5. ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და გამგეობის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, აგრეთვე გამგეობის მუშაობის რეგლამენტს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის წესდება ამ კანონის შესაბამისად.

„ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ" კანონის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით, შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის პრეზიდენტად საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებულებით დაინიშნა ბატონი გია თოფურია. როგორც ვხედავთ, ამ კანონის პირველივე მუხლში, რომელიც ეძღვნება ეროვნული ბანკის ამოცანებს, უმნიშვნელოვანესია: ეროვნული ფულის ერთეულის სიმტკიცის უზრუნველყოფა და ასევე მეანაბრეთა ინტერესების დაცვა. ამ საკითხებს იმიტომ წარმოვაჩენ ყველგან ხაზგასმით, რომ მკითხველმა ყურადღება მიაქციოს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული ხელისუფლება ქვეყნის მოსახლეობის ინტერესების დაცვას.

აქვე აღვნიშნავ, რომ იმთავითვე დაიწყო მუშაობა ქართული ფულის შექმნაზე და შემოღებაზე. ამასთან დაკავშირებით სიზუსტისათვის მოვიყვან ნაწყვეტს ბატონ დიტო ჩუბინიძის საინტერესო ინტერვიუდან ბატონ ნიკოლოზ მჟავანაძესთან, რადგან ამ ინტერვიუში მეც ვარ ნახსენები. ეს ინტერვიუ სათაურით „ქართული ფულის ესკიზები, რომელთა დაბეჭდვაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას არ დააცალეს!" (სხვათა შორის იქვე, ამ ინტერვიუშივე გამოქვეყნებულია ქართული ფულის, „მარჩილის" სამუშაო ვარიანტის ფოტოესკიზი) გამოქვეყნდა გაზეთ „ასავალ-დასავალში" და ინტერნეტგაზეთში „reportiori.ge" 2015 წლის 14 აპრილს[1].

„დ. ჩუბინიძე: მახსოვს ბატონი ზვიადის გამოსვლა, სადაც მან თქვა, ქართულ ფულზე ვმუშაობთო! გამსახურდიამ მაშინ ახსენა „მანეთი" და „მარჩილზე" რატომ შეაჩერეს არჩევანი?

---

[1] ქართული ფულის ესკიზები, რომელთა დაბეჭდვაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას არ დააცალეს! დ. ჩუბინიძის ინტერვიუ ნ. მჟავანაძესთან. ინტერნეტგაზეთი. რეპორტიორი.გე. 14 აპრილი, 2015 წელი.

ნ. მუავანაძე: მინდა გითხრათ, რომ საბოლოო ვარიანტის მიხედვით, ზვიად გამსახურდიას უფრო ბუნებრივი და ქართული ეჩვენა „ლარი“ და „თეთრი“, თუმცა თავდაპირველად სამუშაო ვარიანტად შეარჩიეს „მარჩილი“, რომლის ბანკნოტიც წარმოგიდგინეთ. მაშინ სააქციო საზოგადოება კავკასიის ბირჟის საბჭოს თავმჯდომარე იყო ამირან ქადაგიშვილი და მას ლიცენზიასთან დაკავშირებით შეექმნა რაღაც პრობლემა. აქედან გამომდინარე, მას ურთიერთობა მოუწია ეკონომიკური რეფორმების საბჭოს თავმჯდომარე გივი თაქთაქიშვილთან, რომელმაც ზვიად გამსახურდიას მეშვეობით ამირან ქადაგიშვილს პრობლემები მოუგვარა (ამის შესახებ ზემოთ მოგახსენეთ, იხილეთ გვ. 24 გ.თ.). ბატონ ამირანს ახლო კავშირები ჰქონდა ბრიტანულ კომპანია „დელარიუსთან“, რომელიც 150 ქვეყნის ეროვნულ ვალუტას ბეჭდავს; კომპანია „დელარიუ“ ასევე ბეჭდავს პასპორტებს, მართვის მოწმობებს, „ვიზაქარდს“ და ა. შ. სწორედ ამირან ქადაგიშვილმა შესთავაზა გივი თაქთაქიშვილს, რომ საქართველოს ეროვნული ვალუტა კომპანია „დელარიუს“ დაებეჭდა. მეორე დღეს თაქთაქიშვილი შეხვდა ზვიადს და პრეზიდენტი აღტაცებაში მოვიდა. სასწრაფოდ მოეწყო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ – პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, გივი თაქთაქიშვილი, ამირან ქადაგიშვილი და ტარიელ გელანტია – უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. „დელარიუ“ ქართულ მხარეს სთავაზობდა ძალიან ხელსაყრელ პირობებს – ეროვნულ ვალუტას ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „პოსლეზე“ გვიბეჭდავდნენ.

დ. ჩ.: რაღა მაინც და მაინც ამ „დელარიუზე“ შეაჩერეს ყურადღება, სხვა კომპანია არ არსებობდა?

ნ. მ.: არსებობდა ფრანგული კომპანია „ობერტური“, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდა ჯანო ბაგრატიონს და სხვათა შორის, სწორედ „ობერტურის“ დაბეჭდილია ლარი. საბოლოო აქცენტი მაინც „დელარიუზე“ გაკეთდა და რომელმაც მერე ქართული კუპონი დაბეჭდა. რომ იცოდეთ, კუპონის დაბეჭდ-

ვის ფული „დელარიუს“ შვიდი წლის შემდეგ გადაუხადა ქართულმა სახელმწიფომ. ერთი სიტყვით, ზვიად გამსახურდია აღტაცებული იყო და სხვათა შორის, სწორედ „ობერტურის“ დაბეჭდილია ლარი. საბოლოოდ აქცენტი მაინც „დელარიუზე“ გაკეთდა, მსჯელობდნენ სხვადასხვა ვარიანტზე, თუ ვინ და რა უნდა გამოესახათ ფულზე. განიხილებოდა თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, წმინდა გიორგის სახეები.

დ. ჩ.: ეს 100-მარჩილიანი ნომინალი ვინ დახატა?

ნ. მ.: შესანიშნავმა ქართველმა მოქანდაკემ და მხატვარმა, ბატონმა ელგუჯა ამაშუკელმა. სწორედ მას დაევალა ესკიზის შექმნა.

დ. ჩ.: ბატონო ნიკოლოზ, აქ არის შეცდომები...

ნ. მ.: ესკიზის შექმნაში მონაწილეობდნენ ბრიტანელებიც, რომლებმაც შეცდომები დაუშვეს. როგორც ვხედავთ, ელემენტარულ მართლწერაშიც კი შეცდომებია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის სამუშაო ვარიანტი და არაფერი დასრულებული არ არის. როგორც ვხედავთ, ნომინალს თან არ ახლავს არც ფინანსთა მინისტრისა და არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხელმოწერა... ბრიტანეთიდან სწორედ იმ დღეს ჩამოიტანეს ეროვნული ვალუტის ნომინალი საქართველოში და მიუტანეს ბატონ ამირან ქადაგიშვილს, როცა თბილისში შეიარაღებული პუტჩი დაიწყო! მოგეხსენებათ, ეს იყო 1991 წლის 22 დეკემბერი. ბატონი ამირან ქადაგიშვილი უზენაესი საბჭოს შენობაში ვერ შევიდა და ომის დროს ზვიად გამსახურდიამ ეს ნომინალი ვერ ნახა!

დ. ჩ.: საინტერესოა, მერე თუ ნახა ზვიადმა ფულის ესკიზი?

ნ. მ.: არ ვიცით, ალბათ, ვერ ნახა! სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიასთან მაშინ იმაზეც იყო ლაპარაკი, რომ „დელარიუს“ საწარმო თბილისშიც აშენებულიყო, რომელიც სხვა ქვეყნების ვალუტებსა და ფასიან ქაღალდებს დაბეჭდავდა. ერთი სიტყვით, საქართველო ემზადებოდა დიადი ცვლილებებისთვის, მაგრამ ქვეყნის დაუძინებელმა მტრებმა ტყვია

ესროლეს საქართველოს დამოუკიდებლობას და დაღუპეს ჩვენი სამშობლო!"

III.

აქვე შემოგთავაზებთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო საბიუჯეტო მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შემუშავებულ და 1991 წლის 2 აგვისტოს დამტკიცებულ კანონს „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ"[1]. ეს კანონი გამოქვეყნდა 1991 წლის 8 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში". კანონი ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ შედგება შვიდი კარისა და ოთხმოცდაშვიდი მუხლისაგან. კანონის პირველი კარი კი შვიდ მუხლს მოიცავს. პირველი მუხლი ეძღვნება ბანკების ცნებას და მითითებულია, რომ „ბანკი წარმოადგენს კომერციულ დაწესებულებას იურიდიული პირის სტატუსით, რომელიც შექმნილია ფულადი სახსრების მოზიდვისა და თავისი სახელით მათი განთავსების მიზნით დაბრუნებადობის, ფასიანობისა და ვადიანობის პირობით. ბანკები იქმნება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების ნებისმიერი ფორმით".

ზემოთ მოყვანილი კანონის პირველი კარის მეორე მუხლში – საფირმო დასახელება – მითითებულია, რომ ტერმინი „ბანკი" ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით შეიძლება ჩართული იქნეს იურიდიული პირის საფირმო დასახელებაში ან გამოყენებული იქნეს სარეკლამო მიზნებისათვის მხოლოდ იმ დანესებულებების მიერ, რომელთაც ამ კანონის საფუძველზე მინიჭებული აქვთ საბანკო ოპერაციების წარმოების უფლება".

მომდევნო, მესამე მუხლში დახასიათებულია საქართველოს რესპუბლიკის საბანკო სისტემა და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის საბანკო სისტემა მოიცავს:

[1] საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები 1991. № 8. თბილისი. გვ. 48-60.

ა) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკსა და მის დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობას არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ (ამ კანონის დებულებები გამოიყენება ეროვნული ბანკის მიმართ, როდესაც ამის შესახებ არის პირდაპირი მითითება);

ბ) კომერციულ ბანკებს, რომელთა საქმიანობას არეგულირებს ეს კანონი და მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები;

გ) სხვა საკრედიტო დაწესებულებებს (საქველმოქმედო, სადაზღვევო და საპენსიო ფონდებს, საინვესტიციო კომპანიებს). ერთობლივი[1] და უცხოეთის ბანკების[2], აგრეთვე უცხოეთის ბანკების ფილიალებსა და წარმომადგენლების საქმიანობას არეგულირებს ეს კანონი, აგრეთვე უცხოეთის ინვესტიციების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები“.

მეოთხე მუხლში განხილულია კომერციული ბანკების სახეობანი:

1. კომერციული ბანკები განსხვავდებიან:

ა) საწესდებო კაპიტალის კუთვნილებისა და შექმნის წესის მიხედვით – საპაიო, აქციონერული, ერთობლივი და უცხოეთის ბანკები;

ბ) საქმიანობის არეალის მიხედვით – სპეციალიზებული და უნივერსალური ბანკები;

გ) აგრეთვე დარგობრივი ორიენტაციის მიხედვით.

2. რესპუბლიკური, რეგიონალური თუ სხვა პროგრამების დასაფინანსებლად საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და პირობებით შეიძლება შეიქმნას სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკები.

3. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ შექმნან კავშირები, ასოციაციები და სხვა გაერთიანებები მათი ინტერესების დაცვისა და საქმიანობის კოორდინაციისათვის.

---

[1] უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი ბანკები.

[2] ბანკები, რომელთა საწესდებო ფონდები, მთლიანად უცხოური კაპიტალით არიან შექმნილი.

4. ბანკებს ეკრძალებათ თავიანთი კავშირები, ასოციაციები და სხვა გაერთიანებები გამოიყენონ ისეთი შეთანხმებების მისაღწევად, რომლებიც მიმართულია საბანკო ოპერაციების ბაზრის მონოპოლიზაციისაკენ საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოების ოდენობის დაწესების საკითხებში, აგრეთვე საბანკო საქმეში კონკურენციის შეზღუდვისაკენ. ანტიმონოპოლიური წესების დაცვას აკონტროლებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი".

მეხუთე მუხლი ეხება კომერციული ბანკების წესდებას, სადაც აღნიშნულია, რომ

„1. კომერციული ბანკი ფუნქციონირებს მისი დამფუძნებლის საერთო კრებაზე დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

2. კომერციული ბანკის წესდებაში განსაზღვრული უნდა იყოს:

ა) ბანკის დასახელება და ადგილსამყოფელი (საფოსტო მისამართი):

ბ) ბანკის მიერ შესასრულებელი ოპერაციები;

გ) ბანკის საწესდებო ფონდის მოცულობა და სხვა ფონდები, მათი შექმნის წესი წყაროს მითითებით;

დ) სამართლებრივი მდგომარეობა იმის მითითებით, რომ ბანკი იურიდიულ პირს წარმოადგენს;

ე) დებულება ბანკის მმართველობის ორგანოების, მათი შექმნის, ფუნქციონირებისა და სტრუქტურის, საბანკო საქმიანობის კონტროლის შესახებ;

ვ) ბანკის საქმიანობის შეწყვეტის წესი.

3. კომერციული ბანკის წესდება იქმნება ეროვნული ბანკის რეკომენდაციების საფუძველზე; ამასთან, დასაშვებია მასში გათვალისწინებული იქნეს სხვა დებულებებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და ასახავს ბანკის საქმიანობის თავისებურებებს".

მეექვსე მუხლში განხილულია კომერციული ბანკების ოპერაციები და მითითებულია შემდეგი:

1. კომერციული ბანკები იღებენ და განათავსებენ ფულად ანაბრებს, იზიდავენ და გასცემენ კრედიტებს, კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების დავალებებით ახორციელებენ ანგარიშსწორებასა და მათ საკასო მომსახურებას. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ სხვა ოპერაციებიც, რომლებიც გათვალისწინებულია მათი წესდებებით და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის:

ა) კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების ანგარიშების წარმოება;

ბ) კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება ინვესტირებადი სახსრების მფლობელის ან მათი განმკარგულებლის დავალებით;

გ) საგადასახადო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების (ჩეკები, აქციები, ობლიგაციები და სხვა) გამოშვება;

დ) სახელმწიფო საგადასახადო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა, გაყიდვა და შენახვა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები;

ე) მესამე პირის მაგივრად თავდებების, გარანტიებისა და სხვა ვალდებულებათა გაცემა, რომელთა შესრულებაც გათვალისწინებულია ფულად ფორმაში;

ვ) საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევიდან მოთხოვნის უფლების შესრულებაზე რისკის აღება და ამ მოთხოვნის იკასაცია (ფაქტორინგი);

ზ) საწარმოებისა და ორგანიზაციების თხოვნით მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ქონების შეძენა და იჯარით გაცემა (ლიზინგი);

თ) ორგანიზაციებისა და მოსახლეობისაგან უცხოური ვალუტის შეძენა და მათთვის მისი მიყიდვა;

ი) საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ ძვირფასი ლითონების, ბუნებრივი ძვირფასი ქვების, აგრეთვე მათგან დამზადებულ ნაკეთობათა შეძენა და გაყიდვა;

კ) ანგარიშებზე და ანაბრებზე ძვირფასი ლითონების მოზიდვა და განთავსება, აგრეთვე ამ ფასეულობებთან დაკავ-

შირებული სხვა ოპერაციები საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად;

ლ) კლიენტების დავალებით სამინდობილობო ოპერაციები (სახსრების მოზიდვა და განზიდვა, ფასიანი ქაღალდების მართვა და სხვა);

მ) საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

ამ მუხლში გათვალისწინებული ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს როგორც ეროვნულ ფულად ერთეულში, ასევე უცხოურ ვალუტაში.

2. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ლიცენზირების საფუძველზე განახორციელონ ოპერაციები უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

3. კომერციული ბანკები ვალდებული არიან ეროვნული ბანკის დავალებების საფუძველზე განახორციელონ ბიუჯეტის საკასო შესრულების ოპერაციები.

4. კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც საბანკო საქმიანობის სფეროს სცილდება, აგრეთვე საქმიანობა ყველა სახის დაზღვევის სფეროში".

მეშვიდე მუხლი ეძღვნება კომერციული ბანკების დამოუკიდებლობას. აქ აღნიშნულია, რომ კომერციული ბანკები სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთ ოპერატიულ საქმიანობას. კომერციული ბანკები პასუხს არ აგებენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვალდებულებებზე, ისევე როგორც მთავრობა არ არის პასუხისმგებელი ბანკების ვალდებულებებზე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც მთავრობა ან ბანკი თავად იღებს ასეთ ვალდებულებებს".

ამ კანონის მეორე კარი ეძღვნება კომერციული ბანკების გახსნისა და ლიკვიდაციის წესს და მოიცავს მერვე-მეცხრამეტე მუხლებს. მერვე მუხლში – კომერციული ბანკების დამფუძნებლები, აქციონერები (მონაწილეები) – მითითებულია:

„1. კომერციული ბანკის დამფუძნებლები, აქციონერები (მონაწილეები) შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონის ორგანო და მათი აღმასრულებელი ქვედანაყოფები, როგორც წესი, არ შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკის დამფუძნებლები. თითოეული მონაწილის წილი არ უნდა აღემატებოდეს საწესდებო კაპიტალის 35 პროცენტს.

2. უცხოური და ერთობლივი ბანკების შექმნისას ერთ-ერთი უცხოური დამფუძნებელი, როგორც წესი, უნდა იყოს ბანკი“.

მეცხრე მუხლში – კომერციული ბანკების საქმიანობის ლიცენზირების წესი – მითითებულია შემდეგი: „კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საბანკო ოპერაციების წარმოებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე“.

მეათე მუხლში მოცემულია ლიცენზიების მისაღებად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი და აღნიშნულია:

„1. საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების მისაღებად აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ა) შუამდგომლობა ლიცენზიის მისაღებად;

ბ) დამფუძნებელი საბუთები, დამფუძნებელი ხელშეკრულება, ბანკის წესდება, ოქმი წესდების დამტკიცებისა და ბანკის მმართველობითი ორგანოების დანიშვნის შესახებ;

გ) ეკონომიკური დასაბუთება გაანგარიშებითი ბალანსის, შემოსავალ-გასავლისა და მოგების გეგმის[1*] აუცილებელი დართვით;

დ) დამფუძნებლების საფინანსო მდგომარეობის შესახებ აუდიტორული ორგანიზაციის დასკვნა;

[1*] მონაცემები კეთდება ეკონომიკურად დასაბუთებული პროგნოზის სახით.

ე) მონაცემები ბანკის ხელმძღვანელების (გამგეობის თავმჯდომარე და მთავარი ბუღალტერი) პროფესიული შესაბამისობის შესახებ, მათი უმწიკვლო რეპუტაციის და, როგორც წესი, საბანკო მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით;

ვ) დოკუმენტი გაცემული ლიცენზიების ფარგლებში საწესდებო ვალდებულებების შესასრულებლად ვარგისი შენობის არსებობის შესახებ;

ზ) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

2. საწესდებო ფონდის მინიმალურ ოდენობას, აგრეთვე მისი განაღდების წესსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის სახეობის მიხედვით".

მომდევნო მეთერთმეტე მუხლში კი მოცემულია ერთობლივი და უცხოეთის ბანკების, აგრეთვე უცხოეთის ბანკების ფილიალების მიერ ლიცენზიის მისაღებად აუცილებელი დამატებითი დოკუმენტაცია და პირობები. აქ აღნიშნულია:

„1. საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების მისაღებად ერთობლივი და უცხოეთის ბანკები, აგრეთვე უცხოეთის ბანკების ფილიალები ამ კანონის მე-10 მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა წარმოადგენენ დადგენილი წესით ლეგალიზებულ შემდეგ დოკუმენტებს:

ა) უცხოური იურიდიული პირები:

უცხოური დამფუძნებლების (მონაწილეების) შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბანკის შექმნაში ან ფილიალის გახსნაში მათი მონაწილეობის შესახებ;

იმ ქვეყნის საკონტროლო ორგანოს წერილობით თანხმობას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს უცხოური დამფუძნებელი (მონაწილე), საქართველოს ტერიტორიაზე ერთობლივი ბანკის შექმნაში მონაწილეობის მიღების ან ფილიალის გახსნის თაობაზე, თუ ასეთი გათვალისწინებულია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

ბ) უცხოელი მოქალაქეები:

უცხოეთის პირველი კლასის ბანკების მოწმობას, პიროვნების გადახდისუნარიანობის შესახებ;

რეკომენდაციები არანაკლებ ორი უცხოური ცნობილი გადახდისუნარიანი იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან.

2. ყველა კომერციული ბანკისათვის თანაბარი საკონკურენტო პირობების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს შეუძლია უცხოეთისა და ერთობლივი ბანკების დამფუძნებლებს წაუყენოს დამატებითი მოთხოვნები მათი საწესდებო კაპიტალის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის ნაწილში".

მეთორმეტე მუხლში გადმოცემულია შუამდგომლობის განხილვის ვადები და ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობა, და მიუთითებს:

„1. შუამდგომლობებს ლიცენზიების გაცემის თაობაზე რესპუბლიკის ეროვნული ბანკი განიხილავს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა ამ კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარმოდგენის დღიდან. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში ეროვნული ბანკი დამფუძნებლებს მათივე მოთხოვნით უხდის ჯარიმას დაგვიანების თითოეულ დღეზე განაღდებული საწესდებო ფონდის 0,01 პროცენტის ოდენობით.

2. შუამდგომლობა განხილულად ითვლება კომერციული ბანკების დამფუძნებლებისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების გაგზავნის დღიდან".

მეცამეტე მუხლში განხილულია ლიცენზიების გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

„რესპუბლიკის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საბანკო ოპერაციების წარმოების ლიცენზიების გაცემაზე ამ მუხლში ჩამოთვლილ ნებისმიერ საფუძველზე:

ა) დამფუძნებელი ხელშეკრულებისა და წესდების შეუსაბამობა საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ კანონმდებლობასთან;

ბ) დამფუძნებლების არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საწესდებო

ფონდის დადგენილ ვადებში განაღდებას და საფრთხეს უქმნის ბანკის მეანაბრეებისა და კრედიტორების ინტერესებს;

გ) კომერციული ბანკის ხელმძღვანელების (თავმჯდომარე და მთავარი ბუღალტერი) პროფესიული შეუსაბამობა (ეროვნული ბანკის დასკვნით);

დ) გაცემული ლიცენზიების ფარგლებში საწესდებო ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო სამსახურებრივი შენობის არარსებობა;

ე) რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები".

მეთოთხმეტე მუხლი ეძღვნება კომერციული ბანკების რეგისტრაციას და მითითებულია შემდეგი:

„1. საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ახდენს კომერციული ბანკის რეგისტრაციას და აცნობებს მას სარეგისტრაციო ნომერს.

2. კომერციულ ბანკს რეგისტრაციის მომენტიდან ენიჭება იურიდიული პირის სტატუსი".

მეთხუთმეტე მუხლში განხილულია კომერციული ბანკების ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნის წესი, კერძოდ:

„1.ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ გახსნან თავიანთი ფილიალები და წარმომადგენლები საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ეროვნული ბანკის თანხმობითა და რეგისტრაციით.

2. კომერციული ბანკების ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხდება შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე".

მეთექვსმეტე მუხლი ეძღვნება ლიცენზიების გამოთხოვის საფუძვლებს:

„1. ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოითხოვოს საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიები შემდეგ შემთხვევაში:

ა) თუ აღმოჩნდა, რომ ლიცენზია გაცემულია არასწორი მონაცემების საფუძველზე;

ბ) თუ ბანკის საქმიანობის დაწყება შეფერხდა ლიცენზიის გაცემიდან ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში;

გ) თუ დაწესებულ ვადებში არ შესრულდა საწესდებო ფონდის დადგენილი თანხის განაღდების ვალდებულება;

დ) თუ გამოვლინდა ამ კანონის მე-6 მუხლით აკრძალული ოპერაციების წარმოების ან წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებათა გადამეტების ფაქტები;

ე) თუ გამოვლინდა ანტიმონოპოლიური კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები.

ლიცენზიის გამოთხოვა შეიძლება მოხდეს აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ყველა ლიცენზიის გამოთხოვა მოქმედებს როგორც გადაწყვეტილება ბანკის ლიკვიდაციის შესახებ.

ლიცენზიის გამოთხოვა წარმოადგენს უკიდურეს ზომას, რომელსაც, როგორც წესი, წინ უნდა უძღოდეს გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად გამაფრთხილებელი ზომების გატარება".

მეჩვიდმეტე მუხლში საუბარია ეროვნული ბანკისათვის კომერციული ბანკების დამფუძნებელ დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებების შეტყობინებათა აუცილებლობაზე, კერძოდ, „კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან ერთი თვის განმავლობაში აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს დამფუძნებელ დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებების შესახებ. შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს ამ დოკუმენტების სანოტარო კანტორის მიერ დამოწმებული ასლები, თუ აღნიშნული ცვლილებები იძლევა ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს, მაშინ შეიძლება ლიცენზიის

გამოთხოვა ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

მეთვრამეტე მუხლში – კომერციული ბანკების საქმიანობის შეწყვეტა – მითითებულია, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შეწყვეტა ხდება ამ კანონით და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე რესპუბლიკაში მოქმედი სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად“.

ამ კანონის მეორე კარის ბოლო მეცხრამეტე მუხლში – დავის გადაწყვეტისა და გასაჩივრების წესი – აღნიშნულია: „კომერციულ ბანკებსა და მათ დამფუძნებლებს შეუძლიათ გაასაჩივრონ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებისა და საკონტროლო ფუნქციების შესრულების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სასამართლოში ან არბიტრაჟში“.

მომდევნო მესამე კარი ეძღვნება ბანკის ფინანსური სიმტკიცისა და კლიენტების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას. ეს კარი მოიცავს სამ, მეოცე-ოცდამეორე მუხლებს. მეოცე მუხლში – კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკური ნორმების დაცვა – მითითებულია, რომ „ბანკების ფინანსური სიმტკიცისა და კლიენტების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად კომერციული ბანკები ვალდებული არიან დაიცვან ეროვნული ბანკის მიერ „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივები, აგრეთვე შექმნან სადაზღვევო და სარეზერვო ფონდები“.

ოცდამეერთე მუხლში საუბარია საბანკო საიდუმლოების შესახებ:

„1. ბანკები იძლევიან თავიანთი კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტთა ოპერაციების, ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ საიდუმლოების შენახვის გარანტიას. ბანკის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია შეინახოს საიდუმლოება

კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების ოპერაციების ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ.

2. ცნობები იურიდიული პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ შეიძლება მიეცეთ თვით იურიდიულ პირებს, მათ ზემდგომ ორგანოებს, სასამართლო, საგამოძიებო და საარბიტრაჟო ორგანოებს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკსა და აუდიტორულ ორგანიზაციებს, აგრეთვე სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებს დაბეგვრის საკითხებზე.

3. ცნობები მოქალაქეთა პირადი ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ, თვით კლიენტებსა და მათი წარმომადგენლების გარდა, მიეცემათ სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტების ანგარიშებსა და ანაბრებზე არსებულ ფულად სახსრებსა და ფასეულობებზე შეიძლება დადებული იქნეს ყადაღა, მიქცეულ იქნეს გადასახდევინებლად ან გამოყენებული იქნეს ქონების კონფისკაცია.

4. ცნობები ანგარიშებისა და ანაბრებისა შესახებ, მათი მფლობელის სიკვდილის შემთხვევაში, გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც მითითებულნი არიან ბანკში გაცხადებულ საანდერძო განკარგულებაში, აგრეთვე სახელმწიფო სანოტარო კანტორების მოთხოვნით მათ წარმოებაში არსებული გარდაცვლილი მეანააბრეების სამემკვიდრეო საქმეებზე და აგრეთვე უცხოეთის საკონსულო დაწესებულებებზე".

მესამე კარის ბოლო ოცდამეორე მუხლში აღნიშნულია, ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და სხვა ფასეულობებზე ყადაღის დადებასა და გადასახდევინებლად მოქცევის შესახებ: „1. იურიდიული და ფიზიკური პირების, უცხოეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და სხვა ფასეულობებზე ყადაღის დადება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, საგამოძიებო და არბიტრაჟის ორგანოების დადგენილებით, ხოლო გადახდევინება – მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლით, სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებით

და სხვა აღმასრულებელი დოკუმენტებით, აგრეთვე სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნით.

2. მოქალაქეთა ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და ფასეულობებზე ყადაღის დადება ან სახსრების გადახდევინება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს განაჩენით ან გადაწყვეტილებით.

მოქალაქეთა ფულადი სახსრებისა და ფასეულობების კონფისკაცია შეიძლება მოხდეს ძალაში შესული განაჩენის ან ქონების კონფისკაციის შესახებ კანონის შესაბამისად გამოტანილი დადგენილების თანახმად".

ზემოთ აღნიშნული კანონის მეოთხე კარი ეძღვნება ბანკებს შორის ურთიერთობასა და კომერციული ბანკების მიერ კლიენტების მომსახურებას და მოიცავს ოცდამესამე-ოცდამეცხრე მუხლებს. ოცდამესამე მუხლში განხილულია ბანკთაშორისი დეპოზიტები, საკრედიტო და სხვა ოპერაციები და მითითებულია:

„1. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ სახელშეკრულებო საფუძველზე მოიზიდონ და ერთმანეთთან განათავსონ თანხები დეპოზიტების ან კრედიტების სახით, აგრეთვე აწარმოონ ერთმანეთთან სხვა მათი წესდებებით გათვალისწინებული ოპერაციები.

2. კლიენტურის დაკრედიტებისა და აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის, თანხების უკმარისობის შემთხვევაში, კომერციულმა ბანკებმა კრედიტის მისაღებად შეიძლება მიმართონ ეროვნულ ბანკს. აღნიშნული ოპერაციების წესებსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი".

ოცდამეოთხე მუხლში – კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი – აღნიშნულია, რომ „კომერციული ბანკები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საპროცენტო განაკვეთებსა და საკომისიო გასამრჯელოს ოდენობას „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის მე-16 მუხლის დებულების გათვალისწინებით".

ოცდამეხუთე მუხლი ეხება ბანკებისა და კლიენტების ურთიერთობის სახელშეკრულებო ხასიათს და აღნიშნულია:

„1. ბანკებსა და კლიენტებს შორის ურთიერთობა სახელშეკრულებო ხასიათს ატარებს.

2. კლიენტები დამოუკიდებლად ირჩევენ ბანკებს საკრედიტო-სააგარიშსწორებო და საკასო მომსახურებისათვის და შეუძლიათ ისარგებლონ ყველა სახის საბანკო მომსახურებისათვის როგორც ერთ, ისე რამდენიმე ბანკში, ამ უკანასკნელის თანხმობით“.

ოცდამეექვსე მუხლი ეძღვნება ანგარიშსწორების ფორმებს და მითითებულია, რომ ბანკები ანგარიშსწორებას ახორციელებენ რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით. თუ ანგარიშსწორების რომელიმე ფორმა არ არის განსაზღვრული ეროვნული ბანკის მიერ, კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო პრაქტიკით“.

ოცდამეშვიდე მუხლში საუბარია კრედიტების დაბრუნებადობის უზრუნველყოფაზე:

„1. კრედიტების თავის დროულად დაბრუნებადობის უზრუნველყოფის სახით ბანკები იღებენ გირაოს, გარანტიებს, მინდობილობებს, აგრეთვე ვალდებულებებს საბანკო პრაქტიკაში მიღებული სხვა ფორმით.

2. ბანკებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება უზრუნველყოფის გარეშე კრედიტების გაცემაზე (საბანკო კრედიტი)“.

მომდევნო ოცდამერვე მუხლში – მსესხებლის გამოცხადება გადახდისუუნაროდ – აღნიშნულია შემდეგი:

„1. მსესხებელი, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა კრედიტის დაბრუნების ვალდებულება, შეიძლება ბანკის მიერ გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ.

2. მსესხებლის გადახდისუუნაროდ გამოცხადების შესახებ ბანკები აცნობებენ მის ძირითად კრედიტორებს, ზემდგომ ორგანოს, სადაც მოხდა მსესხებლის, როგორც იურიდიული პირის, რეგისტრაცია, აგრეთვე დამფუძნებლებს (მონაწილეებს)“.

ოცდამეცხრე მუხლში განხილულია ზომები გადახდისუუნაროდ გამოცხადებული მსესხებლის მიმართ, კერძოდ:

„1. გადახდისუუნაროდ გამოცხადებული მსესხებლის მიმართ, ბანკის წინადადებით, შეიძლება მიღებული იქნეს შემდეგი ზომები:

ა) ოპერატიული მმართველობის გადაცემა ბანკ-კრედიტორების მონაწილეობით დროებით დანიშნული ადმინისტრაციისათვის;

ბ) რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

2. ბანკის მიერ შეთავაზებულ ზომებს, გამომდინარე მსესხებლის სამართლებრივი სტატუსიდან, ახორციელებს მისი ზემდგომი ორგანიზაცია, ორგანო, რომელმაც მოახდინა იურიდიული პირის რეგისტრაცია, ან დამფუძნებლები (მონაწილეები)“.

ამ კანონის მომდევნო, მეხუთე კარი ეძღვნება საშემნახველო საქმეს და მოიცავს ოცდამეათე – ოცდამეთორმეტე მუხლებს. ოცდამეათე მუხლში განხილულია მოსახლეობის ანაბრები და მითითებულია შემდეგი:

„1. მოსახლეობის ანაბრების მიღების უფლება აქვს ყველა კომერციულ ბანკს.

2. ბანკები დამოუკიდებლად აწესებენ მოსახლეობისაგან ანაბრების მიღების ოპერაციების წარმოების პირობებს.

3. შემოსავლები ანაბრებზე დაბეგვრას არ ექვემდებარება.

4. ბანკები ანაბრებზე ფულის მიღებას აწარმოებენ სათანადო საანაბრო დოკუმენტის გაცემით“.

ოცდამეთერთმეტე მუხლი ეძღვნება ბანკების ვალდებულებებს ანაბრების მიღებასთან დაკავშირებით და მითითებულია, რომ „კომერციულმა ბანკებმა, რომლებიც მოიზიდავენ მოსახლეობის ანაბრებს, ისე უნდა გამოიყენონ მოზიდული სახსრები, რომ უზრუნველყონ სახსრების დაცულობა და მეანაბრის წინაშე ვალდებულებების თავისდროული შესრულება. ამ მიზნით კომერციული ბანკები ვალდებული არიან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგე-

ნილი წესითა და პირობებით შექმნან ანაბრების დაზღვევის ბანკთაშორისი ფონდები".

მეხუთე კარის ბოლო, ოცდამეთორმეტე მუხლი ეხება მეანაბრეებს და აღნიშნულია შემდეგი:

„1. მეანაბრეები შეიძლება იყვნენ რესპუბლიკის მოქალაქეები, უცხოეთის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

2. მეანაბრეებს შეუძლიათ განკარგონ თავიანთი ანაბრები, მიიღონ შემოსავალი ანაბრებზე პროცენტების სახით ან ბანკის მიერ შემოთავაზებული სხვა ფორმით, მოახდინონ უნაღდო ანგარიშსწორებები.

3. მეანაბრეს შეუძლია მისცეს ბანკს განკარგულება თავისი სიკვდილის შემთხვევაში გადასცეს ანაბარი ნებისმიერ პიროვნებას, სახელმწიფოს ან სხვა იურიდიულ პირს. ანაბარს, რომელზეც არ არის გაკეთებული რაიმე განკარგულება, მეანაბრის სიკვდილის შემთხვევაში ბანკები გასცემენ მემკვიდრეებზე რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4. კომერციული ბანკები ვალდებული არიან დაიცვან ანაბრებზე არასრულწლოვანთა უფლებები რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად".

მომდევნო, მეექვსე კარი ეძღვნება აღრიცხვა-ანგარიშგებას კომერციულ ბანკებში და მათი საქმიანობისადმი კონტროლს და მოიცავს ოცდამეცამეტე-ოცდამეთექვსმეტე მუხლებს. ოცდამეცამეტე მუხლი ეხება აღრიცხვა-ანგარიშგებას კომერციულ ბანკებში და მითითებულია შემდეგი: „ბუღალტრული აღრიცხვის წესებს კომერციული ბანკებისათვის, მათ მიერ ეროვნულ ბანკში წარსადგენი საანგარიშგებო და სხვა მასალების ხასიათს, ვადებსა და მოცულობას აწესებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი".

ოცდამეთოთხმეტე მუხლში განხილულია წლიური ბალანსებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგების გამოქვეყნება და მითითებულია, რომ „კომერციული ბანკები აქვეყნებენ წლიურ ბალანსებსა და მოგება-ზარალის ანგარიშებს ერონუ-

ლი ბანკის მიერ დადგენილი ფორმით და დაწესებულ ვადებში მას შემდეგ, რაც მათში მოყვანილი მონაცემების უტყუარობა დადასტურებული იქნება აუდიტორული ორგანიზაციის მიერ".

ოცდამეთხუთმეტე მუხლი ეძღვნება კომერციული ბანკების კონტროლს და მითითებულია: „კომერციული ბანკების საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის შესაბამისად".

მეხუთე კარის ბოლო ოცდამეთექვსმეტე მუხლში განხილულია აუდიტორული შემოწმებების შესახებ და აღნიშნულია, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობას ამოწმებენ ასეთი შემოწმების ჩატარების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი რწმუნებულებებით აღჭურვილი აუდიტორული ორგანიზაციები".

საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ კანონის ბოლო, მეშვიდე კარი ეძღვნება კანონის გამოყენების თავისებურებებს და მოიცავს მხოლოდ ერთ, ოცდამეჩვიდმეტე მუხლს. ამ მუხლს იგივე სათაური აქვს, რაც მეშვიდე კარს და აღნიშნულია, რომ „ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ იმ ბანკებზე, რომლებიც შექმნილია რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე".

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" კანონით საქართველოში კომერციულ ბანკებს ეკრძალებოდათ ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც სცილდებოდა საბანკო საქმიანობის სფეროს და აგრეთვე ყველა სახის სადაზღვევო საქმიანობას. აქვე მითითებულია, რომ საქართველოში კომერციული ბანკები სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთ ოპერატიულ საქმიანობას. კომერციული ბანკები პასუხს არ აგებენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვალდებულებებზე, ისევე, როგორც მთავრობა

არ არის პასუხისმგებელი ბანკების ვალდებულებებზე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც მთავრობა ან ბანკი თავად იღებს ასეთ ვალდებულებას. რაც შეეხება კომერციული ბანკის დაფუძნებას, აღნიშნულ კანონში მითითებულია, რომ კომერციული ბანკის დამფუძნებლები, აქციონერები (მონაწილეები) შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონის ორგანო და მათი აღმასრულებელი ქვედანაყოფები, როგორც წესი, არ შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკის დამფუძნებლები. ამასთან, თითოეული მონაწილის წილი არ უნდა აღემატებოდეს საწესდებო კაპიტალის 35 პროცენტს და როგორც წესი, მითითებულია, რომ კრედიტების განკუთვნილ დროს დაბრუნების უზრუნველსაყოფად ბანკები იღებენ გირაოს, გარანტიებს, მინდობილობებს, აგრეთვე ვალდებულებებს საბანკო პრაქტიკაში მიღებული სხვა ფორმით; კომერციულმა ბანკებმა, რომლებიც მოსახლეობის ანაბრებს მოიზიდავენ, ისე უნდა გამოიყენონ ეს სახსრები, რომ უზრუნველყონ მათი დაცულობა და მეანაბრის წინაშე ვალდებულება შეასრულონ.

როგორც ვიცი, ამჟამად კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, თავიანთი საქმიანობა წარმართონ ეკონომიკის ყველა სფეროში და თავიანთი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკაში მონოპოლიური მდგომარეობა უკავიათ, რითაც ზღუდავენ ეკონომიკის კონკურენტულ განვითარებას. აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკები, ბუნებრივია, თავიანთ კონკურენტებს შეუზღუდავენ კრედიტის მიცემას ან უკეთეს შემთხვევაში კრედიტს მისცემენ კაბალური პირობებით. ამასთან, უზომოდ მაღალ მოგებას გამოდევნებული ბანკები კრედიტებს მეტწილად არ გასცემენ დაბალ რენტაბელურ წარმოებებზე, მით უმეტეს სოფლის მეურნეობაში. ამიტომაცაა, რომ ეს ბანკები კრედიტებს ძირითადად გასცემენ ვაჭრობით და განსაკუთრებით იმპორტით დასაქმებულ ფირმებზე. მაგალითად, 2019 წელს საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობი-

დან სოფლის მეურნეობაზე, მეთევზეობასა და თევზჭერაზე მოდიოდა 2,7%, მრეწველობაზე – 24,6%, ხოლო ვაჭრობის წილად მოდიოდა 30,2%. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2005-2015 წლებში საქართველოს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობაში მრეწველობის წილი 27,2-დან 10,0%-მდე შემცირდა და მხოლოდ 2015-2020 წლებში გაიზარდა 24,6%-მდე. ამ პერიოდშიც საკმაოდ მოიმატა ამ დარგის პროდუქციის წარმოებამ. მართლაც, თითქმის 1,5-ჯერ გაიზარდა. საერთოდ კი კომერციული ბანკების მიერ საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული კრედიტების მოცულობა 2005-2019 წლებში 12,2-ჯერ გაიზარდა და 2019 წელს 8820 მილიონ ლარს მიაღწია. სხვათა შორის, საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი იყო საპროცენტო განაკვეთი კომერციული ბანკების კრედიტებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, მისი დონე 2005-2019 წლებში თითქმის განახევრდა: თუ 2005 წელს საპროცენტო განაკვეთი კომერციული ბანკების კრედიტებზე იურიდიული პირებისათვის მერყეობდა 15,7%-24,1%-ს შორის, ხოლო 2019 წელს კი 7%-12%-ს შორის.[1] ბუნებრივია, საპროცენტო განაკვეთის შემცირებამ უფრო ხელმისაწვდომი გახადა კრედიტი იურიდიული პირებისათვის.

საქართველოს უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივმოქმედი კომისიის ეს სამი კანონი: „ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ", „ეროვნული ბანკის შესახებ" და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" იყო ძალზე მნიშვნელოვანი კანონები ქვეყნის საკრედიტო, საბანკო და საერთოდ, ფინანსური სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აქ განხილული სამი კანონის პროექტებზე მუშაობისას პრესაში გამოქვეყნდა მრავალი სპეციალისტის გამოხმაურება, კერძოდ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში". აქ დავასახელებ რამდენიმეს: „საქართველოში საბანკო სისტემის შექმნის ერთი პრობლემის შესახებ".

[1] გაანგარიშებულია საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე.

ი. კორტავა (02.07.1991.), „როგორი უნდა იყოს საქართველოს ბანკი? ინტერვიუ საქართველოს შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარესთან, ნ. ვახტანგიშვილთან (09.07.1991.), ინტერვიუ კოოპერატიული ბანკის, „სანდროს“ თავმჯდომარესთან, ტ. ჩიჩუასთან (24.07.1991.) და სხვები.

IV.

ამავე კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა კანონპროექტი „საწარმოთა მოგების გადასახადის შესახებ“[1]. 1991 წლის 30 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, იმ დროს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო, უზენაესმა საბჭომ ვერ მოასწრო ამ კანონპროექტის კანონად მიღება. ამ კანონპროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობ მის ტექსტს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი (პროექტი) საწარმოთა მოგების გადასახადის შესახებ შედგება ათი მუხლისაგან. მისი პირველი მუხლი ეძღვნება გადასახადის გადამხდელებს და მითითებულია შემდეგი:

„1. მოგების გადასახადის გადამხდელები არიან:

ა) საწარმოები, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ (გარდა ინდივიდუალური საწარმოებისა);

ბ) ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებები, რომლებიც ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე იმ ერთობლივ საწარმოთა ფილიალები, რომლებიც სხვა ქვეყნების ტერიტორიაზეა შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის საწარმოთა მონაწილეობით;

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი, /პროექტი/ საწარმოთა მოგების გადასახადის შესახებ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 30.09.1991.

გ) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები (გაერთიანებები), რომლებიც ახორციელებენ სამეურნეო და სხვა სახის კომერციულ საქმიანობას;

დ) უცხოელი იურიდიული პირები".

მომდევნო, მეორე მუხლში – დასაბეგრი მოგების გაანგარიშება – აღნიშნულია, რომ

„1. დასაბეგრი მოგება გამოიანგარიშება საბალანსო მოგებიდან, რომელიც წარმოადგენს პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) და სხვა მატერიალური ფასეულობების რეალიზაციის შედეგად, მოგებისა და რეალიზაციის გარეშე, ოპერაციებიდან მიღებული მოგების ჯამს. რეალიზაციის გარეშე ოპერაციებს მიეკუთვნება ისეთი ოპერაციები, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) წარმოებასა და რეალიზაციასთან. რეალიზაციის გარეშე ოპერაციების შემოსავლებს მიეკუთვნება შემოსავლები, რომლებიც მიიღება: ერთობლივ საწარმოებში წილობრივი მონაწილეობიდან, ქონების იჯარით გაცემიდან, აგრეთვე საწარმოს კუთვნილი აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების დივიდენდები, ეკონომიკური სანქციების სახით მიღებული თანხები. საწარმოს განკარგულებაში დატოვებული მოგების ხარჯზე სანქციების სახით ბიუჯეტში შეტანილი თანხები მოგების დაბეგვრის დროს გამოირიცხება რეალიზაციის გარეშე ოპერაციების ხარჯებიდან.

2. დასაბეგრი მოგების გამოანგარიშების მიზნით, საბალანსო მოგება იზრდება (მცირდება) ძირითად საქმიანობაში დასაქმებული საწარმოს პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯების ნამეტი თანხით მის ნორმირებულ სიდიდესთან შედარებით. საბალანსო მოგება მცირდება აგრეთვე რენტის გადასახდელებით, საწარმოს კუთვნილი აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდებისაგან მიღებული დივიდენდების თანხით, ერთობლივ საწარმოებში წილობრივი მონაწილეობით მიღებული შემოსავლის თანხით. აღნიშნული შემოსავლები იბეგრება ცალკე დადგენილი წესის შესაბამისად.

3. კომერციული ბანკების, მათ შორის კოოპერატიული ბანკების, ერთობლივი საწარმოების დასაბეგრი მოგების გაანგარიშების დროს საბალანსო მოგება მცირდება საწარმთა სარეზერვო ან ანალოგიურ ფონდებში ანარიცხების თანხით, მაგრამ არა უმეტეს საწესდებო ფონდის 25 პროცენტისა.

4. საწარმოები, რომლებიც არ არიან სამეურნეო ანგარიშზე და შემოსავალს იღებენ სამეურნეო და სხვა კომერციული საქმიანობის შედეგად, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებისა, გადასახადს იხდიან შემოსავლების ხარჯების ნამეტი თანხიდან".

მესამე მუხლი ეხება თვითღირებულებაში შესატანი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციის დანახარჯებს და აღნიშნულია, რომ „პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებაში შესატან დანახარჯებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა".

მეოთხე მუხლში მოცემულია გადასახადის განაკვეთები. კერძოდ კი, მითითებულია შემდეგი:

„1. მოგება იბეგრება 35 პროცენტი განაკვეთით.

2. ცალკეული გადამხდელებისათვის წესდება მოგების გადასახადის შემდეგი განაკვეთები:

ა) კომერციული ბანკების, მათ შორის, კოოპერატიული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციებისათვის (გარდა სახელმწიფო დაზღვევისა) – 45 პროცენტი;

ბ) ერთობლივი საწარმოებისათვის – 25 პროცენტი, თუ უცხოელი იურიდიული პირისა და მოქალაქეების წილი საწესდებო ფონდში აღემატება 30 პროცენტს, თუ ეს წილი შეადგენს 30 პროცენტს ან მასზე ნაკლებს, მაშინ ერთობლივი საწარმოები დაიბეგრება საერთო წესით, ანუ მოგების 35 პროცენტით; ერთობლივი საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი სარეზერვო ფონდის გამოუყენებელი თანხა დაიბეგრება ამ საწარმოებისათვის დადგენილი განაკვეთით:

გ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი საწარმოებისათვის – 15 პროცენტი".

მეხუთე მუხლში აღწერილია გადასახადის ბიუჯეტში ჩარიცხვა და აღნიშნულია შემდეგი: „მოგების გადასახადი ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებსა და მათ ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის გადასახადის განაწილების წესი დგინდება ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით".

მეექვსე მუხლი ეძღვნება გადასახადის შეღავათებს და მითითებულია, რომ

„1. დასაბეგრი მოგება მცირდება:

ა) მოგების თანხით, რომელიც მიღებულია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კვების პროდუქტების, სახალხო მოხმარების საქონლის, სამედიცინო აპარატურის და ინვალიდებისათვის განკუთვნილი სპეციალური საქონლის წარმოების ფიზიკური მოცულობის გადიდებით;

ბ) საწარმოთა განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისათვის ახალი პროგრესული ტექნოლოგიისა და პროდუქციის (მათ შორის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით საექსპორტოდ მისაწოდებელი მანქანათმშენებელი პროდუქციის) სახეობათა ათვისებისათვის საწარმოთა თანახარჯების თანხის 30 პროცენტის ოდენობით (კაპიტალურ დაბანდებათა გარდა);

გ) მოგების თანხით, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების დასაფინანსებლად მიცემული კრედიტის დასაფარავად, საკრედიტო შეთანხმებაში გათვალისწინებული წყაროების უკმარისობის შემთხვევაში;

დ) მოგების თანხით, რომელიც დაიხარჯება ინვესტიციებზე (საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციისათვის, პროდუქციის თანამედროვე სახეებისა და ტექნო-

ლოგიის ათვისებისათვის, სურსათის, მედიკამენტების და სახალხო მოხმარების სხვა საქონლისა და მათი მწარმოებელი დანადგარების წარმოების ორგანიზაციისათვის, დეფიციტური სანედლეულო რესურსების მოპოვების ზრდისათვის), ასევე ამ მიზნისათვის მიღებული კრედიტის დაფარვაზე და შრომითი კოლექტივის მიერ თავისი საწარმოს ქონების გამოსყიდვაზე.

აღნიშნული შეღავათები ენიჭებათ საწარმოებს, რომლებმაც ინვესტიციების განხორციელებისათვის მთლიანად გამოიყენეს მათთან რიცხული ამორტიზაციის ანარიცხები;

ე) საწარმოთა განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე განხორციელებული ბუნების დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯების 30 პროცენტით;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დამტკიცებული დანახარჯების ნორმატივის შესაბამისად საწარმოთა განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე განხორციელებული იმ დანახარჯების თანხით, რომლებიც ხმარდება მათ ბალანსზე რიცხული ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, სკოლამდელი დაწესებულებების, საბავშვო ბაღების, კულტურისა და სპორტის ობიექტების, განათლების დაწესებულებების შენახვას;

ზ) მოგების თანხით, რომელიც საწარმოების მიერ გადარიცხულია საქართველოს რესპუბლიკის მშვიდობის ფონდში, გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდში, ბავშვთა დახმარების, კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, წითელი ჯვრის, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ, ძეგლთა დაცვის ფონდებში, ფიზკულტურისა და სპორტის საწარმოებისათვის, 9 აპრილს უდანაშაულოდ დაღუპულთა მემორიალის აგების ფონდში, მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისა და დაზარალებულთა დახმარების ფონდებში, სხვა ანალოგიურ ფონდებსა და საქველმოქმედო მიზნებისათვის, მაგრამ არა უმეტეს დასაბეგრი მოგების 2 პროცენტისა;

თ) იმ საწარმოთა მოგების 30 პროცენტის ოდენობის თანხით, რომლებიც იყენებენ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა შრომას, თუ მათი რიცხვი შეადგენს საერთო რიცხვის არა ნაკლებ 50 პროცენტს ან მოგების 20 პროცენტის ოდენობის თანხით, თუ მოხუცებულობის გამო პენსიონერთა და ინვალიდთა რიცხვი შეადგენს საწარმოში მომუშავეთა საერთო რიცხვის 30-50 პროცენტს. ეს შეღავათი გამოიყენება შემდეგი სახის საწარმოებისათვის: ხალხური მხატვრული სარეწებისათვის; ადგილობრივი მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრები მომსახურების სპეციალიზებული საწარმოებისათვის; მცირე საწარმოებისათვის; ინვალიდთა და პენსიონერთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათი დაწესებულებების, სასწავლო-სამრეწველო საწარმოებისა და გაერთიანებების მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოებისათვის.

2. გადასახადებისაგან თავისუფლდებიან:

ა) სასწავლო საწარმოები;

ბ) რელიგიური ორგანიზაციები;

გ) საწარმოები, სადაც ინვალიდთა რიცხვი შეადგენს მომუშავეთა საერთო რიცხვის 50 პროცენტზე მეტს;

დ) ინვალიდთა საზოგადოებივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები და სასწავლო საწარმოები;

ე) საქველმოქმედო ორგანიზაციების, აგრეთვე მათი საწარმოების მოგებათა ის ნაწილი, რომელიც გადაერიცხება საქველმოქმედო ორგანიზაციას მათი საწესდებო საქმიანობის განხორციელებისათვის;

ვ) ფიზკულტურულ-სპორტული საწარმოები იმ მოგების მიხედვით, რომელიც გამოიყენება ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის;

ზ) შემოქმედებითი კავშირები, აგრეთვე მათი საწარმოების მოგების ის ნაწილი, რომელსაც ისინი ურიცხავენ აღნიშნულ კავშირებს მათი საწესდებო საქმიანობის განხორციელებისათვის;

თ) გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებისა და მათი საწარმოს მოგების ის ნაწილი, რომელსაც ურიცხავენ საზოგადოებას საწესდებო საქმიანობის განხორციელებისათვის;

ი) კულტურის საწარმოები იმ მოგების მიხედვით, რომელიც მათ მიერ გამოიყენება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის;

კ) უმაღლეს, საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებთან, საშუალო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ შექმნილი საწარმოების მოგება, რომელსაც ისინი ახმარენ სტუდენტთა და მოსწავლეთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

ლ) ბავშვთა საზოგადოებრივი საწარმოები იმ მოგების მიხედვით, რომელიც მათ მიერ გამოიყენება ზოგადსაგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროგრამების განვითარებისათვის;

მ) ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოებთან შექმნილი საწარმოები, რომლებშიც მუშაობს საპენსიო ასაკს მიღწეულ პირთა (პენსიონერთა) არა ნაკლებ 70 პროცენტი;

ნ) ახალშექმნილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, სამშენებლო, სარემონტო-სამშენებლო, საშენ მასალათა წარმოების, მცირე დამნერგავი საწარმოები – ორი წლით ამ საწარმოთა რეგისტრაციის თარიღიდან.

3. აღნიშნული შეღავათები არ ვრცელდება ლიკვიდირებული (რეორგანიზებული) საწარმოების, მათი ფილიალებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილ საწარმოებზე. საწარმოს მიერ სამი წლის ვადის გასვლამდე საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გადასახადის თანხა გაიანგარიშება გადასახადის სრული განაკვეთით მისი საქმიანობის მთელი პერიოდის მანძილზე.

4. სახელმწიფო საწარმოებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილი საიჯარო საწარმოები დამ-

ტკიცებული განაკვეთებით გაანგარიშებული გადასახადის თანხას ამცირებენ საიჯარო გადასახადის სიდიდით მის შემადგენლობაში შემავალი ძირითადი ფონდების საამორტიზაციო ანარიცხების გამოკლებით. გადასახადის აღნიშნული შემცირება მიეკუთვნება შესაბამის ბიუჯეტს, იჯარით გაცემული საწარმოს დაქვემდებარების გათვალისწინებით.

5. რამდენიმე სახეობის საქმიანობის მქონე (მრავალდარგოვანი) საწარმოების მიმართ გადასახადის განაკვეთებისა და შეღავათების სისტემა გამოიყენება საქმიანობის იმ სფეროდან გამომდინარე, რომლის ხვედრი წილი შეადგენს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები თანხის 70 პროცენტზე მეტს.

6. მოგების გადასახადის დამატებითი შეღავათები გადასახადის თანხის ფარგლებში, რომელიც ირიცხება რესპუბლიკურ ბიუჯეტში, შეიძლება დაადგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ. ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით დგინდება მოგების გადასახადის დამატებითი შეღავათები იმ გადასახადის თანხის ფარგლებში, რომელიც გადაირიცხება ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შეუძლიათ დაადგინონ მოგების გადასახადის დამატებითი შეღავათები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გადაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტებში".

მეშვიდე მუხლში[1] ასახულია გადასახადის გაანგარიშების წესი, გადახდის ვადები და მითითებულია შემდეგი:

„1. გადასახადის თანხას გადამხდელები განსაზღვრავენ დამოუკიდებლად დასაბეგრი მოგების სიდიდის საფუძველზე, მინიმალიზებული შეღავათებისა და გადასახადის განაკვეთების გათვალისწინებით. აღნიშნული საწარმოებისათვის საავანსო

[1] წყაროში ეს მუხლი მითითებულა მეექვსე მუხლად. მეექვსე მუხლი კი არის წინა მუხლი. ნუმერაციის გასწორების შემდეგ მუხლების რაოდენობა გაიზარდა ერთით. ამიტომ მომდევნო მუხლი იქნება მერვე და არა მეშვიდე და ა. შ. (გ. თაქთაქიშვილი).

გადასახადების ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი პერიოდის მოგების გეგმური მაჩვენებლებისა და მოგების გადასახადის იმ განაკვეთებიდან გამომდინარე, რაც დაწესებულია ამ კანონის მე-4 მუხლით.

2. კვარტალის განმავლობაში ყველა გადამხდელს (ამ მუხლის 3 პუნქტში ჩამოთვლილთა გარდა) ბიუჯეტში შეაქვს გადასახადის საავანსო შენატანები წინა წლის შესაბამის პერიოდში ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადის ფაქტობრივი თანხის ოდენობით.

3. საავანსო გადასახადი ბიუჯეტში გადაიხდება ყოველი თვის არა უგვიანეს 15 და 28 რიცხვის თანაბარ ნაწილებად, მოგების გადასახადის კვარტალური თანხის 1/6 ნაწილის ოდენობით. ბიუჯეტში მოგების გადასახადის გადარიცხვის საგადასახადო დავალებებს გადამხდელები აბარებენ ბანკის დაწესებულებაში გადახდის ვადის დადგომამდე. გადამხდელის შუამდგომლობით, რომელსაც მოგების გადასახადის უმნიშვნელო თანხა შეაქვს ბიუჯეტში, ადგილობრივ საგადასახადო ორგანოს შეუძლია დაადგინოს ბიუჯეტში გადახდის ვადა – ყოველი თვის 20 რიცხვი გადასახადის კვარტალური თანხის 1/3 ოდენობით. გადამხდელები ფაქტობრივი მოგებიდან ყოველკვარტალურად გაიანგარიშებენ გადასახადის თანხას წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით კვარტალური ბალანსებისა და ანგარიშგების მიხედვით – მისი წარდგენიდან 5 თვის ვადაში, ხოლო წლიური ბალანსისა და ანგარიშგების მიხედვით – ათი დღის ვადაში.

4. გადასახადის გადამხდელები თავიანთი ადგილმდებარეობის მიხედვით საგადასახადო ინსპექციებს წარუდგენენ საბუღალტრო ანგარიშგებასა და ბალანსებს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში, მოგების გადასახადის თანხის გაანგარიშებებს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმებით".

მერვე მუხლში – საქართველოს რესპუბლიკაში საქმიანობისაგან უცხოელი იურიდიული პირების მოგების გადასახადი –

მითითებულია, რომ „უცხოელი იურიდიული პირების მოგების გადასახადის გადამხდელები არიან კომპანიები, გაერთიანებები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ორგანიზაციები, რომლებიც იურიდიულ პირებად არიან აღიარებული მათი მუდმივი ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით, ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კონტინენტურ შელფზე ეკონომიკურ ზონაში მუდმივი წარმომადგენლობის მეშვეობით.

მუდმივ წარმომადგენლად იგულისხმება ბიურო, კანტორა, სააგენტო, საქმიანობის განხორციელების სხვა ადგილი (რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების დამუშავებასთან, მოწყობილობის, მშენებლობის წარმართვის დადგმის, დამონტაჟების, აწყობის, გამართვის, კონტრაქტით გათვალისწინებულ სხვა სამუშაოთა განხორციელებასთან), აგრეთვე ორგანიზაციები და მოქალაქენი, რომლებიც წარმოადგენენ უცხოეთის იურიდიულ პირს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

უცხოელი იურიდიული პირის მუდმივი წარმომადგენლობის რეგისტრაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკაში, ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში. თუ უცხოელ იურიდიულ პირს არ აქვს რეგისტრაცია, ეს მიჩნეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი იურიდიული პირის საქმიანობიდან მიღებული მოგების პირდაპირი განსაზღვრა შეუძლებელია, მიზანშეწონილია ადგილობრივ საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებით მოგება განისაზღვროს მთლიანი შემოსავლის და გაწეული ხარჯების საფუძველზე, რენტაბელობის ნორმის 15 პროცენტის გათვალისწინებით. უცხოელი იურიდიული პირის მოგება დაიბეგრება 30 პროცენტით. გადასახადი ჩაირიცხება რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

უცხოელი იურიდიული პირი, რომელიც საქმიანობას ეწევა საქართველოს რესპუბლიკაში, სარგებლობს იმ საგადასახადო შეღავათებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ ერთობლივ საწარმო-

ებს მოგების იმ ნაწილში, რომელიც ხმარდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნების დაცვითი ღონისძიებებისა და საქველმოქმედო მიზნების განხორციელებისას.

უცხოელ იურიდიულ პირთა მოგების გადასახადის გამოანგარიშებას ყოველწლიურად აწარმოებს მუდმივი წარმომადგენლობის ადგილმდებარეობის საგადასახადო ორგანო.

უცხოელი იურიდიული პირი ადგილობრივ საგადასახადო ორგანოს მიმდინარე წლის არა უგვიანეს 15 აპრილისა წარუდგენს ანგარიშს საქართველოს რესპუბლიკაში საქმიანობის შესახებ, აგრეთვე დეკლარაციას შემოსავლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმით. კალენდარული წლის დამთავრებამდე საქმიანობის შეწყვეტისას აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში მისი შეწყვეტის დღიდან.

დეკლარაცია უცხოელი იურიდიული პირის შემოსავლის შესახებ ყოველწლიურად საფასურის გადახდით უნდა შეამოწმოს სამეურნეოანგარიშიანმა სააუდიტორო ორგანიზაციამ.

გამოანგარიშებული გადასახადის თანხაზე გადამხდელს ეძლევა საგადასახადო შეტყობინება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმით.

გადასახადის გადახდა წარმოებს საგადასახადო შეტყობინებაში აღნიშნულ ვადებში, უნაღდო წესით, მანეთებით ან უცხოურ ვალუტაში".

მეცხრე მუხლში განხილულია გადამხდელთა მოვალეობანი და აღნიშნულია შემდეგი:

„1. გადასახადების გადამხდელები მოვალენი არიან:

ა) აწარმოონ დადგენილი წესით საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ და წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს საბუღალტრო ანგარიშები და ბალანსები, გადასახადების გაანგარიშებანი და გა-

დასახადების გაანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა საჭირო დოკუმენტები და ცნობები;

ბ) უჩვენონ, ხოლო შესაბამის შემთხვევაში წარადგინონ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ გადასახადების შეღავათების უფლებას;

გ) დროულად და სრული ოდენობით გადაიხადონ გადასახდელი თანხები;

დ) დაუშვან საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირები იმ სათავსების შესამოწმებლად, სადაც ხორციელდება მოგების (შემოსავლის) მიღებასთან ან დასაბეგრი ობიექტების შენახვასთან დაკავშირებული საქმიანობა, აგრეთვე გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდასთან დაკავშირებული საკითხების შესამოწმებლად.

2. საწარმოთა ხელმძღვანელები და შესაბამისი თანამდებობის პირნი მოვალენი არიან ხელი მოაწერონ საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული შემოწმების აქტს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებიან აქტში გადმოცემულ ფაქტებს, წერილობით წარმოადგინონ განმარტებები უთანხმოების მოტივებზე, ისინი მოვალენი არიან აგრეთვე შეასრულონ საგადასახადო ორგანოს მოთხოვნები გადასახადების შესახებ კანონმდებლობით გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის თაობაზე.

კანონპროექტის „საწარმოთა მოგების გადასახადის შესახებ" ბოლო მეათე მუხლი ეხება გადამხდელთა პასუხისმგებლობის ღონისძიებებს და მითითებულია შემდეგი:

„1. გადასახადის გამოანგარიშების სისწორისათვის, ბიუჯეტში გადახდის დროულობისა და გადასახადით დაბეგვრის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ გადასახადის გადამხდელებსა და მათი თანამდებობის პირებს.

2. გადასახადის გადამხდელები, რომლებსაც გადასახადების გადახდის დადგენილი ვადისთვის არა აქვთ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის საბუღალტრო ანგარიშები და ბალანსები,

იხდიან წინა საანგარიშო პერიოდში გამოანგარიშებული გადასახადის თანხის 110 პროცენტს. დასახელებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ ხდება გადასახადების გადაანგარიშება ფაქტობრივად მიღებული მოგებიდან (შემოსავლიდან).

3. გადასახადის გადამხდელები მოგების (შემოსავლის) აღრიცხვის უქონლობის ან დადგენილი წესის დარღვევით აღრიცხვის წარმოებისათვის, აგრეთვე საგადასახადო ორგანოებში ანგარიშების, გაანგარიშებებისა და გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდისათვის საჭირო სხვა დოკუმენტების დაგვიანებით წარდგენისათვის ბიუჯეტში იხდიან გადასახადების კუთვნილი თანხების 10 პროცენტს.

4. მოგების (შემოსავლის) დამალვის (შემცირების) შემთხვევაში გადამხდელებს გადახდებათ დამალული (შემცირებული) მოგების (შემოსავლის) მთელი თანხა, აგრეთვე ჯარიმა იმავე თანხის ოდენობით, ხოლო განმეორებითი დარღვევის დროს – ჯარიმა სამმაგი ოდენობით, დამალული (შემცირებული) მოგების (შემოსავლის) თანხები შეტანილი იქნება საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირთა გამოვლენილ დარღვევათა შესახებ აქტის შედგენის დღიდან 10 დღის ვადაში.

თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით მიღებული შემოსავლის დამალვას თან სდევს მისი გამოვლენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის სპეციალური კურსით შემოსავლის თანხების გადაანგარიშება.

5. საწარმოები, რომლებიც გადასახადებს იხდიან ამ კანონის შესაბამისად, დამალული (შემცირებული) მოგების (შემოსავლის) და ჯარიმის თანხებს გადარიცხავენ ბიუჯეტის შემოსავალში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. თანამდებობის პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით მოგების (შემოსავლის) დამალვაში (შემცირებაში), აგრეთვე საბუღალტრო აღრიცხვის უქონლობაში ან დადგენილი წესის დარღვევით მის წარმოებაში და საბუღალტრო ანგარიშების,

ბალანსების, გაანგარიშებებისა და ბიუჯეტში გადასახადების გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების წარუდგენლობისათვის ან დაგვიანებულად წარდგენისათვის, ან დაუდგენელი ფორმით წარდგენისათვის, ადებენ ადმინისტრაციულ ჯარიმას 100-დან 200 მანეთამდე ოდენობით, ხოლო ადმინისტრაციული ჯარიმის დადების შემდეგ წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენილი იმავე ქმედებისათვის – 200-დან 300 მანეთამდე ოდენობით.

7. განზრახ დამალვას (შემცირებას) მოსდევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და სასჯელი გამოსასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან 200-დან 1000 მანეთამდე ჯარიმა.

8. დადგენილ ვადებში შეუტანელი გადასახადების თანხები აგრეთვე დამალული (შემცირებული) მოგებისა (შემოსავლისა) და მოგების (შემოსავლის) დამალვისათვის (შემცირებისათვის) ჯარიმის თანხების გადახდევინება ხდება თავის არიდების მთელი დროისათვის საგადასახადო ორგანოების განკარგულებით უდავო წესით.

გადაუხდელი თანხების გადახდევინება ხდება ბიუჯეტის დავალიანების მთელი დროისათვის, ამასთან დაერიცხება საურავი ვადის გადაცილების ყოველი დღისათვის (მათ შორის გადახდის დღისათვის) ნარჩენი თანხის 0,3 პროცენტის ოდენობით.

9. მოგების (შემოსავლის) გადასახადის თანხები, რომლებიც ზედმეტად შემოვიდა მათი არასწორი გამოანგარიშების ან გადახდევინების დადგენილი წესის დარღვევის შედეგად, უბრუნდება გადამხდელს ან ჩაითვლება მისი კუთვნილი სხვა თანხების ანგარიშში, თუ ამ თანხების შემოსავლის დღიდან არ გასულა წელიწადი.

გადახდევინების ზედმეტად მიღებული თანხების დაბრუნების შესახებ განაცხადების შეტანა წყვეტს აღნიშნული ვადის მიმდინარეობას.

არასწორად გადახდილი გადასახადების დაბრუნება ბიუჯეტიდან ხდება არასწორი გადახდის აღმოჩენამდე არაუმეტეს ერთი წლით ადრე.

ინსტრუქციას ამ კანონის გამოყენების შესახებ გამოსცემს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტრო".

აქ სრულდება აღნიშნული კანონპროექტის ტექსტი.

საინტერესოა, რომ მოგვიანებით, 1991 წლის 1 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა მოგებიდან გადასახადის შესახებ კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტი[1], რომლის ავტორები იყვნენ საქართველოს საგადასახადო ინსპექციის განყოფილების უფროსი ნუგზარ ქავთარაძე და მისი მოადგილე ვასილ ხანიშვილი. ჯერ კიდევ კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტის გამოქვეყნებამდე ავტორებმა ეს პროექტი გამაცნეს და მთხოვეს, განგვეხილა ჩვენთან კომისიაში. კომისიის წევრები ზოგადად, დადებითად გამოეხმაურნენ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პირადად მე მომხრე ვიყავი მოგების გადასახადი დიფერენცირებული ყოფილიყო დარგების მიხედვით და იმ დარგებისთვის, რომელთა სწრაფი განვითარება იმ დროისათვის უფრო საჭირო იყო, მოგების გადასახადი უფრო დაბალი უნდა ყოფილიყო, ხოლო სოფლის მეურნეობა საერთოდ უნდა განთავისუფლებულიყო ამ გადასახადისაგან (ეკონომიკაში წამყვანი რგოლის გამოყოფის პრინციპის საფუძველზე). ჩემს ამ შეთავაზებას ჩვენი კომისიის ბევრმა წევრმა, მათ შორის ამ ალტერნატიული ვარიანტის ავტორებმაც მხარი არ დაუჭირეს. უარს ასაბუთებდნენ იმ გარემოებით, რომ ამ კანონპროექტით მოგების გადასახადი წარმოებისათვის მაინცდამაინც მაღალი არ იყო, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, მათი ვარიანტით, მცირდებოდა 50 პროცენტით (ქვემოთ მოვიყვან ამ კანონპროექტის შესაბამის მუხლებს). ავტორები გარკვეულ

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი, /პროექტი/ მოგებიდან გადასახადის შესახებ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 01.10.1991.

სირთულეებს წააწყდნენ მათი ნაშრომის გამოქვეყნებაში და დახმარებით მომმართეს. ამიტომ ვესაუბრე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას, რათა ეს კანონპროექტი გამოექვეყნებინათ, რაც ხელს შეუწყობდა დისკუსიის გაფართოებას ამ პრობლემების ირგვლივ.

პროექტის გამოქვეყნების დღეს დილითვე დამირეკა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ და მითხრა, მასთან გადავსულიყავი. დაუყოვნებლივ გავეშურე. იქ დამხვდნენ მთავრობის ხელმძღვანელი ბესარიონ გუგუშვილი და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ გელანტია. ყველანი იდგნენ მაგიდასთან, რომელზეც გაშლილი იყო „საქართველოს რესპუბლიკის" ორი ნომერი. ბატონმა ზვიადმა მიმითითა გაზეთებისკენ. დავხედე თუ არა, ვუთხარი, ორივე ნომერში გამოქვეყნებული იყო მოგების დაბეგვრის კანონპროექტები: ერთში – საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ვარიანტი, მეორეში კი ვარიანტი, რომელსაც ჩვენ ვუჭერდით მხარს. ბატონი ზვიადი დაინტერესდა, რა განსხვავება იყო მათ შორის. ვუპასუხე, რომ პირველი ფაქტობრივად რუსულის მსგავსი იყო, ხოლო მეორე ქართველების შემუშავებული, რაც საქართველოსთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. კიდევ რა განსხვავებაა, ჩამეძია ბატონი ზვიადი. მეტი არაფერი-მეთქი – ვუპასუხე. კარგი, წადი იმუშავეო – მითხრა პრეზიდენტმა.

მართალია ამ საკითხთან არ არის უშუალოდ დაკავშირებული, მაგრამ ბარემ აქვე გავიხსენებ. ამ შეხვედრიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ისევ დამიბარა ბატონმა ზვიადმა. დაუყოვნებლივ მივედი. მის კაბინეტში სტუმრების იგივე შემადგენლობა დამხვდა. მაგიდაზე კი ამჯერად გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი" გაეშალათ. ბატონმა ზვიადმა კვლავ მკითხა: – რა არის ეს? ვუპასუხე რომ პრემიერის და ჩემი ინტერვიუები იყო დაბეჭდილი. – კიდევ რა არის, კარგად ნახე?! თავიდან არც მიმიქცევია ყურადღება; პრემიერის ინტერვიუს ქვეშ გამოსახული იყო საზოგადოებისათვის არასასურველი და რამდენადმე მიუღებელი სურათი; ჩემი ინტერვიუს ქვეშ კი ჩვეულებრივ

ჩემი სურათი. შევცბი. კვლავ ჩამეძია: შენ ხომ არ გააკეთეო. გავოცდი და მეწყინა უნდობლობაც და დადანაშაულებაც, თუმცა ძალიან მკაცრადაც მივუგე: – იმუშაონ უკეთ და არავინ გაუკეთებს ესეთ რამეს-მეთქი. – კარგი, წადი, მითხრა ბატონმა ზვიადმა.

ახლა მივუბრუნდეთ ისევ ალტერნატიულ კანონპროექტს მოგებიდან გადასახადის შესახებ. ეს კანონპროექტი შედგება შესავლის ნაწილისა, სამი თავისა და ცხრამეტი მუხლისაგან. ჩვენ აქ დავიმოწმებთ რამდენიმე მუხლს (დაინტერესებულ მკითხველს მთლიანად კანონპროექტი შეუძლია ნახოს 1991 წლის პირველი ოქტომბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომელიც ალბათ ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საცავებში). დავიწყებთ მესამე მუხლიდან, რომელიც ეძღვნება გადასახადის განაკვეთებს.

„1. ამ კანონის მეორე მუხლში გათვალისწინებული წესით გაანგარიშებული წლიური მოგების დაბეგვრა ხდება პროგრესული სისტემით, შემდეგი განაკვეთების მიხედვით:

ა) 500 000 მანეთამდე წლიური მოგება იბეგრება არა უმეტეს 20 პროცენტული განაკვეთით. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხება გადასახადი 15 პროცენტული განაკვეთის მიხედვით, ხოლო გადასახადის განაკეეთს 5 პროცენტამდე ოდენობით აწესებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, რომლის მიხედვითაც გადასახადის თანხა ჩაირიცხება შესაბამის ბიუჯეტში;

ბ) წლიური მოგება 500 000 მანეთიდან 1 000 000 მანეთამდე ფარგლებში იბეგრება არა უმეტეს 28 პროცენტული განაკვეთით. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხება გადასახადი 21 პროცენტული განაკვეთის მიხედვით, ხოლო 7 პროცენტამდე ოდენობით აწესებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, რომლის მიხედვითაც გადასახადის თანხა ჩაირიცხება შესაბამის ბიუჯეტში;

გ) წლიური მოგება, რაც აღემატება 1 000 000 მანეთს, იბეგრება არა უმეტეს 35 პროცენტული განაკვეთით, საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხება გადასახადი 26 პროცენტული განაკვეთის მიხედვით, ხოლო გადასახადის განაკვეთს 9 პროცენტამდე ოდენობით აწესებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, რომლის მიხედვითაც გადასახადის თანხა ჩაირიცხება შესაბამის ბიუჯეტში;

2. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის მოგებიდან გადასახადის თანხის განაწილების წესი განისაზღვრება ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით".

მომდევნო მეოთხე მუხლში განხილულია გადასახადის განაკვეთები ცალკეულ სახეობათა გადამხდელებისათვის და მითითებულია შემდეგი:

„1. კომერციული ბანკების, ბანკების სააქციო საზოგადოებებისა, სადაზღვევო ორგანიზაციების, სავაჭრო შემსყიდველი, საშუამავლო და სანახაობრივი საწარმოების წლიური მოგება იბეგრება არა უმეტეს 45 პროცენტული განაკვეთით. საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩაირიცხება გადასახადი 30 პროცენტული განაკვეთის მიხედვით, ხოლო გადასახადის განაკვეთს 15 პროცენტამდე ოდენობით აწესებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, რომლის მიხედვითაც გადასახადის თანხა ჩაირიცხება შესაბამის ბიუჯეტში ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ერთობლივი საწარმოების მოგების დაბეგვრა ხდება ამ კანონის მე-3 მუხლში გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით".

მეხუთე მუხლში – შეღავათები გადასახადში – გადმოცემულია შემდეგი:

„1. გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდება:

ა) სამრეწველო საწარმოები, თუ მომუშავე მოსწავლეთა რიცხვი შეადგენს არანაკლებ 80 პროცენტს;

ბ) რელიგიური ორგანიზაციები;

გ) საწარმოები, რომლებშიც შეზღუდულ შრომისუნარიან მუშაკთა რიცხვი შეადგენს 50 პროცენტზე მეტს. შეღავათების მინიჭების საკითხის გადაწყვეტის დროს შეზღუდულ შრომისუნარიან მუშაკებს ამ კანონის შესაბამისად მიეკუთვნებიან ინვალიდები, მოხუცებულობით პენსიონერები და სამკურნალო შრომით პროფილაქტორიუმებში ალკოჰოლიზმისაგან განსაკურნავად მყოფი პირები;

დ) ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-სამრეწველო საწარმოები და გაერთიანებები;

ე) საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვთა ფონდები, მშვიდობის ფონდი, კულტურის ფონდი, გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი, დემოგრაფიული ფონდი, საქველმოქმედო ფონდები, ინვალიდთა რეაბილიტაციის ასოციაცია, ავღანელთა კავშირი, აგრეთვე, მათი საწარმოები იმ მოგების მიხედვით, რომელიც ეძლევა ამ ფონდებსა და ასოციაციას მათი საწესდებო საქმიანობის განსახორციელებლად; ამასთან ამ კანონის გამოყენებისას საქველმოქმედოდ ჩაითვლება ისეთი არაკომერციული ორგანიზაციები, რომელთა წესდებითაც საქმიანობის 90 პროცენტს ქველმოქმედება შეადგენს;

ვ) წითელი ჯვრის კავშირი და საზოგადოებანი, აგრეთვე, მისი საწარმოები იმ მოგების მიხედვით, რომელიც ეძლევათ კავშირსა და საზოგადოებებს მათი საწესდებო საქმიანობის განხორციელებისათვის;

ზ) შემოქმედებითი კავშირები, აგრეთვე მათი საწარმოები იმ მოგების მიხედვით, რომელსაც ისინი ურიცხავენ აღნიშნულ კავშირებს მათი საწესდებო საქმიანობის განხორციელებისათვის;

თ) გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება, აგრეთვე მისი საწარმოები, იმ მოგების მიხედვით, რომელიც ეძლევა საზოგადოებას მისი საწესდებო საქმიანობის განხორციელებისათვის;

ი) ბავშვთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე, მათი საწარმოები იმ მოგების მიხედვით, რაც მათ მიერ მიემართება ზოგადსაგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროგრამების განვითარებაზე;

კ) უმაღლესი, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან, საშუალო და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან ახალგაზრდული, პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ შექმნილი საწარმოების მოგება, რომელსაც ისინი ახმარენ სტუდენტთა, მოსწავლეთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

2. მცირე საწარმოები, რომლებიც ასეთებს განეკუთვნებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, მუშაობის პირველ წელს თავისუფლდებიან გადასახადის გადახდისაგან, ხოლო მუშაობის მეორე წელს გადასახადის თანხა უმცირდებათ 50 პროცენტით. აღნიშნული შეღავათი არ ვრცელდება ბანკებზე, სადაზღვევო ორგანიზაციებზე, სავაჭრო-შემსყიდველ, საზოგადოებრივი კვების, საშუამავლო და სანახაობით მცირე საწარმოებზე, აგრეთვე მოქმედი სახელმწიფო საწარმოების, მათი ფილიალებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილ მცირე საწარმოებზე. მუშაობის დაწყების პერიოდად ჩაითვლება იმ თვის პირველი რიცხვი, როცა საწარმო შეუდგა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას. ამასთან იმ შემთხვევაში, როცა შეღავათების მინიჭებისათვის დაწესებული პერიოდი ნაწილდება ორ და მეტ კალენდარულ წელზე, მაშინ დადგენილი საშეღავათო განაკვეთებისა და დასაბეგრი მოგების განაწილება ხდება პროპორციულად თვეთა რიცხვის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა საწარმო საქმიანობას წყვეტს სამი წლის ვადის გასვლამდე, მაშინ გადასახადის

თანხა გაიანგარიშება გადასახადის სრული განაკვეთით მისი საქმიანობის მთელ პერიოდში.

3. საწარმოებს, რომელთა ძირითად საქმიანობას შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, მოგებიდან გადასახადის განაკვეთი უმცირდება 50 პროცენტით; იმ შემთხვევაში, როცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების ხვედრი წილი საერთო ამონაგებში 70 პროცენტზე ნაკლებია, აღნიშნული შეღავათი არ გამოიყენება.

4. საწარმოებს, რომლებშიც შეზღუდულ შრომისუნარიან მუშაკთა რიცხვი შეადგენს მომუშავეთა საერთო რიცხვის 40-დან 50 პროცენტს, გადასახადის თანხა უმცირდება 50 პროცენტით, თუ შეზღუდულ შრომისუნარიან მუშაკთა რიცხვი მომუშავეთა საერთო რიცხვის 25-დან 40 პროცენტამდეა, გადასახადის თანხა მცირდება 30 პროცენტით;

5. ახალორგანიზებულ საწარმოებს მუშაობის პირველ წელს გადასახადის თანხა უმცირდებათ 50 პროცენტით.

აღნიშნული შეღავათი არ ენიჭებათ ლიკვიდირებული (რეორგანიზებული) საწარმოების ან მათი ფილიალებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილ საწარმოებს, პრივატიზაციისა და განსახელმწიფოებრიობის გზით სახელმწიფო საწარმოს ან მათი ფილიალებისა და სტუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილ საწარმოებს, აგრეთვე სავაჭრო, სავაჭრო-შემსყიდველი, საზოგადობრივი კვების, საშუამავლო და სანახაობრივ საწარმოებს.

6. პრივატიზაციისა და განსახელმწიფოებრიობის გზით სახელმწიფო საწარმოთა, მათი ფილიალებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილ საწარმოებს მუშაობის პირველ ორ წელს გადასახადის თანხა უმცირდებათ 20 პროცენტით.

ყოველ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მუშაობის დაწყების პერიოდად ჩაითვლება იმ თვის პირველი რიცხვი, რომელშიც საწარმო შეუდგა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას. ამას-

თან იმ შემთხვევაში, როცა შეღავათების მინიჭებისათვის დაწესებული პერიოდი ნაწილდება ორ კალენდარულ წელზე, მაშინ დადგენილი საშეღავათო განაკვეთისა და დასაბეგრი მოგების განაწილება ხდება პროპორციულად თვეთა რიცხვის მიხედვით.

7. საწარმოებს, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის 30 პროცენტის რეალიზაცია ხდება მსოფლიო ბაზარზე, გადასახადის თანხა ხუთი წლის განმავლობაში უმცირდებათ 30 პროცენტით. ამასთან ყოველ მომდევნო წელს მაჩვენებლის გაუარესების შემთხვევაში აღნიშნული შეღავათი არ გამოიყენება.

8. გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდება და დასაბეგრ მოგებას გამოაკლდება:

ა) საწარმოთა მოგების ის ნაწილი, რომელსაც ისინი მიმართავენ გლეხური (ფერმერული) მეურნეობების მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე ან ამ მიზნისათვის შექმნილ სპეციალურ ფონდში, მაგრამ არა უმეტეს დასაბეგრი მოგების 1 პროცენტისა.

ბ) სტიქიური უბედურების, ეკოლოგიური კატასტროფისა და გადამდები ავადმყოფობის აფეთქების შედეგად სალიკვიდაციოდ მიმართული სახსრები, მაგრამ არა უმეტეს დასაბეგრი მოგების 2 პროცენტისა;

გ) საწარმოთა მოგების ნაწილი, რაც მიმართულია საქველმოქმედო და სხვა საზოგადობრივად სასარგებლო მიზნებზე, მათ შორის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციაზე, ბუნებისდაცვით ღონისძიებებზე, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, საბავშვო ბანაკების, კულტურისა და სპორტის ობიექტების და სახალხო განათლების დაწესებულებების შენახვაზე და მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე, მაგრამ არა უმეტეს დასაბეგრი მოგების 2 პროცენტისა.

ამასთან ქველმოქმედებად ჩაითვლება თანხის ან მატერიალურ ფასეულობათა უსასყიდლოდ გადაცემა (გადარიცხვა),

აგრეთვე პატენტებისა და ლიცენზიების შეძენა და გადაცემა იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა წესდებითაც ძირითად საქმიანობას ქველმოქმედება შეადგენს.

საქველმოქმედო თანხების (მატერიალური ფასეულობების) არადანიშნულებისამებრ გადარიცხვის ან გამოყენების შემთხვევაში მთელი თანხა გადასახადის გადამხდელთან განიხილება როგორც დასაბეგრი მოგების შემცირება და იბეგრება ჩვეულებრივი წესით – ფინანსური სანქციის გამოყენებით.

დ) საწარმოთა მოგების ნაწილი, რაც მიმართულია ინვესტიციაზე, კერძოდ საწარმოს რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებაზე, ახალი პროგრესული ტექნოლოგიისა და პროდუქციის სახეობათა ათვისებაზე, აგრეთვე ამ მიზნებისათვის მიღებული კრედიტის დაფარვაზე, მაგრამ არაუმეტეს დასაბეგრი მოგების 50 პროცენტისა, საწარმოთა განკარგულებაში არსებული საამორტიზაციო ანარიცხების აღნიშნულ მიზნებზე სრულად გამოყენების შემთხვევაში.

9. საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ერთობლივი საწარმოების მოგების დაბეგვრა ხდება შემდეგი დებულებების გათვალისწინებით:

ა) ერთობლივი საწარმოები, რომელთა საწესდებო ფონდში უცხოელი მონაწილის წილი შეადგენდა 30-დან 70 პროცენტამდე ჩათვლით და მთელი შემოსავალი იქმნება მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან, საბალანსო მოგების მიღების მომენტიდან ორი წლის განმავლობაში თავისუფლდებიან მოგებიდან გადასახადის გადახდისაგან. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ასეთი ერთობლივი საწარმოები მოგებიდან გადასახადს იხდიან ამ კანონის მე-3 მუხლში გათვალისწინებული განაკვეთებით;

ბ) ერთობლივი საწარმოები, რომელთა საწესდებო ფონდში უცხოელი მონაწილის წილი 15-დან 30 პროცენტამდეა, ან 70-დან 90 პროცენტამდეა და მთელი შემოსავლები იქმნება მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან,

საბალანსო მოგების მიღების მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში თავისუფლდებიან მოგებიდან გადასახადის გადახდისაგან. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ასეთი ერთობლივი საწარმოები მოგებიდან გადასახადს იხდიან ამ კანონის მე-3 მუხლში გათვალისწინებული განაკვეთებით;

გ) გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლების პერიოდში ან განთავისუფლების ვადის გასვლიდან ორი წლის განმავლობაში ერთობლივი საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია მოგებიდან გადასახადი გადაიხადოს გადასახადისაგან განთავისუფლების მთელი პერიოდისათვის სრული ოდენობით;

დ) სხვა ერთობლივი საწარმოები მოგებიდან გადასახადს გადაიხდიან კანონის მე-3 მუხლში გათვალისწინებული განაკვეთებით:

ე) ერთობლივ საწარმოებს, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის 60 პროცენტის რეალიზაცია ხდება მსოფლიოს ბაზარზე, გადასახადის თანხა უმცირდებათ 50 პროცენტით;

ვ) ერთობლივი საწარმოს მიერ განაწილებული მოგების სულ მცირე 50 პროცენტის რეინვესტიციის შემთხვევაში, მას უკან უბრუნდება მოგებიდან გადასახადის თანხის 50 პროცენტი, ხოლო ერთობლივი საწარმოს უცხოელი მონაწილის მიერ მიღებული წილობრივი მოგების საქართველოს ტერიტორიაზე არანაკლებ 5 წლით რეინვესტიციის შემთხვევაში, მას გადახდილი გადასახადიდან უბრუნდება რეინვესტირებული თანხის 40 პროცენტი:

10. დამატებითი შეღავათები მოგებიდან გადასახადის თანხის ფარგლებში, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტში, ყოველწლიურად შეიძლება დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოებისა და საკრებულოების მიერ ბიუჯეტის დამტკიცებისას“.

აქ დავასრულებთ მოგების დაბეგვრის კანონპროექტის ამ ვარიანტის ნაწილს, რადგან პირველი და მეორე ვარიანტების შედარებისას თვალსაჩინო ხდება მათ შორის განსხვავება, მკითხველს რომ გაუადვილდეს ამ კანონპროექტის ორ ვარიანტს შორის განსხვავების დანახვა, რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მუხლის მიხედვით შემოგთავაზებთ მათ შედარებებს:

1. უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივმოქმედი კომისიის ვარიანტის (შემდგომში პირველი ვარიანტის) მიხედვით მოგება იბეგრებოდა 35-პროცენტიანი განაკვეთით.

ალტერნატიული (შემდგომში მეორე ვარიანტის) ვარიანტის მიხედვით მოგება უნდა დაბეგრილიყო პროგრესული სისტემით, კერძოდ: 500 000 მანეთამდე წლიური მოგება იბეგრებოდა 20%-ით, ამასთან, აქედან საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ირიცხებოდა წლიური მოგების 15%, და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში 5%; 500 000 მანეთიდან 1 000 000 მანეთამდე წლიური მოგება იბეგრებოდა 28%-ით, აქედან საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ირიცხებოდა წლიური მოგების 21% და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში 7%; წლიური მოგება, რომელიც აღემატებოდა 1 000 000 მანეთს, უნდა დაბეგრილიყო 35%-იანი განაკვეთით, აქედან საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში უნდა ჩარიცხულიყო წლიური მოგების 26% და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში კი უნდა ჩარიცხულიყო 9%.

2. პირველი ვარიანტით ერთობლივი საწარმოების წლიური მოგება იბეგრება 25%-იანი გადასახადით, თუ უცხოელი იურიდიული პირისა და მოქალაქეების წილი საწესდებო ფონდში აღემატება 30 პროცენტს, თუ ეს წილი შეადგენს 30 პროცენტს ან მასზე ნაკლებს, მაშინ ერთობლივი საწარმოები დაიბეგრება საერთო წესით, ანუ მოგების 35 პროცენტით;

მეორე ვარიანტით კი საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ერთობლივი საწარმოების მოგება იბეგრება შესაბამისი

(მეორე ვარიანტი) კანონის მე-3 მუხლში გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით ანუ როგორც პირველ განსხვავებაშია მითითებული.

3. პირველი ვარიანტის მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი საწარმოებისათვის წლიური გადასახადი დგინდება – 15 პროცენტის ოდენობით; მეორე ვარიანტით კი საწარმოებს, რომელთა ძირითად საქმიანობას შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, მოგებიდან გადასახადის განაკვეთი უმცირდება 50 პროცენტით; იმ შემთხვევაში, როცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების ხვედრი წილი საერთო ამონაგებში 70 პროცენტზე ნაკლებია, აღნიშნული შელავათი არ გამოიყენება.

ჩემი აზრით, კი იმ ურთულეს პერიოდში სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მთლიანად უნდა გათავისუფლებულიყვნენ მოგების გადასახადისაგან.

4. პირველი ვარიანტის თანახმად, მოგების გადასახადისაგან თავისუფლდებიან: სასწავლო საწარმოები, რელიგიური ორგანიზაციები, საწარმოები, სადაც ინვალიდთა რიცხვი შეადგენს მომუშავეთა საერთო რიცხვის 50 პროცენტზე მეტს, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები და სასწავლო საწარმოები და ა. შ. (სრული ჩამონათვალი იხილეთ ამ კანონის მეექვსე მუხლის მეორე პარაგრაფში); მეორე ვარიანტის მიხედვით, მოგების გადასახადისგან თავისუფლდებიან: სამრეწველო საწარმოები, თუ მომუშავე მოსწავლეთა რიცხვი შეადგენს არანაკლებ 80 პროცენტს, რელიგიური ორგანიზაციები, საწარმოები, რომლებშიც შეზღუდულ შრომისუნარიან მუშაკთა რიცხვი შეადგენს 50 პროცენტზე მეტს. ხოლო მცირე საწარმოები, რომლებიც ასეთებს განეკუთვნებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, მუშაობის პირველ წელს თავისუფლდებიან გადასახადის გადახდისაგან, ხოლო მუშაობის მეორე წელს გადასახადის თანხა უმცირდებათ 50 პროცენტით. (სრული ჩამონათვალი იხილეთ ამ კანონის მეხუთე მუხლის პირველ პარაგრაფში).

5. რაც შეეხება შეღავათებს, მოგების დაბეგვრაში აქ შეინიშნება სხვადასხვა მიდგომა: თუ პირველ ვარიანტში მითითებულია, რომ საწარმოებს მოგების გადასახადი უმცირდებათ: მოგების თანხით, რომელიც მიღებულია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კვების პროდუქტების, სახალხო მოხმარების საქონლის, სამედიცინო აპარატურის და ინვალიდებისათვის განკუთვნილი სპეციალური საქონლის წარმოების ფიზიკური მოცულობის გადიდებით; საწარმოთა განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისათვის ახალი პროგრესული ტექნოლოგიისა და პროდუქციის (მათ შორის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით საექსპორტოდ მისაწოდებელი მანქანათმშენებელი პროდუქციის) სახეობათა ათვისებისათვის საწარმოთა თანახარჯების თანხის 30 პროცენტის ოდენობით (კაპიტალურ დაბანდებათა გარდა); მოგების თანხით, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების დასაფინანსებლად მიცემული კრედიტის დასაფარავად საკრედიტო შეთანხმებაში გათვალისწინებული წყაროების უკმარისობის შემთხვევაში; მოგების თანხით, რომელიც დაიხარჯება ინვესტიციებზე (საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღებისა და რეკონსტრუქციისათვის, პროდუქციის თანამედროვე სახეებისა და ტექნოლოგიის ათვისებისათვის, სურსათის, მედიკამენტების და სახალხო მოხმარების სხვა საქონლისა და მათი მწარმოებელი დანადგარების წარმოების ორგანიზაციისათვის, დეფიციტური სანედლეულე რესურსების მოპოვების ზრდისათვის), ასევე ამ მიზნისათვის მიღებული კრედიტის დაფარვაზე და შრომითი კოლექტივის მიერ თავისი საწარმოს ქონების გამოსყიდვაზე. აღნიშნული შეღავათები ენიჭებათ საწარმოებს, რომლებმაც ინვესტიციების განხორციელებისათვის მთლიანად გამოიყენეს მათთან რიცხული ამორტიზაციის ანარიცხები; საწარმოთა განკარ-

გულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე განხორციელებული ბუნების დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯების 30 პროცენტი.

მეორე ვარიანტით კი მოგების გადასახადის შეღავათით სარგებლობენ საწარმოები, რომლებშიც შეზღუდულ შრომისუნარიან მუშაკთა რიცხვი შეადგენს მომუშავეთა საერთო რიცხვის 40-დან 50 პროცენტს, ასეთ საწარმოებს გადასახადის თანხა უმცირდება 50 პროცენტით, ასევე, თუ შეზღუდულ შრომისუნარიან მუშაკთა რიცხვი მომუშავეთა საერთო რიცხვის 25-დან 40 პროცენტამდეა, გადასახადის თანხა მცირდება 30 პროცენტით; ახალ ორგანიზებულ საწარმოებს კი მუშაობის პირველ წელს, გადასახადის თანხა უმცირდებათ 50 პროცენტით. ხოლო პრივატიზაციისა და განსახელმწიფოებრიობის გზით სახელმწიფო საწარმოთა, მათი ფილიალებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილ საწარმოებს მუშაობის პირველ ორ წელს გადასახადის თანხა უმცირდებათ 20 პროცენტით. საწარმოებს, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის 30 პროცენტის რეალიზაცია ხდება მსოფლიო ბაზარზე, გადასახადის თანხა ხუთი წლის განმავლობაში უმცირდებათ 30 პროცენტით. ამასთან ყოველ მომდევნო წელს, მაჩვენებლის გაუარესების შემთხვევაში, აღნიშნული შეღავათი არ გამოიყენება.

6. აქ არის გარკვეული მსგავსებაც, კერძოდ, პირველი ვარიანტის მიხედვით კომერციული ბანკების, მათ შორის კოოპერატიული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციების წლიური მოგება იბეგრება 45%-იანი განაკვეთით. მეორე ვარიანტით კომერციული ბანკები, ბანკების სააქციო საზოგადოებები, სადაზღვევო კომპანიები, სავაჭრო, შემსყიდველი და სანახაობრივი საწარმოები იბეგრება 45%-ით და აქედან წლიური მოგების 30% ირიცხება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი 15% ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

როგორც ვხედავთ, მოგების დაბეგვრის კანონპროექტის ორივე ვარიანტი გამოირჩევა საინტერესო მიდგომებით და მათი შეჯერება დადებითად წაადგებოდა ჩვენს საკანონმდებლო საქმეს. ალბათ ასეც მოხდებოდა, ქვეყანაში რომ არ დაძაბულიყო მდგომარეობა და უზენაეს საბჭოს მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონოდა.

სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისია

მნიშვნელოვან საკანონმდებლო მუშაობას ეწეოდა ასევე სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აწ განსვენებული ირაკლი ჩხეიძე. აქ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ კომისიის მიერ მომზადებულ და შემდეგ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს სოფლის მეურნეობის დარგში. აღნიშნულმა კომისიამ შეიმუშავა შემდეგი კანონპროექტები: „მიწის რეფორმის შესახებ“, „სოფლის სტატუსის შესახებ“, „ბუნების დაცვის შესახებ“ და ა. შ.

I.

უპირველესად ვეცდები მიმოვიხილო კანონპროექტი „მიწის რეფორმის შესახებ“[1]. მით უმეტეს, რომ მიწის რეფორმის საკითხი საქართველოში დღესაც აქტუალურია. ეს კანონპროექტი შედგება შვიდი კარისაგან და 35 პარაგრაფისაგან. შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ ამ კანონით რეგულირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სარგებლობასთან დაკავშირებული საადგილმამულო ურთიერთობები.

პირველი კარი ეძღვნება მიწის რეფორმის მიზნებს. კერძოდ კი, აღნიშნულია, რომ საქართველოში მიწის რეფორმის მიზანია:

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიწის რეფორმის შესახებ. პროექტი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 19.09.1991.

– მიწაზე სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაცია და საკუთრების სხვადასხვა ფორმების შემოღება. მიწის საკუთრების, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის ინდივიდუალიზაცია;

– სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების, მიწის საკუთრების, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის პროგრესული ფორმების აღდგენა და განვითარება;

– მიწების რაციონალური განაწილება ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზრუნველსაყოფად; რაციონალური მიწათსარგებლობის უზრუნველყოფა;

– ნასოფლარების აღსადგენად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

მეორე კარი ეძღვნება „მიწის რეფორმის პრინციპებს“ და შედგება რვა პარაგრაფისაგან, იწყება მეორით და მთავრდება მეცხრე პარაგრაფით. ამ ნაწილის მეორე პარაგრაფშივე აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწა შეადგენს საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს. საქართველოს რესპუბლიკა მიწის უზენაესი მესაკუთრეა“. ამასთან აქვე მითითებულია, რომ „საკუთრების ფორმების მიუხედავად, საქართველოს რესპუბლიკას აქვს მიწაზე განუყოფელი სუვერენიტეტის უფლება. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო მიწის მესაკუთრეებს, მიწათმფლობელებსა და მიწათმოსარგებლეებს დააკისრებს საჯარო ვალდებულებებს“.

ამავე კარის მესამე პარაგრაფში ხაზგასმულია, რომ „მიწა საკუთრებად ან მფლობელობაში გადაეცემათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს“. შემდეგ აქვე აღნიშნულია, რომ „უცხოელ მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს მიწა შეიძლება გადაეცეთ მხოლოდ დროებით სარგებლობაში“. შემდეგ აღნიშნულია, რომ „მოქალაქეთა საკუთრებად მიწის გადაცემა დაემყარება სოციალური სამართლიანობის მოთხოვნებს. სოფლის მეურნეობაში თითოეული მოქალაქის ეკონომიკური საქმიანობისათვის იქმნება

თანაბარი საწყისი პირობები. მიწის მიღების შესაძლებლობა მიეცემა იმათ, ვინც მიწას დაამუშავებს“.

მომდევნო, მეოთხე პარაგრაფში კი მითითებულია, რომ „მიწის საკუთრების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმების განსაზღვრისას უპირატესობა მიენიჭება ინდივიდუალური მიწის საკუთრების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებს“. მეხუთე პარაგრაფში მითითებულია, რომ „მიწაზე მოქალაქეთა საკუთრების უფლების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საკუთრების უფლების მოპოვება განსაზღვრული ვადით მიწის დამუშავების პირობით (იმატრიკულაცია)“; მეექვსე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „მიწის რეფორმის გატარებას საფუძვლად უდევს ეკოლოგიური ინტერესების პრიმატი. მიწის მესაკუთრეების, მიწათმფლობელებისა და მიწათმოსარგებლეების უფლებები შეიძლება შეიზღუდოს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს გარემოს დაცვის ინტერესები“. მეშვიდე პარაგრაფში კი აღნიშნულია, რომ „ადრინდელი მესაკუთრეებისათვის მიწის ნაკვეთების დაბრუნება საკუთრებად ან მფლობელობაში არ დაიშვება. მათ მიწა საკუთრებად ან მფლობელობაში მიეცემათ საერთო საფუძველზე“. მერვე მუხლში მითითებულია, რომ „მიწის რეფორმის გატარების დროს მხედველობაში მიიღება ჩვეულებითი, ტრადიციული და ადათობრივი ნორმები. მეორე კარის ბოლო მეცხრე პარაგრაფში ხაზგასმულია, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს მიწის რეფორმის გატარებას ცხოვრებაში“.

კანონპროექტის მესამე კარში განხილულია მიწის საკუთრების ფორმები და მოიცავს მეათე-მეცამეტე პარაგრაფებს. მეათე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში მიწა შეიძლება იყოს სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში. მეთერთმეტე მუხლში განსაზღვრულია სახელმწიფო საკუთრების შემადგენლობა და აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს ყველა ის მიწა, რომელიც ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით არ

გადასულა ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებად. სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს ის მიწები, რომელთაც სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე ის მიწები, რომელთა ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მელიორაციისათვის ან სხვა ამგვარი ღონისძიებებისათვის სახელმწიფოს გაღებული აქვს სახსრები. ეს მიწები შეიძლება გაიცეს იჯარით მიწათმოსარგებლეებზე ან ფიზიკურ პირებზე მფლობელობაში მემკვიდრეობის უფლებით. სახელმწიფო საკუთრებაა ის მიწები, რომლებიც დარეზერვებულია შიდარესპუბლიკური მიგრაციებისათვის. ეს მიწები გაიცემა მხოლოდ საკუთრებაში. სახელმწიფო საკუთრებად რჩება ის მიწები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით რესპუბლიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა".

მომდევნო, მეთორმეტე პარაგრაფში განმარტებულია, რა შემთხვევაში გაიცეს მიწა სარგებლობისათვის და აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო მიწები შეიძლება გაიცეს იჯარით, სარგებლობაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე მემკვიდრეობის უფლებით". ამ კარის ბოლო მეცამეტე პარაგრაფში მითითებულია, რომ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულ საწარმოებს, საზოგადოებრივ მეურნეობებს, რელიგიურ საზოგადოებებს, სააქციო საზოგადოებებს და სხვა იურიდიულ პირებს მიწის ნაკვეთები შეიძლება გადაეცეთ (ერთობლივ ან წილობრივ) საკუთრებად".

ამ კანონპროექტის მეოთხე კარი ეძღვნება მიწაზე მოქალაქეთა საკუთრებას და მოიცავს მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე პარაგრაფიებს. მეთოთხმეტე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „საქართველოს მოქალაქეთა კერძო საკუთრებაში შეიძლება იყოს: ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის განკუთვნილი მიწა; ბ) საკარმიდამო, სააგარაკო და საბაღე მიწები; გ) საცხოვრებელი სახლის და სხვა უძრავი ქონების მშენებლობისა და მომსახურებისათვის საჭირო მიწები; დ) ტრადიციული

ხალხური სარეწებისათვის საჭირო მიწა. მომდევნო მეთხუთმეტე პარაგრაფი ფაქტიურად შეეხო სოფლად მიწების ნაწილის პრივატიზებას, მასში აღნიშნულია, რომ „საკარმიდამო, სააგარაკო და საბაღე მიწები ამჟამად მოქალაქეთა კანონიერ სარგებლობაში არსებული ოდენობით უსასყიდლოდ გადადის მათ საკუთრებად. საკარმიდამო, სააგარაკო და საბაღე მიწის ნაკვეთები, თუ მათი მოსარგებლეები გარდაცვლილი არიან, გადადის იმ კანონიერ მემკვიდრეებზე, რომლებიც გამოთქვამენ ამ ნაკვეთების მიღების სურვილს. მემკვიდრეებს აღნიშნული მიწის ნაკვეთები გადაეცემა იმ შემთხვევაში თუ ეს ნაკვეთები არ არის გადაცემული კანონით დადგენილი წესით სხვა მიწათმოსარგებლეებზე. ნასოფლარებში მიწა გადაეცემათ საკუთრებად უსასყიდლოდ ამ სოფლის მცხოვრებლებს, თუ ისინი სურვილს გამოთქვამენ მისდიონ სოფლის მეურნეობას". ამ პარაგრაფის ბოლოს მოცემულია მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის აუცილებელი პირობა, კერძოდ, „აღნიშნული მიწების მოქალაქეთა საკუთრებაში გადაცემის აუცილებელი პირობაა მიწის საკადასტრო ბარათი, რომელიც მიწის რეფორმის ორგანოს მიერ გაიცემა თითოეულ მესაკუთრეზე".

მეოთხე კარის მეთექვსმეტე პარაგრაფში კი საუბარია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად მიწების მოქალაქეებზე საკუთრებად გადაცემის შესახებ და აღნიშნულია, რომ „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად მოქალაქეებს მიწა გადაეცემათ მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების პირობით – იმატრიკულაციის პირობით. ამ მიზნით მოქალაქეებს მიწა გადაეცემათ მთიან რაიონებში ათი, ბარის რაიონებში თხუთმეტი წლის საკონკურსო ვადით. საიმატრიკულაციო ვადის განმავლობაში ისინი ვალდებულნი არიან დაამუშაონ მიწა, აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არანაკლებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის რაოდენობისა. სამატრიკულაციო ვადის გასვლის შემდეგ, თუ მოქალაქე დაამტკიცებს,

რომ მას შეუძლია მიწას მოუაროს, მისდიოს მაღალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობას, მიწის რეფორმის სასოფლო, სათემო და სადაბო კომისიების გადაწყვეტილებით მიწა გადადის მოქალაქეთა საკუთრებად. მოქალაქეებს მიწა შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ერთი გლეხური მეურნეობის შესაქმნელად. მომდევნო მეჩვიდმეტე პარაგრაფში მითითებულია, რომ „მიწის რეფორმის რაიონული, საქალაქო კომიტეტები, სასოფლო, სათემო და სადაბო კომისიები მიწის კადასტრისა და მიწების ინვენტარიზაციის მონაცემების საფუძველზე ადგენენ მიწების საიმატრიკულაციო ზონებს. სახელმწიფოსთვის სტრატეგიული და განსაკუთრებული დანიშნულების მიწები სამატრიკულაციო ზონებად არ დაიყოფა“. აქვე აღნიშნულია, რომ „კოლმეურნეობების, საზოგადოებრივი მეურნეობების, სხვა კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარგებლობაში არსებული მიწები აგრეთვე უნდა დაიყოს სამატრიკულაციო ზონებად იმის გათვალისწინებით, რომ კოლმეურნეობებიდან, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან წევრების გასვლა მოხდეს მიწის მიღებით. ამ საწარმოებში სამატრიკულაციო ზონები განაწილდება თითოეულ წევრზე. კოლმეურნეობების ან სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წევრებს, საზოგადოებრივი მეურნეობების მუშებსა და მოსამსახურეებს ამ ორგანიზაციებში მათი ყოფნის დროს უფლება აქვთ იმატრიკულაციის პირობით მიიღონ მიწის ნაკვეთები. მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობის შემთხვევაში მიწის მესაკუთრეებზე მიწის რეფორმის რაიონული, საქალაქო კომიტეტების მიერ გაიცემა მიწის საკუთრების აქტი“.

მეთვრამეტე მუხლში კი განხილულია, თუ ვის გადაეცემა იმატრიკულაციის წესით მიწები და აღნიშნულია, „რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის იმატრიკულაციის პირობით მიწები გადაეცემათ:

1. სოფლად მუდმივად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოქალაქეებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი სახე სოფლის მეურნეობაა;

2. სოფლად მუდმივად მცხოვრებ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ მიღებული სპეციალობის მიხედვით;

3. სოფლად მუდმივად მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული სოფლის მეურნეობაში;

4. სხვა მოქალაქეები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს მისდიონ სოფლის მეურნეობას.

ის მოქალაქეები, რომლებიც კისრულობენ ვალდებულებას დაამუშაონ მიწა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად, არ უნდა იმყოფებოდნენ სახელმწიფო სამსახურში. იმ შემთხვევებში, როცა კომლი გამოთქვამს სურვილს მიიღოს მიწა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, კომლის ერთი შრომისუნარიანი წევრი მაინც არ უნდა იმყოფებოდეს სახელმწიფო სამსახურში".

მეოთხე კარის მეცხრამეტე პარაგრაფი ეხება საიმატრიკულაციო პერიოდში მიწათმოსარგებლის ვალდებულებებს და აღნიშნულია, რომ „საიმატრიკულაციო ვადის განმავლობაში მოქალაქეები ვალდებული არიან დაამუშაონ მიწა. ამ მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვებამდე მათ არ აქვთ უფლება გადაცემულ ნაკვეთზე ააგონ საცხოვრებელი სახლი ან სხვა კაპიტალური ნაგებობა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან. თუ მიწათმოსარგებლე ორი წლის მანძილზე ზედიზედ არ დაამუშავებს მიწის ნაკვეთს, იგი კარგავს უფლებას ამ მიწის ნაკვეთზე".

მომდევნო, მეოცე პარაგრაფში განხილულია ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის მიწის გამოყოფის საკითხი და მითითებულია, რომ „მიწის რეფორმის ორგანოების გადაწყვეტილებით ცალკეულ სოფლებში, თემებსა და ქალაქებში იქმნება მიწის სპეციალური ფონდი ინივიდუალური ბინათმშენებლობისათვის. ამ მიწების შეძენა საკუთრებად ხდება შესყიდვის გზით. მიწის ფასს განსაზღვრავს სპეციალური კანონმდებლობა".

შემდეგი ოცდამეერთე პარაგრაფი ეძღვნება უვარგისი მიწების გაკეთილშობილებას და მათ გამოყენებას და მითითე-

ბულია, რომ „უვარგისი მიწების გაკეთილშობილება და მათი გამოყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის საიმატრიკულაციო ვადის გარეშე წარმოშობს ამ მიწაზე საკუთრების უფლებას“.

ოცდამეორე პარაგრაფი მიუთითებს მიწის მესაკუთრეთა ვალდებულებებზე და აღნიშნულია, რომ: „მიწის მესაკუთრეები ვალდებული არიან დაამუშაონ მიწა. მესაკუთრე, რომელიც სამი წლის მანძილზე არ დაამუშავებს მიწას, კარგავს მასზე უფლებას. მიწის მესაკუთრეებს არ შეუძლიათ თვითნებურად შეცვალონ მიწის მიზნობრივი დანიშნულება; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მიზნით“. მომდევნო ოცდამესამე პარაგრაფში კი განხილულია, რომ „მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული მიწის ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება, ანდერძით გადაცემა და სხვა გარიგებები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

მეოთხე კარის ბოლო, ოცდამეოთხე პარაგრაფში განხილულია, თუ რა შემთხვევაში წყდება მიწაზე საკუთრების უფლება, კერძოდ: „მიწაზე საკუთრების უფლება წყდება:

ა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოუყენებლობისას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად ზედიზედ სამი წლის განმავლობაში;

ბ) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოუყენებლობისას;

გ) მიწის ნაკვეთზე ნებაყოფლობით უარის თქმისას;

დ) მიწის ნაკვეთის გამოყენებისას ისეთი მეთოდებით, რომლებიც იწვევენ მიწის ნაყოფიერების გაუარესებას;

ე) მიწის ნაკვეთის ისეთი მეთოდებით გამოყენებისას, რომლებიც იწვევენ მიწის ნაყოფიერების შემცირებას, მის ქიმიურ და რადიოაქტიურ გაჭუჭყიანებას, ეკოლოგიური ვითარების გაუარესებას;

ვ) მიწის ბეგარის და მიწის ნაყოფიერების შემცირებისათვის ჯარიმების სისტემატური გადაუხდელობისას; ამ მუხლ-

ში ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობისას მიწის ნაკვეთზე უფლებას კარგავენ მოქალაქეები, რომლებმაც იმატრიკულაციის პირობით მიიღეს მიწა. მიწაზე საკუთრების უფლება წყდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე".

კანონპროექტის „მიწის რეფორმის შესახებ" მეხუთე კარში განხილულია მიწის რეფორმის ეტაპები, იგი მოიცავს ოცდამეხუთე და ოცდამერვე პარაგრაფებს. ოცდამეხუთე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „მიწის რეფორმა ტარდება ორ ეტაპად" და მომდევნო ორ პარაგრაფში განხილულია ეს ეტაპები. ოცდამეექვსე პარაგრაფში განხილულია პირველი ეტაპი და აღნიშნულია, რომ „პირველ ეტაპზე იქმნება მიწის რეფორმის სახელმწიფო ორგანოები, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში არსებული მიწის ფონდის ინვენტარიზაცია, თითოეული მიწათსარგებლობის სუბიექტის მიხედვით მიწის კადასტრის შექმნა, სარგებლობაში, მფლობელობაში ან საკუთრებაში მიწის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება და მათი სისტემატიზაცია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების პირობით გასანაწილებელი მიწების ნაკვეთების გამოყოფა – საიმატრიკულაციო ზონების შექმნა. პირველ ეტაპზე დგება სოფლების, თემების, დაბების, რაიონების მიხედვით მიწათმოწყობის პროექტები და დგინდება მათი საზღვრები. მიწათმოწყობის პროექტები უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონსა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს. მიწათმოწყობის პროექტი მტკიცდება მიწის რეფორმის რაიონული, საქალაქო კომიტეტის მიერ". მომდევნო, ოცდამეშვიდე პარაგრაფში განხილულია მიწის რეფორმის მეორე ეტაპი და აღნიშნულია, რომ „მეორე ეტაპზე მიწის საკადასტრო მონაცემების საფუძველზე უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაიცემა მოქალაქეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, სააგარაკო და საბაღე ნაკვეთები კანონიერ სარგებლობაში არსებული ოდენობით. ნასოფლარებში დაბრუნებულ მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები გადაეცემათ უსასყიდლოდ. საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ოდენობას განსაზღვრავენ მიწის რეფორმის

რაიონული და საქალაქო კომიტეტები ადგილობრივი შესაძლებლობების, რეგიონალური თავისებურებების, სპეციალიზაციის, მოცემული მიწების დამუშავების შესაძლებლობის გათვალისწინებით. მეორე ეტაპზე გადაიცემა მიწები საკუთრების უფლების მოპოვების პირობით – იმატრიკულაციის პირობით. ამ დროს ფორმდება ხელშეკრულება მიწის მიმღებსა და სასოფლო, სათემო, სადაბო მიწის რეფორმის კომისიებს შორის, ხელშეკრულების რეგისტრაციას ახორციელებს მიწის რეფორმის შესაბამისი კომიტეტი. ხელშეკრულების ფორმას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტი. ამავე კარის ბოლო, ოცდამერვე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „მესამე ეტაპზე ხდება იმატრიკულაციის პირობით გადაცემული მიწების გადასვლა მოქალაქეთა საკუთრებაში".

ამ კანონპროექტის მეექვსე კარში განხილულია „მიწის რეფორმის ორგანოები" და შედგება ოთხი პარაგრაფისაგან. ეს კარი იწყება ოცდამეცხრე პარაგრაფით და მასში აღნიშნულია, რომ საქართველოში „მიწის რეფორმის გატარება ეკისრება საქართველოს მიწის რეფორმის კომიტეტს, რომელსაც ქმნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. მიწის რეფორმის კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ხუთი წლის ვადით. მიწის რეფორმის კომიტეტის სისტემა შედგება რაიონული, საქალაქო მიწის რეფორმის კომიტეტებისა და სადაბო, სათემო და სასოფლო მიწის რეფორმის კომისიებისაგან. მომდევნო ოცდამეათე პარაგრაფში განხილულია სადაბო, სათემო და სასოფლო მიწის რეფორმის კომისიების შემადგენლობა და აღნიშნულია, რომ სადაბო, სათემო და სასოფლო მიწის რეფორმის კომისიები შედგება შესაბამისი საკრებულოების, მოცემულ ტერიტორიაზე მდებარე კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების (ყოფილი საბჭოთა მეურნეობების), სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. სადაბო, სათემო და სასოფლო მიწის რეფორმის კომისიის თა-

ვმჯდომარეს ირჩევენ კომისიის წევრები და ამტკიცებს რაიონის მიწის რეფორმის თავმჯდომარე“.

ოცდამეთერთმეტე პარაგრაფში განხილულია მიწის რეფორმის მართვის საშუალო რგოლის შემადგენლობა და აღნიშნულია, რომ „რაიონული, საქალაქო მიწის რეფორმის კომიტეტი შედგება მიწათმოქმედების, მიწათსარგებლობის და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისაგან, სადაბო, სათემო და სასოფლო მიწის რეფორმის კომისიების თავმჯდომარეებისაგან. „რაიონული, საქალაქო მიწის რეფორმის კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევენ მიწის რეფორმის კომიტეტის წევრები და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტის თავმჯდომარე. ამ კარის ბოლო ოცდამეთორმეტე პარაგრაფში განხილულია, თუ როგორ ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტი თავის საქმიანობას. კერძოდ, ამ პარაგრაფში მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტი მის სისტემაში შემავალი კომიტეტებისა და კომისიების მეშვეობით:

ა) ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მიწის ფონდის ინვენტარიზაციას;

ბ) ადგენს მიწის კადასტრს, რომელშიც აისახება მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციის, მიწის რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვის, მიწის ბონიტერების და მიწების ეკონომიკური შეფასების მონაცემები;

გ) განსაზღვრავს საკუთრებად, მფლობელობაში ან სარგებლობაში გადასაცემი მიწების ზონებს, განსაკუთრებული დაცვის რეჟიმს დაქვემდებარებულ ტერიტორიებს, შიდარესპუბლიკური მიგრაციებისათვის დარეზერვირებული ტერიტორიების ფარგლებს;

დ) აქვეყნებს სოფლების, თემების, დაბების, რაიონების, ქალაქების მიხედვით მიწის კადასტრის მონაცემებს;

ე) იღებს ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებებს საკუთრებად, მფლობელობაში და სარგებლობაში მიწების მიღების შესახებ. ადგენს მიწის მიღების მსურველთა სიას;

ვ) განსაზღვრავს იმ ტერიტორიების სიას, რომელიც არ გადადის კერძო საკუთრებაში;

ზ) გასცემს მიწაზე საკუთრების, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ საბუთს;

თ) ორგანიზაციას უწევს შიდარესპუბლიკურ მიგრაციებს. ამ მიზნით მიწების ცალკეული ზონების გამოყოფას;

ი) იძლევა დასკვნებს მიწების გაცემისა და დაცვის, მილიორაციისა და მიგრაციების საკითხებზე;

კ) გასცემს ნებართვას მიწების კატეგორიების შეცვლის თაობაზე.

მიწის რეფორმის ორგანოების სამართლებრივ სტატუსს, მათ კომპეტენციას განსაზღვრავს დებულება მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

ამ კანონპროექტის ბოლო მეშვიდე კარი „მიწის მიღების აღრიცხვაზე აყვანის წესი“ შედგება სამი პარაგრაფისაგან და იწყება ოცდამეცამეტე პარაგრაფით. მასში აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებსაც სურთ საკუთრებად ან მფლობელობაში მიწის ნაკვეთის მიღება, ამის შესახებ განცხადებით მიმართავენ მიწის რეფორმის სასოფლო, სათემო, სადაბო კომისიებს. მოქალაქეთა განცხადებაში მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის სახელი, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა და მიზანი, თუ რისთვის ითხოვს იგი მიწას“.

მომდევნო, ოცდამეთოთხმეტე პარაგრაფში მითითებულია, რომ „იმ მოქალაქეთა განცხადებები, რომელთაც სურთ მიწის ნაკვეთის მიღება სხვა რაიონში, აღირიცხება საქართველოს რესპუბლიკის მიწის რეფორმის კომიტეტში“. ამ კარისა და საერთოდ ამ კანონპროექტის ბოლო ოცდამეთოთხმეტე მუხლში აღნიშნულია, რომ „მიწის რეფორმის განხორციელების დროს წარმოშობილ დავებს განიხილავს რაიონის, ქალაქის სასამართლოები.

ამრიგად, აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში არსებული

მიწა შეადგენს საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს. საქართველოს რესპუბლიკა მიწის უზენაესი მესაკუთრეა“ და შემდეგ კი მითითებულია, რომ „მიწა საკუთრებად ან მფლობელობაში გადაეცემათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს“. რაც შეეხება უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე მიწის საკუთრებაში გადაცემის საკითხს, აქ პირდაპირ მითითებულია, რომ „უცხოელ მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს მიწა შეიძლება გადაეცეთ მხოლოდ დროებით სარგებლობაში“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ კანონპროექტის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად მოქალაქეებს მიწა გადაეცემათ არა უშუალოდ საკუთრებაში, არამედ მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების პირობით – იმატრიკულაციის პირობით. ამასთან ამ მიზნით მოქალაქეებს მიწა გადაეცემათ მთიან რაიონებში ათი, ბარის რაიონებში თხუთმეტი წლის საკონკურსო ვადით. საიმატრიკულაციო ვადის განმავლობაში ისინი ვალდებულნი არიან დაამუშაონ მიწა, აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არანაკლებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის რაოდენობისა. სამატრიკულაციო ვადის გასვლის შემდეგ, თუ მოქალაქე დაამტკიცებს, რომ შეუძლია მიწას მოუაროს, მისდიოს მაღალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობას, მიწის რეფორმის სასოფლო, სათემო და სადაბო კომისიების გადაწყვეტილებით მიწა გადადის მოქალაქეთა საკუთრებად. მართალია სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრებაში გადაცემის ეს გზა იყო რთული და დროშიც გაიწელებოდა, მაგრამ სამაგიეროდ მიწის მესაკუთრე გახდებოდა რეალური მეწარმე გლეხი, რომელიც მიწას არ მოაცდენდა და ზოგიერთებივით უცხოელებზე არ გაყიდიდა.

ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოში მიმდინარეობდა მწვავე დისკუსიები სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვის შესახებ და მეც ყოველივე ამას ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს. იმ პერიოდში უცხოურმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა მოისურვეს ნიდერლანდე-

ბის ორი დიდი კომპანიის, რაბობანკისა და უნილევერის ყიდვა, საქმეც დაიძრა ადგილიდან, მაგრამ ნიდერლანდების მთავრობამ შეაჩერა და შემდეგ ჩაშალა მოლაპარაკებები. ევროკომისარმა კონკურენციის დარგში მარგარეტა ვესტაბერმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ნიდერლანდების მთავრობის პოზიციას, არ გაეყიდა ეს საწარმოები უცხოელებზე, რაც მეც ძალიან გამიხარდა. როგორც ნიდერლანდების მოქალაქემ, წერილობით მადლობა გადავუხადე და ამავე დროს, როგორც ქართველმა და ასევე საქართველოს მოქალაქემ, ვთხოვე ჩემს ერთ კითხვაზე ეპასუხა: ისეთი პატარა და მცირემიწიანი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ვალდებული იყო თუ არა, უცხოეთის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწები გაეყიდა. მისი დავალებით აპარატიდან მომივიდა პასუხი, რომ ეს უნდა გადაწყვიტოს საქართველომ თვითონ, გამომდინარე თავისი შესაძლებლობებიდან და უნდა გაითვალისწინოს მიწის ფასიც. ნიდერლანდებში ერთი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა ამ რამდენიმე წლის წინ 41 000 ევრო ღირდა და მცირეოდენი დაკლებისკენ წავიდა. ამის გამო ბირჟამ მიწების გაყიდვა შეაჩერა, სანამ ფასები ზრდას არ დაიწყებდა. ასე რომ მიწას დიდი მოფრთხილება სჭირდება.

II.

სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის დამუშავებულ კანონპროექტთაგან გამოვყოფდი აგრეთვე კანონპროექტს „სოფლის სტატუსის შესახებ“[1]. ამ კანონს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის და მისი რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბებისათვის. მისი ძალაში შესვლა ხელს შეუწყობდა სოფლის კომპლექსურ განვითარებას და აღორძინებას.

[1] საქართველის რესპუბლიკის კანონი სოფლის სტატუსის შესახებ. პროექტი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 12.10.1991.

ეს კანონპროექტი შედგება ექვსი მუხლისა და ოცდათერთმეტი პარაგრაფისაგან. პირველი მუხლი, რომელიც მოიცავს ზოგად დებულებებს, ექვსპარაგრაფიანია. პირველ პარაგრაფში განსაზღვრულია, თუ რას წარმოადგენს სოფელი და აღნიშნულია, რომ „სოფელი დასახლებული ტერიტორიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი რგოლია; სოფელი არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ადამიანთა კომპაქტური დასახლება, რომლის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა. იგი მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების და ცხოვრების პირობების მთელ კომპლექსს. სოფელს აქვს სახელწოდება, მისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი ან მისაღები თვითმმართველობა". მეორე პარაგრაფში კი ფაქტიურად განსაზღვრულია ამ მიმართულებით ქვეყნის ამოცანა და აღნიშნულია, რომ „სოფლის ისტორიული საზღვრების დადგენა დღეს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს". შემდეგი, მესამე პარაგრაფი კი მიუთითებს, რომ „სოფლის საზღვრებს ადგენს საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც ირჩევს სოფლის ყრილობა 5-9 წევრის შემადგენლობით. საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციაში ატარებს რაიონის პრეფექტურა, რის შემდეგაც იგი უფლებამოსილია შეუდგეს თავისი საქმიანობის განხორციელებას". მეოთხე პარაგრაფში დახასიათებულია საინიციატივო ჯგუფის მუშაობის მიმართულება და ხასიათი, კერძოდ, „საინიციატივო ჯგუფი სოფლის საზღვრების დადგენისას ემყარება, როგორც მოცემული სოფლის, ისე მოსაზღვრე სოფლების მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის პირველად დოკუმენტებს, რის საფუძველზეც ადგენს სოფლის საზღვრებს. მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის პირველად დოკუმენტების საფუძველზე სოფლის საზღვრების დადგენის შეუძლებლობის ან ასეთი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში სოფლის საზღვრებს ადგენს პარიტეტულ საწყისებზე მოსაზღვრე სოფლების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია, პრეფექტურის

წარმომადგენლის მონაწილეობით, შეთანხმების საფუძველზე. თუ კომისია ვერ მიიღებს შეთანხმებულ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე, მაშინ დავის განხილვა ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. სოფლის საზღვრებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ხოლო შინასასოფლო საზღვრებს აწესრიგებს სოფლის თვითმმართველობის ორგანო. დამტკიცებულ საზღვრებს შიგნით სოფელი არსებული ტერიტორიის სრული მფლობელია, ამ ტერიტორიის მიწათმოწყობის ღონისძიებათა გატარებაში ჩარევა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით აკრძალულია". მეხუთე პარაგრაფში განმარტებულია სოფლის პირვანდელი საზღვრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში რა ღონისძიებას მიმართავს სახელმწიფო, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „სოფლის საზღვრების პირვანდელი ტერიტორიის ფარგლებში აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში სახელმწიფო შეძლებისამებრ ახდენს სოფლის ტერიტორიის შევსებას სახელმწიფო მარაგის მიწებიდან ან ფულად კომპენსირებას სოფლის სასარგებლოდ". ამ მუხლის ბოლო, მეექვსე პარაგრაფი კი მიუთითებს, რომ „მეურნეობრიობის გაძღოლის სისტემას სოფლად აყალიბებს თვითმმართველობის ორგანო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში".

ზემოთ აღნიშნული კანონპროექტის მეორე მუხლი ეძღვნება „სოფლის მმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას" და იწყება მეშვიდე პარაგრაფით. მასში აღნიშნულია, რომ „სოფლის თვითმმართველობის უზენაესი ორგანო არის სოფლის ყრილობა. სოფლის ყრილობა ირჩევს სოფლის თვითმმართველობის მუდმივმოქმედ ორგანოს". მომდევნო მერვე-მეცამეტე პარაგრაფებში დახასიათებულია სოფლის თვითმმართველობის ორგანოს უფლებები, მოვალეობები და კომპეტენცია. მერვე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სოფლის თვითმმართველობის ორგანო საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოფს სოფლის საზღვრების დაცვას, სოფლის ტერიტორიაზე არჩევნებისა და რეფერენდუმების ჩატარებას,

წარმართავს სოფლის სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ განვითარებას, უფლებამოსილია გადაწყვიტოს ის საკითხები, რომელიც მის კომპეტენციას განეკუთვნება". მეცხრე პარაგრაფში მითითებულია, რომ „სოფლის თვითმმართველობის ორგანოს კომპენტენცია, მისი საქმიანობის წესი, ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანოებთან, საწარმოებთან და მოქალაქეებთან განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, კანონით „სოფლის თვითმმართველობის შესახებ", ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით". მეათე პარაგრაფის მიხედვით „სოფლის თვითმმართველობის ორგანოს სტრუქტურის განსაზღვრა სოფლის მოსახლეობის უფლებამოსილებაა. იგი განისაზღვრება ადგილობრივი თავისებურებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით". მეთერთმეტე პარაგრაფი მიუთითებს, რომ „სოფლის თვითმმართველობის ორგანო ახორციელებს საერთო ზედამხედველობას მის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად". მეთორმეტე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სოფლის თვითმმართველობის ორგანო კონტროლს უწევს მოქმედი კანონმდებლობის დაცვას ბუნებათსარგებლობის, მათ შორის მიწათსარგებლობის, გარემოს დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სოფლის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების სფეროში". ამ მუხლის ბოლო მეცამეტე პარაგრაფი ეძღვნება სოფლის ბიუჯეტს და აღნიშნულია, რომ „სოფლის თვითმმართველობის ორგანო ადგილობრივი სახსრების საფუძველზე განსაზღვრავს სოფლის ბიუჯეტს".

ამ კანონპროექტის მესამე მუხლი ეხება სოფლის მიწის ფონდს და იწყება მეთოთხმეტე პარაგრაფით და მთავრდება ოცდამეერთე პარაგრაფით. მეთოთხმეტე პარაგრაფში მითითებულია, რომ „მიწის ერთიანი რესპუბლიკური ფონდიდან

სოფლის ტერიტორია გამოიყოფა საზღვრების მეშვეობით. სოფლის ტერიტორია განკუთვნილია სოფლის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და მისი საზღვრები დაცულია კანონმდებლობით". მომდევნო მეთხუთმეტე პარაგრაფში საუბარია სოფლის საზღვრების დაცულობის შესახებ და აღნიშნულია, რომ „სოფლის ტერიტორიის საზღვრების ხელყოფა ითვალისწინებს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით".

მეთექვსმეტე პარაგრაფში მითითებულია, რომ „სახელმწიფოს, როგორც მიწის მესაკუთრის, უფლებამოსილებას სოფლად ახორციელებს თვითმმართველობის ორგანო". მეჩვიდმეტე პარაგრაფში კი ჩამოთვლილია სოფლის მიწების შემადგენლობა, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „სოფლის მიწების შემადგენლობაში შედის:

ა) სოფლის განაშენიანების მიწები;

ბ) სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საკარმიდამო და დამხმარე მეურნეობათა მიწების ჩათვლით;

გ) სოფლის სატყეო ფონდის მიწები;

დ) სოფლის წყლის ფონდის მიწები;

ე) საცდელი ნაკვეთები, სასწავლო მეურნეობები;

ვ) საგზაო ქსელი, მინდორსაცავი და ქარსაცავი ზოლები, სარწყავი და დამშრობი სისტემებით დაკავებული მიწები;

ზ) საერთო სარგებლობის და მარაგის მიწები".

მომდევნო მეთვრამეტე პარაგრაფში მითითებულია, რომ „სოფლის ტერიტორია იყოფა საკარმიდამო და სამეურნეო დანიშნულების მიწებად. სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ რეგისტრაციას და ერთიან აღრიცხვას." მეცხრამეტე მუხლში აღნიშნულია, რომ „მიწათმოსარგებლეს საკარმიდამო დანიშნულების მიწა გადაეცემა უსასყიდლოდ, მფლობელობაში, მემკვიდრეობის უფლებით, რომელიც დადასტურდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფო აქტით მიწის მფლობელობაში გადაცემის შესახებ. მიწის

მფლობელობაში გადაცემის დამადასტურებელი აქტი გაიცემა თვითმმართველობის ორგანოს მიერ. სამეურნეო დანიშნულების მიწა გაიცემა იჯარით, რომელიც დასტურდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი სახელმწიფო აქტით მიწის იჯარით გადაცემის შესახებ". ხოლო მომდევნო მეოცე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „მიწის ნაკვეთის მიცემაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით". ამავე მუხლის ბოლო ოცდამეერთე პარაგრაფში ხაზგასმულია, რომ „სოფლის ტერიტორიაზე ყველა სახის მშენებლობა (გარდა საცხოვრებელი სახლისა) ხორციელდება რაიონული დაქვემდებარების სამსახურებთან შეთანხმებით".

განსახილველი კანონპროექტის მეოთხე მუხლი ეძღვნება „სოფლის ქონებას" და შედგება ორი, ოცდამეორე და ოცდამესამე პარაგრაფისაგან. ოცდამეორე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სოფელი მის საზღვრებში არსებული ბუნებრივი რესურსების მფლობელია და განაგებს მას". ოცდამესამე პარაგრაფში კი მითითებულია: „სოფლის საკუთრებას წარმოადგენს სოფლის თვითმმართველობის ორგანოს ქონება, სოფლის ბიუჯეტის სახსრები, ადგილობრივი მეურნეობების საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ქონება და მათ შორის სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამრეწველო და საამშენებლო და სხვა საწარმოების, სახალხო განათლების, კულტურის, ჯანდაცვის დაწესებულებების ქონება, აგრეთვე ის ქონება, რომელიც საჭიროა სოფლის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარებისათვის".

მეხუთე მუხლში განხილულია „სოფლის თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობა საწარმოებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან" და იწყება ოცდამეოთხე და მთავრდება ოცდამეშვიდე პარაგრაფებით. ოცდამეოთხე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სოფლის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების სამეურნეო საქმიანობის განხორციელების, მათი გაფართოების ან ახალი საწარმოს გახსნის ნებართვას იძლევა

სოფლის თვითმმართველობის ორგანო. ნებართვის გაცემის წესი და ვადები განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით". მომდევნო ოცდამეხუთე პარაგრაფში მითითებულია, რომ „ყველა უწყება, ორგანიზაცია, ასოციაცია და სხვა იურიდიული პირი, რომელიც წარმართავს სოფლის ტერიტორიაზე მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების (ორგანიზაციების) საქმიანობას, ვალდებულია შეუთანხმოს ეს საქმიანობა სოფლის თვითმმართველობის ორგანოს". მომდევნო ოცდამეექვსე პარაგრაფში საუბარია მიწის გადასახადზე, რომელსაც იხდიან ეს საწარმოები და ორგანიზაციები და აღნიშნულია, რომ „სოფლის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, მიწათსარგებლობისათვის იხდიან შესაბამის გადასახადს სოფლის ბიუჯეტში. სოფლის ბიუჯეტში მიწათსარგებლობისათვის გადასახადს იხდიან აგრეთვე ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც არ სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, ხოლო შესაბამისი სახსრების უკმარისობის შემთხვევაში გადასახადს იხდის მათი ზემდგომი ორგანო". ამ მუხლის ბოლო ოცდამეშვიდე პარაგრაფი ეხება ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს აღნიშნულ მიწათსარგებლობასთან მიმართებით და აღნიშნულია, რომ „სოფლის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებისა და სხვა დაწესებულებათა მიწათსარგებლობა წესრიგდება თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით და ყალიბდება სახელშეკრულებო ურთიერთობათა საფუძველზე".

კანონპროექტის „სოფლის სტატუსის შესახებ" ბოლო, მეექვსე მუხლი ეძღვნება გარემოს დაცვას და იწყება ოცდამერვე და მთავრდება ოცდამეთერთმეტე პარაგრაფით. ოცდამერვე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სოფლის თვითმმართველობის ორგანო პასუხისმგებელია სოფლის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, იგი ამუშავებს და ახორციელებს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებებს".

მომდევნო ოცდამეცხრე პარაგრაფით განსაზღვრულია, რომ „სოფლის ტერიტორიაზე აკრძალულია იმ ობიექტების მშენებლობა ან რეკონსტრუქცია, რომლებზედაც არ არსებობს ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ობიექტების მშენებლობის ან რეკონსტრუქციის ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა, სოფლის თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილებას შეადგენს ამ ობიექტების მშენებლობაზე ან რეკონსტრუქციაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე სოფლის თვითმმართველობის ორგანო სოფლის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (საკუთრების ფორმების მიუხედავად) აკისრებს დიფერენცირებულ გადასახადს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის“. ოცდამეათე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სოფლის თვითმმართველობის ორგანოს უფლება აქვს შესაბამის ეკოლოგიურ სამსახურთან შეთანხმებით შეამციროს ან შეაჩეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს მავნე გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და გარემოზე აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ეკოლოგიურ და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს“. ამ კანონპროექტის ბოლო, ოცდამეთერთმეტე პარაგრაფში მითითებულია, რომ „ბუნების დაცვის კანონმდებლობის ნორმების დარღვევით მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სრულად. ზარალის ანაზღაურება ბრალეულ პირს არ ათავისუფლებს შესაბამისი ქონებრივი სანქციების გადასახადისაგან“.

როგორც განხილული კანონპროექტით „სოფლის სტატუსის შესახებ“ დგინდება, სოფლის თვითმმართველობის ორგანო, დამტკიცებულ საზღვრებს შიგნით, სოფლის არსებული ტერიტორიის სრული მფლობელია, ამ ტერიტორიის მიწათმოწყობის ღონისძიებათა გატარებაში ჩარევა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით აკრძალულია. აქვე ამავე კანონპროექტში მითითებულია, რომ სოფლის ტერიტორიის

საზღვრების ხელყოფა ითვალისწინებს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აქვე ჩამოთვლილია სოფლის მიწების შემადგენლობა, კერძოდ, აღნიშნულია, რომ სოფლის მიწების შემადგენლობაში შედის:

ა) სოფლის განაშენიანების მიწები;

ბ) სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საკარმიდამო და დამხმარე მეურნეობათა მიწების ჩათვლით;

გ) სოფლის სატყეო ფონდის მიწები;

დ) სოფლის წყლის ფონდის მიწები;

ე) საცდელი ნაკვეთები, სასწავლო მეურნეობები;

ვ) საგზაო ქსელი, მინდორსაცავი და ქარსაცავი ზოლები, სარწყავი და დამშრობით დაკავებული მიწები;

ზ) საერთო სარგებლობის და მარაგის მიწები.

ამრიგად, აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში სოფლის თვითმმართველობა ხდებოდა დამტკიცებულ საზღვრებს შიგნით სოფლის „ბატონ-პატრონი“; ამასთან მისი ტერიტორიის მიწათმოწყობის ღონისძიებათა გატარებაში ჩარევა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით აკრძალული იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში ვერავინ მოექცეოდა სოფლის მიწას უდიერად და ვერ გაუყიდიდა „უჩუმრად“ გლეხებს საძოვრებსა თუ ტყის ფართობებს და ვერ ჩააგდებდა მათ მძიმე მდგომარეობაში, რომელშიც ახლა არიან (თუმცა ეს კანონპროექტი ძალაშიც რომ ყოფილიყო, ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ქვეყნის ახალ მესვეურებს არც ჭკუა და არც სინდისი დაუშლიდათ, მათთვის ხელის შემშლელი კანონი გაეუქმებინათ.

მიწის საკითხი ყოველთვის მტკივნეული იყო ჩვენი ქვეყნისთვის და ალბათ ესეც იყო მიზეზი იმისა, მიწის რეფორმისა და სოფლის სტატუსის შესახებ კანონპროექტების გამოქვეყნებას უამრავი წერილი და გამოხმაურება მოჰყვა გაზეთ

„საქართველოს რესპუბლიკაში“, მაგალითად: თ. გუგუშვილი: „მიწა აგროფირმის (სოფლის) საკუთრებაში“, 01.11.; ე. კოდუა: „საარავისოდან კერძოსაკენ“, 16.11; დ. ადეიშვილი და სხვები. „მიწის რეფორმის გამო“. 26.11.; ნ. გოგოჭური: „მიწა ჩვენი მარჩენალი“, 04.12.; ბ. ზოიძე: „საკუთრების უფლების შესახებ“, 18.12.1991 და სხვა.

III.

მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების მუდმივმა კომისიამ შეიმუშავა და პრესაში განსახილველად გამოაქვეყნა კანონპროექტი „საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ“[1], და 1991 წლის 8 აგვისტოს მიიღო პირველი მოსმენით[2] და შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის მუდმივმა კომისიამ მოამზადა საქართველოს სოფლის მეურნეობაში იჯარის დებულების პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა 17 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“[3]. თავად დებულება შედგება ცხრამეტი პარაგრაფისაგან და ორი დანართისაგან.

იჯარის დებულების პროექტის პირველ პარაგრაფში განმარტებულია იჯარა, კერძოდ, მითითებულია, რომ „იჯარა არის ხელშეკრულების საფუძველზე მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების ვადიანი მისაგებლიანი მფლობელობა და გამოყენება“. შემდეგ მეორე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „იჯარადი (იჯარით ქონების გამცემი) შეიძლება იყოს მიწის და

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი /პროექტი/ საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. თბილისი. 08. 08.1991.

[2] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება. „საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი. 1991 წელი, № 8, გვ. 99

[3] საქართველოს სოფლის მეურნეობაში იჯარის დებულება. პროექტი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 17.10.1991.

წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების მესაკუთრე. ქონება იჯარით შეიძლება გასცეს ორგანომ ან პიროვნებამ, თუ მას მესაკუთრემ მიანიჭა ამგვარი უფლება". მომდევნო მესამე პარაგრაფის თანახმად, „მეიჯარე (იჯარით ქონების ამღები) შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის ან საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა ჯგუფი ან იურიდიული პირი. მიწის და სხვა ძირითად საშუალებათა იჯარით აღების უპირატესობა ენიჭება მოცემულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებთ". შემდეგ საუბარია იჯარის ხელშეკრულების შესახებ. კერძოდ, მეოთხე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „იჯარის ვადები ხელშეკრულებით განისაზღვრება. ამასთან მიწის და სხვა ძირითადი საშუალებების იჯარა შეიძლება იყოს, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი. იჯარით გასაცემი მიწის ოდენობა განისაზღვრება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით". მეხუთე პარაგრაფის მიხედვით, „მიწა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებები იჯარით გაიცემა ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწარმოებლად. იჯარით შეიძლება გაიცეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგული და წარმოების საშუალებები. იჯარით მათი გაცემის საკითხს ამტკიცებს სოფლის საკრებულო".

მეექვსე-მერვე მუხლებში საუბარია საიჯარო ქირაზე. კერძოდ, მეექვსე მუხლში მითითებულია, რომ „იჯარადარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით გადასცემს მეიჯარეს მიწას და წარმოების სხვა ძირითად საშუალებებს, რაზედაც მეიჯარე იხდის საიჯარო ქირას. არახელსაყრელ პირობებში მყოფი მეიჯარე მიწის ათვისების პერიოდში იჯარის პირველ ორ წელს შეიძლება განთავისუფლდეს საიჯარო ქირის გადახდისაგან ან ნაწილობრივ შეუმცირდეს იგი (საიჯარო ქირის გადასახადის დაწესების ინსტრუქცია დებულებას თან ერთვის, დანართი №1). მეშვიდე პარაგრაფში მითითებულია, რომ „საიჯარო ქირა შეიძლება დაწესდეს იჯარით აღებულ

ქონებააზე ერთობლივად ან ცალ-ცალკე თითოეული ობიექტის მიხედვით, ნატურალური, ფულადი ან შერეული ფორმით. საიჯარო ქირის გადახდის პირობები და ვადები განისაზღვრება ხელშეკრულებით". მერვე მუხლში კი აღნიშნულია, რომ „საიჯარო ქირის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება წარმოების პირობები".

მეცხრე მუხლის თანახმად, „შეთანხმების საფუძველზე იჯარადარი მეიჯარეს უწევს სანარმოო-ტექნიკურ მომსახურებას, გამოუყოფს მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, რომელთა საფასურსაც ახდევინებს შეთანხმებული ფასით, შეთანხმება ფორმდება ხელშეკრულებით". მომდევნო, მეათე პარაგრაფის მიხედვით, „მეიჯარე იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის საქმიანობას და საიჯარო ქირის გადახდის შემდეგ თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს (იყენებს) მის მიერ წარმოებულ პროდუქციას და მიღებულ შემოსავალს". მეთერთმეტე პარაგრაფის თანახმად, „მეიჯარე ვალდებულია არ დაუშვას ეკოლოგიური პირობების გაუარესება და მიწის ნაყოფიერების დაქვეითება, დაიცვას მიწა ეროზიისაგან და თუ მისი მიზეზით გაუარესდა მიწის ნაყოფიერება, საკუთარი ხარჯებით აღადგინოს იგი". მეთორმეტე მუხლში მითითებულია, რომ „იჯარით გაცემულ მიწის ნაკვეთზე მეიჯარეს ეკრძალება ყოველგვარი არასამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა".

მეცამეტე და მეთოთხმეტე მუხლები ეძღვნება ცვლილებებს საიჯარო ხელშეკრულებაში. კერძოდ, მეცამეტე მუხლი მიუთითებს, რომ „იჯარის ხელშეკრულების პირობების შეცვლა და მისი მოქმედების საბოლოოდ შეწყვეტა დაიშვება მხარეთა შეთანხმებით. იჯარის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სახელმწიფო არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს". შემდეგ, მეთოთხმეტე მუხლში კი აღნიშნულია, რომ „თუ არც ერთი მხარე არ შეიტანს განცხადე-

ბას ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ, ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება“. მეთხუთმეტე მუხლის მიხედვით კი, „მეიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში მისი უფლებები იჯარის ხელშეკრულების მიხედვით გადადის მასთან ერთად მცხოვრებ და მომუშავე ოჯახის წევრთაგან ერთ-ერთზე“. მეთექვსმეტე მუხლის თანახმად, „საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოქმნილ დავას განიხილავს სახელმწიფო არბიტრაჟი ან სასამართლო, მათი კომპეტენციის შესაბამისად“.

მომდევნო, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე მუხლები ეძღვნება დაზღვევის საკითხებს. მეჩვიდმეტე მუხლის თანახმად „მეიჯარე დამოუკიდებლად აზღვევს ქონებას და სტიქიის შემთხვევაში სარგებლობს დაზღვევის მოქმედი კანონმდებლობით“, შემდეგ მეთვრამეტე მუხლის მიხედვით კი, „მეიჯარე ექვემდებარება სოციალურ დაზღვევასა და „საპენსიო უზრუნველყოფას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შრომითი სტაჟი განისაზღვრება საიჯარო ხელშეკრულების ხანგრძლიობით და ითვლება მუშაობის უწყვეტ სტაჟში თუ ეს მისთვის ძირითადი საქმიანობაა“.

ამ დებულების ბოლო, მეცხრამეტე პარაგრაფის თანახმად, „იჯარადარსა და მეიჯარეს შორის ფორმდება ხელშეკრულება და აქტი მიწის და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების იჯარით გაცემის შესახებ. აქტი მიწის და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების შესახებ და ხელშეკრულების დებულება დანართი № 2-ის (2.1 და 2.2) სახით მოცემულია წიგნის დასასრულს.

დებულებას თან ერთვის დანართი № 1, რომელშიც მოცემულია საიჯარო ქირის დაწესების ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს ექვს პარაგრაფს. მის პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრა ხდება დიფერენცირებულად, მიწის კადასტრული შეფასების საფუძველზე დადგენილი ნიადაგის კლასების შესაბამისად. დიფერენციაცია ხდება სხვადასხვა კლასის ნიადაგის მიხედვით, ნიადაგის

შესაბამისი ხარისხის კოეფიციენტის შესაბამისად. საიჯარო ქირის ოდენობა საკადასტრო შეფასების მიხედვით განსაზღვრულია ერთ ჰექტარზე პროდუქციის გაანგარიშებით I და II კლასების ნიადაგზე 25 პროცენტი, III და IV კლასების ნიადაგზე – 20 პროცენტი, V და VI კლასების ნიადაგზე 15 პროცენტი". ამავე დანართის მეორე პარაგრაფის თანახმად, „საიჯარო ქირის ოდენობის დადგენა ხდება მოცემულ რაიონში, მეურნეობაში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით". ხოლო მესამე პარაგრაფის შესაბამისად „საიჯარო ქირას მეიჯარე იხდის ნატურით ან ფულით, მისი სურვილის მიხედვით". მეოთხე მუხლში მითითებულია, რომ „საიჯარო გადასახდელისაგან თავისუფლდებიან არახელსაყრელ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში მყოფი, აგრეთვე მძიმე დემოგრაფიული სიტუაციის მქონე რაიონები, მეურნეობები"; მეხუთე პარაგრაფის თანახმად, „საიჯარო ქირის ოდენობის შესახებ შეთანხმება გადაისინჯება საჭიროების შემთხვევაში, შეცვლილი პირობების შესაბამისად", ხოლო ამ დანართის ბოლო, მეექვსე პარაგრაფის მიხედვით, „გარდა მიწისა, საიჯარო ქირა წესდება სხვა ძირითად წარმოების საშუალებებზე მათი საამორტიზაციო ანარიცხი თანხის ოდენობით".

ამ კანონპროექტებთან დაკავშირებით მინდა ერთი პატარა ისტორია გავიხსენო. თარიღი ზუსტად აღარ მახსოვს. ბატონმა ზვიადმა დამირეკა და მითხრა: შენს მეზობელს პრობლემა აქვს და იქნებ დაეხმაროო. მივხვდი, ვისაც გულისხმობდა (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, მით უმეტეს გარდაცვლილია, აცხონოს მისი სული უფალმა). მის კაბინეტში რომ შევედი, იქ მყოფთ ჩემ გასაგონად მიმართა: – აი, გივიც მოვიდა და ალბათ დამეთანხმება. ვუპასუხე, ვნახოთ, ჯერ გავეცნობი საქმის ვითარებას და მერე გავარკვიოთ, როგორ მოვიქცეთ და რა გადაწყვეტილება მივიღოთ. მოკლედ, ჩამოსული იყო კახეთიდან, ყვარლის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლობა. ამ სოფლის მოსახლეობას ე. წ. გარდაქმნის პერიოდში იჯარით აუღია საბჭოთა მეურნეობა და ჩემი

კოლეგა ამ იჯარას უუქმებდა. სოფლის მოსახლეობა კი ამ გადაწყვეტილების მიღებას აპროტესტებდა. გავესაუბრე წარმომადგენლებს და ბოლოს ვკითხე: მეურნეობა თუ იყო რენტაბელური, გადასახადებს თუ იხდიდნენ და ა. შ. მათ შესაბამისი საბუთები წარმოადგინეს და ამაყად განმიცხადეს, რომ თავიანთი ხარჯებით სოფელში ახალი სკოლა აუშენებიათ, გზები მოუასფალტებიათ, განათება გაუყვანიათ და ა. შ. ყოველივე ამის შემდეგ მივუბრუნდი კოლეგას და გაკვირვებულმა ვკითხე: რას ერჩი ამ ხალხს? იჯარა უნდა შეუნარჩუნდეთ და უნდა იმუშაონ-მეთქი. დავამშვიდე კახელები და შევპირდი, თუ რამე პრობლემას წააწყდებოდნენ და დახმარება დასჭირდებოდათ, უშუალოდ ჩემთვის მოემართათ. რამდენიმე კვირის შემდეგ მართლაც დახმარებისთვის მომაკითხეს. თავიანთი მეურნეობისათვის სატვირთო მანქანის, „კამაზის“ ყიდვა უნდოდათ. ეს საქმეც ადვილად მოვუგვარე. ყოველივე ამით იმის თქმა მინდა, რომ, რაც კომუნისტურ საქართველოში გაკეთდა, განა ყველაფერი დასანგრევი ან გასაუქმებელი იყო? ხომ შეიძლებოდა ძველად გაკეთებულის გაუმჯობესება და ხალხის სასარგებლოდ უფრო ეფექტიანად წარმართვა. უფრო მეტიც, როგორც „სოფლის სტატუსის შესახებ“ კანონპროექტში მითითებულია, რომ „სახელმწიფოს, როგორც მიწის მესაკუთრის, უფლებამოსილებას სოფლად ახორციელებს თვითმმართველობის ორგანო“ და სოფლის თვითმმართველობა ფაქტობრივად, სოფლის ბატონ-პატრონია, მაშინ ალბათ, ეს პრობლემაც სოფლის თვითმმართველობას უნდა გადაეწყვიტა.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი ისტორია, რაც სოფელთან არის დაკავშირებული. 1991 წლის გაზაფხული იწყებოდა. მდივანმა მითხრა, გლეხები არიან გორის რაიონიდან და თქვენთან შეხვედრა უნდათო. კი გამიკვირდა, მაგრამ მაინც ვუთხარი შევხვდები, შემოვიდნენ-მეთქი. ორი თუ სამი კაცი იყო ზუსტად აღარ მახსოვს, ვკითხე რის გამო შეწუხებულიყვნენ. საქართველოში, კერძოდ, ქართლში გლეხებისათვის ფურაჟის პრობლემა მაშინ ხშირი იყო. ამით შეწუხებულნი მოვიდნენ

და დახმარება უნდოდათ. თავდაპირველად ვურჩიე: იქნება რუსეთიდან ან უკრაინიდან შემოიტანოთ-მეთქი. მათ ჩამომითვალეს პრობლემები, თუ რატომ ვერ შეძლებდნენ: მცირე რაოდენობის შემოტანა ძვირი ჯდებოდა; დიდი რაოდენობისა რომ ეყიდათ, ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნდათ. უცებ თავში გამიელვა ერთმა აზრმა და ვკითხე, ამარანტის თესლი რომ იაფად გაშოვნინოთ, თუ ახლავე დათესავთ, ოთხ თვეში მოსავალს მიიღებთ, თანაც, წელიწადში ორ მოსავალს იძლევა და საკმარის თივას მაინც ასე უცებ ვერ იშოვით, მანამ იქნებ როგორმე თავი გაიტანოთ-მეთქი. ერთმანეთს გადახედეს და შევატყვე, აზრები გაცვალეს, უცბათ დამთანხმდნენ. ამ დროს ვიცოდი, რომ კავკასიის ბირჟაზე ჰქონდათ ამარანტის თესლი, დავურეკე ბატონ ამირან ქადაგიშვილს, კავკასიის ბირჟის ხელმძღვანელს და მოვუყევი გორელების გასაჭირზე, თანაც ვთხოვე, ამარანტის თესლის შეძენაში დახმარებოდა. მართლაც, ყველაფერი მოგვარდა და ოთხიოდე თვის მერე მივიღე წერილი გორელებისგან, ამარანტის მოსავლის სურათით, ისე მაღალი და მსხვილღერიანი გაზრდილიყო ამარანტი, ერთ-ერთ მათგანს კიბე მიეყუდებინა ამ მცენარეზე და ისე ასულიყო. სწორედ ასე გადაღებული სურათი გამომიგზავნეს; წერილში კი დახმარებისათვის მადლობას მიხდიდნენ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივმოქმედმა კომისიამ მუშაობის ხანმოკლეობისას, აღნიშნულ კანონპროექტებთან ერთად, დაამუშავა და მოამზადა კიდევ ბევრი კანონპროექტი (მათ შორის, „კანონი ბუნების დაცვის შესახებ“, „გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის შესახებ“, „საქართველოში წარმოებისა და მომსახურების სფეროში კოოპერაციის შესახებ“ და სხვა), მაგრამ ჩვენ აქ განვიხილეთ მხოლოდ ორი კანონპროექტი და ერთი დებულება, რომლებიც უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები იყო და იმის მაგალითად, რომ ეს კომისია ისევე აქტიურად მუშაობდა, როგორც სხვა დანარჩენი კომისიები. აღნიშნული კანონპროექტებიდან ერთ-ერთი „სა-

ქართველოში წარმოებისა და მომსახურების სფეროში კოოპერაციის შესახებ" წარმოდგენილია დანართებში.

მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგობრივი კომისია იყო, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა საკანონმდებლო ბაზის შექმნა ეკონომიკის მატერიალური წარმოების სფეროს დარგებისათვის, რომლებიც მის „დაქვემდებარებაში" შედიოდნენ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის თავმჯდომარე იყო ბატონი ბაკურ გულუა 1991 წლის სექტემბრამდე, შემდეგ ბაკურ გულუას საქართველოს მთავრობაში ვიცე-პრემიერად დანიშვნის შედეგად, იმავე წლის 15 სექტემბრიდან ეს კომისია შეუერთდა ეკონომიკის კომისიას. ეს კომისია ბატონი ბაკურ გულუას ხელმძღვანელობით უდიდეს მუშაობას ეწეოდა შესაბამისი დარგების განვითარების მიმართულებების შემუშავება-განხილვებში, მათ რეორგანიზაციის გეგმების შედგენაში და ა. შ. ამ კომისიამ შეიმუშავა მრავალი უმნიშვნელოვანესი კანონი და კანონპროექტი, კერძოდ: კანონი „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ", კანონპროექტები – „პატენტების შესახებ", „იჯარის შესახებ" და ა. შ. ჩვენ აქ განვიხილავთ ჯერ კანონს „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ", შემდეგ კანონპროექტს პატენტების შესახებ.

I.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების მუდმივმოქმედმა კომისიამ შეიმუშავა

„საქართველოს რეპუბლიკის კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“. შესაბამისად მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიამ შეიმუშავა და უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“.[1] როგორც სათაურიდან ჩანს, პირველი ეხება უცხოურ ინვესტიციებს და ამ კანონის ცალკე გამოყოფა იყო იმ დროის მოთხოვნა. ეს მსგავსად გაკეთდა თითქმის ყველა ყოფილ საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, რადგან ისინი ინვესტიციების მწვავე დეფიციტს განიცდიდნენ. ამ კანონის ამგვარად მიღებით მათ სურდათ უცხოელი ინვესტორებისათვის დაენახვებინათ თავიანთი ქვეყნების საინვესტიციო კანონმდებლობის მიმზიდველობა, რასაც ზოგიერთმა მათგანმა წარმატებით გაართვა თავი.

კანონი საქართველოში „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ შედგება შესავლის, ოთხი კარისაგან და ოცდაორი მუხლისაგან. კანონის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ „ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, ინვესტიციების სახელმწიფოებრივი დაცვისა და რეგულირების ნორმებს. კანონის მიზანია: საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებების, ინტერესებისა და ქონების თანაბარ დაცვა, განურჩევლად საკუთრების ფორმისა; რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსის ეფექტური ფუნქციონირება, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების თანმიმდევრული დაკმაყოფილება“.

ამ კანონის პირველ კარში განხილულია ზოგადი დებულებანი და მისი პირველი მუხლი ეძღვნება ინვესტიციის განმარტებას და აღნიშნულია, რომ „ინვესტიციად ითვლება ყველა

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი საინვესტიციო საქმიანობის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. № 8, თბილისი. 1991 წელი. გვ. 99-111.

სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა, რომელიც დაბანდდება სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობის ობიექტში მოგების (შემოსავლის) ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ასეთი ფასეულობები შეიძლება იყოს: ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო შენატანები, პაი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; მოძრავი და უძრავი ქონება – შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობები; პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ“, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობანი; მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება, აგრეთვე სხვაგვარი ქონებრივი უფლებები; სხვა ფასეულობები. ინვესტიციები ძირითადი ფონდების კვლავწარმოებაში შეიძლება განიხილებოდეს კაპიტალურ დაბანდებათა ფორმით“.

პირველი კარის მეორე მუხლი ეძღვნება საინვესტიციო საქმიანობას და მის ფორმებს. აქ მითითებულია, რომ „საინვესტიციო საქმიანობაში იგულისხმება ინვესტიციის სარეალიზაციო პრაქტიკულ მოქმედებათა ერთობლიობა. საინვესტიციო საქმიანობის ფორმებია: კერძო და კოლექტიური ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ მოქალაქეები, არასახელმწიფო საწარმოები, კოოპერატივები, სამეურნეო ასოციაციები, საზოგადოებები და ამხანაგობები, აგრეთვე კოლექტიური, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციები, კერძო და კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული სხვა იურიდიული პირები;

სახელმწიფო ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საბიუჯეტო სახსრების, ბიუჯეტგარეშე ფონდების და ნასესხები სახსრების ხარჯზე, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები საკუთარი და ნასესხები სახსრების ხარჯზე;

უცხოური ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ უცხოელი მოქალაქეები, იურიდიული პირები და სახელმწიფოები;

ერთობლივი ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის და უცხოელი მოქალაქეები, იურიდიული პირები, სახელმწიფოები;

შერეული ინვესტირება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ზემოთ ჩამოთვლილ ფორმათა კომბინირებით".

ამ კანონის მესამე მუხლში განხილულია საინვესტიციო საქმიანობის ობიექტები, რომლის თანახმად, საინვესტიციო საქმიანობის ობიექტებია: „სამეურნეო კომპლექსის ყველა სფეროსა და დარგში შესაქმნელი და გასაახლებელი ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები, ფასიანი ქაღალდები, მიზნობრივი ფულადი შენატანები, სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია, ინტელექტუალური ფასეულობები, საკუთრების სხვა ობიექტები და აგრეთვე ქონებრივი უფლებები. აკრძალულია იმ ობიექტების ინვესტირება, რომელთა შექმნა და გამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი სანიტარულ-ჰიგიენურ, მიწათსარგებლობის, ეკოლოგიურ და სხვა ნორმებს, აგრეთვე აყენებს ზიანს სახელმწიფოს, მოქალაქეთა და იურიდიული პირების კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს".

მომდევნო, მეოთხე მუხლში მოცემულია საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტები და აღნიშნულია, რომ „საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი (ინვესტორი, მონაწილე), შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის ან უცხოელი მოქალაქე, იურიდიული პირი და სახელმწიფო. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად – ინვესტორად ითვლება ის, ვინც იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი, ნასესხები და მოზიდული ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობების დაბანდების თაობაზე. ინვესტორს შეუძლია გამოვიდეს ფასეულობის შემტანის, კრედიტორის, ინვესტიციის ან მისი შედეგის მყიდველის როლში, აგრეთვე შეასრულოს საინვესტიციო საქმიანობის ნებისმიერი მონაწილის ფუნქცია. საინვესტიციო საქმიანობის მონაწილენი არიან საქართველოს რესპუბლიკის და უცხოელი მოქალაქეე-

ბი და იურიდიული პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტიციის განხორციელებას, როგორც შეკვეთის უშუალოდ შემსრულებლები ან რომლებიც მოქმედებენ ინვესტორის დავალებით".

მომდევნო, მეხუთე მუხლი ეძღვნება საქართველოს რესპუბლიკაში საინვესტიციო საქმიანობის შესახებ კანონმდებლობას და აღნიშნულია, რომ „საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობანი საქართველოს რესპუბლიკაში რეგულირდება ამ კანონით და შესაბამისად გამოცემული საკანონმდებლო აქტებით. საქართველოს რესპუბლიკის სუბიექტების საინვესტიციო საქმიანობა უცხოეთში რეგულირდება იმ ქვეყნების კანონმდებლობით, რომელთა ტერიტორიაზეც ხორციელდება ეს საქმიანობა, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს რესპუბლიკის სპეციალური კანონმდებლობით; უცხოელი სუბიექტების საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის კანონით უცხოური ინვესტიციების შესახებ.

ამ კანონის მეორე კარი ეძღვნება „საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებას" და მოიცავს მეექვსე-მეცხრე მუხლებს. მეექვსე მუხლი ეძღვნება ინვესტორის უფლებებს და აღნიშნულია, რომ „ყველა ინვესტორს აქვს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების თანაბარი უფლებები. ინვესტორის მიერ ქონებრივ და ინტელექტუალურ ფასეულობათა გამოყენება იმ ობიექტის ინვესტირებისათვის, რომელიც არ არის აკრძალული ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონმდებლობით, შეუზღუდავია, მიჩნეულია მის განუყოფელ უფლებად და დაცულია კანონით". ამ მუხლის მეორე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „ინვესტორი დამოუკიდებლად საზღვრავს, განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობას, მიმართულებასა და ეფექტურობას და თავისი შეხედულებით მოიზიდავს ინვესტიციის სარეალიზაციოდ საჭირო მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს".

მეექვსე მუხლის მესამე პარაგრაფში კი მითითებულია, რომ „ინვესტიციის და მისი განხორციელების შედეგების ფლობის, გამოყენების, განკარგვის უფლებები ინვესტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაეცეს სხვა მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, კანონით გათვალისწინებული წესით. უფლებების ასეთი გადაცემის შემთხვევაში მხარეთა ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე“. მომდევნო, მეოთხე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „ინვესტირებისათვის შეიძლება მოზიდული იქნეს საფინანსო სახსრები კრედიტის, კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისა და სესხის სახით. ინვესტორის ქონება შეიძლება გამოყენებული იქნეს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა უზრუნველყოფის საშუალებად. გირაოდ მიიღება მხოლოდ ის ქონება, რომელიც არის ინვესტორის საკუთრებაში (ან ეკუთვნის მას სრული სამეურნეო გამგებლობის უფლებით), თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით. დაგირავებული ქონება საგირაო ვალდებულებათა დარღვევისას შეიძლება რეალიზებული იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. მეხუთე პარაგრაფის თანახმად, „ინვესტორს უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდელო აქტების შესაბამისად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ინვესტიციის ობიექტებსა და შედეგებს, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეინვესტიციისა და სავაჭრო ოპერაციების შედეგების ჩათვლით. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით შეიძლება განსაზღვრული იქნეს ობიექტები, რომელთა ინვესტირებას არ მოყვება მათი საკუთრებად შეძენის უფლება, მაგრამ არ გამორიცხავს მათ შემდგომ ფლობას, ოპერატიულ მართვას ან ამ ობიექტის ექსპლოატაციიდან მიღებულ შემოსავლებში ინვესტორის მონაწილეობის შესაძლებლობას“. ამ მუხლის ბოლო მეექვსე პარაგრაფის მიხედვით, „ინვესტორს უფლება აქვს მოცულობისა და ნომენკლატურის შეუზღუდავად შეიძინოს მისთვის საჭირო ქონება მოქალაქეებისა-

გან და იურიდიული პირებისაგან უშუალოდ ან შუამავლების მეშვეობით, მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფასებში და პირობებში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას".

მომდევნო, მეშვიდე მუხლი „საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს შორის ურთიერთობა" შედგება ორი პარაგრაფისაგან. პირველი პარაგრაფის თანახმად, „ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება ურთიერთდამოკიდებულება საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს შორის, არის ხელშეკრულება (შეთანხმება). ხელშეკრულების დადება, პარტნიორების არჩევა, ვალდებულებათა და სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულების სხვა ნებისმიერი პირობების განსაზღვრა, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას, წარმოადგენენ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტთა განსაკუთრებულ კომპეტენციას. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების სახელშეკრულებო ურთიერთობის განხორციელებაში სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირთა ჩარევა დაშვებულია მათი მკაცრად განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს უფლება აქვთ მოაწყონ ვაჭრობა-კონკურსები მოქალაქეთა და იურიდიული პირების საინვესტიციო საქმიანობაში ჩაბმის მიზნით". მომდევნო მეორე პარაგრაფის მიხედვით, „საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულების პირობები თავის ძალას ინარჩუნებს ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. ეს პირობები ძალაშია მაშინაც, როცა ხელშეკრულების დადების შემდეგ, კანონმდებლობით დადგინდა პირობები, რომლებიც აუარესებენ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების მდგომარეობას, თუკი მხარეები ნებაყოფლობით ვერ შეთანხმდნენ ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე".

მომდევნო, მერვე მუხლი ეძღვნება „საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების მოვალეობებს" და შედგება სამი პარაგრაფისაგან. პირველი პარაგრაფის თანახმად, „საქართველოს

რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესების შესაბამისად ინვესტორი ვალდებულია: წარუდგინოს საფინანსო ორგანოებს დეკლარაცია მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის მოცულობის შესახებ; მიიღოს და გაითვალისწინოს სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნები, საინვესტიციო პროექტებზე სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური, ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, შენობა-ნაგებობების მდგრადობისა და ტექნოლოგიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე; კაპიტალური მშენებლობის ინვესტირებისას მიიღოს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ნებართვები და შეთანხმებები". ამ მუხლის მეორე პარაგრაფი ეხება საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის ვალდებულებებს და აღნიშნულია, რომ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია: დაიცვას მოქმედი ნორმები და სტანდარტები; არ დაუშვას არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, შეასრულოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნები; შეასრულოს მის მიმართ სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში წაყენებული მოთხოვნები; დადგენილი წესის შესაბამისად აწარმოოს და წარადგინოს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგება. ამ მუხლის მესამე და ბოლო პარაგრაფში მითითებულია, რომ „საინვესტიციო საქმიანობის თითოეულ მონაწილეს, რომელსაც ევალება სპეციალურ სამუშაოთა შესრულება, ამა თუ იმ სახის სამუშაოს ჩასატარებლად უნდა ჰქონდეს უფლებრივი ლიცენზია. ასეთ სამუშაოთა ჩამონათვალი და მათი ლიცენზირების წესი დადგინდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით".

ამ კანონის მეორე კარის ბოლო, მეცხრე მუხლი ეძღვნება საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო წყაროებს და აღნიშნულია, რომ „საინვესტიციო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი წყაროებით: ინვესტორის საკუთარი საფინანსო სახსრებით (მოგება, საამორტიზაციო ანარიცხები, ფულადი დანაზოგები, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა და-

ნაზოგები და სხვა); ინვესტორის მიერ ნასესხები საფინანსო სახსრებით (საობლიგაციო სესხები, საბანკო და საბიუჯეტო კრედიტები): ინვესტორის მიერ მოზიდული საფინანსო სახსრებით (აქციების გაყიდვით მიღებული სახსრები, ფიზიკური და იურიდიული პირების საპაიო და სხვა შენატანები); საბიუჯეტო საინვესტიციო ასიგნებებით".

კანონის „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ" მესამე კარი ეძღვნება საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას და მოიცავს ორ, მეათე და მეთერთმეტე მუხლებს. მეათე მუხლი – საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება და ფორმები – შედგება ორი პარაგრაფისაგან. პირველი პარაგრაფის თანახმად: საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით. იგი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ დამტკიცებული პროგრამებით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სახელმწიფო დაფინანსების მოცულობებით. სახელმწიფო აწესებს შეღავათიან პირობებს ინვესტორისათვის, რომელიც ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებით და უპირველეს ყოვლისა სოციალურ სფეროში, წარმოების ტექნიკურ სრულყოფაში, აღმოჩენებისა და გამოგონებების დანერგვაში; საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება მოიცავს საინვესტიციო საქმიანობას და სახელმწიფო ინვესტიციების პირდაპირ მართვას".

მომდევნო, მეთერთმეტე მუხლი მოიცვას „საინვესტიციო საქმიანობის პირობების სახელმწიფო რეგულირებას" და აღნიშნულია, რომ საინვესტიციო საქმიანობის პირობების სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ, საქართველოს რესპუბლიკის და

მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად; გადასახადების საშუალებით, მაღალი საგადასახადო განაკვეთებიდან საგადასახადო შეღავათების სისტემით. საინვესტიციო მოთხოვნილების რეგულირების მიზნით შეიძლება შემოღებულ იქნეს ინვესტიციის დიფერენცირებული (სუბიექტური და ობიექტური) გადასახადი ან დაწესდეს გადასახადისაგან ინვესტორების გათავისუფლების პირობები; საამორტიზაციო პოლიტიკის მეშვეობით, კერძოდ, ძირითადი ფონდების დაჩქარებული ამორტიზაციის პოლიტიკის გატარებით; ამასთან ერთად შეღავათები ამორტიზაციის მიხედვით შეიძლება დაწესებული იქნეს დიფერენცირებულად, ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სფეროებისათვის, ძირითადი ფონდების ელემენტებისათვის, მოწყობილობათა სახეებისათვის და ა. შ.; ცალკეული რეგიონის, დარგისა და საწარმოს განვითარებისათვის ფინანსური დახმარების მიცემით დოტაციების, სუბსიდიების, სუბვენციების, საბიუჯეტო სესხების სახით; საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებით, სახელმწიფო ნორმებითა და სტანდარტებით, ანტიმონოპოლიური ღონისძიებებით, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებით და ფასწარმოქმნის პოლიტიკის საშუალებით; მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების განსაკუთრებული პირობების დაწესებით; საინვესტიციო პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის კრიტერიუმების გამკაცრების ან ლიბერალიზების გზით; საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეკონომიკურ ბერკეტად შეიძლება გამოყენებული იქნეს მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ფონდები და ბიუჯეტგარეშე საინვესტიციო ფონდები, რომლებიც იქმნებიან საქართველოს რესპუბლიკის და მისი ავტონომიური რესპუბლიკების მიერ დადგენილი წესით.

მომდევნო, მეთორმეტე მუხლი ეძღვნება სახელმწიფო ინვესტიციების პირდაპირ მართვას, რომლის თანახმად, „სახელმწიფო ინვესტიციების პირდაპირი მართვა ხორციელდება

საქართველოს რესპუბლიკის, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ და მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას, პირობების განსაზღვრას და კონკრეტული მოქმედების განხორციელებას, საბიუჯეტო სახსრების, ბიუჯეტგარეშე ფონდების და ნებაყოფლობის საფუძველზე მოზიდული სხვა სახსრების ინვესტირებისათვის".

მეცამეტე მუხლში განხილულია საინვესტიციო საქმიანობაში საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ურთიერთქმედება და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ურთიერთქმედება საინვესტიციო საქმიანობაში ხორციელდება: საქართველოს რესპუბლიკის მიერ – ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შემუშავების, რესპუბლიკური პროგრამების შედგენისა და რეალიზაციის, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებთან ერთად ნებაყოფლობით საფუძველზე რეგიონალური ფონდების, კერძოდ: სარეზერვო, საინოვაციო, ბუნების დაცვის და სხვა ფონდების შექმნისათვის, რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისა და სხვა პროგრამების დასაფინანსებლად, აგრეთვე სტიქიური უბედურებების, კატასტროფების და ავარიების თავიდან აცილების და მათი შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის; ავტონომიური რესპუბლიკების მიერ – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამების შედგენაში და მათი რეალიზაციის გზების დასახვაში მონაწილეობის მიღების გზით, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებით საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტე-

ბის შესაბამისად; ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ – ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების დამუშავებისა და დამტკიცების გზით, თავიანთი რწმუნებების ფარგლებში, აგრეთვე შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური ობიექტების შექმნის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და ბუნებრივი გარემოს დაცვის საკითხების შეთანხმებით".

აღნიშნული კანონის მეთოთხმეტე მუხლი ეხება რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს და შედგება ექვსი პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „წინადადებას რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციის შესახებ ამზადებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, მიზნობრივი რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური და კომპლექსური პროგრამების და ან ინვესტიციების მიზანშეწონილობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე". აქ მოცემულია პირველი პარაგრაფის მეორე ვარიანტიც, კერძოდ: „წინადადებას რესპუბლიკის სახელმწიფო ინვესტიციების შესახებ ამზადებს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საინვესტიციო საბჭო საქართველოს რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების სქემების, მიზნობრივი რესპუბლიკური სამეცნიერო და კომპლექსური პროგრამების და ამ ინვესტიციების მიზანშეწონილობის განმსაზღვრელ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე."

მეორე პარაგრაფის მიხედვით, „რესპუბლკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები მუშავდება რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების, დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით და წარედგინება განსახილველად საქართველოს

რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს". მესამე პარაგრაფის თანახმად, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ამტკიცებს რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობებს, მათ შორის რესპუბლიკურ სახელმწიფო შეკვეთებში შეტანილი მსხვილი საინვესტიციო ობიექტების ჩამონათვალს". მეოთხე პარაგრაფი მიუთითებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების განსაზღვრისას უზრუნველყოფს მათი მოცულობის შესაბამისობას სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებისა და სახელმწიფო დაკვეთის დადგენილ ვადებში რეალიზაციასთან". მეხუთე პარაგრაფის თანახმად, „ასიგნებანი რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოიყოფა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი საინვესტიციო ობიექტებისათვის და საერთო რესპუბლიკური პროგრამების სარეალიზაციოდ. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემადგენლობაში გამოიყოფა განვითარების სპეციალური საფინანსო პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს გასავლებს საინვესტიციო ღონისძიებების განსახორციელებლად. სახელმწიფო საინვესტიციო ფინანსური სახსრები შეიძლება გამოიყოს ორი წესით – გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ სახსრების აუცილებელი დაბრუნების პირობით ან დაუბრუნებლად". ამ მუხლის ბოლო, მეექვსე პარაგრაფის შესაბამისად „ერთობლივი ინვესტირება რესპუბლიკის სახელმწიფო ინვესტიციების მონაწილეობით ხორციელდება ამ კანონის მიხედვით რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციის რელიზაციისათვის დადგებილი წესის შესაბამისად".

მომდევნო, მეთხუთმეტე მუხლში განხილულია კაპიტალურ მშენებლობაში რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციების ექსპერტიზისა და დამტკიცების საკითხები. ეს მუხლი შედგება ოთხი პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „რესპუბლიკური სახელმწიფო ინვესტიციებით ასაშენებელი ობიექტების პროექტები ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზას, მათ შორის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრი-

სით. ექსპერტიზა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით". მეორე პარაგრაფის მიხედვით, „რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების, აგრეთვე რესპუბლიკური სახელმწიფო შეკვეთის ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი ობიექტების ექსპერტიზა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შექმნილი საექსპერტო კომისიების მიერ, რომლებშიც შედიან სამეცნიერო, საზოგადოებრივი, პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის ორგანოების და სხვა ორგანიზაციებისა და შესაბამისი რეგიონების წარმომადგენლები. შეიძლება აგრეთვე უცხოელი სპეციალისტების მოწვევაც". მომდევნო მესამე პარაგრაფის თანახმად, „მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების, რესპუბლიკური სახელმწიფო შეკვეთების ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების პროექტები რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინება საექსპერტო კომისიების დასკვნებთან ერთად". მეოთხე პარაგრაფის შესაბამისად, „ობიექტის მშენებლობაზე რესპუბლიკური სახელმწიფო შეკვეთის დამტკიცება წარმოებს რესპუბლიკურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან მათი განთავსების შეთანხმების შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით".

მომდევნო, მეთექვსმეტე მუხლი ეძღვნება კაპიტალურ მშენებლობაზე სახელმწიფო შეკვეთების განთავსების წესს და შედგება ექვსი პარაგრაფისაგან. მისი პირველი პარაგრაფის შესაბამისად, „სახელმწიფო ინვესტიციის რეალიზაციის ერთერთ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფო შეკვეთა კაპიტალურ მშენებლობაზე". მეორე პარაგრაფის თანახმად, „სახელმწიფო შეკვეთა კაპიტალურ მშენებლობაზე გაიცემა საწარმოო სიმძლავრეების შესაქმნელად ან სხვა ობიექტების ასაშენებლად მათი ამოქმედების ვადის მითითებით". მესამე პარაგრაფის შესაბამისად, „სახელმწიფო შეკვეთა, როგორც წესი, განთავსდება კონკურსის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევაში რესპუბლიკის მთავრობას უფლება აქვს დააწესოს საინვეს-

ტიციო საქმიანობის მონაწილე ყველა სახელმწიფო საწარმოსა და ორგანიზაციისათვის სავალდებულო სახელმწიფო შეკვეთები, მონაწილეთათვის შეკვეთების შესრულების ეკონომიკური სარგებლიანობის გათვალისწინებით". მეოთხე პარაგრაფის თანახმად, „საინვესტიციო საქმიანობის ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს მონაწილეობდეს კაპიტალურ მშენებლობაზე შეკვეთის მისაღებად გამართულ კონკურსში". მეხუთე პარაგრაფის შესაბამისად, „სახელმწიფო შეკვეთის ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღება ხდება რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით". ხოლო ამ მუხლის ბოლო, მეექვსე პარაგრაფის მიხედვით, „სახელმწიფო შეკვეთის ობიექტების მოიჯარეებთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება სახელმწიფო კომისიის აქტების დამტკიცების შემდეგ".

მეჩვიდმეტე მუხლში განხილულია სახელმწიფო ინვესტიციის ფასიან ქაღალდებში, დეპოზიტებში, მოძრავ და უძრავ ქონებაში და სხვა ფასეულობებში დაბანდების წესი და შედგება ორი პარაგრაფისაგან. პირველი პარაგრაფით დგინდება, რომ: „სახელმწიფო ინვესტიციის მოცულობები, ფასიან ქაღალდებში, დეპოზიტებში, მოძრავ და უძრავ ქონებაში და სხვა ფასეულობებში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ"; ხოლო მეორე პარაგრაფის თანახმად, „აუცილებელია აღნიშნული საინვესტიციო პროგრამების სავალდებულო სახელმწიფო ექსპერტიზა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით".

მომდევნო, მეთვრამეტე მუხლის – ფასწარმოქმნა საინვესტიციო საქმიანობაში – მიხედვით, „საინვესტიციო პროცესში, პროდუქციის, სამუშაოთა და მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სახელშეკრულებო ფასებით, მათ შორის ჩატარებული ვაჭრობა-კონკურსების შედეგების მიხედვით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფო ფასებით. მშენებლობის სახელშეკრულებო ფასების განსაზღვრისას სახელმწიფო

სახარჯთაღრიცხვო ნორმები და ფასები გამოიყენება სარეკომენდაციო ნორმების სახით".

კანონის „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ" ბოლო, მეოთხე კარი, კერძოდ – საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი გარანტიები და ინვესტიციების დაცვა – შედგება ოთხი მუხლისაგან და იწყება მეცხრამეტე მუხლით, რომელიც ეძღვნება საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებათა გარანტიებს და შედგება სამი პარაგრაფისაგან. ამ მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, „სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებები გარანტირებულია. ისეთი საკანონმდებლო აქტების მიღების შემთხვევაში, რომელთა დებულებებიც ზღუდავენ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებებს, ეს დებულებები არ შეიძლება შემოღებული იქნეს სამოქმედოდ მათი გამოქვეყნების მომენტიდან ერთ წელზე ადრე". მომდევნო მეორე პარაგრაფის თანახმად, „სახელმწიფო ორგანოების მიერ ინვესტორებისა და საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეთა უფლებების დამრღვევი აქტების მიღების შემთხვევაში, ამ აქტების მიღების შედეგად მიყენებული ზარალი, ხელიდან გაშვებული სარფის ჩათვლით, მათ აუნაზღაურდებათ ამ ორგანოების მიერ ნებაყოფლობით ან სასამართლოს, ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით. აქტის მიმღები ორგანოს სახსრების უკმარისობის შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება შესაბამისი ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს მიერ. სახელმწიფო ორგანოებს და თანამდებობის პირებს უფლება არ აქვთ ჩაერიონ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების საქმიანობაში გარდა შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა დაშვებულია კანონმდებლობით და ხორციელდება ამ ორგანოებისა და თანამდებობის პირთა კომპეტენციის ფარგლებში. დაუშვებელია ინვესტორის უფლებების შეზღუდვა ინვესტირების ობიექტის შერჩევაში, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა". ამ მუხლის ბოლო მესამე პარაგრაფის შესაბამისად, „საინვესტიციო საქმიანობა შეწყდება ან შეჩერდება გადაწყ-

ვეტილებით, რომელიც მიიღება: ინვესტორის მიერ, ამასთან ინვესტორი ვალდებულია საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეებს აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი; უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. სახელმწიფო ორგანოს მიერ საინვესტიციო საქმიანობის შეწყვეტის ან შეჩერების გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს: მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევა; გადახდის უუნარობა, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ინვესტორის ბანკროტად გამოცხადება; სტიქიური უბედურებები; ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობა. თუ საინვესტიციო საქმიანობის პროცესში გაირკვა, რომ მისი გაგრძელება გამოიწვევს სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნორმების, მოქალაქეთა, იურიდიული პირების და სახელმწიფოს კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესების დარღვევას, ამ შემთხვევაში საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეთა ზარალის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა".

მეოთხე კარის მომდევნო, მეოცე მუხლი ეძღვნება საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების პასუხისმგებლობას, რომლის შესაბამისად, „სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში საინვესტიციო საქმიანობათა სუბიექტებს ეკისრებათ კანონმდებლობით და დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებრივი და სხვა პასუხისმგებლობა. სახელშეკრულებო პირობების დარღვევისათვის ჯარიმებისა და პირგასამტეხლოს გადახდა, აგრეთვე მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს ბრალეულ მხარეს მოვალეობის შესრულებისაგან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით".

ოცდამეერთე მუხლი ეხება „პასუხისმგებლობას სახელმწიფო შეკვეთის რეალიზაციისას" და შედგება სამი პარაგრაფისაგან. პირველი პარაგრაფის თანახმად, „სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად აღებული ვალდებულებების ან კანონის საფუძველზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის,

ან არაჯეროვნად შესრულებისას, ყველა დონის სახელმწიფო ორგანოს, თავისი მოვალეობის შესაბამისად, ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების წინაშე. ამ ორგანოების სახსრების უკმარისობის შემთხვევაში ზარალი ანაზღაურდება მათი ზემდგომი ორგანოს მიერ. დამნაშავე თანამდებობის პირები პერსონალურად აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობით". მეორე პარაგრაფის შესაბამისად, „სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ, სახელმწიფო შეკვეთის რეალიზაციასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო და ვალდებულნი არიან ერთმანეთს აუნაზღაურონ ზარალი, ხელიდან გაშვებული სარფის ჩათვლით". ბოლო პარაგრაფის თანახმად, „საინვესტიციო საქმიანობის მონაწილეებს ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა ინვესტორის – სახელმწიფოს წინაშე სახელმწიფო შეკვეთის რეალიზაციისათვის, კანონმდებლობითა და დადებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით".

„საინვესტიციო საქმიანობის შესახებ" კანონის ბოლო, მეოთხე კარის ბოლო ოცდამეორე მუხლი ეძღვნება ინვესტიციების დაცვას. ეს მუხლი შედგება ოთხი პარაგრაფისაგან. პირველი პარაგრაფის თანახმად, „სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია ინვესტიციის დაცვა, მიუხედავად საკუთრების ფორმისა. ინვესტიციის დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით". მეორე პარაგრაფის თანახმად, „დაუშვებელია ინვესტიციების უსასყიდლოდ ნაციონალიზაცია ან რეკვიზირება, ან თავისი შედეგების მიხედვით მათი ტოლფასი ზომების გამოყენება. ასეთი ზომები შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ინვესტორებს ეძლევათ გასასხვისებელი საინვესტიციო ქონების შეფასებითი ღირებულების კომპენსაცია. ინვესტორების მიერ შეტანილი ან შეძენილი საბანკო მიზნობრივი ანაბრები, აქციები და სხვაგვარი ფასიანი ქაღალდები მოწყო-

ბილობის შესაძენად ან საიჯარო უფლებების მისაღებად. მათი გადახდილი თანხა, ჩამორთმევის შემთხვევაში, ინვესტორებს აუნაზღაურდებათ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, გარდა იმ თანხებისა, რომელიც აღმოჩნდა გამოყენებული ან დაკარგული თვით ინვესტორების მოქმედებით ან მათი წამოწყებების განხორციელებისას". მესამე პარაგრაფის შესაბამისად „დავა, რომელიც წარმოიქმნება საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებით, განიხილება შესაბამისად სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლის მიერ". ბოლო, მეოთხე პარაგრაფის მიხედვით, „ინვესტიციები შეიძლება დაზღვეული იქნას, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინვესტორის დაზღვევა სავალდებულოა".

II.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მიერ შემუშავებულ კანონპროექტთაგან ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანია საქართველოს რესპუბლიკის კანონი „პატენტების შესახებ". აღნიშნული კანონპროექტი გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1991 წლის 22 ოქტომბერს[1]. კანონპროექტი შედგება ოცი მუხლისაგან. პირველი მუხლი ეძღვნება ზოგად დებულებებს და აღნიშნულია, რომ „ეს კანონი (კანონპროექტი) არეგულირებს გამოგონების სამრეწველო გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გამოგონების სამრეწველო გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას იცავს სახელმწიფო და ადასტურებს პატენტით, რომელსაც ერთიანი ფორმისა და წესის მიხედვით გასცემს საქართველოს სახელმწიფო საპატენტო უწყება". ამ კანონპროექტის მეორე მუხლში – გამოგონებანი, განმარტებულია, თუ რა ითვლება

[1] საქართველის რესპუბლიკის კანონი პატენტების შესახებ. პროექტი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 22.10.1991.

გამოგონებად და აღნიშნულია, რომ „გამოგონება“ ამ კანონში ნიშნავს ბუნების კანონების გამოყენებით შექმნილ პროგრესულ ტექნიკურ იდეას. გამოგონება პატენტუნარიანია, თუ ის ახალია, აქვს საგამომგონებლო დონე და შესაძლებელია მისი სამრეწველო გამოყენება. გამოგონება ახალია, თუ ის არ არის ცნობილი ტექნიკის დონიდან. ტექნიკური იდეა გამოგონებად ჩაითვლება, თუ სპეციალისტისთვის იგი თავისთავად არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან (საგამომგონებლო დონე). ტექნიკის დონე განისაზღვრება ყველა სახის ინფორმაციით, რომელიც ხელმისაწვდომია პატენტის მიღებაზე განაცხადის შეტანის თარიღისათვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. გამოგონების სამრეწველო გამოყენების შესაძლებლობაში იგულისხმება, რომ გამოგონების ობიექტის გამოყენება შესაძლებელია მეურნეობის რომელიმე დარგში, სოფლის მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგების ჩათვლით. გამოგონების ობიექტი შეიძლება იყოს ახალი მოწყობილობა, ხერხი, ნივთიერება: აგრეთვე ცნობილი მოწყობილობის, ხერხის, ნივთიერების გამოყენება ახალი დანიშნულებით. გამოგონების ობიექტად ჩაითვლება აგრეთვე მიკროორგანიზმების ახალი შტამი, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედების კულტურები“.

ამავე მუხლში შემდეგ ჩამოთვლილია, თუ რა არ ჩაითვლება გამოგონებად, კერძოდ: „მეცნიერული თეორიები; მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის სისტემები (დაგეგმვა, დაფინანსება, მომარაგება, აღრიცხვა და ა. შ.); პირობითი ნიშნები (საგზაო ნიშნები, მარშრუტები და ა. შ.); გამომთვლელი მანქანის ალგორითმები და პროგრამები; განრიგები, წესები (თამაშის წესები, მოძრაობის წესები და ა. შ.); ნაგებობების, შენობების და ტერიტორიების დაგეგმარების პროექტები და სქემები; აღზრდის, სწავლების მეთოდები და სისტემები; ენათა გრამატიკული სისტემები; მცენარეთა და ცხოველთა ჯიშები, მათი გამოყვანის სელექციური მეთოდები; წინადადებები, რომლებიც ეხება ნაკეთობების მხოლოდ გარეგნულ მხარეს,

ფორმას და რომელთა დაცვა ხდება სამრეწველო ნიმუშთა შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად; არაპატენტუნარიანი მკურნალობის ქირურგიული და თერაპიული ხერხები და მეთოდები, აგრეთვე სამედიცინო და ვეტერინალური დიაგნოსტიკის მეთოდები (ზემოაღნიშნული არ ეხება ნივთიერებებს ან მის ნარევებს, მოწყობილობებს, რომლებიც ამ მიზნებისათვის გამოიყენება); არაპატენტუნარიანია გამოგონება, რომლის გამოყენება ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს, ჰუმანიზმისა და მორალის პრინციპებს ან აშკარად უსარგებლოა".

ამავე კანონპროექტის მომდევნო, მესამე მუხლში განხილულია, თუ რა არის პატენტი, და აღნიშნულია, რომ „პატენტი ადასტურებს ტექნიკური იდეის აღიარებას გამოგონებად, პრიორიტეტის თარიღს, გამომგონებლისა და პატენტის მფლობელის ვინაობას, პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონების სამრეწველო გამოყენებაზე. გამომგონებლად ითვლება ის პირი, რომელის შემოქმედებითი შრომით შეიქმნა გამოგონება. გამოგონებაზე პატენტის მიღების უფლება აქვს გამომგონებელს, მის მემკვიდრეს ან ფიზიკურ, ან იურიდიულ პირს, რომელსაც გამოგონება ეკუთვნის სხვა სამართლებრივ საფუძველზე. რამდენიმე პირის შემოქმედებითი შრომით შექმნილ გამოგონებაზე პატენტის მიღების უფლება აქვთ ერთობლივად. პირები, რომლებმაც აღმოუჩინეს გამომგონებელს ტექნიკური, ორგანიზაციული ან მატერიალური დახმარება, გამომგონებლებად არ ჩაითვლებიან". შემდეგ ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ „პატენტი შეიძლება მოქმედებდეს არა უმეტეს 20 წლისა განცხადების შეტანის (პრიორიტეტის) თარიღიდან. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ინტერესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გამოგონებები, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს საიდუმლოდ". განსახილველი კანონპროექტის მეოთხე მუხლი ეძღვნება პატენტის მფლობელის უფლებებს. ამ კანონპროექტით „პატენტის მფლობელს ენიჭება განსაკუთრებული უფ-

ლება, გამოიყენოს გამოგონება თავისი შეხედულებისამებრ; დაამზადოს, აგრეთვე გამოიყენოს, შეიყვანოს სამეურნეო ბრუნვაში ან ამ მიზნებით შეინახოს პატენტით დაცული პროდუქტი; გამოიყენოს, შეიყვანოს სამეურნეო ბრუნვაში ხერხი, რომელიც წარმოადგენს დაპატენტებული გამოგონების ობიექტს, აგრეთვე დაამზადოს, შეიყვანოს სამეურნეო ბრუნვაში და შეინახოს პროდუქტი, რომელიც მიბმულია უშუალო დაპატენტებული ხერხის გამოყენებით; დაპატენტებულ პროდუქტზე ან დაპატენტებული ხერხით მიღებულ პროდუქტზე მიუთითოს პატენტის ნომერი. პატენტის მფლობელს უფლება აქვს ფასით ან უფასოდ გადასცეს გამოგონების სამრეწველო გამოყენების უფლება (ლიცენზია) სხვას, მთლიანად დაუთმოს პატენტი. ლიცენზიის გაცემის ან პატენტის დათმობის ფასი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ლიცენზიის გაცემის ან პატენტის დათმობის თაობაზე დადებული ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო უწყებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულებას არ აქვს იურიდიული ძალა. თუ პატენტის მფლობელი რამდენიმე პირია, გამოგონების სამრეწველო გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები მათ შორის განისაზღვრება შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში თითოეული მათგანი უფლებამოსილია გამოიყენოს გამოგონება თავისი შეხედულებისამებრ, გარდა პატენტის დათმობისა და ლიცენზიის გაცემისა".

მეხუთე მუხლში განხილულია საპატენტო განაცხადის შედგენის, მისი მომზადების და სათანადო უწყებაში შეტანის წესები, სადაც მითითებულია, რომ „განაცხადი გამოგონებაზე, პატენტის გაცემის თაობაზე, შეაქვთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო უწყებაში. განაცხადი სახელმწიფო საპატენტო უწყებაში შეაქვს პირს, რომელსაც აქვს პატენტის მიღების უფლება, ან მის წარმომადგენელს. განაცხადი უნდა შეიცავდეს: განცხადებას პატენტის გაცემის თაობაზე; გამოგონების აღწერას; გამოგონების ფორმულას;

ნახაზებს, სქემებს და საჭიროების შემთხვევაში – გამოგონების საილუსტრაციო მასალებს; ბანკის ქვითარს საგანაცხადო ბაჟის გადახდის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს გამოგონების სათაურს, გამომგონებლისა და პატენტის გამომთხოვნის ვინაობას, მისამართს, სამუშაო ადგილს, ხოლო უცხოელთათვის – მოქალაქეობას. გამოგონების აღწერაში მოცემული უნდა იყოს გამოგონებით მიღწეული მიზანი, გამოგონების განმასხვავებელი ნიშნები, ტექნიკის დარგი, რომელსაც ეკუთვნის გამოგონება და მისი გამოყენების სფერო, გამოგონების ფორმულა, რომელიც წარმოადგენს გამოგონების ტექნიკური არსის გამომხატველ მოკლე სიტყვიერ დახასიათებას. გამოგონების ფორმულა განსაზღვრავს გამოგონებისათვის განაცხადით გამოთხოვილი სამართლებრივი დაცვის მოცულობას, საპატენტო განაცხადი მხოლოდ ერთ გამოგონებას უნდა მოიცავდეს. ერთ განაცხადში ორი ან მეტი გამოგონების გაერთიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთ ობიექტს (მოწყობილობას, ხერხს, ნივთიერებას) ეკუთვნის, ერთ მიზანს ემსახურება და მათი გამოყენება მხოლოდ ერთად შეიძლება".

მომდევნო, მეექვსე მუხლი ეძღვნება განაცხადის განხილვასა და პატენტის გაცემას. მასში აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო უწყებაში საპატენტო განაცხადის განხილვისას მოწმდება მხოლოდ იმ მოთხოვნათა დაცვა, რომლებიც განაცხადის გაფორმებას ეხება (მუხლი 5). საპატენტო უწყება არ იკვლევს, არის თუ არა გამოგონება ახალი და აქვს თუ არა მას საგამომგონებლო დონე. საპატენტო განაცხადის შედეგი განმცხადებელს ეცნობება ერთი თვის ვადაში... გამოგონების პრიორიტეტის თარიღად ითვლება საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანის დღე, ხოლო თუ პრიორიტეტი სადავოა – ფოსტაში განაცხადის ჩაბარების დღე... განმცხადებელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს განაცხადის განხილვაში... პატენტის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სახელმწიფო

საპატენტო უწყებას შეაქვს გამოგონება საქართველოს საპატენტო რეესტრში და განმცხადებლის სახელზე გასცემს საქართველოს რესპუბლიკის პატენტს, რაზეც განმცხადებელი გადაიხდის საპატენტო ბაჟს დადგენილი წესით.

პატენტი შეიცავს:

რიგით ნომერს;

გამომგონებლის კლასს;

მფლობელის ვინაობას, მისამართს;

განაცხადის მიღებისა და პატენტის გაცემის თარიღს;

გამოგონების აღწერას;

გამოგონების ფორმულას, რომელიც განსაზღვრავს გამოგონების სამართლებრივი დაცვის მოცულობას.

გამომგონებელს უფლება აქვს მითითებული იყოს საპატენტო სიგელში მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი პატენტის მფლობელი. სახელმწიფო საპატენტო უწყება ოფიციალურ ბიულეტინში აქვეყნებს ცნობას გაცემული პატენტის შესახებ, აღწერისა და საილუსტრაციო მასალების გარეშე, ნებისმიერ პირს უფლება აქვს უფასოდ გაეცნოს საპატენტო უწყებაში რეგისტრირებული პატენტის მასალებს. პატენტი გაიცემა მფლობელის პასუხისმგებლობით".

ამ კანონპროექტის მეშვიდე მუხლი ეძღვნება დამატებით პატენტს. აქ განმარტებულია, თუ რა შემთხვევაში გაიცემა დამატებითი პატენტი და აღნიშნულია, რომ დაპატენტებული გამოგონების გაუმჯობესების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი პატენტის გაცემა. „დამატებითი პატენტის მფლობელს არა აქვს უფლება გამოიყენოს ძირითადი პატენტით დაცული გამოგონება ძირითადი პატენტის მფლობელის ნებართვის გარეშე და პირიქით". აქვე აღნიშნულია, რომ დამატებით პატენტზე ბაჟის გადახდა ხდება იმავე წესით, რაც მოქმედებს ძირითად პატენტზე და დამატებითი პატენტის მოქმედების ვადა არის ასევე 20 წელი.

მერვე მუხლში განხილულია, თუ რას წარმოადგენს პატენტი საწარმოში შექმნილ გამოგონებაზე, რომლის თანაბ-

მად, გამოგონება ითვლება საწარმოში შექმნილად: „თუ ის შექმნილი იქნა გამომგონებლის მიერ მოცემულ საწარმოში და უშუალოდაა დაკავშირებული მის პროფესიულ საქმიანობასთან ამ საწარმოში“ ან „თუ ის შექმნილი იყო დავალების ფარგლებში, რომელიც დაკისრებული ჰქონდა გამომგონებელს საწარმოს მიერ, საწარმოს კუთვნილი საშუალებების დახმარებით“. „საწარმოში შექმნილ გამოგონებაზე პატენტის მიღების უფლება აქვს საწარმოს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საწარმოსა (მეწარესა) და გამომგონებელს შორის დადებული ხელშეკრულებით. გამომგონებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს საწარმოს იმ გამოგონების შესახებ, რომელზეც პატენტის აღების უფლება აქვს საწარმოს. ცნობაში მითითებული უნდა იყოს გამოგონების ძირითადი ტექნიკური ნიშნები. საწარმო ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით დაუდასტუროს გამომგონებელს შეტყობინების მიღება და უფლება აქვს შეიტანოს განაცხადი პატენტის მიღებაზე სამი თვის ვადაში. თუ საწარმომ შეტყობინების დღიდან სამი თვის განმავლობაში არ შეიტანა საპატენტო განაცხადი, ის კარგავს ამ უფლებას და გამომგონებელს შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება თვითონ“. მომდევნო, მეცხრე მუხლში აღნიშნულია, რომ „საწარმოში შექმნილ გამოგონებაზე (ალტერნატიული) პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის გამომგონებელს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საწარმოსა (მეწარმესა) და გამომგონებელს შორის დადებული ხელშეკრულებით“.

მეათე მუხლი ეძღვნება ლიცენზიების გაცემას და აღნიშნულია, რომ „პატენტით დაცული გამოგონების სამრეწველო გამოყენების მსურველი ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი მოვალეა პატენტის მფლობელთან გააფორმოს სალიცენზიო ხელშეკრულება. სალიცენზიო ხელშეკრულების მიხედვით პატენტის მფლობელი გამოგონების სამრეწველო გამოყენების უფლებას გადასცემს სხვა პირს, ხოლო ლიცენზიის მფლობელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს პატენტის მფლობელს გადასახადი და განახორციელოს სალიცენზიო ხელშეკრულე-

ბით გათვალისწინებული სხვა ქმედებები. განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემისას ლიცენზიის მფლობელს გადაეცემა გამოგონების გამოყენების განსაკუთრებული უფლება იმ ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით. ჩვეულებრივი ლიცენზიის გაცემისას პატენტის მფლობელი, აძლევს რა ლიცენზიის მფლობელს გამოგონების სამრეწველო გამოყენების უფლებას, ინარჩუნებს პატენტიდან გამომდინარე ყველა, მათ შორის სხვა პირებზე ლიცენზიის გაცემის უფლებას. ნებისმიერ გარიგებას, რომელიც ეხება პატენტის გადაცემას ან ლიცენზიების გაცემას, აქვს იურიდიული ძალა, თუ ის რეგისტრირებულია საპატენტო უწყების მიერ, საპატენტო უწყება, სათანადო ბაჟის გადახდის შემდეგ, რეგისტრაციაში ატარებს ხელშეკრულებას პატენტის მფლობელის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, აქვეყნებს შესაბამის ცნობას ოფიციალურ ბიულეტინში".

მეთერთმეტე მუხლში განხილულია, თუ რა შემთხვევაში გაიცემა იძულებითი ლიცენზია და აღნიშნულია, რომ: „პატენტის გაცემიდან სამი წლის შემდეგ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, თუ ის ვერ შეუთანხმდა პატენტის მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს იძულებით ლიცენზიის გაცემა შემდეგი მიზეზების საფუძველზე:

– თუ დაპატენტებული გამოგონება საერთოდ არ გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე, ან გამოიყენება მცირე მასშტაბით, არასაკმარისი ზომით;

– თუ გამოგონების გამოყენება აწყდება წინააღმდეგობებს ან ძნელდება დაპატენტებულის ანალოგიური პროდუქტის საზღვარგარეთიდან შემოზიდვის შედეგად;

– თუ ვერ კმაყოფილდება მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზრის მოთხოვნა საქართველოში დამზადებული დაპატენტებული პროდუქტით".

აქვე მითითებულია, რომ მოთხოვნა იძულებითი ლიცენზიის გაცემაზე განიხილება სასამართლოს წესით. ხოლო იძულებითი ლიცენზიის მომთხოვნმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

– „მტკიცებულებანი ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ერთ-ერთი (რამდენიმე) ნაკლოვანების არსებობის შესახებ, მისი (მათი) გამოსწორების შესახებ; მტკიცებულებანი იმის თაობაზე, რომ მან მიმართა პატენტის მფლობელს და ვერ შეძლო მიეღო მისგან ლიცენზია სამართლიან პირობებზე.

თუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას იძულებითი ლიცენზიის გაცემის შესახებ, მან უნდა განსაზღვროს აღნიშნული ლიცენზიის მოქმედების ვადა და პირობები. სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებითი ლიცენზიის გაცემის შესახებ სახელმწიფო საპატენტო უწყების მიერ რეგისტრირდება საპატენტო რეესტრში და ქვეყნდება ოფიციალურ ბიულეტინში. იძულებითი ლიცენზიის რეგისტრაციისას ბაჟი არ გადაიხდება“.

ამავე მუხლში განხილულია, თუ რა შემთხვევებში არ გაიცემა იძულებითი ლიცენზია და რა შემთხვევაში უქმდება სასამართლოს მიერ იძულებითი ლიცენზია. ამ მუხლის ბოლოს კი აღნიშნულია, რომ „იმ შემთხვევაში, როცა გამოგონებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის და პატენტის მფლობელი არ არის თანახმა გასცეს ლიცენზია, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით სახელმწიფომ შეიძლება იძულებით შეისყიდოს ლიცენზია საბაზრო ფასებში“.

განსახილველი კანონპროექტის მეთორმეტე მუხლი ეძღვნება პატენტის დარღვევას. მის დასაწყისში აღნიშნულია, რომ „პატენტის დარღვევად ითვლება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი, წინასწარ განზრახული ან გაუფრთხილებელი ქმედება, რომელიც მიმართულია პატენტით დაცული გამოგონების უნებართვო გამოყენებისაკენ, მათ შორის: პატენტით დაცული ან პატენტით დაცული ხერხით პროდუქტის დამზადება, გასაყიდად შეთავაზება, სამეურნეო ბრუნვაში შეყვანა, ამ მიზნებით ქვეყანაში შემოტანა ან შენახვა; პატენტით დაცული ხერხის გამოყენება ან გამოყენების შეთავაზება. პატენტის დარღვევა იწვევს

პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პატენტის (ლიცენზიის) მფლობელის მოთხოვნით პატენტის დარღვევა უნდა შეწყდეს და პატენტის დარღვევით მიყენებული ზარალი უნდა აუნაზღაურდეს პატენტის ან ლიცენზიის მფლობელს. პატენტის (ლიცენზიის) მფლობელსა და პატენტის დამრღვევ პირს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება სასამართლო წესით". შემდეგ აქვე ჩამოთვლილია, თუ რა შემთხვევაში არ ჩაითვლებოდა პატენტის გამოყენება დარღვევად. დავასახელებ რამდენიმეს: პატენტით დაცული პროდუქტის ან ხერხის გამოყენება არასაწარმოო (მაგ., პირადი, ან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს მიზნებისათვის) დანიშნულებით; პატენტით დაცული წამლის ერთჯერადი დამზადება აფთიაქში ექიმის რეცეპტით და ა. შ.

მეცამეტე მუხლში – უარი პატენტზე – აღნიშნულია, რომ „პატენტის მფლობელს შეუძლია უარი განაცხადოს პატენტზე საქართველოს საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანით. უარი დაუყოვნებლივ დაფიქსირდება ოფიციალურ ბიულეტინში, იმ შემთხვევაში, თუ პატენტის საფუძველზე რეგისტრირებულია სალიცენზიო ხელშეკრულება, უარი ფიქსირდება მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის ოფიციალური თანხმობით".

მეთოთხმეტე მუხლში – პატენტის გაუქმება – აღნიშნულია, რომ „პატენტი შეიძლება სადავო გახადოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა მოქალაქემ ან იურიდიულმა პირმა. პატენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების თაობაზე განმცხადებელი აღძრავს სარჩელს (შეიტანს განცხადებას) სასამართლოში. სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება პატენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების შესახებ, თუ: გამოგონება არაპატენტუნარიანია; გამოგონების აღწერა არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, იმდენად ბუნდოვანია, რომ შეუძლებელს ხდის გამოგონების სამრეწველი გამოყენებას; გამოგონების ფორმულა არ შეესაბამება გამოთხოვილი სამართლებრივი დაცვის მოცულობას; გამოგონება წარმოადგენს სხვა პატენტის ან განაცხადის საგანს, რომელიც

უფრო ადრინდელი პრიორიტეტით სარგებლობს. მოსარჩელე ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს პატენტთან დაპირისპირებული მასალები, მათ შორის: პატენტები, საავტორო მოწმობები, ღია პუბლიკაციები, მასალები გამოგონების ღია გამოყენების შესახებ, ცნობები გამოგონების ექსპონირების შესახებ და ა.შ.". აქვე განხილულია, თუ რა შემთხვევებში ვერ გაუქმდება პატენტი.

მომდევნო, მეთხუთმეტე მუხლი ეძღვნება საპატენტო ბაჟს და აღნიშნულია, რომ: პატენტის მიღების დაცულობისა და ხანგრძლივობისათვის გადაიხდება: საგანაცხადო ბაჟი; საპატენტო ბაჟი; წლიური საპატენტო ბაჟი და სალიცენზიო ბაჟი. ბაჟის განაკვეთები და გადახდის წესები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

მეთექვსმეტე მუხლში განხილულია პასუხისმგებლობა საქართველოს საპატენტო კანონმდებლობის დარღვევისათვის და მითითებულია, რომ „გამოგონების ავტორობის ან პატენტის მიღების უფლების, ან პატენტის მითვისებისათვის, გამომგონებლის ან პატენტის მიღების უფლების მქონე პირის თანხმობის გარეშე გამოგონების არსის გახმაურებისათვის, პატენტის დარღვევისათვის, არარსებული ან სხვა პირის კუთვნილი პატენტის სარეგისტრაციო ნომრის საკუთარ პროდუქციაზე გამოყენებისათვის, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის პატენტების შესახებ კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვის მოქალაქეებს, თანამდებობის პირებსა და იურიდიულ პირებს ეკისრებათ ქონებრივი, დისციპლინარული, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა".

მეჩვიდმეტე მუხლი ეძღვნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო უწყებას და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო უწყება უზრუნველყოფს საქართველოს ერთიანი საპატენტო სისტემის ფუნქციონირებას. იგი იხილავს განცხადებას გამოგონებაზე პატენტის გაცემის შესახებ, გასცემს პატენტებს, რეგისტრა-

ციაში ატარებს სალიცენზიო ხელშეკრულებებს, წარმართავს სახელმწიფო საპატენტო რეესტრს და გამოსცემს ოფიციალურ ბიულეტინს; დაინტერესებულ პირებს საპატენტო საქმიანობასთან დაკავშირებით ეხმარება მეთოდოლოგიურად, უწევს კონსულტაციებს, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაციას უმზადებს სადავო საკითხებთან დაკავშირებულ საექსპერტო დასკვნებს, თანამშრომლობს სხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებთან, საერთაშორისო სტრუქტურებთან და ინსტიტუტებთან".

მომდევნო, მეთვრამეტე მუხლში განხილულია გამოგონების დაპატენტება უცხო ქვეყანაში და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ დააპატენტონ გამოგონებანი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გადაიხდის პატენტის გამომთხოვი პირი ან მასთან შეთანხმებით – სხვა მოქალაქე, ან იურიდიული პირი. პატენტის მფლობელს უფლება აქვს უცხო ქვეყანაში საპატენტო საქმიანობისაგან შემოსავლები მიიღოს უცხოური ვალუტით. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს ან იურიდიულ პირს – უცხო ქვეყნის პატენტის მფლობელს – უფლება აქვს უცხოური პატენტის პრიორიტეტის თარიღიდან 12 თვის ვადაში მიიღოს საქართველოს რესპუბლიკის პატენტი, უცხოური პატენტის პრიორიტეტის შენარჩუნებით".

მეცხრამეტე მუხლში მოცემულია უცხოელ მოქალაქეთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და უცხოელ იურიდიულ პირთა უფლებები და აღნიშნულია, რომ „უცხოელი მოქალაქენი, მოქალაქეობის არმქონე პირები და უცხოელი იურიდიული პირები საქართველოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა თანაბრად სარგებლობენ ამ კანონით განსაზღვრული უფლებებით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით". ბოლოს, მეოცე მუხლში – საერთაშორისო ხელშეკრულებები, აღნიშნულია, რომ „თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს

რესპუბლიკა მონაწილეობს, გათვალისწინებულია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულების წესები".

კანონპროექტი საქართველოში „საპატენტო საქმიანობის შესახებ" და შემდგომ მისი კანონად მიღება ერთ-ერთი აუცილებელი და საჭირო პირობა იყო ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და ასევე მეცნიერების განვითარებისათვის, მომუშავეთა ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტური გამოყენების საფუძველზე ეკონომიკის განვითარების დაჩქარებისათვის. ამ კანონპროექტის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ მისი გამოქვეყნების შემდეგ მრავალი საყურადღებო სტატია თუ წერილი გამოქვეყნდა, თვით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", (გ. ერაძე, „პატენტი და საქართველო", 26.11.1991; ინტერვიუ მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის მოადგილე დ. გაბუნიასთან „პატენტი ეროვნული აღორძინების სამსახურში" 06.11.1991 და სხვა), რომლებშიც მრავალი საინტერესო წინადადება, მოსაზრება და შენიშვნა გამოითქვა. ბუნებრივია, მათი განხილვა და შესწავლა ხელს შეუწყობდა ამ კანონპროექტის დახვეწას, რაც, სამწუხაროდ, შექმნილი მდგომარეობის გამო ვერ მოესწრო.

ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისია

მნიშვნელოვან საკანონმდებლო საქმიანობას ეწეოდა ასევე საქართველოს უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი რობერტ პეტრიაშვილი. ამ კომისიის მიერ შემუშავდა მრავალი კანონპროექტი, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარის მოწესრიგებასთან და პრობლემების გადაწყვეტასთან. ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ შემუშავდა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დაამტკი-

ცა: საქართველოს რესპუბლიკის კანონი „დასაქმების შესახებ"; ასევე მოამზადა და გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" კანონპროექტები: „იმიგრაციის შესახებ", პირველი მოსმენით მიღებულ იქნა „ბინების პრივატიზების შესახებ"; გარდა ამისა, აღნიშნულ კომისიაში განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებული კანონპროექტები: „მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ" და ა. შ.

დასახელებულ და შემუშავებულ კანონპროექტთაგან მსურს წარმოგიდგინოთ კანონპროექტი „ბინების პრივატიზების შესახებ"[1], რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო პირველი მოსმენით 1991 წლის პირველ ნოემბერს; თვით კანონპროექტი კი გამოქვეყნდა 1991 წლის ცხრა ნოემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში". ამ კანონის საბოლოოდ მიღებას ალბათ ორი-სამი კვირა დასჭირდებოდა, რაც ვერ მოხერხდა, რადგან ქვეყანაში უკვე ომის საფრთხე მძაფრად იგრძნობოდა. არადა ზუსტად ამ ომის გამჩაღებლები გვდებდნენ ბრალს: საწარმოების, ბინების პრივატიზაციის დაწყების დაგვიანებაში და ა.შ.

კანონპროექტი „ბინების პრივატიზების შესახებ" შედგება თორმეტი მუხლისაგან. შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ ეს კანონი „მიზნად ისახავს რესპუბლიკაში შექმნილი საბინაო პრობლემების გადაწყვეტის რეალური სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური მექანიზმის შექმნას. კანონის ძალაში შესვლამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ბინის კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია, რაც შესაძლებელია სახელმწიფო და მუნიციპალური საბინაო ფონდის პრივატიზებით, კოოპერატიული და ინდივიდუალური მშენებლობისათვის ხელშეწყობით და საბი-

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი ბინების პრივატიზების შესახებ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". თბილისი, 09.11.1991.

ნაო ფონდის პრივატიზების შედეგად ამოღებული თანხის მხოლოდ აღნიშნული მიზნით გამოყენებით. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ბინების პრივატიზების შესახებ განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალური საბინაო ფონდის პრივატიზების ძირითად პრინციპებს, მოქალაქეებისათვის, მათი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეღავათიან პირობებში და უსასყიდლოდ სახელმწიფო და მუნიციპალურ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ბინების (სახლების) ნებაყოფლობით, საკუთრებაში გადაცემას. წინამდებარე კანონი არეგულირებს საცხოვრებელი ბინების (სახლების) მოვლა-შენახვის ხარჯების ანაზღაურების ძირითად წესებს, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ყველა ორგანოსა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, გაერთიანებისა და ორგანიზაციისათვის".

ამ კანონის პირველ მუხლში განსაზღვრულია პრივატიზების ობიექტები და აღნიშნულია „პრივატიზების ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ-საბინაო ფონდის საცხოვრებელი ბინები (სახლები). დადგენილი წესით ბინებში მოქალაქეთა შესახლების შემდეგ შეიძლება პრივატიზების ობიექტად იქცეს: ადრე კონფისკებული და მუნიციპალიზებული, სარეკონსტრუქციო ან კაპიტალურად გასარემონტებელ სახლებში არსებული შეუსახლებელი ბინები; მოქალაქეთა საქართველოს რესპუბლიკის გარეთ საცხოვრებლად წასვლის შემთხვევაში გამოთავისუფლებული ბინები; იზოლირებული ბინები საერთო საცხოვრებლებში. ისტორიისა და კულტურის ძეგლებად მიჩნეულ სახლებში არსებული ბინების გაყიდვა საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის გათვალისწინებით დაიშვება ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებთან სავალდებულო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც მყიდველი იკისრებს ვალდებულებას შეასრულოს აღნიშნული ორგანოს მოთხოვნები ამ შენობის

ისტორიულ და არქიტექტურულ ღირებულებათა დაცვასა და აღდგენაზე. მოქალაქეებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ბინები (სახლები) პირად საკუთრებაში მიეყიდებათ მხოლოდ ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით; ოჯახის წევრების სურვილისამებრ საცხოვრებელი ბინები (სახლები) მათ შეიძლება მიეყიდოთ საერთო საკუთრებაში. ოჯახში მცხოვრები სრულწლოვანი წევრების თანხმობა სავალდებულოა დამტკიცებული იყოს ნოტარიული წესით".

მომდევნო, მეორე მუხლი ეძღვნება საცხოვრებელ ბინებს (სახლებს), რომლებიც პრივატიზებას არ ექვემდებარება. ამ მუხლის თანახმად, პრივატიზებას არ ექვემდებარება: „1) მიზნობრივი დანიშნულების სამსახურებრივი ბინები; 2) საერთო საცხოვრებლების ოთახები; 3) საცხოვრებელი ბინები, რომლებიც სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ რამდენიმე დამქირავებელს, თუ ერთ-ერთი დამქირავებელი ბინის შესყიდვის წინააღმდეგია; 4) ავარიული ბინები (სახლები)".

მესამე მუხლში განხილულია პრივატიზების ხელშეკრულების სუბიექტები და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ბინების პრივატიზების კანონის საფუძველზე საცხოვრებელი ბინების (სახლების) გასხვისების უფლებით სარგებლობენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საწარმოო-დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა ბალანსზეცაა ბინა. საცხოვრებელი ბინების (სახლების) შესყიდვის უფლებით სარგებლობენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებიც აღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე ითვლებოდნენ გასაყიდი ბინის (სახლის) დამქირავებლად ან დამქირავებლის ოჯახის წევრებს წარმოადგენენ.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, რომელთაც სურთ საკუთრებაში იქონიონ მათ მიერ დაკავებული საცხოვრებული ბინები (სახლები), განცხადებით მიმართავენ ადგილობრივი მმართველობის შესაბამის ორგანოებს, საწარმოო-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთა ბალანსზეც ირიცხება ბინა ან სახლი. საბინაო ფონდის ზემოაღნიშნული

მფლობელნი ვალდებულნი არიან ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყონ საცხოვრებელი ბინების (სახლების) პრივატიზება. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საწარმოო-დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საცხოვრებელ სახლში არსებული ყველა ბინის პრივატიზებას, ბინების (სახლების) ინდივიდუალურ მფლობელთა ამხანაგობების შექმნას ერთობლივი მართვისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე სახლების ეფექტიანი ექსპლოატაციის პირობების შესაქმნელად".

მომდევნო, მეოთხე მუხლი ეძღვნება საცხოვრებელი ბინის (სახლის) უსასყიდლოდ გადაცემას და აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) საერთო ფართობი 18 კვადრატული მეტრი გადაეცემა უსასყიდლოდ".

მეხუთე მუხლში განხილულია გასაყიდი ბინის (სახლის) ფასი. ამ მუხლის თანახმად, „გასაყიდი საცხოვრებელი ბინების (სახლების) ღირებულებას განსაზღვრავენ სამინისტროთა და უწყებათა საპროექტო ორგანიზაციები ამ ბინების (სახლების) მფლობელთა ადგილობრივი მმართველობის, საწარმოო-დაწესებულებების და ორგანიზაციების შეკვეთით. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საწარმოო დაწესებულებები და ორგანიზაციები ქმნიან სპეციალურ კომისიას, რომელიც აქტით აფორმებს საპროექტო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული საცხოვრებელი ბინის ან სახლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას. კომისიის აქტს საცხოვრებელი ბინის (სახლის) საბოლოო გასაყიდი ღირებულების შესახებ ამტკიცებენ ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი ორგანოები, საწარმოო დაწესებულებები და ორგანიზაციები".

მეექვსე მუხლში აღწერილია ანგარიშსწორება საცხოვრებელი ბინის (სახლის) პრივატიზებისას. ამ მუხლის მიხედვით, „საქართველოს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზების დროს ანგარიშსწორება წარმოებს საქართველოში მოქმედი ფულადი ერთეულით, კონვერტირებული ვა-

ლუტით და სახელმწიფო სესხით. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი განსაზღვრავს საცხოვრებელი ბინების (სახლების) შესყიდვის დროს ანგარიშსწორების წესს. ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოები, საწარმოო დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ მრავალშვილიანი და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინის (სახლის) შესყიდვის შეღავათები მათი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით".

მეშვიდე მუხლში დახასიათებულია საცხოვრებელი ბინის (სახლის) პრივატიზების ხელშეკრულების ფორმა და აღნიშნულია, რომ „საცხოვრებელი ბინის (სახლის) კერძო საკუთრებაში გადაცემისას მფლობელმა უნდა გადაიხადოს მომსახურების ხარჯი (საურავი). საცხოვრებელი ბინის (სახლის) პრივატიზებისას ხელშეკრულება აუცილებლად უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით".

მერვე მუხლი ეძღვნება პრივატიზების ხელშეკრულების ძალაში შესვლას და აღნიშნულია, რომ „საცხოვრებელი ბინის (სახლის) პრივატიზების ხელშეკრულება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან".

მომდევნო, მეცხრე მუხლში განხილულია ბინის (სახლის) გასხვისების წესი და მითითებულია, რომ „საცხოვრებელი ბინა (სახლი) გადადის მოქალაქის პირად საკუთრებაში მას შემდეგ, რაც იგი გადაიხდის გასაყიდი ბინის (სახლის) მთლიან ღირებულებას. მოქალაქეს უფლება არ აქვს გაასხვისოს საცხოვრებელი ბინა ან სახლი გაყიდოს, გააჩუქოს, ანდერძით დაუტოვოს და სხვ.) საცხოვრებელი ბინის (სახლის) მთლიანი ღირებულების გადახდამდე".

მეათე მუხლში განხილულია საბინაო-საამშენებლო კოოპერატივების ფონდის ბინების პრივატიზების საკითხი. ამ მუხლის თანახმად, „საბინაო-საამშენებლო კოოპერატივის წევრი, რომელმაც მთლიანად გადაიხადა საცხოვრებელი ბინის ღირებულება (სესხი) ითვლება ბინის მესაკუთრედ".

მეთერთმეტე მუხლი ეთმობა საცხოვრებელი ბინის (სახლის) პრივატიზებაზე უარის თქმის შემთხვევაში გასაჩივრების წესს. ამ მუხლის მიხედვით, „საცხოვრებელი ბინის (სახლის) პრივატიზებასთან დაკავშირებული დავა განიხილება სასამართლო წესით".

ამ კანონის ბოლო, მეთორმეტე მუხლი განსაზღვრავს საცხოვრებელი ბინების (სახლების) პრივატიზების შედეგად შემოსული თანხების გამოყენებას. ამ მუხლის თანახმად „საცხოვრებელი ბინების (სახლების) პრივატიზების შედეგად შემოსული თანხები ირიცხება სპეციალური ფონდის ანგარიშზე, რომელსაც ქმნიან მმართველობის ადგილობრივი ორგანოები და გამოიყენება ბინათმშენებლობის, საცხოვრებელი ბინების (სახლების) რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტისთვის".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბინების პრივატიზების საკითხს ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს რესპუბლიკის ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამაში, კერძოდ, „1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების ღონისძიებათა პროგრამაში"[1] მითითებულია, რომ „განსაკუთრებული სფეროა საცხოვრებელი ბინების პრივატიზება, რისთვისაც მოსახლეობის დიდი ნაწილი უფრო მომზადებულია როგორც ფსიქოლოგიურად ისე მატერიალურად. ამ სფეროში რეალურად უნდა იქნას განხილული ვარიანტი, როდესაც რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით ნორმატივის ფარგლებში მოხდება ბინების შეღავათიან ფასებში ან უსასყიდლოდ გადაცემა, ხოლო „ჭარბი" საცხოვრებელი ფართობი კი გამოსყიდული იქნება გადიდებული ფასით. ამასთან დაკავშირებით უნდა მომზადდეს და განხორციელდეს კარდინალური საბინაო რეფორმა (საბინაო კომუნალურ სფეროში ე. წ. დოტაციურობის აღმოფხვრითა და თვითდაფინანსებაზე გადასვლით)".

---

[1] 1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების ღონისძიებათა პროგრამა. პროექტი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".14.11.199

ამ კანონთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია, მაგალითად: ზ. ნაჭყებიას ავტორობით, სათაურით: „აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს“ (14.11.1991). უნდა აღინიშნოს ასევე ინტერვიუს შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისის თავმჯდომარესთან, რობერტ პეტრიაშვილთან. ამ ინტერვიუში ბატონი რობერტ პეტრიაშვილი განმარტავს, რომ „ყოველ ოჯახს, რომელსაც დაკავებული აქვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ფონდის ბინა, ერთ სულ მოსახლეზე უფასოდ გადაეცეს საერთო ფართობის და არა საცხოვრებელი ფართობის, 18 კვადრატული მეტრი, ე. ი. რამდენი სულიც ცხოვრობს ბინაში, იმდენი 18 კვადრატულ მეტრს სახელმწიფო უსასყიდლოდ გადასცემს. მაგალითად: ოჯახს, რომელიც 5 სულისაგან შედგება, უსასყიდლოდ გადაეცემა 90 კვადრატული მეტრი საერთო ფართობი. სტატისტიკური სამსახურების გაანგარიშებით საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობას – 75-80 პროცენტს ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე გადაეცემა დაკავებული საცხოვრებელი ბინა. ეს საკითხი სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვაგვარად გადაიჭრა. მაგალითად, ლიტვაში, როგორც ვიცი, საბინაო ფონდი მიეყიდა მოსახლეობას“[1].

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიაში განხილვის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში წარდგენილი იქნა განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ შემუშავებული კანონპროექტები: კანონი „დასაქმების შესახებ“, (დამტკიცებულ იქნა უზენაესი საბჭოს მიერ) კანონი „იმიგრაციის შესახებ“ (დამტკიცდა უზე-

[1] ბინები – საკუთრებაში. ინტერვიუ საქართველოს უზენაესი საბჭოს ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისის თავმჯდომარესთან, რობერტ პეტრიაშვილთან. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 31.10.1991.

ნაესი საბჭოს მიერ); კანონპროექტი „მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" და ა. შ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლის შემდეგ მისი პირველი მთავრობის შემადგენლობა უზენაესი საბჭოს დადგენილებით 1991 წლის 28 თებერვალს დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. ამავე წლის 27 აგვისტოს კი უკვე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავისი ხელმოწერით დაამტკიცა „საქართველოს რესპუბლიკის კანონი მინისტრთა კაბინეტის შესახებ"[1]. ამ კანონით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრული იყო მინისტრთა კაბინეტის კომპეტენცია, მისი საქმიანობის წესი და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა.

I.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უზენაეს საბჭოში მისი დამტკიცების შემდეგ, როგორც აღმასრულებული ხელისუფლება, აქტიურად შეუდგა ქვეყნის მართვას. ქვეყნის მართვა-გამგეობასთან ერთად ეწეოდა ასევე კანონ-შემოქმედებით საქმიანობას და მისი კანონპროექტები განსახილველად შემოდიოდა უზენაეს საბჭოში.

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამოქმედო დოკუმენტი იყო „1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების ღონისძიებათა

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მინისტრთა კაბინეტის შესახებ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 28.08.1991.

პროგრამა"[1]. რომელიც კანონპროექტის სახით გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1991წლის 14 ნოემბერს. მოკლედ მიმოვიხილავთ ამ კანონპროექტს. იგი შედგება შესავლის ნაწილისა და რვა კარისაგან. კანონპროექტი იწყება საგანგებო ვითარების შეფასებით. მასში გაანალიზებულია ქვეყნის ეკონომიკის კრიზისული ვითარება, მისი გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები და მითითებულია, რომ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე ეროვნულ მეურნეობაში არსებული ვითარება შეფასდეს როგორც უაღრესად კრიზისული და გამოცხადდეს საგანგებო ეკონომიკური მდგომარეობა". შემდეგ აღნიშნულია, რომ „წინამდებარე პროგრამა მოიცავს კრიზისიდან გამოყვანის ძირითად, სტრატეგიული ხასიათის ამოცანებსა და მიმართულებებს მაკრო დონეზე. მათზე დაყრდნობით და თითოეული დარგის, დარგთაშორისო კომპლექსის, რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს კონკრეტული დარგობრივი (დარგთაშორისო) და რეგიონული პროგრამები. ეს საქმე უნდა ითავონ შესაბამისმა დარგობრივმა სამინისტროებმა და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა".

ზემოთ აღნიშნულ „პროგრამაში" შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დასახული იყო ღონისძიებები, რომლებიც დაჯგუფებულია შემდეგი მიმართულებების მიხედვით: I. მეურნეობის ორგანიზაციული მართვა და საკანონმდებლო რეგულირება; II. სამეურნეო ურთიერთობათა რეგულირების ღონისძიებები; III. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირება; IV. საქართველოს რესპუბლიკის რესურსული უზრუნველყოფა; V. სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადასახადო სისტემის რეგულირება და ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლა; VI. ფასებისა და ფულის მიმოქცე-

[1] 1991-1992 წლებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ვითარების სტაბილიზების ღონისძიებათა პროგრამა. პროექტი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".14.11.1991.

ვის რეგულირება; VII. ქონების განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზება და საბაზრო სტრუქტურის ფორმირება; VIII. ეკონომიკური საქმიანობისა და პრივატიზების პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა. ამ პროგრამაში ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან შევჩერდები ზოგიერთ მათგანზე: პირველი ნაწილი იწყება იმით, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყოს აუცილებელ ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარება ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის რადიკალური გარდაქმნისათვის საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მეურნეობრიობის ახალი მექანიზმების შემუშავებას ავტონომიური ერთეულების, ქალაქებისა და რაიონების დონეზე, გარდამავალი პერიოდის მექანიზმების შემუშავებას ავტონომიური ერთეულების, ქალაქებისა და რაიონების დონეზე, გარდამავალი პერიოდის ამოცანების, მართვის დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით“. შემდეგ მითითებულია, რომ სამინისტროებმა და უწყებებმა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის კვალობაზე ძირეულად უნდა შეცვალონ თავიანთი ფუნქციები, მუშაობის სტილი და მეთოდები; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამართავი დარგების კრიზისიდან გამოყვანას; უნდა შემუშავდეს დარგობრივ და რეგიონალურ ჭრილში ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის და მისი სტაბილიზაციის პროგრამები; ამასთან რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, სამინისტროებმა, დეპარტამენტებმა და უწყებებმა გააფართოონ კონტაქტები შესაბამისი დარგის მეცნიერებთან და სპეციალისტებთან, ასევე სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ა. შ. მეორე ნაწილის დასაწყისში მითითებულია, რომ: „ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და მოსახლეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან 1992 წლისათვის ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება-

თა მომზადებისათვის შექმნილმა რეგიონალურმა სამთავრობო ქვეკომისიებმა გააააქტიურონ ამ მიმართულებით მუშაობა და დროულად უზრუნველყონ ხელშეკრულებათა გაფორმება შესაბამის რესპუბლიკებთან. აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებებთან ერთად, გათვალისწინებული იქნას საქონელმწარმოებელთა მაქსიმალური დამოუკიდებლობა და მიეცეს მათ შეთანხმებათა შესრულების შემდეგ დარჩენილი ჭარბი პროდუქციის პირდაპირი ხელშეკრულებით თავისუფლად რეალიზაციის უფლება". განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ინვესტიციური პოლიტიკის სრულყოფას და აღნიშნულია, რომ „მთლიანად გარდაიქმნას ინვესტიციური პოლიტიკა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, პირველ რიგში, რესპუბლიკისათვის ყველაზე საარსებო პრობლემების გადაწყვეტა (სასურსათო, სათბობ-ენერგეტიკული და სანედლეულო ბაზის განმტკიცება), აგრეთვე ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა რესპუბლიკის ინტერესებისა და რესურსების რაციონალური გამოყენების ურთიერთშეთანხმების შესაბამისად; სახალხო მეურნეობის არსებული ტექნიკური ჩამორჩენის დაძლევა და პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის მკვეთრი ამაღლება; სახელმწიფო რეზერვების შექმნა ექსტრემალური სიტუაციისათვის; ინვესტიციური ციკლის ერთიანობა და დაბალანსებულობა; რესპუბლიკის ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობაში ჩართვისათვის საჭირო პრაქტიკული საქმიანობის დაწყება". შემდეგ აღნიშნულია, რომ „ინვესტიციური პოლიტიკა უნდა დაემყაროს კაპიტალურ დაბანდებათა რესურსების სახელმწიფო რეგულირებისა და თავისუფალი მეწარმეობის შეხამებას, რომლითაც უნდა მივაღწიოთ ნორმალურ გაფართოებულ აღწარმოებას რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების შესაბამისად, იმ დარგების განვითარებისათვის ხელის შეწყობას, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ რესპუბლიკის განკარგულებაში არსებული ნედლეულის ბაზაზე აწარმოონ მაღალხარისხიანი, ექსპორტუნარიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უნდა განხორციელდეს ძირითადად გადამამუშავებელ, განსაკუთრებით მის შრომა და მეცნიერებატევად დარგებში, აგრეთვე ტურიზმის სფეროში".

აღნიშნულ დოკუმენტში ძირეული ცვლილებები იქნა დასახული ქვეყნის ეკონომიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიც არის მშენებლობა და კერძოდ, აღნიშნულია, რომ „მშენებლობაში შეიქმნას ახალი სამეურნეო მექანიზმი, რისთვისაც უნდა განხორციელდეს სამშენებლო კომპლექსის დემონოპოლიზაცია, განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზება, დაწყებული დაპროექტებიდან და საცდელი ექსპლოატაციით დამთავრებული, აგრეთვე სახელმწიფო შეკვეთები უმნიშვნელოვანესი საწარმოო სიმძლავრისა და სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების ამოქმედების დარგში".

ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა დასახული სოფლის მეურნეების მიმართულებითაც, კერძოდ აღნიშნული იყო, რომ: „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უნდა დაამთავროს აგრარული რეფორმის გატარების მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც სათანადო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღებასთან ერთად, მოიცავენ სასოფლო-სამეურნეო მიწების ინვენტარიზაციას, მიწის კადასტრისა და ეკონომიკური შეფასებების მექანიზმის სრულყოფას, რეგიონების ჭრილში მიწათსარგებლობის ნორმების გადასინჯვას, მიწაზე გადასახადის დადგენას და ა. შ. აგრარული რეფორმა უნდა გატარდეს ეტაპობრივად. მიზანშეწონილია მიწის პრივატიზების პროცესის ნაწილობრივი გადავადება, სანამ მეტ-ნაკლებად არ გამოიკვეთება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდივიდუალური ფორმების რეალური კონტურები. ამ ეტაპზე გამართლებულია მიწის გადაცემა მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად, ძირითადად თავისუფალი იჯარის წესით, მიწაზე საკუთრების უფლების იმატრიკულაციის პირობებით, საიმატრიკულაციო ვადის გასვლის შემდეგ მიწა შეიძლება გადავიდეს მოქალაქეთა საკუთრებაში. სახელმწიფოს განკარგულებაში უნდა დარჩეს

ის მიწები, რომელთაც სახელმწიფოსათვის სტრატეგიული და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე სარეზერვო ფონდები და ა. შ. იმის გათვალისწინებით, რომ აგრარული რეფორმის ჩატარება მოითხოვს ხანგრძლივ დროს, დღეისათვის გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახოს თავისუფალი იჯარის ფართოდ დანერგვა, დაჩქარდეს ზარალიანი და დაბალრენტაბელური კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების განსახელმწიფოებრიობა და თავისუფალი იჯარით გაცემა შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით. ეს პროცესი მოითხოვს მიწის დასამუშავებელ ე. წ. ხელისმცირე მექანიზაციის საშუალებებით სოფლის მშრომელთა უკეთ აღჭურვას, რისთვისაც მატერიალური რესურსების სამინისტრომ და ცეკავშირმა დროულად უნდა მოაგვარონ საჭირო ოდენობით მექანიზაციის ამ საშუალებათა შემოზიდვა, ან რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის ქარხნებში შეკვეთის გზით წარმოების გაფართოება. პირად-დამხმარე მეურნეობების მოწესრიგების მიზნით, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მაქსიმალურად დააჩქაროს ე. წ. ჩამონაჭერი მიწების საკითხის გადაწყვეტა და დაუბრუნოს ისინი მათ ყოფილ მოსარგებლეებს, რასაც უმოკლეს ვადაში შეუძლია მოგვცეს გარკვეული უკუგება. ამასთან მიმდინარე წელს უნდა გადაისინჯოს პირად-დამხმარე მეურნეობაში არსებულ საკარმიდამო მიწებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სიდიდე რაიონების ჭრილში. სოფლად უნდა შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები) ორგანიზაციული ფორმები და შეიქმნას სააქციო საზოგადოებები, კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, გლეხური (ფერმერული) მეურნეობები და კერძო საკუთრებაზე ან ქონებრივ ქირავნობაზე დამყარებული გლეხური (ფერმერული) მეურნეობები ან კოოპერატივები. ხელი უნდა შეეწყოს აგროფირმების ფორმირებას, რაც უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და გადამამუშავებულ სამრეწველო, აგროფირმების სა-

ფუძველზე, აგროფირმები უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც სააქციო საზოგადოებები, სადაც სახელმწიფო საკუთრების ხვედრი თანდათან და განუხრელად შემცირდება. სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ 2 თვის ვადაში დაამუშაოს და დაამტკიცოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის გრძელვადიანი პროგრამა, რომელშიც მაპროფილებელი დარგების ეკონომიკურად გამართლებულ განვითარებასთან ერთად, წინა პლანზე წამოიწევა ადგილობრივი მოთხოვნილებების მაქსიმალურად შესაძლო დაკმაყოფილება მარცვლეულით და მეცხოველეობის პროდუქტებით".

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ურთულეს პერიოდში მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის სათანადოდ დაცვას, მათი დასაქმებისა და შესაბამისი განათლების კადრების მომზადებას. ამასთან დაკავშირებით პროგრამაში აღნიშნულია, რომ „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას აუცილებელია მოსახლეობის სოციალური დაცულობის უზრუნველყოფა. უნდა შეიქმნას შრომის ბირჟების ფართო რესპუბლიკური ქსელი. აუცილებელია თანდათან დაინერგოს შემოსავლების ინდექსირების პრაქტიკა, დაუბეგრავი შემოსავლის დონის ამაღლება, დროებით შენარჩუნებული იქნეს საბარათო სისტემა არსებობისათვის საჭირო პროდუქტების მინიმუმის გასანაწილებლად. საბაზრო ეკონომიკისათვის საჭიროა სათანადო საკადრო უზრუნველყოფა. ამ მიზნით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში პრინციპულად უნდა შეიცვალოს მაღალკვალიფიციური ეკონომისტების, იურისტების, ინჟინრების, აგრონომების მომზადება-გადამზადების სისტემა. აუცილებელია ხელი შეეწყოს კონკურენციულ საწყისებზე მოქმედი სხვადასხვა ტიპის ბიზნესის და მენეჯერთა ინსტიტუტების, სკოლების, კურსების გახსნას და ქმედით ფუნქციონირებას".

აღნიშნულ პროგრამაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა დასახული საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისა და რეგულირების მიზნით. მასში აღნიშნული იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკის სრული სახელმწიფოებრივი და-

მოუკიდებლობის ინტერესების შესაბამისად განხორციელდეს ძირეული ცვლილებები საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირებისა და კვოტირების მეშვეობით ხელი შეეწყოს საბაზრო სტრუქტურების გონივრულ ჩართვას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, მოხდეს საგარეო-ეკონომიკური კავშირების თანდათანობით დემონოპოლიზაცია, რაც სტიმულს მისცემს თავისუფალი სამეწარმეო მოძრაობის განვითარებას. ამ პროცესების გაფართოების კვალდაკვალ შეიქმნას სარეპრეზენტაციო-საშუამავლო ფირმების ქსელი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ადგილობრივ და უცხოელ ბიზნესმენებს; გაიხსნას უცხოეთის ქვეყნების სავაჭრო წარმომადგენლობები, ჩამოყალიბდეს რესპუბლიკური საინვესტიციო ბანკი და მომწიფდეს პირობები მსოფლიო საბანკო სისტემაში მონაწილეობისათვის, რაც უზრუნველყოფს უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას სახელმწიფო სესხის, პირდაპირი კერძო ინვესტიციების თუ უცხოეთის ქვეყნების, ან საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების სახით. დამოუკიდებელი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის გატარების და ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით უახლოეს პერიოდში უნდა ჩამოყალიბდეს ეფექტიანი საბაჟო სისტემა. ამავე მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს შექმნა. ამ საკითხებზე წინადადებები 2 თვის ვადაში მოამზადოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა". აქვე დასახული იქნა ბევრი ღონისძიება პროდუქციის ექსპორტის გასადიდებლად. კერძოდ: შეღავათები ექსპორტ-იმპორტზე, ხელშეკრულების ზევით ექსპორტირებული პროდუქციის რეალიზაციიდან დამატებით მიღებული ვალუტის საწარმოო დანიშნულებისათვის თავისი შეხედულების მიხედვით გამოყენება და ა. შ.

აღნიშნულ პროგრამაში ასევე დასახულია იმ მძიმე პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის, კერძოდ, მისი ეკონომიკის რესურსული უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამასთან დაკავ-

შირებით მითითებულია, რომ ქვეყნის ეკონომიკური „კრიზისიდან გამოსვლის პირველი რიგის ამოცანაა დაკონკრეტდეს რესურსების ის რაოდენობა, რომელთა გარედან შემოზიდვის საკითხი რესპუბლიკაში აუცილებლად უნდა გადაწყდეს ცენტრალიზებულად. კონკრეტული შემსრულებლები შეიძლება იყვნენ როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ასევე დამოუკიდებელი საწარმოები და ორგანიზაციები, ანუ კოოპერატიულიც და კერძოც. ამისათვის მთავრობამ უნდა დაამუშაოს მაკროპროგრამა, სადაც შეიძლება წინასწარ ჩართოს ასეთი დამოუკიდებელი საწარმოების და ორგანიზაციების რეალური წინადადებები". აქვე ჩამოთვლილია რესპუბლიკის გარედან შემოსატანი კვების პროდუქტები (მარცვლეული, რძის პროდუქტები, ხორცი, ხორცპროდუქტები და ა. შ.) და მოცულობები. აქვე მოტანილია საქართველოს კვების და ასევე მსუბუქი მრეწველობის სანედლეულო უზრუნველყოფისათვის საჭირო რესპუბლიკის გარედან შემოსატანი ნედლეულისა და მასალების ჩამონათვალი, მათი მოცულობების მითითებით. აქვე აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ შემუშავებულმა რესურსული უზრუნველყოფის კონკრეტულმა პროგრამამ მოიცვას: რესპუბლიკაში წარმოებული ძირითადი სახეობის საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების პროდუქციის მოცულობის შეფასება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სამეურნეო ბრუნვაში ჩაურთველ ზედმეტ და ზენორმატიულ მარაგებზე, რომელთა ღირებულებაც უკანასკნელი წლების შეფასებით 250 მლნ. მანეთს აღემატება; მოსახმარ რესურსებზე რეალურად არსებული მოთხოვნის განსაზღვრა და მათი დაკმაყოფილების დონის (მათ შორის შემოსატანი რესურსების ხარჯზე) შეფასება; პირველადი მოხმარების აუცილებელი რესურსების წარმოების მასშტაბების გაზრდის შესაძლებლობათა დადგენა; ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ასორტიმენტისა და მოცულობის პროდუქციის განსაზღვრა და ტრადიციული ეკონომიკური კავშირების ხელოვნურად გაწყ-

ვეტის პირობებში, მსოფლიო ბაზარზე რესპუბლიკისათვის მაპროფილებელი პროდუქტების რეალიზაციის მეშვეობით, დეფიციტის შევსების შესაძლებლობათა შეფასება; ყველა ღონისძიების მაქსიმალურად გატარება 1992 წლისთვის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან, ცალკეულ მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან ტრადიციული პირდაპირი კავშირების შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის; სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების სავალუტო რესურსების მობილიზაცია სახელმწიფოს ხელში (სესხის სახით) სახელმწიფოებრივად მათი ეფექტიანი გამოყენების მიზნით".

ღონისძიებათა შემდეგი ჯგუფი ეხება სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადასახადო სისტემის რეგულირებასა და ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლას. პროგრამის ამ ნაწილის დასაწყისში მითითებულია, რომ: „რადიკალურად შეიცვალოს მოქმედი საგადასახადო და ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების სისტემები იმის გათვალისწინებით, რომ შეიქმნას საწარმოების, გაერთიანებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მატერიალური სტიმულირების პრინციპები წარმოების (სამუშაოების, მომსახურების) მოცულობის გადიდებისათვის პირველ რიგში არსებული სიმძლავრეების, ადგილობრივი ნედლეულისა და საწარმოო ნარჩენების ფართო გამოყენების ბაზაზე, პროდუქციის მასალატევადობის და შრომატევადობის შემცირების, აგრეთვე მისი ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების საფუძველზე, ამ მიზნით მომავალი წლიდან უარი უნდა ვთქვათ ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდის ხუთივე სახის არაეფექტიან შემოსავლებზე და ბრუნვის გადასახადზე. მათ სანაცვლად უნდა ავამოქმედოთ ალკოჰოლიან სასმელებზე და ზოგადი სახის საქონელზე სააქციზო გადასახადი, აგრეთვე დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი. მომავალი წლის დასაწყისიდან, როგორც წესი, უნდა შეწყდეს ზარალიანი და დაბალრენტაბელური საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მათი შემდგომი ფუნქციონირების საკითხი უნდა გადაწყდეს სხვა

მაღალრენტაბელურ საწარმოებთან მიერთებისა და საწარმოო პროფილის შეცვლით, ან საბოლოო ლიკვიდაციით პრივატიზაციისა და გაკოტრების თაობაზე კანონების მოთხოვნათა შესაბამისად. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავლები კოოპერატივების, მცირე საწარმოების, საიჯარო წარმოებათა, ერთობლივი საწარმოების ქსელისა და სამეურნეო საქმიანობის გაფართოების საფუძველზე". დასახულ იქნა კონკრეტული საპრივატიზაციო ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობდა წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას, რომელთაც მეც ვეთანხმებოდი, კერძოდ კი, აღნიშნულია, რომ „მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებსა და მოედნებზე განლაგებული შენობების პირველი სართულის სათავსოების საწარმოების, კოოპერატივებისა და კერძო პირებისათვის აუქციონის გზით მიყიდვა ან იჯარით გაცემა იმ მიზნით, რომ ამ სათავსოებში ამოქმედდეს მცირე საწარმოების, კოოპერატივების, სავაჭრო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციების ფართო ქსელი". ამ მიმართულებით დაისახა სხვა მრავალი ღონისძიებაც. პროგრამის ამავე ნაწილში დაისახა აგრეთვე ღონისძიებები ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისათვის, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ „ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით, როგორც საგანგებო ღონისძიება, 1992 წელს, ექსპერიმენტის სახით, შესაძლებელია შინაგანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გამოშვება და რეალიზაცია. ასევე განხილული უნდა იქნეს საკითხი ზოგიერთი სოციალურ ღონისძიებათა დაფინანსების დროებით შეჩერებისა ან შემცირების შესაძლებლობისა და საჭიროების შესახებ".

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მცირე ბიზნესის და საერთოდ კერძო მეწარმეობის განვითარებას არამარტო მოსახლეობის დახმარების, არამედ ასევე მათი დახმარებით საბიუჯეტო შემოსავლების გადიდების მიზნითაც, რისთვისაც დაისახა შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, ამ სფეროში

წარმოების მოცულობის გაზრდის მიზნით, დაგეგმილი იქნა საგადასახადო შეღავათები. ამასთან დაკავშირებით პროგრამაში აღნიშნულია, რომ „წარმოების გაფართოებისა და სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების სტიმულირებისათვის ფართოდ უნდა დაინერგოს საგადასახადო შეღავათების სისტემა. კერძოდ, დაბეგვრაში მეტი შეღავათები უნდა მიეცეთ მცირე და ახლად შექმნილ საწარმოებს, ამასთან შეღავათები არ უნდა გავრცელდეს ბანკებზე, სადაზღვევო ორგანიზაციებზე, სავაჭრო-შემსყიდველ, საზოგადოებრივი კვების, საშუამავლო და სანახაობით მცირე საწარმოებზე, აგრეთვე მოქმედ სახელმწიფო საწარმოებისა და მათი სტრუქტურული დანაყოფების ბაზაზე შექმნილ მცირე საწარმოებზე“. ასევე გათვალისწინებული იყო მოგების იმ ნაწილის დაბეგვრისაგან განთავისუფლება, რომელიც დაჭირდებოდა საწარმოთა ტექნიკურ გადაიარაღებასა და რეკონსტრუქციას, პროდუქციისა და ტექნოლოგიების თანამედროვე სახეობების, სურსათის, მედიკამენტებისა და სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი დანადგარების ათვისებას და ა. შ. აქვე აღნიშნული იყო, რომ მნიშვნელოვნად უნდა შემცირებულიყო საგადასახადო განაკვეთები სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი საწარმოებისათვის. აქვე მინდა დავამატო, რომ 1992 წლიდან დაგეგმილი იყო, სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და მიწის გადასახადის ნაცვლად შემოღებულიყო მხოლოდ მიწის გადასახადი. ამასთან იქვე მიეთითებოდა, რომ „მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს მიწის გადასახადის აქამდე მოქმედი განაკვეთები და შემცირდეს უსაფუძვლო შეღავათები. მიწის გადასახადის განაკვეთებს საფუძვლად უნდა დაედოს მიწის ნაყოფიერება, გამომდინარე მიწის კადასტრიდან“.

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე მოსახლეობის საგადასახადო სისტემის რეფორმირებაზე და აღნიშნულია, რომ „რადიკალურად უნდა შეიცვალოს მოსახლეობის გადასახადების სისტემა. ამ გადასახადებმა, სხვა მექანიზმებთან ერთად, ზემოქმედე-

ბა უნდა მოახდინოს შემოსავლების სწორად განაწილებაზე და ინფლაციურ პროცესებზე. ამ მიზნით მიზანმიმართულად იქნეს მიჩნეული მოსახლეობის გადასახადის რეფორმა განხორციელდეს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, 1992 წლიდან მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავი ხელფასი მინიმუმი 160 მანეთიდან უნდა გაიზარდოს 200 მანეთამდე. ამასთან დაკავშირებით შედარებით მაღალი განაკვეთებით უნდა დაიბეგროს 2500 მანეთზე მეტი შემოსავლები. მეორე ეტაპზე, 1993 წლიდან უნდა განხორციელდეს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა წლიური შემოსავლების ყველა წყაროს მიხედვით მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი დეკლარაციების საფუძველზე. ამისთვის უნდა დაწესდეს ყველა მოქალაქისათვის დაუბეგრავი ერთიანი მინიმუმი. ეტაპობრივად 1992 წლიდან ნაწილობრივ, ხოლო 1993 წლიდან მთლიანად, გაუქმდეს უშვილობის გადასახადი".

პროგრამაში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ „უახლოეს პერიოდში უნდა დაზუსტდეს და მკაფიოდ გამოიკვეთოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის როლი და ადგილი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში. საგადასახადო სისტემის უმთავრესი ამოცანები უნდა გახდეს: სახელმწიფო გადასახადების მეშვეობით საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების დროული და სრული აკუმულაცია; საგადასახადო განაკვეთებით სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებათა ხელშეწყობა; გარდამავალ პერიოდში ობიექტურად წარმოშობილი ფინანსურ დისპროპორციათა მოსალოდნელი არასასურველი შედეგების თავიდან აცილება; საგადასახადო სისტემის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე გავლენის მეცნიერული შესწავლა და საკანონმდებლო ორგანოსათვის დასაბუთებული რეკომენდაციების წარდგენა; მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ რეალიზაციაზე უმკაცრესი კონტროლის დაწესება".

ფასების და ფულის მიმოქცევის რეგულირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები მრავალპლანიანია და იწყება ფასე-

ბის და ტარიფების რეფორმის მომზადების აუცილებლობით, კერძოდ კი, აღნიშნულია: „მომზადდეს და 1992 წლის 1 იანვრიდან განხორციელდეს ფასებისა და ტარიფების რეფორმა რომელშიც, ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციასთან ერთად, გათვალისწინებული იქნება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებები და რესპუბლიკის ინტერესების დაცვა. ფასების ლიბერალიზაციის პრაქტიკული ღონისძიებები უნდა დავუკავშიროთ თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას, აგრეთვე გარეშე ფაქტორების ცვლილებებს. ფასების (ტარიფების) უშუალო სახელმწიფო რეგულირება და კონტროლი რეფორმის პირველ ეტაპზე შენარჩუნებული იქნება მხოლოდ იმ რესურსებისა და საქონლის შეზღუდულ წრეზე, რომელთაც საარსებო მნიშვნელობა აქვთ ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ხალხის ცხოვრებისათვის. ფასებისა და ტარიფების სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე სისტემის შექმნის მიზნით საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა შეიქმნას: საგარეო და საშინაო ბაზრის კონიუნქტურის შემსწავლელი ფასების (ტარიფების) საინფორმაციო, სარეგისტრაციო და ინდექსაციის მძლავრი სამსახური; ექსპერტთა საბჭო რესპუბლიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან სამეურნეო ხელმძღვანელების, მეცნიერების, სპეციალისტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით". აქვე სხვა ღონისძიებებთან ერთად ხაზგასმულია, რომ უნდა დაჩქარდეს: ეროვნული ფულის შემოღება; ფასიანი ქაღალდების ბაზრის და მისი ინფრასტრუქტურის (საფონდო ბირჟების, სადაზღვევო, ბროკერული და აუდიტორული კომპანიების, აგრეთვე შესაბამისი საკონტროლო დაწესებულებების) ჩამოყალიბება, სათანადო საკანონმდებლო აქტების მიღება, რომლის საფუძველზე მოხდება იურიდიული პირებისა და მოქალაქეების მიერ ასეთი ქაღალდების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა.

საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის აღნიშნულ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ღო-

ნისძიებებს, რომლებიც ეხებოდა ქონების განსახელმწიფოებრიობას, პრივატიზებასა და საბაზრო სტრუქტურების ფორმირებას. აქ აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის აგვისტოში მიღებული კანონები სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ, აგრეთვე მეწარმეობის საქმიანობის საფუძვლების შესახებ ქმნიან თავისუფალი სამეწარმეო ურთიერთობის დამკვიდრების ზოგადსამართლებრივ საფუძვლებს. ამასთან პრივატიზება, როგორც კერძო სექტორის დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, ითხოვს რიგი საკითხების სწრაფად გადაწყვეტას, სხვა კანონების და ნორმატიული აქტების მიღებას, რაც აუცილებლად უნდა დაჩქარდეს“. შემდეგ ჩამოყალიბებულია სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის ამოცანები, კერძოდ, ამ ორგანიზაციამ „უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების საერთო-რესპუბლიკური პროგრამა, სადაც დარგობრივი მართვის ორგანოებთან, აგრეთვე ცენტრალურ ეკონომიკურ და სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად პრაქტიკულად უნდა განსაზღვროს ჩამონათვალი იმ ობიექტებისა, რომლებიც დაექვემდებარებიან პრივატიზებას, აგრეთვე პრივატიზების კონკრეტული ვადები მცირე და დიდი პრივატიზების ციკლის და პრივატიზების მოსამზადებელი პერიოდის გათვალისწინებით. ამ უკანასკნელში უნდა აღინუსხოს საპრივატიზაციო ობიექტების ქონების დღევანდელი მდგომარობა, განლაგება, სოციალური დანიშნულება, ობიექტის კოლექტივის დამოკიდებულება პრივატიზებისადმი, ეკონომიკური დონე: რენტაბელურია ის თუ ზარალიანი, პრივატიზების სასურველი ფორმების მითითებით (სააქციო, სააუქციონო, საკონკურსო, შერეული და ა. შ.)“. აქვე მითითებულია, რომ „ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ, სხვა დაინტერესებულ სამთავრობო და სამეურნეო ორგანოებთან ერთად, უმოკლეს ვადაში უნდა შეიმუშაონ და მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინონ ნუსხა იმ ობიექტებისა, რომელთა პრივატიზება, იჯარით გადაცემა და განსახელმწიფოე-

ბრიობა ამ ეტაპზე (ან საერთოდ) მიზანშეწონლი არ არის და რჩება სახელმწიფო გამგებლობაში".

აღნიშნული პროგრამის ამავე ნაწილში ხაზგასმულია, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია განხორციელდეს მოსახლეობის ძირითადი მასის მონაწილეობა მისივე შრომით შექმნილი ქონების თანამფლობელობაში (და არა ამ ქონების თავმოყრა საზოგადოების მხოლოდ მდიდარი წევრების ხელში). ასეთი მიდგომით თავიდან ავიცილებთ სოციალურ კატაკლიზმებს. სოციალური საბაზრო ურთიერთობები უნდა დავამკვიდროთ შემდეგი მიდგომების გათვალისწინებით: მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული საწარმოო კოლექტივების წილობრივი პრიორიტეტი პრივატიზების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას; უნდა დავიცვათ პრიორიტეტების თანმიმდევრულობა: საწარმო ან მისი წილი უნდა მიეყიდოს პირველ რიგში მის კოლექტივს, შემდეგ რესპუბლიკის მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, და მხოლოდ ამის შემდეგ უცხოეთის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს; ცალკეული მოქალაქეებისა და იურიდიული პირების ხელში კაპიტალის უსაზღვრო კონცენტრაციის თავიდან აცილებისა და წარმოების მონოპოლიზაციის რეგულირების მიზნით კანონმდებლობით უნდა დადგინდეს საპრივატიზაციო ქონების, აქციების, პაის შესყიდვის ქვოტები, რომელთა გადამეტებით შესყიდვაზე მესაკუთრე იხდის პროგრესულ გადასახადს; სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების პროცესის რეგულირება უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო სექტორის ხვედრი წილის ოპტიმალურ სიდიდემდე (ვთქვათ, 30–40 პროცენტამდე) შემცირებას და ა. შ. აქვე ცალკეა გამოყოფილი საცხოვრებელი ბინების პრივატიზების საკითხები და აღნიშნულია, რომ „განსაკუთრებული სფეროა საცხოვრებელი ბინების პრივატიზება, რისთვისაც მოსახლეობის დიდი ნაწილი უფრო მომზადებულია როგორც ფსიქოლოგიურად, ისე მატერიალურად. ამ სფეროში რეალურად უნდა იქნას განხილული ვარიანტი, როდესაც რეგიონის თავისებურებათა გათ-

ვალისწინებით ნორმატივის ფარგლებში მოხდება ბინების შეღავათიან ფასებში ან უსასყიდლოდ გადაცემა, ხოლო „ჭარბი" საცხოვრებელი ფართობი კი გამოსყიდული იქნება გადიდებული ფასით. ამასთან დაკავშირებით უნდა მომზადდეს და განხორციელდეს კარდინალური საბინაო რეფორმა (საბინაო კომუნალურ სფეროში ე. წ. დოტაციურობის აღმოფხვრითა და თვითდაფინანსებაზე გადასვლით)".

პროგრამის ბოლო ნაწილი ეძღვნება ეკონომიკური საქმიანობისა და პრივატიზების პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებებს და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურული სრულყოფის, საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და პრივატიზების პროცესის ეფექტური წარმართვა, აგრეთვე საქართველოს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა, საშუალებას იძლევა უახლოეს მომავალში გადაიქცეს იგი სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურებისა და სამეურნეო-კომერციული ერთეულების პარტნიორული ურთიერთობების დამკვიდრების ადგილად. ამასთან დაკავშირებით საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ დონეზე ფუნქციონირებადი ეროვნული ინფორმაციული სტრუქტურის ორგანიზაციას. მან უნდა უზრუნველყოს შემდეგი ფუნქციების შესრულება: სახელმწიფოებრივი ხასიათის მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის ოპერატიული მოზიდვა-დამუშავება თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე; ეროვნული სიმდიდრის აღრიცხვა-შეფასება; საგარეო და შიგა ბაზრის კონიუნქტურის ამსახველი ინფორმაციის მოზიდვა-დამუშავება.

ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ორგანიზაციამ თავისი ფუნქციების რეალიზაციისათვის უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები: ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა; დემოგრაფიული რეგისტრის შექმნა და წარმოება; სამომხმარებლო ფასებზე დაკვირვებისა და ინდექსაციის სამსახურის

ორგანიზაცია; საგარეო და შიდა ბაზრების კონიუნქტურის ინფორმაციული სამსახურის ორგანიზაცია; საბაჟო პოლიტიკის განსაზღვრა და საბაჟო სისტემის ინფორმატიზაცია; საბანკო სისტემის ინფორმატიზაცია; შრომითი რესურსების აღრიცხვა-განაწილების ინფორმაციული სამსახურის ორგანიზაცია; ეროვნული სიმდიდრის აღრიცხვისა და შეფასების სამსახურის შექმნა". დაბოლოს განხილულია ამ ღონისძიების გატარებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და მისი განხორციელების აუცილებლობა. სამწუხაროდ, აღნიშნული პროგრამის განხორციელება ეროვნულმა ხელისუფლებამ ცნობილი მოვლენების გამო ვერ შეძლო.

II.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებული და შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 25 ივლისს დამტკიცებული და საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიერ ხელმოწერილი „კანონი დასაქმების შესახებ"[1]. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კანონპროექტი დასაქმების შესახებ უზენაესი საბჭოს სესიაზე განსახილველად შემოიტანა საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრმა თამაზ გუგუშვილმა. „კანონი დასაქმების შესახებ" შედგება შესავლისაგან და ოცდაექვსი მუხლისაგან.

შესავლის ნაწილში აღნიშნულია, რომ „ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკას, უმუშევართა სოციალური დაცვის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს. კანონი ვრცელდება რესპუბლიკის ყველა მცხოვრებზე. თანაბარ პირობებში სამუშაოზე მოწყობისას უპირატესობით სარგებლობენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი". ამ კანონის პირველი კარი ეძღვნება ზოგად დებულებებს, ხოლო

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი დასაქმების შესახებ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 31.07.1991.

მის პირველ მუხლში კი განხილულია სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები დასაქმების სფეროში და აღნიშნულია, რომ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: საქართველოს ყველა მოქალაქისათვის შრომის უფლების განხორციელების თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა რასის, ეროვნების, სქესის, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური შეხედულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით; მოქალაქის შრომითი ინიციატივის მხარდაჭერა და წახალისება; მოქალაქის დასაქმებისათვის ხელშეწყობა, უმუშევრობის მაქსიმალურად შემცირება; უმუშევრის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა; დასაქმების სფეროში და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიმართულებით (სოციალური უზრუნველყოფა, შემოსავლების ზრდა და განაწილება, ინფლაციის თავიდან აცილება და სხვა) გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაცია; დასაქმების სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავება, რეალიზაციისა და კონტროლისათვის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან პროფკავშირებისა და მეწარმეთა ასოციაციების (კავშირების) აქტიური თანამშრომლობა; დასაქმების პრობლემათა გადაჭრაში საერთაშორისო თანამშრომლობა.

ამ კანონის მეორე მუხლში განხილულია დასაქმების ფორმები და აღნიშნულია, რომ „მოქალაქის განსაკუთრებული უფლებაა იყოს თავისი შრომის უნარის სრული განმგებელი და განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით არ არის აკრძალული. არსებობს დასაქმების ორი ფორმა: 1) მოქალაქის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს პირად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და, როგორც წესი, ანაზღაურდება ხელფასით ან შემოსავლის სხვა ფორმით; 2) მოქალაქის საქმიანობა, რომელსაც არ ახლავს შემოსავალი (ბავშვების აღზრდა, შრომა საოჯახო მეურნეობაში, წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა)“. აქვე აღნიშნულია, რომ „მოქალაქის დაუსაქმებლობა არ

შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლისა და სხვა სახის პასუხისგებაში მიცემის საფუძვლად".

„ანაზღაურებადი დასაქმების მქონე მოქალაქეს განეკუთვნება:

ა) მოქალაქე, რომელიც მუშაობს ქირით, მათ შორის, ის, რომელიც გასამრჯელოსათვის სამუშაოს ასრულებს არასრული სამუშაო დღის (კვირის) განმავლობაში, აგრეთვე შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე, რომელიც დროებით არ ასრულებს სამუშაოს ავადმყოფობის, შვებულებაში ყოფნის, გაფიცვის, წარმოების დროებით შეჩერების გამო;

ბ) მოქალაქე, რომელიც ეწევა მეწარმეობას, ინდივიდუალურ შრომით და შემოქმედებით საქმიანობას, სამეურნეო ამხანაგობებისა და საზოგადოების წევრები, ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებში დასაქმებული პირები და წარმოების მონაწილე მათი ოჯახის წევრები;

გ) მოქალაქე, რომელიც არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებულია ანაზღაურებად თანამდებობაზე;

დ) მოქალაქე, რომელიც მსახურობს შინაგან ჯარში – ეროვნულ გვარდიაში, სახელმწიფო უშიშროების და სამართალდამცავ ორგანოებში; სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დროებით იმყოფება საქართველოს რესპუბლიკაში, მუშაობს მის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში საკუთრების ფორმის მიუხედავად, თუ მისი საქმიანობა დაკავშირებული არ არის უცხოეთის სახელმწიფო საელჩოსა და წარმომადგენლობის (მისიის) ფუნქციონირებასთან;

ე) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც მუშაობს საზღვარგარეთ".

მესამე მუხლში განმარტებულია, თუ ვინ ითვლება უმუშევრად და აღნიშნულია, რომ „უმუშევრად ითვლება შრომისუნარიანი მოქალაქე შრომისუნარიან ასაკში, რომელსაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ აქვს სამუშაო და შესაბამისად, ხელფასი (შრომითი შემოსავალი), რეგისტრირე-

ბულია შრომის სახელმწიფო ბირჟაზე და ეს სამსახური ვერ სთავაზობს მას შესაფერის სამუშაოს.

მომდევნო, მეოთხე მუხლში მოცემულია შესაფერისი სამუშაოს განსაზღვრება და მითითებულია, რომ „მოქალაქისათვის, რომელიც გათავისუფლდა სამუშაოდან და არ აქვს ხელფასი (შრომითი შემოსავალი) და რეგისტრაცია გაიარა შრომის სახელმწიფო ბირჟაზე, შესაფერისად ჩაითვლება სამუშაო, რომელიც შეესაბამება მის პროფესიულ მომზადებას, ასაკს, სქესს, შრომით სტაჟს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და მოსახერხებელია საბინაო-საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო თვალსაზრისით. თუ უმუშევრობის პირველი ექვსი თვის განმავლობაში დასაქმების სახელმწიფო ორგანოებმა მოქალაქეს ვერ გამოუნახა შესაფერისი სამუშაო, შესაფერისად შეიძლება ჩაითვალოს სამუშაო, რომელიც საჭიროებს პროფესიის (სპეციალობის) შეცვლას, ითვალისწინებს მოქალაქის ასაკს, სქესს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, შრომის სტაჟსა და შრომის კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. იმ პირისათვის, რომელიც პირველად ეძებს სამუშაოს და არა აქვს პროფესია (სპეციალობა), შესაფერისად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო (მათ შორის დროებითი), რომელიც ითვალისწინებს მოქალაქის ასაკს, სქესს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და შრომის კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, ან ისეთი სამუშაო, რომელიც საჭიროებს მის წინასწარ პროფესიულ მომზადებას“.

აღნიშნული კანონის მეხუთე მუხლში მოცემულია შრომის უფლების დაცვის სახელმწიფო გარანტიები და აღნიშნულია, რომ „უმუშევარს სახელმწიფოსაგან გარანტირებული აქვს: ა) უფლება ისარგებლოს უფასო პროფესიული მომზადებით, გადამზადებით და პროფესიული კონსულტაციით; ბ) საქმიანობისა და სამუშაოს სახეობის არჩევის თავისუფლება; გ) შესაფერისი სამუშაოს შერჩევისა და სამუშაოზე მოწყობაში უფასო ხელშეწყობა; დ) პროფესიის და სამუშაოს მიღების, პროფესიული მომზადების, დასაქმებისა და შრომის პირობე-

ბის შერჩევის დროს ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან დაცვა; ე) საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციის დაკვეთის შესაბამისად სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა შესაფერისი სამუშაოთი უზრუნველყოფა; ვ) შრომის სახელმწიფო ბირჟის საგზურის საფუძველზე ახალ საცხოვრებელ და სამუშაო ადგილზე გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსაცია; ზ) დროებით სამუშაოებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

სახელმწიფო ორგანოებში უზრუნველყოფენ სტატისტიკური მონაცემებისა და საინფორმაციო მასალების სისტემატურ პუბლიკაციას სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების, შრომითი მოწყობის შესაძლებლობების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების, სოციალურ-შრომითი რეაბილიტაციისა და დასაქმების სფეროს სხვა საკითხების თაობაზე".

მომდევნო, მეექვსე მუხლში – დასაქმების დამატებითი გარანტიები მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებისათვის – მითითებულია, რომ „სახელმწიფო დასაქმების დამატებითი გარანტიებით უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე დაბალკონკურენტუნარიან მოქალაქეს (ახალგაზრდა, ინვალიდი, მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობელი, რომელიც ზრდის 14 წლის ასაკამდე ან ინვალიდ ბავშვს, წინასაპენსიო ასაკის მოქალაქე, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ჰქონდა სამუშაო, სასჯელის აღმასრულებელი ან იძულებითი მკურნალობის დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირი), რომელსაც უჭირს სამუშაოს მოძებნა და საჭიროებს განსაკუთრებულ სოციალურ დაცვას. მოქალაქეთა ამ კატეგორიისათვის სახელმწიფო ქმნის სპეციალურ დამატებით სამუშაო ადგილებს, სპეციალიზებულ საწარმოებს, მათ შორის საწარმოებს ინვალიდებისათვის, ახორციელებს სწავლების სპეციალურ პროგრამებს და სხვა ღონისძიებებს".

ამ კანონის პირველი კარის ბოლო, მეშვიდე მუხლი ეძღვნება კანონმდებლობას დასაქმების შესახებ და მითითებულია, რომ „ურთიერთობანი დასაქმების სფეროში საქართველოს

რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგულირდება ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა ნორმატიული აქტებით. თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილია სხვა წესები, რომლებიც განსხვავდება დასაქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისაგან, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების წესები".

დასაქმების შესახებ კანონის მეორე კარი ეძღვნება მოქალაქის უფლებას დასაქმებაზე და მოიცავს მერვე-მეთერთმეტე მუხლებს. მერვე მუხლში განხილულია სამუშაოზე მოწყობის უფლება და აღნიშნულია, რომ „საქართველოს მოქალაქეს აქვს სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლება საწარმოსათვის, დაწესებულების და ორგანიზაციისათვის (მისი საკუთრების ფორმის მიუხედავად) უშუალო მიმართვის გზით ან შრომის ბირჟის მეშვეობით. სამუშაოზე მიღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საწარმოს, დაწესებულების ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რის შესახებაც აუცილებლად უნდა ეცნობოს შრომის სახელმწიფო ბირჟას. შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადების წესი და პირობები რეგულირდება რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობით".

მეცხრე მუხლში – მოქალაქის უფლება საზღვარგარეთ შრომით საქმიანობაზე – მითითებულია, რომ საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს აქვს საზღვარგარეთ შრომითი საქმიანობის უფლება. ამ მოქალაქის უფლებებისა და ინტერესების დაცვის წესი და საშუამავლო დახმარების პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკისა და შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკისა და სხვა სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებებით.

მომდევნო, მეათე მუხლი ეხება უმუშევრის სოციალურ დაცვას და მითითებულია, რომ „მოქალაქეს აქვს უმუშევრო-

ბისაგან სოციალური დაცვის უფლება. დადგენილი წესით უმუშევრად ცნობილ პირს უფლება აქვს მიიღოს შემწეობა უმუშევრობისათვის“, აღნიშნული კანონის მეორე კარის ბოლო მეთერთმეტე მუხლში – დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მუშაკთა მოქმედების გასაჩივრების უფლება – განმარტებულია, რომ „მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მუშაკთა მოქმედება სასამართლოში, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

განსახილველი კანონის მესამე კარი ეძღვნება დასაქმების სახელმწიფო რეგულირებასა და ორგანიზაციას და მოიცავს მეთორმეტე-მეჩვიდმეტე მუხლებს. ამ კარის მეთორმეტე მუხლში განხილულია დასაქმების სახელმწიფო რეგულირება და მითითებულია, რომ „მოსახლეობის დასაქმებას არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დასაქმების ერთიანი პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციისათვის და მოქალაქეთა შესაბამისი გარანტიების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან იქმნება დასაქმების სახელმწიფო სამსახური – დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის, შრომის სახელმწიფო ბირჟის, უმუშევართა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სახით. იგი ახორციელებს სათანადო პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას, ამ მიზნით მონაწილეობს საფინანსო-საკრედიტო, საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკის გატარებაში, საწარმოო ძალების რაციონალური განლაგების, მოქალაქეთა შრომითი მობილურობის ამაღლებისა და შრომის მოქნილი რეჟიმების დანერგვის ღონისძიებათა განხორციელებაში“.

მომდევნო, მეცამეტე მუხლი ეძღვნება შრომის სახელმწიფო ბირჟას და მითითებულია, რომ „უმუშევართა სამუშაოზე

მოწყობაში ხელშეწყობისა და მათი სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იქმნება შრომის სახელმწიფო ბირჟა. შრომის სახელმწიფო ბირჟის საქმიანობა შიდარესპუბლიკურ რეგიონალურ დონეზე წარიმართება შრომის რეგიონალური ბირჟების მეშვეობით, ხოლო ქალაქისა და რაიონებისა – რეგიონალური ბირჟების ადგილობრივი წარმომადგენლების მეშვეობით. შრომის სახელმწიფო ბირჟის დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. იგი მოქალაქეებს ემსახურება უფასოდ. შრომის სახელმწიფო ბირჟის შემადგენლობაში იქმნება დასაქმების სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც ახორციელებს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მათი საკუთრების ფორმების მიუხედავად, მოქალაქეთა დასაქმების უფლების დაცვის კონტროლს. დასაქმების სახელმწიფო ინსპექციის საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს შრომის სახელმწიფო ინსპექცია. რესპუბლიკაში კომერციული ბირჟების, სააგენტოებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც მოქალაქეთა სამუშაოზე მოწყობის, მომზადებისა და გადამზადების ფასიან მომსახურებას ეწევიან (მათ შორის საზღვარგარეთაც), დაიშვება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიით“.

ამ კარის მეთოთხმეტე მუხლში განხილულია საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მონაწილეობა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში. აქვე მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების მიუხედავად, ხელს უწყობენ დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, რისთვისაც: ა) იცავენ ხელშეკრულების (კონტრაქტის) იმ პირობებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის შრო-

მის კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებენ შრომით ურთიერთობებს; ბ) ქმნიან სათანადო პირობებს მომუშავეთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადებისათვის; გ) რეგულარულად გადარიცხავენ შესაბამის სახსრებს დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში დადგენილი წესითა და ოდენობით, რაც განისაზღვრება რესპუბლიკის მთავრობის მიერ რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად; დ) დადგენილ ვადებში წარუდგენენ შრომის სახელმწიფო ბირჟას თავისუფალი სამუშაო ადგილებისა (ვაკანტური თანამდებობების) და მუშაკთა მოსალოდნელი გამოთავისუფლების შესახებ, მათი რაოდენობის, პროფესიების და სხვა მახასიათებლების, აგრეთვე გამოთავისუფლების ვადების ჩვენებით ამ პროცესის უარყოფითი სოციალური შედეგების შესამცირებელ ღონისძიებათა დროულად გატარებისათვის; ე) საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ განსაზღვრული და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ დადგენილი რაოდენობით მოვალენი არიან შექმნან სპეციალიზებული სამუშაო ადგილები ინვალიდებისათვის, პენსიონერების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, აგრეთვე სოციალურად ნაკლებად დაცული მოქალაქეთა სხვა ჯგუფებისათვის. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში დამატებით გადარიცხავენ სახსრებს დადგენილი წესით, რომელიც უნდა მოხმარდეს ასეთი კატეგორიის მოქალაქეთა სოციალურ დაცვას. აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეების სამუშაო ადგილების ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით. დასაქმების ერთიან სახელმწიფო ფონდში შეღავათიანი გადასახადები საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს შეიძლება დაუწესდეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაასაქმებენ შრომის ბაზარზე დაბალკონკურენტუნარიან მოქალაქეებს, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ,

ან შექმნიან მათთვის და უმუშევრებისათვის ახალ სამუშაო ადგილებს. ასეთ შემთხვევაში გადასახდელის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით. მომუშავეთა მასობრივი გათავისუფლების შემთხვევაში საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას დასაქმების ერთიან ფონდში შეაქვს დამატებითი შენატანები დადგენილი წესის მიხედვით".

მეთხუთმეტე მუხლში საუბარია დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესახებ და აღნიშნულია, რომ დასაქმების ხელშეწყობის მიზნით იქმნება დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, როგორც დამოუკიდებელი საფინანსო სისტემა. იგი გამოიყენება დასაქმების პოლიტიკის განსახორციელებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად და დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობისთვის. დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი იქმნება: ა) წარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სავალდებულო ანარიცხებით (საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმის მიუხედავად); ბ) საქართველოს და საზღვარგარეთის საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ნებაყოფლობითი შენატანებითა და სხვა შემოსავლებით. სახსრების უკმარისობის შემთხვევაში დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოიყოფა დამატებითი სახსრები. დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრების გამოყენების მიმართულებანი, წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებით. უმუშევართათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი ახორციელებს კომერციულ საქმიანობას, რომელიც თავისუფლდება მიღებული შემოსავლიდან გადასახადებისაგან, ასევე სახელმწიფო და საბაჟო გადასახადიდან".

მომდევნო, მეთექვსმეტე მუხლში განხილულია, თუ რა შემთხვევაში ხორციელდება უმუშევრის პროფესიული მომ-

ზადება-გადამზადება და აღნიშნულია, რომ „უმუშევრის პროფესიული მომზადება და გადამზადება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ: ა) შრომის სახელმწიფო ბირჟამ ვერ შეურჩია შესაფერისი სამუშაო იმის გამო, რომ მოქალაქეს არა აქვს აუცილებელი კვალიფიკაცია; ბ) შრომის სახელმწიფო ბირჟა ვერ სთავაზობს უმუშევარს მისი პროფესიული გამოცდილების შესაფერის სამუშაოს და საჭირო ხდება სპეციალობის შეცვლა; გ) უმუშევარმა დაკარგა უნარი შეასრულოს სამუშაო თავისი ადრინდელი პროფესიის მიხედვით. უმუშევრის პროფესიული მომზადება და გადამზადება ხორციელდება დასაქმების სახელმწიფო სამსახურის სისტემაში არსებული პროფესიული მომზადების სისტემის სასწავლო-საწარმოო ცენტრების ბაზაზე, აგრეთვე ხელშეკრულებით სხვა სასწავლო დაწესებულებებში დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ამ მიზნით გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე".

მეჩვიდმეტე მუხლში – დროებითი სამუშაოების ორგანიზაცია – მითითებულია, რომ „მმართველობის ადგილობრივი ორგანოები შრომის სახელმწიფო ბირჟის წინადადებით და მონაწილეობით ადგილობრივი მუნიციპალური საკუთრების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ახორციელებენ დროებითი სამუშაოების ორგანიზაციას. დროებით სამუშაოთა დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრების გამოყენებით. დროებითი სამუშაოების ორგანიზაციის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ შემუშავებული შესაბამისი დებულებით".

დასაქმების შესახებ კანონის მეოთხე კარი ეძღვნება უმუშევრის სოციალური დაცვის გარანტიებს და მოიცავს მეთვრამეტე-ოცდამეოთხე მუხლებს. მეთვრამეტე მუხლში მოცემულია მატერიალური მხარდაჭერის გარანტიები და აღ-

ნიშნულია, რომ „უმუშევარს სახელმწიფო აძლევს შემდეგ გარანტიებს: ა) შემწეობას უმუშევრობისათვის; ბ) სტიპენდიას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პერიოდში და ამ ხნის განმავლობაში უნარჩუნებს საერთო და უწყვეტ შრომით სტაჟს; გ) მატერიალურ დახმარებას მისთვის და მისი ოჯახის წევრებისათვის, კმაყოფაზე მყოფი მოხუცებისა და არასრულწლოვანი ბავშვების გათვალისწინებით“.

შემდეგ, მეცხრამეტე მუხლში განხილულია გამოთავისუფლებულ მუშაკთა შემწეობის გარანტიები. კერძოდ, აქ აღნიშნულია, რომ „მუშაკს, რომელიც გამოთავისუფლებულია სამუშაოდან, შემწეობა ეძლევა ერთი წლის განმავლობაში შემდეგი წესით: გამოთავისუფლების დღიდან პირველი სამი თვის განმავლობაში უკანასკნელ ძირითად სამუშაო ადგილზე მიღებული საშუალო ხელფასის ოდენობით, რომელიც გაიცემა დადგენილი წესით იმ ორგანიზაციის მიერ, საიდანაც მუშაკი გამოთავისუფლდა; შემდგომ გაიცემა შრომის სახელმწიფო ბირჟიდან დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახსრებით. მეოთხე-მეექვსე თვის განმავლობაში – მისი საშუალო ხელფასის 70 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობისა; მეშვიდე-მეცხრე თვის განმავლობაში – მისი საშუალო ხელფასის 50 პროცენტი, მაგრამ არა უმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგი ოდენობისა; მეათე-მეთორმეტე თვის განმავლობაში – რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ოდენობით. შემწეობის ოდენობა განისაზღვრება ბირჟაზე რეგისტრაციის თარიღის შესაბამისად. უმუშევარს, რომელსაც კმაყოფაზე ჰყავს შვილები და ოჯახის სხვა წევრები, თუ ისინი არსებული კანონმდებლობით არ იღებენ დახმარებას, შემწეობის ოდენობა უდიდდება მისთვის დადგენილი შემწეობის 25 პროცენტით კმაყოფაზე მყოფ თითოეულ წევრზე, მაგრამ არა უმეტეს უკანასკნელ სამუშაო ადგილზე ნამუშევარი საშუალო ხელფასის ოდენობისა. მოქალაქეს, რომელიც გათავისუფლებულია სასჯელის მოხდის

ადგილიდან ან რომელმაც სასამართლოს გადაწყვეტილებით გაიარა იძულებითი მკურნალობა და რეგისტრირებულია როგორც სამუშაოს მაძიებელი, მიეცემა უმუშევრობის შემწეობა, დადგენილი მინიმალური ხელფასის არანაკლებ 75 პროცენტის ოდენობით. მოქალაქეს, რომელმაც დაამთავრა საშუალო სპეციალური ან უმაღლესი სასწავლებელი, ან გაიარა სავალდებულო სამსახური შინაგან ჯარებში – ეროვნულ გვარდიაში და დამთავრებიდან 6 თვის განმავლობაში რეგისტრირებულია შრომის სახელმწიფო ბირჟაზე როგორც უმუშევარი, ეძლევა შემწეობა რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ოდენობით, დღიდან რეგისტრაციისა ერთი წლის განმავლობაში. უმუშევარს, რომელიც განაცხადებს თანხმობას იმუშაოს საქართველოს შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სამუშაო ძალით ნაკლებად უზრუნველყოფილ სანარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, ეძლევა დამატებითი ერთჯერადი შემწეობა რესპუბლიკაში დადგენილი ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო“.

მომდევნო, მეოცე მუხლი ეხება პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პერიოდში გასაცემი სტიპენდიის ოდენობას და მითითებულია, რომ „უმუშევარს, რომელსაც კმაყოფაზე ჰყავს ბავშვები და ოჯახის წევრები, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პერიოდში ეძლევა სტიპენდია წინა სამუშაო ადგილზე საშუალო თვიური ხელფასის 80 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობისა, ხოლო ვისაც არავინ ჰყავს კმაყოფაზე – მისი საშუალო თვიური ხელფასის სამმაგი მინიმალური ხელფასი. მოქალაქეს, რომელიც პირველად ეძებს სამუშაოს, ასევე მოქალაქეს, რომელსაც არ უმუშავია ხანგრძლივი დროის (1 წელზე მეტი) განმავლობაში, სჭირდება პროფესიული მომზადება და გადამზადება, სწავლების პერიოდში ეძლევა სტიპენდია საქართველოს რესპუბლიკის

კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ხელფასის ოდენობით".

ოცდამეერთე მუხლში – უმუშევრობისთვის შემწეობის გაცემის ვადები და პირობები – მითითებულია, რომ „უმუშევარს შემწეობა ეძლევა შრომის სახელმწიფო ბირჟაზე რეგისტრაციის დღიდან ყოველთვიურად, შემწეობის მიღების პერიოდში უმუშევარი ვალდებულია დაიცვას შემწეობის გაცემის წესითა და პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები. უმუშევრობისათვის შემწეობის მიღების პერიოდში უმუშევარს უნარჩუნდება საერთო და შრომითი უწყვეტი სტაჟი. უმუშევრობისათვის გასაცემი შემწეობის ოდენობა ექვემდებარება ინდექსაციას დადგენილი წესის მიხედვით".

ოცდამეორე მუხლში – უმუშევრისათვის შეღავათიანი პენსიის გაცემა – მითითებულია, რომ „უმუშევარს, რომელსაც საერთო შრომითი სტაჟი პენსიის მიღების უფლებას აძლევს (მათ შორის შეღავათიან პირობებში), შეუძლია პენსია დადგენილ საპენსიო ასაკამდე ორი წლით ადრე მიიღოს".

ამ კარის ბოლოსწინა, ოცდამესამე მუხლში მოცემულია უმუშევრობისათვის შემწეობის გაცემის შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევები და მითითებულია, რომ „უმუშევრობისათვის შემწეობის გაცემა შეჩერდება და შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ: ა) უმუშევარმა არასაპატიო მიზეზით განაცხადა უარი მისთვის შეთავაზებულ ორ შესაფერის სამუშაოზე; ბ) უმუშევარმა უარი განაცხადა ორ შეთავაზებულ შესაფერის სამუშაოზე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების შემდეგ, სადაც გაგზავნილი იყო ბირჟის მიერ; გ) უმუშევარმა შემწეობის მიღების პერიოდში იშოვა დროებითი სამუშაო და ამის შესახებ ბირჟას არ შეატყობინა; დ) უმუშევარმა დაარღვია ამ კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა; ე) უმუშევარი შეეცადა მოტყუების გზით მიეღო ან მიიღო შემწეობა; ვ) უმუშევარი დათხოვნილია სამუშაოდან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო ან საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზის გარეშე. უმუშევრობისათვის შემწეობის გაცემის შეჩერების ან

შეწყვეტის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულებით".

მეოთხე კარის ბოლო, ოცდამეოთხე მუხლი ეძღვნება მატერიალურ დახმარებას და აღნიშნულია, რომ „იმ შემთხვევაში, თუ უმუშევარმა დაკარგა შემწეობის მიღების უფლება და კვლავ რჩება შრომის სახელმწიფო ბირჟის აღრიცხვაზე, როგორც სამუშაოს მაძიებელი, მას და მის ოჯახის წევრებს შესაძლებელია მიეცეს მატერიალური და სხვა დახმარება, რომლის ოდენობას, გაცემის წესს და პირობებს რესპუბლიკის მთავრობა განსაზღვრავს".

„დასაქმების შესახებ" კანონის ბოლო, მეხუთე კარი ეძღვნება კონტროლს დასაქმების შესახებ კანონმდებლობის განხორციელებაზე და პასუხისმგებლობას მისი დარღვევისათვის. ეს კარი შედგება ორი, ოცდამეხუთე და ოცდამეექვსე მუხლისაგან. ოცდამეხუთე მუხლში – მაკონტროლებელი ორგანოები – აღნიშნულია, რომ „კონტროლს მოსახლეობის დასაქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესრულებაზე ახორციელებენ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო, ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, კანონით უფლებამოსილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები". ოცდამეექვსე მუხლში – პასუხისმგებლობა დასაქმების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის – აღნიშნულია, რომ „დასაქმების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის დისციპლინურ, მატერიალურ, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა".

საქართველოს უზენაეს საბჭოში „დასაქმების შესახებ" კანონის მიღებისას, განხილვა-კამათში მონაწილეობა მიიღეს უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა თეიმურაზ ქორიძემ, ტარიელ გელანტიამ, რობერტ პეტრიაშვილმა და სხვა დეპუტატებმა. უზენაესმა საბჭომ ამ კანონთან ერთად მიიღო დადგენილება „დასაქმების შესახებ" კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე, რომლის მიხედვითაც, ეს კანონი

ძალაში შედიოდა გამოქვეყნებისთანავე, ოღონდ მისი მეოთხე კარი „უმუშევრის სოციალური დაცვის გარანტიები“ (მუხლი 18-21) – 1991 წლის 1 სექტემბრიდან. აქვე ჩამოთვლილი იყო ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელება აუცილებელი იქნებოდა კანონის სრულფასოვნად ამოქმედებისათვის, კერძოდ: დადგინდა 1991 წლის 1 ივლისიდან დასაქმების ერთიან ფონდში ანარიცხების ნორმატივი შრომის ანაზღაურების სახსრების 3 პროცენტის ოდენობით და იგი აღირიცხებოდა პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულებაში; დაევალა საქართველოს მთავრობას, წლის ბოლომდე შეემუშავებინა დასაქმების შესახებ კანონის კანონქვემდებარე აქტები და ა. შ.

III.

მიმდინარე დროის აქტუალობიდან გამომდინარე, აქვე მინდა ასევე შემოგთავაზოთ საქართველოს მთავრობის მიერ უზენაეს საბჭოში განსახილველად შემოტანილი იმიგრაციის შესახებ კანონპროექტის ტექსტი, რომელიც გამოქვეყნდა 1991 წლის 9 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. მანამდე კი ამავე გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრის, თამაზ გუგუშვილის საინტერესო სტატია „მიგრაციული პროცესების რეგულირება სახელმწიფო დონეზე“[1]. დასაწყისში იგი საუბრობს საქართველოში მიწისძვრით დაზარალებულთა ნაწილის მიგრაციის აუცილებლობაზე და შემდეგ იმიგრაციის პრობლემებზე ჩვენს ქვეყანაში. აღნიშნული კანონის მიღება დროული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ოთხმოციანი წლების ბოლოს და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ყოფილი საბჭოთა კავშირის ცალკეულ რეგიონებში მომხდარი ეთნოკონფლიქტების დროს, იქ

[1] მიგრაციული პროცესების რეგულირება სახელმწიფო დონეზე. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი თამაზ გუგუშვილი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 31.08,1991.

მცხოვრები ქართული ოჯახები მეტწილად იძულებულნი იყვნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში მსგავსი მდგომარეობის გამო, იქ მცხოვრები 250-მდე ქართული ოჯახის განცხადება შევიდა ახლად შექმნილ საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროში, რომელშიც განმცხადებლები საქართველოში დასახლებას ითხოვდნენ. შემდეგ ეს პროცესი გაგრძელდა კიდეც.

კანონპროექტი „იმიგრაციის შესახებ“[1] შედგება შვიდი კარისაგან და ოცდარვა მუხლისაგან, პირველი კარი ეძღვნება ზოგად დებულებებს და შედგება სამი მუხლისაგან. მის პირველ მუხლში განსაზღვრული იყო იმიგრაციის შესახებ კანონის ამოცანები და აღინიშნებოდა, რომ „იმიგრაციის შესახებ კანონის ამოცანაა, ეროვნული მემკვიდრეობიდან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობის ფორმირება, ეროვნული განსახლების სისტემის სრულყოფა და იმიგრაციის რეგულირება, შესაბამისად, რესპუბლიკაში მოსახლეობის რაციონალური დასაქმების უზრუნველყოფა. კანონი ითვალისწინებს, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესების შეულახავად ადამიანის ღირსების შესაბამისი პირობების შექმნას ყველა იმ პირთათვის, რომლებიც აღნიშნული კანონის შესაბამისად საქართველოში ცხოვრობენ ან აპირებენ ჩამოსახლებას. „იმიგრაციის შესახებ“ კანონი დაფუძნებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაზე და შეესაბამება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას“. იქვე, მეორე მუხლში განსაზღვრულია იმიგრაციის შესახებ კანონის სუბიექტი და მითითებულია, რომ „იმიგრაციული ურთიერთობის სუბიექტს წარმოადგენენ ცალკეული პირი ან ოჯახი, ერთი მხრივ, და ადგილობრივი თვითმმართველობა – მეორე მხრივ. იმიგრაციის შესახებ კანონი ასხვავებს საოჯახო, სწავლასთან დაკავშირებულ, შრომით და სპეციალურ მიგრაციებს“.

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი იმიგრაციის შესახებ. პროექტი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 09.08.1991.

მესამე მუხლში აღწერილია მიგრაციული პროცესების სახელმწიფო მართვა, კერძოდ: „იმიგრაციის შესახებ კანონის ცხოვრებაში გატარებისა და, საერთოდ, რესპუბლიკაში მიგრაციული პროცესების სახელმწიფო მართვის მიზნით, შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან იქმნება მიგრაციის სამსახური. მიგრაციის სამსახურის შესახებ დებულებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. მიგრაციის სამსახური მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებული მიგრაციული პოლიტიკის შესაბამისად. მიგრაციის სამსახური თავისი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, იმიგრაციის შესახებ კანონის მოთხოვნათა განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულებები უცხოეთის სახელმწიფოების საწამოებთან, ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან, კოოპერატივებთან, ფირმებსა და ცალკეულ პირთან. იგი ხელს უწყობს საქართველოს რესპუბლიკაში იმ პირის ჩამოსახლებას, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონის მოთხოვნებს და რესპუბლიკაში მცხოვრები ცალკეული პირისა თუ ოჯახის ემიგრაციას, მათი სურვილის შემთხვევაში".

ამ კანონის მეორე კარი ეძღვნება იმიგრაციის სახეობებს, მათ რეგულირებას და მოიცავს მეოთხე-მეშვიდე მუხლებს. მეოთხე მუხლში განხილულია საოჯახო იმიგრაციის რეგულირება და აღნიშნულია, რომ „საოჯახო იმიგრაციის რეგულირება ხელს უწყობს ოჯახის შეერთებასა და მისი მთლიანობის შენარჩუნებას. რესპუბლიკაში ოჯახების იმიგრაციის დროს 14 წლამდე ასაკის ბავშვები საქართველოში საცხოვრებლად შეიძლება ჩამოვიდნენ მშობლებთან ერთად: ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის სურვილიც. 14-18 წლამდე მოზარდები, რომლებიც დამოუკიდებელ ოჯახებს არ წარმოადგენენ და რომლებსაც სურვილი აქვთ იცხოვრონ მშობლების ან მათი შემცვლელი

პირების გარეშე, საჭიროა აკმაყოფილებდნენ რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონის მოთხოვნებს და ჰქონდეთ მშობლების ან მათი შემცველელი პირების წერილობითი თანხმობა“. მომდევნო, მეხუთე მუხლი ეძღვნება განათლების მიღებასთან დაკავშირებული იმიგრაციის რეგულირებას და მითითებულია, რომ „განათლების მიღებასთან დაკავშირებული იმიგრაციის რეგულირების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მიერ უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული შესაბამისი შეთანხმება. უცხოეთის სახელმწიფოდან სასწავლებლად ჩამოსულს უნდა ჰქონდეს რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულების მიმართვა ან მოწვევა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ“. მომდევნო, მეექვსე მუხლში განხილულია შრომითი იმიგრაციის რეგულირება და აღნიშნულია, რომ „შრომითი იმიგრაციის რეგულირების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სურვილს მათ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში, ორგანიზაციაში, ასოციაციაში, კოოპერატივში, ფირმაში იმიგრანტის შრომით მოწყობაზე, ითვალისწინებს მიგრაციის სამსახურები. სამუშაოდ ჩამოსულს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. საზღვარგარეთის ქვეყნებთან შეთანხმებით შესაძლებელია დადგინდეს სხვა წესიც“. მეშვიდე მუხლში განხილულია სპეციალური იმიგრაციის რეგულირება, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის სპეციალური იმიგრაციის რეგულირებისას წყდება რესპუბლიკაში უცხოეთის სახელმწიფოდან იმ სამხედრო მოსამსახურის ჩამოსახლების საკითხი, რომელიც დათხოვნილია თადარიგში ან გასულია სამხედრო სამსახურიდან, აგრეთვე იმ პირისა, რომელიც სასჯელის მოხდის შემდეგ ბრუნდება საქართველოში თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული უცხოეთის სახელმწიფოების

სამხედრო ნაწილის პირადი შემადგენლობის, საელჩოს, საკონსულოსა და წარმომადგენლობის პერსონალის, ლტოლვილების და პირების, რომლებიც ითხოვენ პოლიტიკურ თავშესაფარს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლების საკითხი რეგულირდება უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ფორმირებაში უცხოეთის სახელმწიფოებიდან პირის მოწვევა ან პირიქით, რესპუბლიკიდან უცხოეთის სახელმწიფოების სამხედრო სამსახურში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის გაგზავნის საკითხი, რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით".

ამ კანონპროექტის მესამე კარი ეძღვნება იმიგრაციის კვოტის დადგენას და მოიცავს მერვე და მეცხრე მუხლებს. მერვე მუხლი ეძღვნება იმიგრაციის კვოტას და მითითებულია, რომ „იმიგრაციის კვოტა გულისხმობს ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით დადგენილ, საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსულ პირთა ზღვრულ რიცხვს. კვოტას, მის სტრუქტურას იმიგრაციის სახეობებისა და რეგიონების მიხედვით ყოველი კალენდარული წლისათვის, რესპუბლიკის მთავრობის წინადადებებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. კვოტა მოიცავს საქართველოს რესპუბლიკაში იმიგრაციის შესახებ კანონის თანახმად ჩამოსულ ყველა პირს". მომდევნო, მეცხრე მუხლი ეხება იმიგრაციის შეჩერებას და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია შეზღუდოს ან შეაჩეროს იმიგრაცია, თუ ის ართულებს რესპუბლიკის დემოგრაფიულ, სოციალურ ან ეკონომიკურ მდგომარეობას ანდა ამას მოითხოვს პრეფექტურათა უმრავლესობა".

კანონპროექტის მეოთხე კარში განხილულია ბინადრობის სახეობები, ბინადრობის უფლება, მოქმედების ვადები და შეზღუდვები. ეს კარი მოიცავს მეათე-მეთექვსმეტე მუხლებს. მეათე მუხლში განსაზღვრულია ბინადრობის სახეობების კლა-

სიფიკაცია და მითითებულია საქართველოს რესპუბლიკაში ბინადრობის სახეები: დროებითი, ვადიანი და მუდმივი. „შრომითი იმიგრაციის დროს დროებითი და ვადიანი ბინადრობის უფლების საფუძველს წარმოადგენს საბუთი იმიგრანტის შემოსავლის შესახებ, რომელიც უნდა აღემატებოდეს რესპუბლიკაში დადგენილ ცხოვრების საარსებო მინიმუმს და რესპუბლიკაში ცალკეულ საწარმოსთან, ორგანიზაციასთან დადებულ შრომის ხელშეკრულებას. სასწავლებლად ჩამოსული პირის დროებითი ან ვადიანი ბინადრობის უფლების საფუძველს წარმოადგენს რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა სიაში ჩარიცხვა. მუდმივი ბინადრობის უფლება ეძლევა იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონის მოთხოვნებს და ჩამოდის საქართველოში, ძირითადად საოჯახო იმიგრაციის წესით“.

მეთერთმეტე მუხლში მოცემულია ბინადრობის უფლების მოქმედების ვადა, კერძოდ, „დროებითი ბინადრობის უფლება გაიცემა 6 თვემდე ვადით. ვადიანი ბინადრობის უფლება, როგორც წესი, გაიცემა 3 წლამდე ვადით, ხოლო რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ჩარიცხულ პირზე – სწავლის ხანგრძლივობის მიხედვით.

პირს, რომელიც უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეა და ქორწინდება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეზე, ბინადრობის უფლება პირველი შუამდგომლობით ეძლევა 6 თვემდე, მეორე შუამდგომლობით – 3 წლამდე ვადით და მესამე შუამდგომლობის შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის შესახებ კანონის მოთხოვნებს, შეიძლება აღიძრას მისთვის მუდმივი ბინადრობის უფლების მიცემის საკითხი. იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს გარეთ მუდმივად მცხოვრები უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე ქორწინდება საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის არ მქონე პირზე, მას ბინადრობის უფლება პირველი შუამდგომლობით

ეძლევა 6 თვემდე ვადით, ხოლო ყოველი შემდგომი შუამდგომლობით – 3 წლის ვადით".

მომდევნო, მეთორმეტე მუხლში განხილულია ბინადრობის უფლების მიცემის განსაკუთრებული შემთხვევები და მითითებულია: „პირს, რომელსაც დაუმთავრდა ბინადრობის უფლების ვადა, მაგრამ აქვს რესპუბლიკაში დარჩენის სურვილი, შეუძლია თავის ახლო ნათესავებთან (მეუღლე, შვილები, მშობლები, რომლებიც რესპუბლიკის მოქალაქეები არიან) ერთად აღძრას შუამდგომლობა, საერთო წესის მიხედვით, მუდმივი ბინადრობის უფლების მიღების შესახებ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული უცხოეთის სახელმწიფოების სამხედრო ნაწილების პირადი შემადგენლობის, საკონსულოს და წარმომადგენლობის პერსონალსა და პირებს, რომლებიც მოითხოვენ პოლიტიკურ თავშესაფარს, მათი ოჯახის წევრები (მეუღლე, შვილები, მშობლები) მიიღებენ ვადიანი ბინადრობის უფლებას, მათი განცხადების საფუძველზე. საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი ინარჩუნებს საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლებას".

მეცამეტე მუხლში – ბინადრობის დროებითი და ვადიანი უფლების შეზღუდვები – მითითებულია, რომ „დროებითი ან ვადიანი ბინადრობის უფლების მქონე იმიგრანტის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრება ადგილობრივ მმართველობის ორგანოებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე".

მეთოთხმეტე მუხლში – სამართალდამრღვევი და დანაშულის ჩამდენი პირის ბინადრობის უფლების გაგრძელება ან შეწყვეტა – მითითებულია, რომ „დროებითი ან ვადიანი ბინადრობის უფლების მქონე პირის მიერ რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენის შემთხვევაში მისი შემდგომი ბინადრობის უფლების საკითხს განიხილავს და წყვეტს მიგრაციის სამსახური, დადგენილი წესის შესაბამისად".

მეთხუთმეტე მუხლში – ბინადრობის უფლების ვადამდე შეწყვეტა – აღნიშნულია, რომ „იმ პირს, რომელსაც ბინადრო-

ბის უფლების მოქმედების ვადა გაუვიდა ან ვადაზე ადრე შეუწყდა, ასევე პირს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს ბინადრობის უფლების გარეშე, მიგრაციის სამსახური საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აფრთხილებს რესპუბლიკის ტერიტორიის დატოვების თაობაზე. ბინადრობის უფლების ვადა შეიძლება შეწყდეს ამ უფლების მქონე პირის ინიციატივითაც.

მესამე კარის ბოლო, მეთექვსმეტე მუხლი ეძღვნება ბინადრობის უფლების გაცემა-გაუქმებასა და სახელმწიფო ბაჟს და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში ბინადრობის უფლების გაცემისა და გაუქმების, რესპუბლიკის ტერიტორიის ტრანზიტით გავლის წესებს, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

კანონპროექტის „იმიგრაციის შესახებ“ მეხუთე კარი შედგება ორი, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე მუხლებისაგან. მეჩვიდმეტე მუხლში – სამუშაოზე მიღების უფლების ვადა – აღნიშნულია, რომ „იმიგრანტის სამუშაოზე მიღების უფლება შეიძლება იყოს დროებითი (6 თვემდე) და ვადიანი (3 წლამდე)“. მეთვრამეტე მუხლში – სამუშაოზე მიღების უფლების მიცემა და შეწყვეტა – მითითებულია, რომ: „იმიგრანტს რესპუბლიკაში მუშაობის დაწყების უფლება ეძლევა მიგრაციის სამსახურის მიერ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შუამდგომლობით, – საწარმოში, ორგანიზაციაში, ასოციაციაში, კოოპერატივში, ფირმაში მუშაობის დაწყების გარანტიის საფუძველზე. ვადიან სამუშაოზე უფლების მიმღებ პირს უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი რესპუბლიკის გარეთ. თუ უცხოეთის სახელმწიფოსთან შეთანხმებით, საიდანაც არის პირი, არ არის დადგენილი სხვა წესი. ვადიან სამუშაოზე უფლება გაგრძელებას არ ექვემდებარება, მუშაობის ნებართვა შეწყდება შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. რესპუბლიკის სასაზღვრო ტერიტორიაზე მომუშავე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ პირს მიგრაციის

სამსახურის მიერ შეიძლება მიეცეს ქანქარისებური შრომითი იმიგრაციის დროებითი უფლება, რომლის განახლება ხდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შუამდგომლობით".

ამ კანონპროექტის მეექვსე კარი ეძღვნება იმიგრანტის ადაპტირებისათვის ხელშემწყობ პირობებს და შედგება მეცხრამეტე-ოცდამეერთე მუხლებისაგან. ამ კარის მეცხრამეტე მუხლში – იმიგრანტის ადაპტაციისათვის ხელის შეწყობა – მითითებულია, რომ: „საქართველოს რესპუბლიკის მიგრაციის სამსახური ვალდებულია მიიღოს იმიგრანტის ადაპტაციისათვის ხელის შემწყობი ზომები. ამ მიზნით მიგრაციის სამსახური, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დახმარებით აყალიბებს ქართული ენის, კულტურის, ისტორიისა და სახელმწიფო კანონმდებლობის შემსწავლელ კურსებს. ბინადრობის ამა თუ იმ სახის უფლების მქონე პირის ადაპტაციისათვის დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მისთვის სამუშაოს მიმცემი დაწესებულება, ორგანიზაცია". ამ კარის მომდევნო მეოცე მუხლი – ემიგრაცია საქართველოს რესპუბლიკიდან – მითითებულია, რომ „რესპუბლიკის მიგრაციის სამსახური მოვალეა, ადგილობრივ მმართველობის ორგანოებთან ერთად, მოახდინოს რესპუბლიკიდან 6 თვეზე მეტი დროით წამსვლელი და საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების შენარჩუნების მსურველი ყველა ემიგრანტის რეგისტრაცია. რესპუბლიკიდან ემიგრაციის სურვილის მქონე პირისათვის შელავათების გაწევასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მიგრაციის სამსახურის მიერ, საქართველოს რესპუბლიკასა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე". ამ კარის ბოლო, ოცდამეერთე მუხლში – საქართველოში ჩამოსახლებულთა დახმარების ფონდი – აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში საცხოვრებლად ჩამოსახლებულთა ხელშეწყობის მიზნით შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო გამოყოფს მიზნობრივ სახსრებს, რომელიც იქმნება სახელმწიფო ბაჟით; სამუშაოზე მოწვევის ინიციატორი ორგანიზაციის, დაწესებულების,

ასოციაციის, კოოპერატივის, ფირმის ჩანარიცხებით: ასევე სხვა ორგანიზაციის და კერძო პირთა საქველმოქმედო გადარიცხვებით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანარიცხების ოდენობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. თანხები გროვდება საქართველოს რესპუბლიკის სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიან სახელმწიფო ფონდში. ამ მიმართულებით დაგროვილი თანხების გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა".

ზემოთ აღნიშნული კანონპროექტის მეშვიდე კარში განხილულია იმიგრაციული პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა და შედგება ორი, ოცდამეორე და ოცდამესამე მუხლებისაგან. ოცდამეორე მუხლი – იმიგრანტის ინფორმირება და პასუხისმგებლობა – მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მიგრაციის სამსახური მოვალეა საქართველოში საცხოვრებლად ან სამუშაოდ ჩამოსულს, მისთვის შესაბამისი ნებართვის გაცემამდე, გააცნოს ამ კანონიდან გამომდინარე უფლებანი და მოვალეობანი. საქართველოში საცხოვრებლად ან სამუშაოდ ჩამოსულის მიერ ყალბი ცნობების წარდგენა გამოიწვევს უარს ბინადრობის უფლებასა და მუშაობის ნებართვაზე ან ბინადრობის უფლების გაუქმებას. მიგრაციასთან დაკავშირებულ ყოველგვარ აღრიცხვას აწარმოებს და აკონტროლებს მიგრაციის სამსახური".

ოცდამესამე მუხლი ეძღვნება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, საწარმოს, ორგანიზაციისა და საწარმოების მოვალეობებს მიგრაციის სამსახურის წინაშე. აქ აღნიშნულია, რომ „იმიგრანტის უფლებების შეზღუდვის თავიდან აცილებისა და სხვა საჭიროების შემთხვევაში მისთვის დროული დახმარების აღმოჩენის მიზნით, ადგილობრივი მმართველობითი ორგანო, საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება მოვალენი არიან მიგრაციის სამსახურს მიაწოდონ ინფორმაცია: 1. სამუშაოს მიმცემმა – შრომითი ხელშეკრულების ვადის ადრე შეწყვეტის თაობაზე; 2. სასწავლო დაწესებულებამ – მოსწავლეთა ჩარიცხვის ან სხვა სასწავლო დაწესებულებაში გადასვლის შე-

სახებ; 3. სამართალდამცავმა ორგანოებმა – ემიგრანტის მიერ ან მის მიმართ ჩადენილი კანონის ყველა დარღვევის შესახებ; 4. მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ – მოქალაქეობრივ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების თაობაზე; 5. ადგილობრივი მმართველობის ორგანომ – მისი კუთვნილი ტერიტორიიდან დროებითი და ვადიანი ბინადრობის უფლების მქონე პირის ვადამდე წასვლის შესახებ".

კანონპროექტის „იმიგრაციის შესახებ" ბოლო, მეშვიდე კარი მოიცავს იმიგრაციასთან დაკავშირებულ სხვა სამართლებრივ საკითხებს და მოიცავს ოცდამეოთხე-ოცდამერვე მუხლებს. ამ კარის ოცდამეოთხე მუხლში განხილულია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხელშეკრულებები. აღნიშნულია, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე უძრავი ქონების (საწარმოო დანიშნულების გარდა) ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, ან ჩუქება შეუძლია მხოლოდ იმ პირს, რომელსაც აქვს საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლება. იგივე ქმედება საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირისა უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებზე ხორციელდება მხოლოდ მიგრაციის სამსახურის მეშვეობით. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის და მოქალაქეობის არმქონე, რესპუბლიკიდან ემიგრაციის სურვილის მქონე პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების გაყიდვა ხორციელდება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეზე და აუცილებლად მიგრაციის სამსახურის მეშვეობით. საქართველოს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომის ქირაობის შესახებ ხელშეკრულება იდება მხოლოდ მუდმივი ბინადრობის უფლების მქონე პირთან. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საბინაო, სააგარაკო კოოპერატივის წევრად არ მიიღება დროებითი და ვადიანი ბინადრობის უფლების მქონე პირი.

მომდევნო, ოცდამეხუთე მუხლი ეხება საქართველოს ტერიტორიაზე ქონების მემკვიდრეობით გადაცემას რესპუბ-

ლიკის გარეთ მცხოვრები პირისათვის და მითითებულია, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე ქონების მემკვიდრეობით გადაცემა ხორციელდება მიგრაციის სამსახურის მეშვეობით, შემდეგი პირობების დაცვით: თუ საქმე ეხება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მემკვიდრეობას, იგი გადაეცემა საქართველოში მუდმივი ბინადრობისა და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღების სურვილის მქონე პირს: თუ მემკვიდრეს არა აქვს სურვილი, მაშინ მას უფლება ეძლევა გაიტანოს რესპუბლიკის გარეთ მემკვიდრეობით მიღებული ქონება, თუ ის საქართველოს ეროვნული, ისტორიული და კულტურული ფასეულობის ნიმუშს არ წარმოადგენს. საქართველოს ეროვნული, ისტორიული და კულტურული ფასეულობის ნიმუშებს, სათანადო შეფასების შემდგომ, შეიძენს მიგრაციის სამსახური ან მიგრაციის სამსახურის მეშვეობით სხვა ორგანიზაცია და საფასური გადაეცემა მემკვიდრეს. მემკვიდრეს, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს, მხოლოდ მიგრაციის სამსახურის მეშვეობით, მიიღოს მემკვიდრეობით მიღებული ქონების საფასური“.

შემდეგი, ოცდამეექვსე მუხლი ეხება შვილად აყვანას და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქემ, რესპუბლიკის გარეთ დაბადებული ბავშვის შვილად აყვანისათვის შუამდგომლობა უნდა აღძრას მიგრაციის სამსახურში. თუ პიროვნება არ არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, მას უფლება აქვს შვილად აიყვანოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვი. არ დაიშვება ბავშვის გაყვანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ბავშვის სრულწლოვანებამდე. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის ბავშვის გაშვილება საქართველოს საზღვრებს გარეთ დაუშვებელია. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის შვილს, რომელიც გარკვეულ გარემოებათა გამო საზღვარგარეთ მშობლების გარეშე დარჩა, სრულწლოვანებამდე, მეურვეობას უწევს საქართველოს მიგრაციის სამსახური“. ოცდამეშვიდე მუხლი ეძღვნება დავის გადაწყვეტას და აღნიშნულია, რომ საქართვე-

ლოს რესპუბლიკის იმიგრაციის შესახებ კანონის გამოყენებისას წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე.

ამ კარისა და ამავე კანონის ბოლო მუხლი ეძღვნება პასუხისმგებლობას იმიგრაციის შესახებ კანონის დარღვევისათვის და აღნიშნულია, რომ „იმიგრაციის შესახებ კანონის დამრღვევი პირი პასუხს აგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით".

IV.

ზემოთ მოვიყვანე რამდენიმე მაგალითი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს (1991 წლის 28 აგვისტოდან კი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის) საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შემოტანილი, განხილული და დამტკიცებული კანონპროექტებისა. მათ გარდა უზენაეს საბჭოში საქართველოს მთავრობის მიერ შემოტანილ იქნა მრავალი კანონპროექტი, რომლებიც განხილულ და დამტკიცებულ იქნა კანონად ან მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება. პირველ რიგში, მათგან გამოვყოფდი: საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებას „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ" და საქართველოს რესპუბლიკის კანონს „საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ". აღნიშნული დადგენილება და კანონი დამტკიცებული იქნა 1990 წლის 27 დეკემბერს.

დადგენილებით „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ"[1] საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დაევალა: „სა-

[1] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი. 1990. №12, გვ. 29-31.

ქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს და შემსრულებლებს გააცნოს 1991 წელს სახელმწიფო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდებისა და სამუშაოთა შესრულების დავალებები, მათი ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით დაბალანსების გათვალისწინებით; დაადგინოს, რომ სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდება და სამუშაოთა შესრულება სავალდებულოა საწარმოთა პროგრამაში შესატანად და შესასრულებლად; აცნობოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ბაზრის საორიენტაციო ტევადობის პარამეტრები – სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სხვა დარგთა პროდუქციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამუშაოთა წარმოებისა და შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლები 1991 წლისათვის". ასევე საქართველოს მინისტრთა საბჭოს უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანად მიჩნეულ იქნა: ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია; ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის გაჯანსაღება და სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაცია; ურთიერთშეთანხმებული გარანტიების სისტემის პრაქტიკაში დანერგვა; სამეურნეო საქმიანობისათვის ხელშეწყობისა და ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ღონისძიებათა თანმიმდევრული განხორციელება და საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის სამუშაოთა ფართოდ გაშლის პირობებში და ა. შ.

რაც შეეხება 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს, მის შედგენას ართულებდა მთლიანად იმპერიული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის რღვევისა და სამეურნეო კავშირების მოშლის პროცესი. დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პირველი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენას. საქართველოს უზენაეს საბჭოში 1991 წლის 27 დეკემბერს მწვავე და საქმიანი განხილვის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დამტკიცებულიყო საქართველოს რესპუბლიკის „კანონი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესახებ"[1]. უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით შემოსავლის ნაწილში 5.524.731 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 6.534.118 ათასი მანეთის ოდენობით. საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 1.009.387 ათასი მანეთის ოდენობით. აქვე დადგინდა, რომ ბიუჯეტის გასავლები დაფინანსდებოდა ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების ხარჯზე. განისაზღვრა ბიუჯეტის შემოსავლები:

1. ბრუნვის გადასახადი, – მთელი შემოსავლების 36,7%;

2. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი – 19,3%;

3. მოსახლეობიდან გადასახადები – 13,5%;

4. სხვა წყაროები – 30,5%.

საქართველოს მთავრობას დაევალა, შეემუშავებინა კონკრეტული ღონისძიებები და წინადადებები ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად. გარდა ამისა ამავე კანონით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდი 1.332.430 ათასი მანეთის ოდენობით". აქვე განისაზღვრა ამ ფონდის შევსების წყაროები, კერძოდ:

მოგება, რომელიც მიიღება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხების ტარიფების 11 პროცენტით შემცირების შედეგად;

ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების 20 პროცენტი;

შემოსავალი, მიღებული წლის დასაწყისისათვის დარიცხული ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ნაშთიდან, 50 პროცენტის ოდენობით;

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი. 1990. №12. 31-39.

გადასახადი გაყიდვიდან 5 პროცენტის ოდენობით და ა. შ.

აღნიშნული კანონის თანახმად, ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდის სახსრები უნდა მოხმარებოდა სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, სუბვენციების გამოყოფას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებისათვის, სხვა მიზნობრივი ხარჯების დაფინანსებას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბიჯეტის განხილვისას გაიმართა მწვავე დებატები. განსაკუთრებით ბევრი კითხვა დაისვა „სხვა წყაროების“ შესახებ და დეპუტატების ნაწილი მოითხოვდა ამ წყაროების „გაშიფვრას“. ამ დებატებში განსაკუთრებით აქტიურობდა მაშინდელი ოპოზიციიდან ბატონი რომან გოცირიძე. დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა ფინანსთა მინისტრმა, ბატონმა გურამ აბსანძემ. შედეგად საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა განსახილველი კანონი.

ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო საქართველოში მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა 1991 წლის 29 აპრილს მომხდარმა ცხრაბალიანმა მიწისძვრამ, რომლის ეპიცენტრი იყო რაჭისა და იმერეთის მაღალმთიანი სოფლების რეგიონში. მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 200-მდე ადამიანი. მიწისძვრამ დიდი ნგრევა გამოიწვია რაჭის, იმერეთის, შიდა ქართლის რეგიონებში. დაინგრა და დაზიანდა დაახლოებით 46 000 საცხოვრებელი სახლი, 1000-მდე საწარმო-დაწესებულება და სხვა ობიექტი, უსახლკაროდ დარჩა 100 000-მდე ადამიანი. მიწისძვრით მიყენებული ზარალი 10 მილიარდ მანეთად (1991 წლის კურსით) შეფასდა. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 6 მაისის ბრძანებულებით[1] მიწისძვრით დაზარალებულთ

[1] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება მიწისძვრით დაზარალებულთა მატერიალური დახმარების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი. 1991. №5, გვ. 11-12.

გამოეყოთ მატერიალური დახმარება, კერძოდ: „დანესდა ფულადი დახმარება: ოჯახებისათვის, მიწისძვრის შედეგად ადამიანთა მსხვერპლის შემთხვევაში, ოჯახის თითოეულ წევრზე – 2000 მანეთი; ყოველ მოქალაქეზე, რომელმაც მიიღო ტრავმა – 500 მანეთი; სახლის და სხვა ნაგებობათა დანგრევის, ავეჯის და სხვა ქონების განადგურების შემთხვევაში – ერთ ოჯახზე – 4000 მანეთი და ოჯახის ყოველ სულზე დამატებით – 500 მანეთი; საცხოვრებელი სახლის, სხვა ნაგებობათა, აგრეთვე საოჯახო ქონების დაზიანებისას, რომელთა გამოყენება შესაძლებელია შეკეთების შემდეგ – ერთ ოჯახზე 1000 მანეთი; საცხოვრებელი სახლის, სხვა ნაგებობათა, აგრეთვე საოჯახო ქონების მცირედ დაზიანებისას – ერთ ოჯახზე 500 მანეთამდე. აქვე აღნიშნული იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განსაზღვროს აღნიშნულ დახმარებათა დაფინანსების წყაროები“, ამავე ბრძანებულების თანახმად, აგრეთვე მოქალაქეებს მიწისძვრის შედეგად დანგრეული შენობა-ნაგებობათა სადაზღვევო ღირებულება აუნაზღაურდებათ 100 პროცენტით; სტიქიური უბედურების ზონაში მცხოვრები მოქალაქეები 1991-1992 წლებში განთავისუფლდნენ სასოფლო-სამეურნეო და შენობის მფლობელთა გადასახადისა და მიწის გადასახადისაგან.

მიწისძვრის შედეგად მიყენებული დიდი ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად შეიქმნა სამთავრობო კომისია მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრების შემადგენლობით. გარდა ზემოთ აღნიშნული დახმარებისა, საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 11 ოქტომბრის და შემდეგ ამავე წლის 25 ნოემბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თხოვნა და მიწისძვრით დაზარალებულ რეგიონში აღდგენითი სამუშაოებისათვის დამატებით გამოიყო ჯერ 200 და შემდეგ კიდევ 400,4 მილიონი მანეთის სახსრები. 1991 წლის ბოლოსათვის შინაგანი რესურსებისა და რეზერვების მობილიზებით მიწისძვრის შედეგები 75%-ით იქნა ლიკვიდირებული (მიწისძვრით დანგრეულ

რაჭაში და ზემო იმერეთში 4000-ზე მეტი სახლი აშენდა. აშენდა გზები, ხიდები, საცხოვრებელი და საწარმოო შენობა-ნაგებობები,) რამდენიმე თვის განმავლობაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაზე იხარჯებოდა ბიუჯეტის გასავლის 15-25% და ამ ყველაფრით მიწისძვრით მიყენებული ზარალის უდიდესი ნაწილი დაიძლია ეროვნული ხელისუფლების პერიოდში. აღსანიშნავია, რომ მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისათვის საქართველოს არ მიუღია უცხოეთიდან არავითარი დახმარება.

ზემოთ აღნიშნული სტიქიისაგან მიყენებული ზარალისა და ზიანის აღმოფხვრაზე მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების მიმართვის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა მაინც ახერხებდა სხვა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფას. მართლაც, საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის თხოვნა საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 11.740 ათასი მანეთის გამოყოფის შესახებ, თბილისის მეტროპოლიტენისათვის სამგზავრო ვაგონების შესაძენად; ამავე თარიღის დადგენილებით მინისტრთა კაბინეტს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოეყო 259 600 ათასი მანეთი სამგზავრო თვითმფრინავების შესაძენად და ამ თანხით საქართველომ შეიძინა 11 სამგზავრო თვითმფრინავი[1]. აღსანიშნავია ასევე, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში და კვების მრეწველობაში ვადაგადაცილებული და უპერსპექტივო სესხების ჩამოსაწერად, კერძოდ: საქართველოს უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომი-

[1] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებები: „თბილისის მეტროპოლიტენისათვის ვაგონების შესაძენად საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ"; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს სამოქალაქო ავიაციისათვის სამგზავრო თვითმფრინავების შესაძენად საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის შესახებ". საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი. 1991. №10, გვ. 52.

სიის დასკვნის საფუძველზე საქართველოს უზენაესი საბჭოს 27 აპრილისა და 10 აგვისტოს დადგენილებებით საქართველოს მთავრობას დაევალა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და მატერიალური დოვლათის მწარმოებელ სამეურნეობათშორისო ფორმირებებისთვის ჩამოეწერა 1991 წლის 1 აპრილის მდგომარეობით რიცხული და დაფარვის წყაროთი არაუზრუნველყოფილი, უპერსპექტივო, ვადაგადაცილებული და განვადებული სასესხო დავალიანებები და კვების და გადამამუშავებული მრეწველობის საწარმოებისათვის დაფარვის წყაროთი არაუზრუნველყოფილი ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებები, რომელიც წარმოიშვა გრძელვადიანი სესხების და არასწორი საკავშირო დადგენილებების შედეგად. ჩამოწერილი ვალი მიეკუთვნა ქვეყნის შიდა ვალს[1].

ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო, ამიტომაც 1991 წლის აგვისტოსათვის აუცილებელი გახდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. 1991 წლის 9 აგვისტოს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საგანგებო ღონისძიებათა შესახებ", რომელშიც აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში საფინანსო-საბიუჯეტო მდგომარეობის კარდინალური სრულყოფის, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდებისა და გასავლების მომჭირნედ ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით: მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის დაზუსტებული საგანგებო

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთათვის ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანებების ჩამონერასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და საქართველოს მთავრობის ერთობლივი კომისიის მიმდინარე ანგარიშისა და საინფორმაციო განცხადების შესახებ". საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი. 1991. №8, გვ. 143.

სახელმწიფო ბიუჯეტი განსაზღვრულია შემოსავლის ნაწილში 6.848.709 ათასი მანეთის, გასავლის ნაწილში 8.624.339 ათასი მანეთის, ხოლო ამ ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრული ოდენობა 1.755.630 ათასი მანეთის ოდენობით"[1]. ამრიგად, 1990 წლის დეკემბერში დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ამავე წლის აგვისტოში შემოსავლების ნაწილი გაიზარდა 5.524.731 ათასიდან 6.848.709 ათას მანეთამდე ანუ გაიზარდა თითქმის 24%-ით, გასავლის ნაწილი კი გაიზარდა 6.534.118 ათასიდან 8.624.339 ათას მანეთამდე, ე. ი. თითქმის 32%-ით, შესაბამისად დეფიციტი გაიზარდა 1.332.430 ათასიდან 1.755.630 ათას მანეთამდე ე. ი. 31,8%-ით. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და ბუნებრივია, დეფიციტის ზრდაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა დასავლეთ საქართველოში მიწისძვრით დაზარალებული რეგიონების აღდგენა-დახმარებისათვის გაწეულმა ხარჯებმა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა სამომხმარებლო ფასების რეგულირების მიზნით. „რესპუბლიკაში პირველადი მოთხოვნილების საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ"[2] საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 20 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1991 წლის 2 მაისს მიიღო დადგენილება რესპუბლიკაში პირველადი მოთხოვნილების საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ, რომლის მიხედვითაც: 1. „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან, ცეკავშირის გამგეობასთან, რესპუბლიკის

---

[1] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საგანგებო ღონისძიებათა შესახებ", საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი. 1991. №8, გვ. 84-85.

[2] საქართველოს რესპუბლიკის დადგენილება „რესპუბლიკაში პირველადი მოთხოვნილების საქონლის ფასების მოწესრიგების შესახებ", გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". 03.05.1991.

სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად დააწესოს და შემოიღოს 1991 წლის 2 მაისიდან ერთიანი მტკიცე სახელმწიფო საცალო (ზღვრული) ფასები რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარეალიზაციო უალკოჰოლო სასმელებსა და მინერალურ წყლებზე, საკონდიტრო ნაწარმზე, თევზსა და თევზეულზე (ცოცხალი თევზის გარდა), ერბოშეზელილ პურფუნთუშეულსა და ბლითის ნაწარმზე, ორცხობილაზე, ხრამუნა პურზე, საკნატუნოსა და ნამგალაზე, ნაყინზე, საბლინე და საალადე ფქვილზე, ნედლად შებოლილ, მაგრად შებოლილ და ნახევრადშებოლილ ძეხვეულზე, შაშხზე. 2. გაუქმდეს გაყიდვის გადასახადი რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეალიზებულ საქონელსა და ზოგიერთი სახეობის მომსახურებაზე". თანახმად დანართისა, აღსანიშნავია, რომ 1991 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 1.8 შეადგინა, ხოლო ამავე წელს მინიმალური ხელფასი და საშუალო ხელფასი შესაბამისად 1.85 და 1.26-ჯერ გაიზარდა. მაშინ, როცა 1992 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 2,5 შეადგინა, ხოლო რეგულირებადი სამომხმარებლო ფასები 1991-თან შედარებით 1992-ში 68-ჯერ გაიზარდა, პურის ფასი კი – 100-ჯერ[1].

გარდა ამისა, მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ მთელ ყოფილ იმპერიაში 1991 წელს ინფლაცია ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ მიწოდებულ პროდუქციაზე გადმორიცხული თანხა, მის ღირებულებაზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი თვითღირებულებაზეც კი დაბალი იყო. ამასთან ერთად, იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი, უფრო სწორად რუსეთი 1992 წლის 2 იანვრიდან აპირებდა თავისუფალ, საბაზრო ფასებზე გადასვლას, საქართველოში მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად, საჭირო გახდა ზოგიერთი სახის ნედლეულისა და პროდუქციის გარკვეული მარაგების შექმნა,

[1] ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე. თამარ ბურდული. უფროსი მკვლევარი, ეკონომიკა და საბანკო საქმე. ტომი 3, N2, გვ. 35.

რათა შემდეგ ეს მარაგები ეფექტურად გამოგვეყენებინა მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქციის შესაძენად და ქვეყნისათვის სხვა აუცილებელი საჭიროებისათვის. ამიტომაც ჯერ კიდევ 1991 წლის 16 აგვისტოს გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი სახის ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანის აკრძალვის შესახებ". პრეზიდენტის ამ ბრძანებულების საფუძველზე 1991 წლის 16 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი და მეწარმეობით დასაქმებული ფიზიკური და იურიდიული პირები, საკუთრების ფორმების მიუხედავად, ზოგიერთი სახის ნედლეულს, სასურსათო და სამრეწველო საქონელს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიტანენ ლიცენზირების დადგენილი ერთიანი ფორმის მიღების საფუძველზე.

დადგენილებას თან ერთვოდა სალიცენზიო ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის სია (მასში შედიოდა: ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, მინერალური წყლები, თამბაქო, ციტრუსები, მეფუტკრეობის პროდუქტები, ეთერზეთები, მედიკამენტები, კერამიკული და ხარისხოვანი ჭურჭელი, ბაზალტის მინის ფილები, ლითოგრაფიული ქვა, დიტომიტი, ტექნიკური აქატი, მარგანეცის მადანი, სპილენძი, კვარციტები, დარიშხანი, ტყვია, თუთია, მარმარილო, გრანიტი, კოშკურა ამწეები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ლითონის ნაირსახეობა და ა. შ.). ეს დადგენილება ძალაში იქნებოდა დროებით, 1992 წლის 1 იანვრამდე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ: როგორც ცნობილია 1991 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ, მაგრამ თითქმის მთელი სექტემბრის განმავლობაში ქვეყანაში და უმთავრესად თბილისში დაიძაბა ვითარება, მომდევნო ორ თვეში, კერძოდ, ოქტომბერ-ნოემბერში კიდევ უფრო გამძაფრდა, ხოლო დეკემ-

ბერში დაიწყო პუტჩი და განხორციელდა კიდეც. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში, გარკვეულწილად გააქტიურდნენ საქმიანი წრეები და დაიწყო ერთობლივი საწარმოების დაფუძნება. ქვემოთ მოვიყვან ამ საწარმოთა არასრულ სიას:

1991 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს მინისტრთა კაბინეტი დათანხმდა ამბროლაურის რაიონის პრეფექტურის წინადადებას, შექმნილიყო ამბროლაურში საქართველო-დანიის ერთობლივი საწარმო. მისი დამფუძნებლები საქართველოს მხრიდან იყვნენ ფირმა „თლუღი“ და ასოციაცია „საბას“ მცირე საწარმო, ხოლო დანიის მხრიდან – ფირმა „ბოლს ფორსტლანტესკოლი“. ეს ერთობლივი საწარმო უნდა ყოფილიყო მრავალდარგოვანი. იგი დაამზადებდა და გადაამუშავებდა ტყის სხვადასხვა ჯიშის მცენარის თესლს, გამოიყვანდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგებს, ჩამოასხამდა მინერალურ წყლებს და აწარმოებდა ფართო მოხმარების საქონელს და განავითარებდა საერთაშორისო ტურიზმს.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტი ამავე სხდომაზე დათანხმდა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, ტყის მეურნეობის და კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადებას, შექმნილიყო შვედეთის სააქციო საზოგადოება „კონსაკონ აბთან“ ერთობლივი საწარმო „ნინოკო“. მისი საქმიანობის სფერო იქნებოდა: მელვინეობა, მეჩაიეობა, საკონსერვო მრეწველობა, მინერალური და წყაროს წყლის საექსპორტოდ ჩამოსხმა, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და ფართო მოხმარების საქონლის წარმოება.

1991 წლის 9 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა თავის სხდომაზე მოიწონა ტრანსპორტის სამინისტროს წინადადება, რომ თბილისში შექმნილიყო საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის ერთობლივი საწარმო „სოვკრუიზ“-„საქკრუიზის“ ფილიალი, საწარმოო გაერთიანება „ლაზერული და ულტრაბგერითი ტექნიკის“ და ფრანგული ფირმის, „სიპოჟიმის“ ერთობლივი საწარმო „სიპოჟიმ – იბერია“, რომლის უმთა-

ვრესი საქმიანობა იქნებოდა საგამომცემლო საქმე და ტურიზმის ორგანიზება როგორც საქართველოში, ისე საფრანგეთში.

1991 წლის 11 ნოემბრის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა თავის სხდომაზე მიიღო „საქნავთობპროდუქტების“ კონცერნის, ბოლნისის კომერციულ-საშუამავლო საწარმოს წინადადება, რათა ქალაქ ბოლნისში შექმნილიყო საქართველო-თურქეთის ერთობლივი საწარმო „ტისი“ „როსტრომის“ კრასნოიარსკის მცირე საწარმო „ტისისა“ და თურქული ფირმის „ბოსფორის“ მონაწილეობით. ეს საწარმო რუსეთიდან მოწოდებულ მერქანს გადაამუშავებდა თურქეთიდან მოწოდებული და დამონტაჟებული მოწყობილობით.

1991 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან არსებული მრავალდარგოვანი ფირმის „ჰორიზონტის“ წინადადება, თბილისში შექმნილიყო საქართველო-ესპანეთის ერთობლივი საწარმო „ალიანსი-91“. მისი დამფუძნებლები იქნებოდნენ საქართველოს ახალგაზრდული მშენებლობისა და ახალგაზრდა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის რესპუბლიკური ფონდი „ნერგები“ და ესპანეთის ფირმები „სუპერარეა“ და „ევროკომერცი“. მისი მიზანი იყო აგურისა და კრამიტის, მოსაპირკეთებელი ფილების, აგრეთვე ჭურჭლის წარმოება, აგრეთვე მეცხოველეობის კომპლექსის შექმნა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

1991 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა აბაშის რაიონის პრეფექტურის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ამ რაიონში უნდა გამოყოფილიყო 614 ჰექტარი მიწა სამკურნალო და ეთერზეთოვანი სპეციალიზებული მეურნეობის შესაქმნელად.

ამას გარდა, 1991 წლის სექტემბერ-ნოემბერში მიმდინარეობდა მოლაპარაკება (რომელშიც უშუალოდ ვმონაწილეობდი) საქართველოში ინვესტირების შესახებ რამდენიმე მსხვილ უცხოურ ფირმასთან, კერძოდ: ამერიკულ კომპანია „პეპსი-

კოლასთან", რომელსაც სურდა საქართველოში ადგილობრივი ჩაის ნედლეულის გამოყენებით ხსნადი ჩაი ეწარმოებინა (მათთან საუბრისას როცა დავინტერესდი, მაინცდამაინც ქართულ ჩაიზე რატომ შეაჩერეს ყურადღება, მიპასუხეს, რომ მათი გადაწყვეტილება არ ყოფილა ნაუცბათევი, მანამდე კვლევები ჩაუტარებიათ სხვადასხვა ქვეყნის ჩაის კულტურებზე და ყველაზე კარგი შედეგი ქართული ჩაისაგან მიუღიათ); ასევე მიდიოდა მოლაპარაკება ამერიკულნავთობმომპოვებელ ფირმასთან, რომელმაც ქართულ საქნავთობის გაერთიანებასთან შექმნა ერთობლივი საწარმო, რომელსაც უნდა ეწარმოებინა ნავთობსაძიებო და ნავთობმოპოვებითი სამუშაოები (სხვათა შორის, ამ ამერიკულმა კომპანიამ შემდგომშიც გააგრძელა საქართველოში მუშაობა.); იმის გამო, რომ საწარმოო გაერთიანება „მიონს" მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეექმნა, ამერიკელ პარტნიორთან ჩვენი საუბრის შემდეგ მან გამართა მოლაპარაკება ერთ-ერთ ამერიკულ კომპანიასთან, რომელიც დათანხმდა ერთობლივი საწარმოს შექმნაზე, კომპიუტერების წარმოების ორგანიზებაზე, რომელთა ნაწილი საზღვარგარეთ გაიყიდებოდა: მოლაპარაკება მიდიოდა ქართული ნედლეულის გამოყენების საფუძველზე გერმანულ ფარმცევტულ ფირმა „ბაიერთან" ერთობლივი საწარმოს შექმნაზე და ამ მიზნით მისთვის მოვიძიეთ სათანადო ტერიტორია და ა. შ.

ამასთან ერთად დარეგისტრირდა ორი ბირჟა: თბილისის ღვინის ბირჟა და კავკასიის ბირჟა. ამ უკანასკნელმა შემდგომში თავის საქმიანობაში დიდ მასშტაბებს მიაღწია.

1991 წლის 12 დეკემბერს ლიტვის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა სავაჭრო-ეკონომიკურ ხელშეკრულებას. 14 დეკემბერს კი სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის ხელი მოეწერა ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობათა ხელშეკრულებას. მსგავსი ხელშეკრულებების დადება იგეგმებოდა სხვა ქვეყნებთანაც.

დაბოლოს, დაიწყო პრივატიზების პროცესი. 1991 წლის 15 სექტემბერს ღია საჯარო ვაჭრობით, აუქციონის წესით 500

ათას მანეთად გაიყიდა თბილისში ცნობილი მაღაზია „გოლიათი“. ობიექტი საწყის ფასად იყიდეს თვით მაღაზიის თანამშრომლებმა, რომელთაც აუქციონის ჩატარებამდე ჩამოაყალიბეს სამეურნეო ამხანაგობა. გადაწყდა, რომ პირველი 3 წელი ობიექტი არ შეიცვლიდა პროფილს და ამ ხნის გავლის შემდეგ კი მათ ნებისმიერი სხვა საქმიანობის დაწყების შესაძლებლობა ექნებოდათ.

ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაიწყო მუშაობა ქართული ფულის შემოღებაზე. ქართული ფულის ნიშნების დასაბეჭდად ორი ფირმა იყო მზად: ფრანგული კომპანია „ობერტური“, რომლის წარმომადგენლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, ბატონი ჯანო ბაგრატიონის მეშვეობით ჩამოვიდნენ საქართველოში და მეორე – ბრიტანული კომპანია „დელარიუ“, რომელიც სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟის“ თავმჯდომარის, ამირან ქადაგიშვილის მეშვეობით დაგვიკავშირდა. ქართული ფულის ბანკნოტების ნიშნების შექმნაზე ბატონი ზვიად გამსახურდიას თხოვნით მუშაობდა სახელგანთქმული მოქანდაკე და მხატვარი ელგუჯა ამაშუკელი. მართალია, თავდაპირველად ქართული ფულის ბანკნოტის სახელწოდების სამუშაო ვარიანტად შეირჩა „მარჩილი“, მაგრამ საბოლო ვარიანტისათვის ბატონი ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა, რომ უფრო უკეთესი, ბუნებრივი და ქართული იქნებოდა „ლარი“ და „თეთრი“.

ბუნებრივია, ჩვენ აქ შევეხეთ როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ასევე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, შემდგომში მინისტრთა კაბინეტის ეკომომიკის სფეროში საქმიანობის მხოლოდ მცირე ნაწილს. მაგრამ აქედანაც კი კარგად ჩანს, რომ ორივე სახელისუფლებო ორგანო, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო, ასევე უმაღლესი აღმასრულებელი, მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდნენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მათი ხელისუფლებაში ყოფნის მოკლევადიან პერიოდში, 1990 წლის 28 ოქტომბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე.

თანამშრომლობა უცხოელ ექსპერტებთან და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან

ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება გადამაწყვეტინა ბატონო ზვიად გამსახურდიას მეგობრის, ამერიკელი ქართველის, ბატონი კოკი გუგუშვილის გაწეულმა მუშაობამ საქართველოში, 1990-1991 წლებში. მან 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის დაწერა საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდის“ საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის პროგრამის თავისი ვარიანტი. ხოლო შემდეგ შეიმუშავა კანონპროექტი – საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ, რომელიც, განხილვის შემდეგ, დაამტკიცა საქართველოს უზენაესმა საბჭომ.[1]

ბატონი კოკი გუგუშვილი ბატონი ზვიადის დასახმარებლად ჩამოვიდა ამერიკიდან რამდენიმე თვით. რამდენჯერმე შევხვდი ბატონ ზვიადთან. მერე გვქონდა არცთუ ხშირი საქმიანი ურთიერთობა. ეს იყო და ეს. 1991 წლის ზაფხული იყო, თვე და დღე აღარ მახსოვს, ბატონი კოკი უკვე გამგზავრებას აპირებდა. მოვიდა ჩემთან კაბინეტში და მითხრა, რომ სურდა, გამსაუბრებოდა და მთხოვა, მარტო დავრჩენილიყავით. ხანმოკლე საუბრის შემდეგ მითხრა, ერთი სათხოვარი მაქვსო. ბრძანეთ-მეთქი და იქვე დასძინა: „ზვიადს არ უნდა უღალატო“. გამიკვირდა და ვუპასუხე: ეს არ მოხდება, ბატონო კოკი, მაგრამ ამის თქმა რატომ მიიჩნიეთ საჭიროდ-მეთქი. მან მოკლედ დამიხასიათა სიტუაცია და ბოლოს მითხრა: – შენ მას სჭირდები და მინდა მის გვერდით იყო და ერთგულად იმუშაოთ. ბოლოს დამემშვიდობა და წარმატებები მისურვა. მერე ბევრს ვფიქრობდი მის სიტყვებზე, როგორ მწვავედ განიცდიდა იგი საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ბოლოს ბატონ კოკის 26 წლის შემდეგ, პირველად 2018 წელს აგვისტოში შევხვდი მცირე ხნით (მისი ამერიკაში გამგზავრების წინ), როდე-

[1] კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები. თბილისი. 1991 წელი, № 6, გვ. 75-81.

საც თბილისში იყო ჩამოსული თავისი ვაჟიშვილის ქორწილზე დასასწრებად. მის გამგზავრებამდე ორი დღით ადრე მომიწია თბილისში ჩამოსვლა და ცხადია, შევხვდით. ბევრი რამ მოვიგონეთ.

მივუბრუნდეთ ბატონი კოკი გუგუშვილის მიერ შემუშავებულ საქართველოს რესპუბლიკის კანონს „ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ“. კანონი შედგება ჩვიდმეტი მუხლისაგან. დასაწყისში აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკას, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს აქვს საკუთარი ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს დამოუკიდებლად. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემა ეფუძნება საბაზრო ურთიერთობების პრინციპებს. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებს წარმართავენ „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად. რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ხორციელდება ურთიერთხელსაყრელი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე. ეკონომიკურ სისტემას კი არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია. აღნიშნული კანონის პირველ მუხლში – ეკონომიკური სისტემის ძირითადი პრინციპები – აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების განმსაზღვრელი პრინციპებია: რესპუბლიკის სუვერენობა, საკუთრების ფორმების მრავალსახეობა და სამეურნეო კომპლექსის მთლიანობა, საკუთრების ყველა ფორმა აღიარებულია თანასწორუფლებიანად, დაცულია საქართველოს რესპუბლიკის კანონით და ხელშეუვალია. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებზე, მათი მესაკუთრის მიუხედავად, ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგე-

ბული საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემა ფუნქციონირებს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე".

მეორე მუხლში მოცემულია ეკონომიკური სისტემის ძირითადი მიზნები და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის მიზანია ეროვნული ინტერესების შესაბამისად, რესპუბლიკის მეურნეობის დინამიკური და კომპლექსური განვითარების გზით, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. რესპუბლიკის ყველა მოქალაქის ცხოვრების გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური გარანტიების შექმნის, პიროვნების შემოქმედებითი თვითგამოვლენის, საქმიანობის თავისუფალი არჩევის, შრომისა და თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის პრესტიჟულობის ამაღლების, ინტელექტუალური პოტენციალის გაღრმავებისა და სრულად რეალიზაციის პირობების შექმნა".

მომდევნო, მესამე მუხლში ჩამოთვლილია საკუთრების ფორმები და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემა ეფუძნება საკუთრების ფორმებს:

კერძო საკუთრება;

კოლექტიური საკუთრება;

სახელმწიფო საკუთრება.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებულია საზღვარგარეთის ქვეყნების, მათი ფიზიკური და იურიდიული პირების და საერთაშორისო ორგანიზაციების საკუთრება. საკუთრებით ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა".

აღნიშნული კანონის მეოთხე მუხლში განხილულია სამეურნეო კომპლექსი და მითითებულია, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ერთობლიობა ქმნის რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსს, რომლის ფუნქციონირებასაც, კანონების შესაბამისად, აწესრიგებენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები. რესპუბლიკის კანონების შესაბამისად სამეურნეო კომპლექსში შედის აგრეთვე მის ტერიტორიაზე მოქმედი საზღვარგარეთის ქვეყნების, მათი ფიზიკური და იურიდიული პირების და საერთაშორისო ორგანიზაციების კუთვნილი საწარმოები. საქართველოს რესპუბლიკის, მისი ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი საწარმოები შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს საზღვარგარეთის ქვეყნებში, ამ ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე“.

მეხუთე მუხლი ეძღვნება ეკონომიკურ საზღვრებს, საბაჟო სამსახურს და აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკა შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ადგენს რესპუბლიკის ეკონომიკურ საზღვრებს, ქმნის საბაჟო სამსახურებს და განსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკას“.

მეექვსე მუხლში განხილულია ეკონომიკური ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, თავის ბუნებრივ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და კულტურულ შესაძლებლობათა ფარგლებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან ამყარებს ეკონომიკურ ურთიერთობებს ურთიერთხელსაყრელი საქონელგაცვლის და სამეურნეო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმით, თანასწორუფლებიანი პარტნიორობის პრინციპების შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე. საქართველოს რესპუბლიკის სა-

ხელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ხელს უწყობენ უცხოეთის ფირმებთან პირდაპირი კავშირების დამყარებაში, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე უქმნიან მათ საქმიანობის ხელსაყრელ პირობებს".

მეშვიდე მუხლში აღნიშნულია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობა ეკონომიკის სფეროში და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები პასუხისმგებელი არიან რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური გარანტიების, სოციალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, ეროვნულ-კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისა და განვითარების, ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და რაციონალურად გამოყენებისათვის, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებთან სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე".

შემდეგი, მერვე მუხლი ეძღვნება ეკონომიკის რეგულირებასა და სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლებს და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკა რეგულირდება საბაზრო ურთიერთობების პრინციპების მიხედვით. რესპუბლიკის კანონმდებლობით ფიზიკური და იურიდიული პირები თავიანთ საქმიანობას აგებენ თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის პრინციპებზე რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე. სახელმწიფო მათ უქმნის საწარმოო, სამეურნეო, საფინანსო-კომერციული დამოუკიდებლობისა და კონკურენციის თანაბარ პირობებს, ახორციელებს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას და ხელს უწყობს სხვადასხვა სამეურნეო ფორმირებების შექმნას. რესპუბლიკაში ფიზიკური და იურიდიული პირები თავიანთ საქმიანობაში მთლიანად დამოუკიდებელნი არიან და სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მისი შედეგებისათვის. საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური და იურიდიული პირების ურთიერთობას სახელმწიფო მმართველობის

ორგანოებთან არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა. საქართველოს რესპუბლიკაში წარმოების საშუალებების, მოხმარების საგნებისა და მომსახურების, ინტელექტუალური სიახლეების (ინოვაციის), სამუშაო ძალის, ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის მიმოქცევის სფეროში საბაზრო ურთიერთობები მოქმედებს. ფიზიკური და იურიდიული პირების ისეთი საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ეკოლოგიურ ინტერესებს, აღიკვეთება კანონით დადგენილი წესით".

მომდევნო, მეცხრე მუხლში – მეურნეობის სახელმწიფო მართვის ტერიტორიული ორგანიზაცია – მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში მეურნეობის სახელმწიფო მართვის ტერიტორიული სისტემის ძირეული რგოლია ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური მართვა ხორციელდება ადგილობრივი მმართველობის პრინციპების საფუძველზე, ადგილობრივი (მუნიციპალური) საკუთრების ყოველმხრივი განმტკიცებისა და მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ინტერესების გათვალისწინებით, რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო პირობების, ისტორიული ტრადიციების, შრომითი ჩვევების, მეურნეობის სპეციალიზაციის მიმართულებებისა და დონის შესაბამისად".

მეათე მუხლი ეძღვნება სოციალურ გარანტიებს და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებს მინიმალური სოციალური გარანტიების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ქმნის შრომისა და ცხოვრების ეკონომიკურად, სოციალურად, ეკოლოგიურად აუცილებელ პირობებს. სოციალურ გარანტიებს, შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, უზრუნველყოფენ სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოები, სამეურნეო ამხანაგობები და საზოგადოებები, სხვა ტიპის საწარმოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძო მესაკუთრენი.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწესებენ შრომის ანაზღაურების ფორმებს, სისტემებს და ოდენობას, განსაზღვრავენ სამუშაო დროსა და დასვენების რეჟიმს. საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების წესს და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი საარსებო მინიმუმიდან გამომდინარე დგინდება შრომის ანაზღაურების მხოლოდ მინიმალური განაკვეთები და სარგოები, შრომის ანაზღაურების მაქსიმალური დონე არ იზღუდება. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უმუშევრობის შემთხვევაში აქვთ მატერიალური დახმარებისა და პროფესიული გადამზადების გარანტია. საქართველოს რესპუბლიკაში ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია სახელმწიფო სოციალური დაზღვევა და სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა. სოციალური უზრუნველყოფა ხორციელდება ხანდაზმულობის, უმუშევრობის, ინვალიდობის, ავადმყოფობის, საწარმოო ტრავმის, მარჩენალის დაკარგვის გამო, მარტოხელა დედები და მრავალშვილიანი ოჯახები სოციალურად და ეკონომიკურად დაცულნი არიან. პენსიის ოდენობა, ინვალიდობის, მოხუცებულობის ან მარჩენალის დაკარგვის გამო, უნდა შეესაბამებოდეს ინვალიდის, მოხუცებულის ან მარჩენალის შრომით წვლილს და საარსებო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იყოს“.

მეთერთმეტე მუხლში ასახულია მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და მითითებულია, რომ „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აწესებს სახელმწიფო შეზღუდვებსა და შეღავათების სისტემას, კონტროლს უწევს პროდუქციის უვნებლობასა და საქონლის ხარისხს, აგრეთვე ზღვრულ ფასებს პირველი მოთხოვნილების ცალკეულ საგნებზე; ხელს უწყობს მომხმარებელთა საზოგადოებების შექმნას“.

მეთორმეტე მუხლი ეძღვნება დემოგრაფიული პროცესების მართვას და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმიზაციის, გარე და შიგა რესპუბლიკური მიგრაციისა და განსახლების რაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად ხორციელდება სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა. რესპუბლიკის მთავრობა დემოგრაფიული ინვესტიციებისათვის გამოყოფს საჭირო სახსრებს, კონტროლს უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, დემოგრაფიული საზოგადოებების საქმიაობას დემოგრაფიული პრობლემების გადასაწყვეტად“.

მეცამეტე მუხლში ასახულია ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის საკითხები და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განისაზღვრება გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის წესი, მოთხოვნები და შეზღუდვები საწარმოთა განვითარებასა და განლაგებაზე (მათ შორის იმ საწარმოთა საქმიანობის ან მშენებლობის შეჩერების, ან დახურვის წესი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გარემოს), ბუნებათსარგებლობის ლიმიტები და ნორმატივები, ბუნებრივი რესურსების კომპლექსური და ეფექტიანი გამოყენების მაჩვენებლები“.

მომდევნო, მეთოთხმეტე მუხლი ეძღვნება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას და აღნიშნულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად:

შეიმუშავებენ სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პროგნოზებს, პროგრამებს და პროექტებს, რომლებშიც განისაზღვრება საერთო-რესპუბლიკური სტრატეგიული ეკონომიკური ამოცანები, უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური, დარგთაშორისო და ტერიტორიული პროპორციები, დემოგრაფიული, სტრუქტურული, ინვესტიციური, ტექნიკური და ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებები;

შეიმუშავებენ საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობას სახელმწიფოსთან, აგრეთვე საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ფირმებს, ბანკებს შორის ურთიერთობას უპირატესად ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით (გადასახადები, კრედიტები, ბანკის პროცენტები, ინვესტიციები და სახელმწიფო კონტრაქტები, ანარიცხები მიზნობრივი ფონდებიდან და სხვა);

რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების მიზნით გამოყოფენ სათანადო სუბსიდიებს ცალკეული დარგებისა და რეგიონების პრიორიტეტული უზრუნველყოფისათვის;

უზრუნველყოფენ შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და შრომის დაცვის სათანადო პირობების შექმნას;

ქმნიან მოსახლეობის, საწარმოებისა და ორგანიზაციების სტიქიური უბედურებისაგან, საწარმოო ავარიებისა და სხვა ექსტრემალური შემთხვევებისაგან დაცვის და მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა სათანადო სისტემას;

მეთხუთმეტე მუხლში – საბანკო საქმიანობა და ფულის მიმოქცევა – მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკა ერთიან ფულად-საკრედიტო სახელმწიფო პოლიტიკას დამოუკიდებლად ახორციელებს. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად რესპუბლიკაში იქმნება საკუთარი საბანკო-საკრედიტო სისტემა (ქართული ფულის შემოღებით), რომელიც მოიცავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო (ეროვნული) ბანკს, კომერციულ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს. სახელმწიფო (ეროვნულ) ბანკი ექვემდებარება საქართველოს უზენაეს საბჭოს და მის საქმიანობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით“.

მეთექვსმეტე მუხლი ეძღვნება ფასწარმოქმნას და მითითებულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკა განსაზღვრავს და ახორციელებს ფასწარმოქმნის პოლიტიკას, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესებიდან

გამომდინარე აწესრიგებს საქონლის ფასებსა და მომსახურების ტარიფებს, ახორციელებს კონტროლს, ატარებს ანტიმონოპოლიურ და საბაზრო ურთიერთობათა ნორმალიზაციის სხვა ღონისძიებებს".

ამ კანონის ბოლო, მეჩვიდმეტე მუხლში საუბარია საბიუჯეტო სისტემაზე. ამ მუხლის თანახმად, „საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემა შედგება საქართველოს რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისაგან. ამ ბიუჯეტების შემოსავლები ყალიბდება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დაწესებული გადასახადების, მოსაკრებლებისა და სავალდებულო გადასახადებისაგან.

საქართველოს რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების საერთო წესი, აგრეთვე მათი ურთიერთდამოკიდებულება განისაზღვრება საბიუჯეტო უფლებების, გადასახადებისა და ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის გამგებლობაშია:

საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება; საქართველოს რესპუბლიკაში საგადასახადო სისტემის ორგანიზაცია, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საერთო სახელმწიფო გადასახადის, მოსაკრებლისა და სავალდებულო გადასახადის დაწესება.

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს, ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში დააწესონ სხვადასხვა სახის ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, მათი დაბეგვრის განაკვეთები, წესი და შეღავათები.

საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების ნუსხა და ხარჯების, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკებისათვის და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის სუბვენციების მისაცემად განკუთვნილი ხარჯების

სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებისას – ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში".

აღნიშნული კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ წარმოადგენდა მნიშვნელოვან საწყის რგოლს ეკონომიკური რეფორმების კანონმდებლობის შექმნაში. ამიტომაც ბატონი კოკი გუგუშვილის საქმიანობა, კონსულტაციები ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

უცხოელ ექსპერტთაგან განსაკუთრებით გამოვყოფდი ბატონ რუდოლფ მეეს, რომელიც ჰოლანდიური ING ბანკის მმართველობის წევრი იყო. იგი ჯერ ერთი თვის განმავლობაში გვეხმარებოდა კანონპროექტების შემუშავებაში, შემდეგაც მოკლე ხნით რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში და გვეხმარებოდა კანონპროექტების დახვეწაში.

მოსაზრებები 90-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის განვითარების შესახებ

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ჩვენს საკანონმდებლო საქმიანობაზე. ახლა შევეცდები მოკლედ მოგითხროთ, თუ რას ვაპირებდით 90-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის ზოგიერთი დარგის განსავითარებლად. ჯერ კიდევ 1991 წლის გაზაფხულზე ბატონ ბაკურ გულუას ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ორდღიანი სამუშაო შეხვედრა, სადაც განიხილებოდა საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფციასთან დაკავშირებული საკითხები და დაიდო საინტერესო ნაშრომი. თუმცა ამჯერად მოგახსენებთ პირადად რას ვფიქრობდი, რას ვაპირებდი და რისი გაკეთება მოვასწარით. პრინციპში ეს უფრო აღმასრულებელი ხელისუ-

ფლების ფუნქცია იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, ვიწრო ნაჭუჭებში ჩავკეტილიყავით და ჩვენ უშუალოდ რაც არ მოგვეკითხებოდა, იმაზე არც გვეფიქრა და არც გვემუშავა, ზოგიერთ საკითხზე უკვე გიამბეთ, ზოგიერთზე კი ახლა მოგიყვებით. უცხოელ ექსპერტთაგან ბევრ სასიკეთო რჩევას ვიღებდით, თუმცა ზოგიერთის აზრი მიუღებელიც კი იყო. მაგალითად, რამდენიმე ექსპერტის აზრით, ყველა დიდი ქარხანა უნდა დაგვენგრია, რადგან მათ დიდ ნაწილს გაჩერება ემუქრებოდა და მომავალში ისინი აღარ დაგვჭირდებოდა. ამ მოსაზრებას მე მხარს არ ვუჭერდი, რადგან მათ შექმნაზე უდიდესი შრომა იყო დახარჯული და მათში ათეულ-ათასობით მუშაკი იყო დასაქმებული. მაშინვე დავიწყეთ ფიქრი მათ მომავალზე. ამ ქარხნების ნაწილი თავიდან უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო საკუთრებაში და სახელმწიფოს ეზრუნა მათ სიცოცხლისუნარიანობაზე (მაგალითად, თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა, ასეთი პროფილის ქარხანა ერთადერთი იყო მთელ ყოფილ იმპერიაში და მის პროდუქციას, სხვებთან ერთად, ყიდულობდა იაპონიაც; თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, რომელიც კოოპერაციაში მუშაობდა რუსეთის ნოვოჩერკასკის ელმავალმშენებელ ქარხანასთან ერთად და მთელ იმპერიაში მსგავსი მხოლოდ ეს ორი ქარხანა იყო, შესაბამისად, მომავალში ყოფილი იმპერიის ბაზარს მარტო ნოვოჩერკასკის ქარხნის პროდუქცია ვერ გასწვდებოდა. ამასთან დაკავშირებით აქვე მინდა გავიხსენო, რომ, როდესაც უკვე საქართველოს მესამე პრეზიდენტის ხელისუფლების დროს ეს ქარხანა საპრივატიზაციოდ გაიტანეს, მისი ყიდვა უნდოდა იმავე პროფილის რუსეთის ნოვოჩერკასკის ქარხანას, მაგრამ ბატონი კ. ბენდუქიძის ძალისხმევით, ეს ქარხანა ჩალის ფასად მის სვერდლოვსკელ მეგობრებს მიეყიდა, რომელთაც ელმავლის არაფერი გაეგებოდათ და ახლა ეს ქარხანა სავალალო მდგომარეობაშია. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა აწარმოებდა კოკსმქრობელმავლებს და მათზე დიდი მოთხოვნილება იყო მთელი იმპარიის მეტალურგიულ ქარხნებში და საზღვარგარეთაც.

ასევე უნდა შეგვენარჩუნებინა ფოთის წყალქვეშაფრთიანი კატერების ქარხანა, ბათუმის ავტოკარის ქარხანა, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა, ეთერზეთების საწარმოო გაერთიანება და ა. შ.), ნაწილისათვის უნდა მოგვეძებნა ინვესტორი, მაგალითად, თბილისის ჩარხმშენებელი ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა, მიონი, რუსთავის კოშკურა ამწეების ქარხანა და ა. შ.

ამასთანავე უნდა გვეზრუნა ახალი საწარმოების შექმნაზე, მაგალითად, საქართველო მდიდარია სამკურნალი მცენარეებით და მათი ორგანიზებულად მოყვანით, რათა გამოეყენებინა ფარმაცევტულ წარმოებაში, თურქი ბიზნესმენების შუამავლობით, გერმანული „ბაიერის“ წარმომადგენლები დაინტერესდნენ, საქმეც წინ მიდიოდა...

საერთოდ კი, ჩემი აზრით, სამომავლოდ უნდა გვეზრუნა შრომატევადი და მეცნიერებატევადი დარგების განვითარებაზე. სხვათა შორის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობდა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი მზის ბატარეების და ქარის ელექტროსადგურების შექმნასა და დახვეწაზე. ისინი მოდელებს ამზადებდნენ თავიანთ საცდელ წარმოებაში. აქ გავიხსენებ ერთ შემთხვევას. ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა გერმანული ქარის ელექტროსადგურების მწარმოებელი ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მოლაპარაკების შემდეგ, სტუმარი დავაკავშირე პოლიტექნიკური ინსტიტუტის აღნიშნულ ჯგუფთან. მათთან შეხვედრის შემდეგ, გერმანელმა სტუმარმა გაოცებულმა მითხრა, რომ მას უნახავს ქართველების მიერ დამზადებული ქარის ელექტროსადგურის მოდელის ნიმუში, რომლის მარგიქმედების კოეფიციენტი მნიშვნელოვნად მაღალი იყო და ამიტომ იგი აღარ შემოგვთავაზებდა თავის პროდუქციას და სურდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცდელი ნიმუშის ყიდვა... ამიტომაც ჩემი ოცნება იყო მზის ბატარეებისა და ქარის ელექტროსადგურების, ე. ი. ორი ქარხნის აშენება, ან რომელიმე გაჩერებული ქარხნისათვის პროფილი შეგვეცვალა და დაგვეწყო ამ პროდუქციის წარმოება. სხვათა შორის, ეს

არც ახლაა გვიან, მით უმეტეს მზის ბატარეების წარმოებისათვის ყველა ბუნებრივი რესურსი გვაქვს. მთავარია, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კიდევ თუ მუშობენ იმ ჯგუფის წევრები ან მათი „მემკვიდრეები“.

90-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, რაც გარდაბანში თბილისი-რუსთავის კომუნალური წყლების გამწმენდი ნაგებობა და მისი აუარებელი ნარჩენი ვნახე, დავრწმუნდი, რომ კარგი იქნებოდა ბიოგაზის წარმოებისა და ნაგვისშემკრებ-გადამამუშავებელი ქარხნის აშენებაზე გვეფიქრა. მართლაც მოგვეცა შემთხვევა და ჩვენთან ჩამოვიდნენ ინვესტორები, რომლებიც გვთავაზობდნენ ნაგვისგადამამუშავებელი ქარხნის აშენებას. მათ, ცხადია, ჩვენი პირობები წავუყენეთ: გვინდოდა ნაგავი დახარისხებულიყო და მას მიბმოდა ბიოგაზის მწარმოებელი ქარხანა. თუ ეს განხორციელდებოდა, ამას მოყვებოდა ნაგვის გადამუშავებიდან მიღებული მეორეული ნედლეულით პროდუქციის და ასევე მინერალური სასუქის წარმოება. თავდაპირველ ეტაპზე ამ მიზნებიდან ნაწილის განხორციელებაც კი ბიძგს მოგვცემდა, უფრო ფართოდ გაგვეშალა მუშაობა და უფრო შორეული ამოცანებიც დაგვესახა.

სამწუხაროდ, მდგომარეობა სხვანაირად წარიმართა. კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, გაიძარცვა და ჯართად უცხოეთში გაიყიდა უნიკალური ჩარხები და დანადგარები და ხელში შემოგვრჩა გაძარცული შენობა-ნაგებობები.

აქვე მომყავს 1992-2000 წლებში გაჩერებული, განადგურებული თუ ჯართად ქცეული საწარმოების არასრული სია.

მარტო მათი დასახელებიდან ჩანს, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, წარმატებით შეიძლებოდა მათი დიდი უმრავლესობა ეფექტურად და ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენებულიყო.

1. ბათუმის ავტოკარების ქარხანა
2. ბათუმის კატარღების ქარხანა
3. გორის ბამბეულის კომბინატი
4. ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა

5. ზუგდიდის ქაღალდის კომბინატი
6. თბილისის აბრეშუმის ფაბრიკა
7. თბილისის ელექტროაპარატი
8. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა
9. თბილისის მაუდკამვოლის კომბინატი
10. თბილისის მიონი
11. თბილისის პლასტმასის ქარხანა
12. თბილისის რადიოქარხანა
13. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა
14. თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანა
15. თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკა
16. თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკა
17. თბილისის ფოლად-თუჯჩამომსხმელი ქარხანა
18. თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა
19. თბილისის ცხიმკომბინატი
20. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა
21. რუსთავის ამწეკრანების ქარხანა
22. რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა
23. სამტრედიის მექანიკური ქარხანა
24. საქართველოს საზღვაო სანაოსნო
25. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა
26. საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკა
27. სენაკის მექანიკური ქარხანა
28. სურამის მინის ტარის ქარხანა
29. ფოთის გემთმშენებელი ქარხანა
30. ქუთაისის ავეჯის ფაბრიკა
31. ქუთაისის ავტოქარხანა
32. ქუთაისის ელექტრო-მექანიკური ქარხანა
33. ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა
34. ქუთაისის ფოლად-თუჯჩამომსხმელი ქარხანა
35. ხაშურის მექანიკური ქარხანა
36. ხაშურის საკისრების ქარხანა

37. ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა

ამ სიიდან გამოვყოფ რამდენიმე საწარმოს, მაგალითად: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში მუშაობდა 3200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე. ქარხანას ჰქონდა მაშინდელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო. მისი პროდუქცია იგზავნებოდა როგორც ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, ისე საზღვარგარეთ, კერძოდ, გერმანიაში, ბრაზილიასა და სხვა ქვეყნებში.

თბილისი, სახეხი ჩარხების ქარხანაში მუშაობდა ათასამდე მუშა-მოსამსახურე. ეს იყო უნიკალური ტიპის ჩარხების ერთადერთი საწარმო ყოფილ იმპერიაში. მის პროდუქციას სხვადასხვა ქვეყანასთან ერთად ყიდულობდა იაპონიაც. ამ ქარხნის ადგილზე საცხოვრებელი კორპუსებია აშენებული.

ფოთის გემთმშენებელი ქარხანა უშვებდა იმ დროს და ახლაც ძალზე პოპულარულ წყალქვეშაფრთიან სამგზავრო გემებს (კატარღებს).

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებთან ერთად, უშვებდა ჩაის საკრეფ მანქანებს.

სხვათა შორის, ზუგდიდის ქაღალდის კომბინატი და ფაიფურის ქარხანა თავდაპირველად ძირითადად ადგილობრივი ნედლეულით მუშაობდნენ.

ახლა რაც შეეხება მომავალს: 1991 წლიდან დღემდე საქართველოში ძირეულად შეიცვალა როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მაგრამ არა დადებითი, არამედ უმეტესწილად უარყოფითი მხარეებისაკენ. ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ძირითადად სარჩო-საბადებლის საძებნად ქვეყანა დატოვა ორ მილიონზე მეტმა თანამემამულემ და მათი დიდი ნაწილი შრომისუნარიან ასაკში იყვნენ. ეკონომიკის თითქმის არცერთი დარგი სრულყოფილად არ ფუნქციონირებს. მრეწველობაში და განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში,

ელექტროტექნიკური და სხვა დარგების საწარმოების დიდი ნაწილი განადგურებულია, ფუნქციონირებს კვების მრეწველობის რამდენიმე საწარმო; სოფლის მეურნეობა უმძიმეს მდგომარეობაშია; რეალურად მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს. ქვეყანას ძირითადად ასულდგმულებს ისევ ემიგრანტების ფულადი გზავნილები და ევროპის, ამერიკის და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებები, რომელთა უდიდესი ნაწილი რჩეული „ელიტების“ და ბანკების ხელში იყრის თავს, ქვეყანა და მისი მოსახლეობა ვალების ჭაობში ეფლობა. ფაქტობრივად საქართველო დაემსგავსა იალქნებჩამოფლეთილ-ჩამოგლეჯილ, ანძებწაქცეულ გემს, რომელსაც ზღვაში აბობოქრებული ქარიშხალი საით წაიღებს არავინ იცის. ოცდაათ წელზე მეტია, ასე უგზო-უკვლოდ დავცურავთ და მდგომარეობიდან გამოსავალი თითქმის არ ჩანს.

ჩვენნაირ მდგომარეობაში არაერთი ქვეყანა ყოფილა და მიუხედავად სირთულეებისა, ბევრმა მათგანმა შეძლო არსებული სირთულეებიდან ღირსეულად გამოსვლა და მიაღწიეს წარმატებული და განვითარებული ეკონომიკის შექმნას. მათი გამოცდილების გაზიარება არ გვაწყენდა. მათმა უმრავლესობამ ეკონომიკური რეფორმები დაიწყო ქვეყნის მოსახლეობის თვითგამოკვების უზრუნველყოფით. ამ მიზნით დაიწყეს სოფლის მეურნეობის და ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი დარგების განვითარება. საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფამ ამ ქვეყნებს საშუალება მისცა, დაეზოგათ დიდი მოცულობის ვალუტა ამ პროდუქტების იმპორტზე. უფრო მეტიც, რამდენიმე წელიწადში სოფლის მეურნეობის განვითარებამ ამ ქვეყნებში ისეთ დონეს მიაღწია, რომ დაიწყეს ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი და დამატებით იღებდნენ სავალუტო შემოსავლებს. ამ დაზოგილი და დამატებით მიღებული სავალუტო სახსრებით მათ დაიწყეს უახლოესი, პროგრესული ტექნოლოგიების შეძენა. მეცნიერება და შრომატევადი დარგების, მათ შორის ელექტრო-ტე-

ქნიკური, კავშირგაბულობისა და მანქანათმშენებლობის სხვა დარგების განვითარების მიზნით, უზრუნველყვეს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება, უზრუნველყვეს უმუშევრობის მინიმუმამდე დაყვანა.

ჯერ კიდევ ბატონი ზვიად გამსახურდია თავის საპრეზიდენტო საარჩევნო პროგრამაში მიუთითებდა: „საქართველო მაღალგანვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად უნდა იქცეს, რაც სასოფლო-სამეურნეო სფეროს რადიკალურ გაუმჯობესებას მოითხოვს. იგი პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივი მოსახლეობისა და განვითარებული საკურორტო-ტურისტული მეურნეობის მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას. პროდუქციის ის ნაწილი კი, რომელიც მსოფლიო ბაზრისათვის იქნება განკუთვნილი, უნდა შეირჩეს ხელსაყრელობის და რესპუბლიკის საჭიროებათა ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ყოველივე ეს მოითხოვს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და ადგილობრივი მნიშვნელობის დარგების ოპტიმალური ჰარმონიზირების მიღწევას, რესპუბლიკის უნიკალური ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალურ გამოყენებას. აუცილებელია საქართველოში ოდითგანვე განვითარებული მემარცვლეობის ტრადიციების აღდგენა, მისი პროდუქცია უნდა გახდეს მოსახლეობის უპირველესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რეალური საყრდენი და მეცხოველეობის აღორძინების ბაზა".

სოფლის მეურნეობაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული, პროდუქციის წარმოების გადიდების მიზნით, მასტიმულირების საშუალებები, დახმარებები და ასევე სუბსიდირება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანაში სოფლის მეურნეობა სუბსიდირებადია, იმიტომ, რომ ეს დარგი აწარმოებს ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელ და ქვეყნისათვის აუცილებელ სტრატეგიულ პროდუქციას – კვების პროდუქტებს. ბუნებრივია, ძალიანაც რომ ვეცადოთ, ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე ვერ შევძლებთ 100%-ით თვითუზრუნველყოფის მიღწევას, მაგრამ უნდა ვე-

ცადოთ თვითუზრუნველყოფის მაქსიმალური დონის მიღწევას. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობის გაზრდას, რაშიც დიდი ჩამორჩენა გვაქვს, მაგალითად 2019 წელს საქართველოში ხორბლის მოსავლიანობა იყო 23 ცენტნერი ჰექტარზე, ქერის – 21, სიმინდის – 28, კარტოფილის – 116 და ა. შ. შესაბამისმა მაჩვენებლებმა ნიდერლანდებში შეადგინეს: 98; 80; 76 და 470. მოკლედ, დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი სოფლის მეურნეობაში პროდუქციის მოსავლიანობის ასამაღლებლად. ამ დარგში კი გვყავს შესანიშნავი მეცნიერები, თუნდაც ბატონი რამაზ გახოკიძე.

სხვათა შორის, ჯერ კიდეც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ორმოციანი წლების ბოლოს, ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება: მარცვლეულის სტრატეგიული მნიშვნელობებიდან გამომდინარე, თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკას მარცვლეულზე თავისი მოთხოვნილება თავისივე წარმოებით მაქსიმალურად უნდა უზრუნველეყო. მარცვლეულის წარმოების მატება კი დაგვეხმარება მეცხოველეობა-მეფრინველეობის დარგისათვის საკვები ბაზის გაფართოება-განმტკიცებაში. ამ დარგის განვითარება უზრუნველყოფს მოსახლეობას ხორცით, რძით და რძის პროდუქტებით და მინიმუმამდე დაიყვანს ამ პროდუქტების იმპორტს.

ასევე განსავითარებელია ხილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის წარმოება და ამ დარგის პროდუქციით ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად უზრუნველყოფა. საქართველოს არ უნდა სჭირდებოდეს ამ დარგის პროდუქციის იმპორტი. თუ სახელმწიფო ხელს არ შეუშლის და სათანადოდ დაეხმარება ფერმერებს, ისინი შეძლებენ ამ დარგის განვითარებას. კარგად მახსოვს, ამ საუკუნის პირველ ათწლეულში ქუთაისელ და წყალტუბოელ მეწარმეებს მწვანილი მოჰყავდათ. მათ მიერ სასათბურე მეურნეობების მოწყობით და წარმოების განვითარება-გაფართოების შემდეგ დაიწყეს მწვანილის სკანდინავიის ქვეყნებში გატანა და ხშირად ამ

მიზნით თვითმფრინავების ჩარტერულ რეისებსაც იყენებდნენ. მაგრამ, როგორც ჩვენთან ხდება ხოლმე, წარმატებული ბიზნესი ჩაკლეს, ბაზარი დაიკარგა და მას დაეუფლნენ ემიგრანტები ჩვენი მეზობელი ქვეყნიდან, რომლებსაც გერმანიაში ნაყიდი მწვანილი შეაქვთ სკანდინავიის ქვეყნებში. თუნდაც მეორე მაგალითი ცნობილია, რომ ყაზბეგის რაიონი ღარიბია. ადგილობრივმა ფერმერებმა დაიწყეს სათბურების გაშენება და კიტრსა და პომიდორს დედაქალაქის ბაზრებს აწვდიდნენ ზამთარ-ზაფხულს. მაგრამ 2005 წლის შემდეგ, როდესაც რაიონს შეუწყვიტეს უფასო გაზის მიწოდება, ფერმერებმა პროდუქცია ვეღარ აწარმოეს, ხოლო სათბურები დაანგრიეს, ლითონის კონსტრუქციები დაჭრეს და ჯართად ჩააბარეს. ხელისუფლებამ კი ფერმერებს ვერ შესთავაზა საწვავის ალტერნატიული მისაღები ვარიანტი. ნიდერლანდებში ფერმერებს საწვავი (დიზელი) მიეყიდება მნიშვნელოვნად დაბალ ფასებში და მისი სხვა პირებზე გაყიდვა მკაცრად ისჯება კანონით, ამასთან ფერმერებისათვის განკუთვნილი დიზელი ფერით განსხვავდება ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის განკუთვნილი დიზელისაგან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია მიწების მორწყვითა და ქარსაცავი ზოლებით უზრუნველყოფა. მართალია გასარწყავებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ 2019 წელს ჯამურად 170 ათას ჰექტარს მიაღწია, ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ცნობილია რომ საქართველოში მეურნეობების დიდი ნაწილი მცირე სიდიდისაა და საჭიროა მათი სარწყავი ეფექტური და ეკონომიური სისტემებით უზრუნველყოფა. რაც შეეხება ქარსაცავ ზოლებს, ჯერ კიდევ კომუნისტურ საქართველოში მათი საერთო სიგრძე 1800 კილომეტრს აღწევდა, მაგრამ 2015 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 75 კილომეტრამდე. შემდეგ კი დაიწყო ქარსაცავი ზოლების მშენებლობა, მაგრამ სამწუხაროდ, მისი ნაწილიც დაიწვა, რადგან ფერმერები მიწის ნაკვეთების გასუფთავებას ცეცხლის წაკიდებით ცდილობდ-

ნენ, მერე კი ველარ აქრობდნენ... ამრიგად, გარდა ქარსაცავი ზოლების მშენებლობისა, საჭიროა აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციული ღონისძიება გატარდეს თვით ამ ქარსაცავი ზოლების დასაცავად.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფერმები (მეურნეობები) მცირემიწიანია. მეურნეობათა 77% ერთ ჰექტარზე ნაკლებ ფართობს ფლობს. თანაც მათი ეს მცირე ფართობებიც დანაწევრებულია. მაგალითად, ნიდერლანდებსა და ბელგიაში ერთ მეურნეობაზე საშუალოდ მოდის შესაბამისად 29,0 და 26,0 ჰექტარი. ცხადია, საქართველოში წვრილი ფერმერული მეურნეობების გამსხვილების პოლიტიკის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც კი ნიდერლანდური და ბელგიური მასშტაბის მეურნეობების შექმნა მიუღწეველი იქნება. უფრო შესაძლებელი იქნებოდა კოოპერაციის გზით ჩვენი წვრილ მეურნეობათა ფერმერების ძალისხმევის გაერთიანება. ის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელსაც ნიდერლანდური და ბელგიური ფერმები იყენებენ, არის მძლავრი, დიდი მოცულობის და ისინი ეფექტური მხოლოდ დიდ მეურნეობებშია. ჩვენთვის კი ამ ტექნიკის გამოყენება მაინცდამაინც ეფექტური არ იქნება. თავიდან დაგვჭირდება შესაბამისი ტექნიკის შეძენა საზღვარგარეთ, ხოლო მომავალში ალბათ აღსადგენია ქუთაისის სატრაქტორო ქარხანა, რომელიც თავის დროზე მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს ამზადებდა და სადაც მომავალში უნდა დამზადდეს ჩვენი სოფლის მეურნეობისადმი მისადაგებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ეს ქარხანა ჩვენი მანქანათმშენებლობის ერთ-ერთ წამყვან საწარმოდ უნდა იქცეს. კარგი იქნება, თუ ამ ქარხანას მიებმება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარემონტო რაიონული ცენტრები.

ჯერ კიდევ კომუნისტურ საქართველოში არსებობდა სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირი (ცეკავშირი), რომელიც შექმნილი იყო კოლმეურნეობებისა და კოოპერატივების წილობრივი მონაწილეობით. ცეკავშირი ამარაგებდა სოფელს კვების პროდუქტებითა და ფართო მოხმარე-

ბის საქონლით, თვით კოლმეურნეობებს – სასუქებით, თესლით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და ამზადებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, ჰქონდა ასევე სხვადასხვა (მათ შორის გადამამუშავებელი) საწარმო. საქმიანი კავშირები იყო დამყარებული მოკავშირე რესპუბლიკების და ასევე უცხოეთის შესაბამის ორგანიზაციებთან. თანამედროვე სოფლის მეურნეობას სჭირდება მსგავსი, მაგრამ უახლესი პირობების შესაბამისი ორგანიზაცია, რომელიც თავისი ინფრასტრუქტურით დაეხმარება გლეხურ მეურნეობას სასუქებით, პესტიციდებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფაში, პროდუქტების შენახვა-დამზადება-გასაღებაში და ა. შ. და ამავე დროს მიაწვდის ფრემერებს ინფორმაციას, სხვადასხვა პროდუქტის გასაღების ბაზრების შესახებ და ასევე სიახლეების შესახებ ამ დარგში. სამწუხაროდ, ამ საუკუნის დასაწყისში ცეკავშირი თავისი განშტოებული ქსელით და ინფრასტრუქტურით დაშალეს, ხოლო სანაცვლოდ, სოფლის მეურნეობის დასახმარებლად, თითქმის მსგავსი არაფერი შექმნილა.

აქვე მინდა შევეხო ქართული ღვინის ექსპორტს. უკვე რამდენიმე წელია, ქართული ღვინის ექსპორტის 62% თითქმის მუდმივად მოდის რუსეთზე. არადა რუსეთის ბაზარი არასტაბილურია. ჯერ იყო და 2006 რუსეთმა აკრძალა ქართული ღვინის ექსპორტი, შემდეგ იყო 2008 წლის აგვისტოს ომი. რუსეთის მიერ ოკუპირებულია ჩვენი ქვეყნის 20% და განუწყვეტლივ ახორციელებს ე. წ. ბორდერიზაციას სამაჩაბლოში. იმის მაგივრად, რომ აქტიურად ვეძებდეთ ღვინის ახალ ბაზრებს, ქართული ღვინის წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად რაოდენობრივად სულ უფრო იზრდება რუსეთში გატანილი ღვინის მოცულობა, მაგალითად: 2017 წელს საქართველომ აწარმოა 76,7 მილიონი ბოთლი (0,75ლ) ღვინო, 2018 წელს წარმოებულ იქნა 86,2 მილიონი ბოთლი და 2019 წელს კი – 94,0 მილიონი ბოთლი; აქედან ამავე წლებში რუსეთში ექსპორტირებული იქნა შესაბამისად 47,8 მილიონი ბოთლი (62,3%), 53,2 მილიონი ბოთლი (62,3%) და 58,4 მილიონი ბოთ-

ლი (62,1%). ქართველი მეღვინეები, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სავაჭრო-სამრეწველო პალატა და სხვები სუსტად მუშაობენ სხვა ბაზრების ათვისება-გაფართოებაზე.

20 წელზე მეტია, ნიდერლანდებში ვცხოვრობ. ყოველდღიურად ვეცნობი ცენტრალურ პრესას. ხშირად სხვადასხვა ქვეყნების ღვინის რეკლამებს ცენტრალური გაზეთების მთელი გვერდი ეთმობა. აღიარებული მეღვინეობის ქვეყნებთან ერთად, ხშირად ნახავთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ჩილეს და სხვა ქვეყნების რეკლამებს. სამწუხაროდ, ჯერ ქართული ღვინის რეკლამა არ შემხვედრია. კი იყიდება ქართული ღვინო, მაგრამ ძირითადად რუსულ მაღაზიებში, სადაც მეტწილად ემიგრანტები ყიდულობენ. აქვე მინდა ერთი შემთხვევა მოვიგონო: მას შემდეგ, რაც 2006 წელს რუსეთმა ქართული ღვინის შეტანა თავის ბაზარზე აკრძალა, მოვახერხე და შევხვდი ცნობილი ნიდერლანდური სუპერმარკეტების ქსელის „ალბერტ ჰეინის“ ალკოჰოლური სასმელების დეპარტამენტის ხელმძღვანელს (სხვათა შორის, ქალბატონი) და ვთხოვე, იქნებ საცდელი პარტია მაინც მიეღო ამ ქსელში გასატანად. სხვათა შორის, იგი კარგად ერკვეოდა ჩვენი მეღვინეობის პრობლემებში და ასეთი რამ მითხრა: „შეძლებთ თქვენ მომავალ წელს, მაგალითად იმავე ხარისხის, გემოს, ფერის და ა. შ. „მუკუზანის“ შემოტანას, როგორიც წელს იყოო?“ თვითონვე მიპასუხა, რომ ვერ შევძლებდი. მეც დავეჭვდი, ვაი-თუ, ასე მოხდეს-მეთქი და ამ საქმეზე ხელი ჩავიქნიე. მართლაც, როცა ამ საკითხებზე ინფორმაციას ვეცნობი, ქართული ღვინის ხარისხი მართალია საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ არის გარკვეული პრობლემები. და კიდევ: როდესაც აქაურ სუპერმარკეტებში ვათვალიერებ ხოლმე სამხრეთ აფრიკულ და სამხრეთ ამერიკულ ღვინოებს, ხშირად მხვდება იქაური სახლის ღვინოები. ალბათ ჩვენთანაც დადგა დრო ოჯახური, სახლის ღვინის წარმოება ისეთ დონეზე ავიყვანოთ, რომ მისი უცხოეთში გატანა მოვახერხოთ.

მოკლედ მინდა შევეხო რამდენიმე დარგსაც, პირველ რიგში ელექტროენერგეტიკას. ჰესების მშენებლობას ალბათ ვერ გა-

ვექცევით. ხშირად მაინტერესებს, რატომ არ ვენდობით ქართველ მეცნიერებსა და სპეციალისტებს. მათ აქვთ დამუშავებული საქართველოში ასაშენებელი ჰესების მრავალი პროექტი, რომელიც უფრო ეფექტურია და დაბალი სიმაღლის წყალსაცავის მშენებლობას გულისხმობს ვიდრე უცხოელი სპეციალისტების მიერ დამუშავებული პროექტი ითვალისწინებს. ამ უკანასკნელთ შეიძლება არც კი აინტერესებდეთ, რამდენი სოფელი დაიტბორება წყლით, რადგან მათთვის მთავარია, რაც შეიძლება მეტი სიმძლავრე, მეტი ელექტროენერგიის საწარმოებლად დიდი წყალსაცავის მქონე ჰესების მშენებლობა. ამასთან, ჰესების მშენებლობა შეიძლება ასევე გარკვეულწილად შემცირდეს არატრადიციული და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით, ელექტროენერგიის საწარმოებლად. ეს განსაკუთრებით ეხება მზის ბატარეებს (პანელებს). საქართველოში წელიწადში მზიანი დღეების რაოდენობა საშუალოდ მერყეობს 260-დან 280 დღემდე, ნიდერლანდებში კი მზიანი დღეების რაოდენობა საშუალოდ 160 დღეს აღწევს. ნიდერლანდები კი მზის ბატარეების გამოყენებით მოწინავე ქვეყნების რიგებში დგას და აქ საწყის ეტაპზე მზის ბატარეების გამოყენების სტიმულირებისათვის ფართოდ გამოიყენებოდა სუბსიდირება. ჩვენთან კი მზის ბატარეების გამოყენების გავრცელება თვითდინებაზეა მიშვებული. ევროპული წარმოების მზის ბატარეები საკმაოდ ძვირია. მაგალითად, ნიდერლანდებში ამჟამად 170 პიკური ვატის სიმძლავრის ერთი მზის ბატარეა (პანელი) ღირს 140 ევრო, ხოლო 315 პიკური ვატის სიმძლავრის ერთი პანელი კი ღირს 320 ევრო. ამასთან ამ ქვეყანაში პანელის ყიდვა-დამოტანება ჯდება 4500-დან 8000 ევრომდე. ამ ხარჯების სიდიდე დამოკიდებულია პანელების რაოდენობაზე, მათ სიმძლავრეზე, ერთეულის ღირებულებაზე და ა. შ. ნიდერლანდელები მზის პანელების დამონტაჟების შემდეგ წლის განმავლობაში ელექტროენერგიის მოხმარებაზე ზოგავენ საშუალოდ 500-დან 1000 ევრომდე და მზის პანელების შეძენა-დამონტაჟებაზე გაწეულ ინვესტიციებს უკან

იბრუნებენ 6-7 წელიწადში. სხვათა შორის, მზის ბატარეების (პანელების) ეფექტიანობა განუწყვეტლივ მაღლდება (უკვე საუბარია, რომ მათი დამუხტვა ღამეც მოხდება ულტრაიისფერი სხივებით, ასევე მზის პანელების დამზადებაში ბაზალტის ქვის გადადნობით მიღებული ძაფების გამოყენებაზე არის საუბარი და ა. შ.). ამასთან მისი წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის ბაზაზე მცირდება ერთი პანელის ფასიც; მარტო ბოლო ერთ წელიწადში ერთი მზის პანელის ფასი 20%-ით შემცირდა.

საქართველოში, მართალია ნელი ტემპებით, მაგრამ მაინც იზრდება მზის პანელების გამოყენების მასშტაბები, მაგრამ სასურველია, უფრო მაღალი ტემპით მიდიოდეს ეს პროცესი. საქართველოში ძირითადად იყიდება ჩინური წარმოების მზის პანელები და მათი ფასი მერყეობს 400 ლარიდან 600 ლარამდე და მათი სამძლავრე ვარირებს 315-დან 330 ვატპიკამდე. შემდეგ, ამ სფეროში მომუშავე ქართველი სპეციალისტების თანახმად, ხუთი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგურის ყიდვა და დამონტაჟება (დაახლოებით ჭირდება 20 ცალი 250 ვატი სამძლავრის პანელი) ჯდება 4000 დოლარი. ეს ელექტროსადგური მის მფლობელს წელიწადში საშუალოდ მიანვდის 6000-6500 კვტსთ ელექტროენერგიას. ამ მოწყობილობას შეუძლია უპრობლემოდ იმუშაოს 25 წელი. მომხმარებელს შეუძლია ელექტროენერგია მომარაგებლის ქსელს მიაწოდოს და სათანადო ანაზღაურებაც მიიღოს. ამჟამად „თელასი“ მისთვის მიწოდებულ ერთ კლვტსთ ელექტროენერგიაზე მზის პანელების მფლობელს 11 თეთრს უხდის, ხოლო „ენერგოპროჯორჯია“ – 10 თეთრს (მაგალითად, ნიდერლანდებში ელექრომომარაგების კომპანია „ესენტი“ მისთვის მზის პანელებიდან მიწოდებულ 1 კვტსთ-ში იხდის 7 ევროცენტს). სხვათა შორის, ნიდერლანდებში მზის პანელებზე გაწეული ხარჯები, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ანაზღაურდება 6-7 წელიწადში, საქართველოშიც ალბათ დაახლოებით იგივე პერიოდი დასჭირდება.

საქართველოს ხელისუფლებამ სათანადო სპეციალისტების მონაწილეობით უნდა შეიმუშაოს ქვეყანაში მზის პანელების წარმოების, გავრცელებისა და გამოყენების სახელმწიფო პროგრამა. ჩვენ გვაქვს ყველა სანედლეულო რესურსი მის საწარმოებლად. თავიდან კარგი იქნება, ამ საქმეში უცხოური ინვესტიციების გამოყენება. საქართველოში მზის პანელების გამოყენების მსურველს უნდა მიეცეს შეღავათიანი და მიზნობრივი კრედიტი და ასევე ნაწილობრივ სუბსიდიებიც. კრედიტის დაფარვა კი ნაწილობრივ უნდა ხდებოდეს ქსელში დაბრუნებული ელექტროენერგიის ღირებულებიდან. ეს იქნება არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური პროგრამაც. მზის პანელების წარმოებაში და მათ მონტაჟზე დასაქმდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ხოლო მოსახლეობა მიიღებს ელექტროენერგიას, ჭარბ ელექტროენერგიას კი ქსელს მიაწვდის და გარკვეულ შემოსავალსაც მიიღებს. მზის პანელების წარმოება შესაძლებელია გახდეს ჩვენი მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი.

გარდა ამისა, საქართველოში უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი წარმოებები, ფარმაცევტული და ეთერზეთოვანი ქარხნები, ასევე ელექტროტექნიკური და კერძოდ, მეცნიერაბატევადი და შრომატევადი ქარხნები. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი სამწუხარო შემთხვევა: წელი ზუსტად აღარ მახსოვს, გერმანიაში, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, სადაც ასევე პოლიგრაფიული ტექნიკის გამოფენაც იყო, ქართველი გამომგონებლის მიერ შექმნილმა პოლიგრაფიული ბეჭდვის დანადგარმა ოქროს მედალი მიიღო. მასთან რამდენიმე კომპანიამ ხელშეკრულებებიც გააფორმა მსგავსი დანადგარის მიწოდებაზე. მაგრამ გამომგონებელი დაბრუნდა შინ თუ არა, საქართველოში საწარმოო ფართზე იჯარა გაუუქმეს. მას არც სახელმწიფო და არც არავინ დაეხმარა საწარმოო ფართის დაქირავებაში და კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები ვერ შესრულდა. არადა შესაძლებელი იქნებოდა ერთი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი

საწარმოს შექმნა, რომლის თანდათანობით განვითარება-გაფართოება საქართველოს მრეწველობას ერთ კარგ საწარმოს შემატებოდა. ასე კი მრავალი ქართველი გამომგონებლის შრომა უკვალოდ იკარგება, მათთვის სათანადო დახმარების გაწევით შესაძლებელი იქნებოდა მრეწველობის ახალ დარგებს საფუძველი ჩაყროდა. მსგავსი მაგალითი, სამწუხაროდ, მრავალია...

ამიტომაც, ჩემი აზრით, თუ მრეწველობის რომელი დარგი ან წარმოება უნდა განვითარდეს საქართველოში, აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ეკონომისტებმა, მეცნიერებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, გამომგონებლებმა და ა. შ. და რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ, თუ მას ქვეყნის წინსვლა აინტერესებს.

დაბოლოს, მინდა დავუბრუნდე ჯერ კიდევ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ და ბატონი ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო საარჩევნო პროგრამის ეკონომიკურ ნაწილებს, რომლებშიც მითითებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის რეალური დამოუკიდებლობის აღდგენის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე აგებული, ცივილიზებული სამყაროს ეკონომიკური კანონებით მოქმედი და ქართულ ყოფით ტრადიციებზე დაფუძნებული ეკონომიკა. უნდა მოხდეს სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობა, რაც განხორციელდება თანდათანობით, ეტაპობრივად, იმ ვარაუდით, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება მხოლოდ ის საწარმოები, რომელთა ფუნქციონირებაც კერძო მეწარმეობის პრინციპებზე, დროის მოცემულ მონაკვეთში, გაუმართლებელი იქნება. სახელმწიფო ჩაერევა ეკონომიკაში იმ ზომით, რომელიც მიჩნეული იქნება აუცილებლობად. ქვეყნის ერთიანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების ხორცშესხმისა და სამეურნეო საქმიანობის განვითარებისათვის. სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემის ლიკვიდაცია ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ეკონომიკური სისტემის

შექმნა, რომელიც პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ასეთად სოციალური საბაზრო მეურნეობა მიგვაჩნია. მის პირობებში ერთმანეთთან შეთანხმებულია თავისუფალი შრომისა და სოციალური უფლებების გარანტიები, საკუთრებისადმი პატივისცემა და საზოგადოებრივი სარგებლობა, თავისუფალი მეწარმეობა და კეთილსინდისიერი კონკურენცია. „ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა და გარემოსადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება აბსოლუტურად აუცილებელია აყვავებისათვის; თავისუფლება და პოლიტიკური პლურალიზმი ჩვენი ამ საერთო მიზნის აუცილებელი ელემენტებია, რომელიც გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, მყარ ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ სამართლიანობას, აყვავებას, დასაქმების გადიდებასა და ეკონომიკური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას“ (პარიზის ქარტია „ახალი ევროპისათვის“).

ჯერ კიდევ უზენაეს საბჭოში მუშაობისას ეკონომისტთა ნაწილი მოითხოვდა მთელი სახელმწიფო ქონების პრივატიზებას, რისი წინააღმდეგნიც ვიყავით ჩვენ. მათ გასაგონად ვამბობდით, რომ დასავლეთის ქვეყნებშიც კი, კერძო კომპანიებთან ერთად, ფუნქციონირებდნენ სახელმწიფო საკუთრებაში (მთლიანად ან ნაწილობრივ) არსებული კომპანიები. კერძოდ, როგორც ცნობილია, არსებობს სხვადასხვა სიტუაცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს მონაწილეობა ან ჩარევა კომპანიის ფლობასა და მართვაში. მაგალითად, ნიდერლანდებში სახელწიფოს მონაწილეობას ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და ეს განპირობებულია სხვადასხვა გარემოებით. კერძოდ, სახელმწიფო მონაწილეობს ისეთი კომპანიების მართვაში, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოების ინტერესებს და ისინი სათანადოდ არ არიან დაცულნი კანონებითა და რეგულაციებით. ეს შეიძლება ეხებოდეს დიდი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ კომპანიებს, მაგალითად, „სხიპჰოლის აეროპორტი“ (ერთ-ერთი უმსხვილესი აეროპორტი მსოფლიოში) ან „ტენეტში“ (მაღალი ძაბვის ქსელებით ელექტროენერ-

გიის მიწოდების კომპანია) და სხვა. ასევე სახელმწიფო ერევა ისეთი კერძო კომპანიების მართვაში, რომლებიც კრიზისში იმყოფებიან და მათი გაკოტრება დიდ სოციალურ პრობლემებს გამოიწვევს. მსგავსი ნეგატიური პრობლემების აღსაკვეთად სახელმწიფო ჩაერია „აბნ ამრო ბანკის" მართვაში, ხოლო „სნს რეაალ ბანკის" შემთხვევაში მოახდინა მისი ნაციონალიზაცია. ამას გარდა, სახელმწიფო მონაწილეობს იმ პროცესებში, რომლებიც დაკავშირებულია რომელიმე სამთავრობო სამსახურის დამოუკიდებელ კომპანიად გარდაქმნაში ან მისი პრივატიზების შემთხვევასთან.

საერთოდ კი ნიდერლანდების სახელმწიფო ფლობს არაერთი მსხვილი კომპანიის აქციებს (ზოგ შემთხვევაში ნაწილს, ზოგში კი მთლიანად), რომელთაც ნიდერლანდების ეკონომიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. სახელმწიფომ ამ კომპანიებში ინვესტიციები ჩადო იმიტომ, რომ ამ კომპანიებისადმი საზოგადოების ინტერესი ძალზე მაღალია. სახელმწიფოს წილები აქვს 32 კომპანიაში. სახელმწიფო მონაწილეობს ამ კოპანიების მართვაში ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით. ასეთ კომპანიებს შორის არიან: „აირ ფრანს-კლმ" (12,7%), „სხიპჰოლის აეროპორტი" (69,7%), „როტერდამის სანავსადგურო კომპანია" (29,2%), „ნიდერლანდების რკინიგზა" (100%), „ჰოლანდიის კაზინო" (100%), „ნიდერლანდების გაზუნი" (100%), „ტენნეტი" (100%), „ნიდერლანდური მუნიციპალიტეტების ბანკი" (50%), „ნიდერლანდების ლატარია" (99%), „აბნ ამრო-ბანკი" (56%), „სახალხო ბანკი" (100%) და ა. შ.

ბუნებრივია, არცერთი ქვეყანა და მათ შორის, საქართველოც არ იქნება მთლიანად დაზღვეული მსგავსი მოვლენებისგან და სახელმწიფოს მონაწილეობას ეკონომიკაში განსაზღვრავს შექმნილი მდგომარეობა, ქვეყნის განვითარების ამოცანები, მისი უსაფრთხოება და სხვა გარემოებანი.

აქვე მინდა ერთ საკითხზე გავამახვილო ყურადღება. 1991 წელს რუსულად გამოქვეყნდა გერმანელი ეკონომისტისა და გერმანული ეკონომიკური სასწაულის ავტორის, ლუდვიგ ერ-

ჰარდის წიგნი „კეთილდღეობა ყველასთვის“ (შემდგომში 2011 წელს ქართულადაც ითარგმნა და გამოიცა). წიგნის ავტორი რეფორმების ეკონომიკურ მხარეებთან ერთად, მის ზნეობრივ-ეთიკურ მომენტებსაც განიხილავს. მისი ეკონომიკური პოლიტიკა გამსჭვალულია ისეთი ზნეობრივი პრინციპებით, როგორიცაა: ჭეშმარიტება, სიკეთე, ბედნიერება, სამართლიანობა, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, თანასწორობა, წესიერება, პატიოსნება და სხვა. მართლაც, რა საჭიროა ეკონომიკური რეფორმები, თუ არ იქნება მიღწეული ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა, შექმნილი დოვლათის სამართლიანი განაწილება და ქვეყანაში არ აღმოიფხვრება სიღარიბე. თუ ასეთი ზნეობრივი პრინციპებით მივუდგებით ქვეყნის აღმშენებლობას, წარმატებასაც მივაღწევთ.

ბოლოსიტყვა

შევეცადეთ რამდენადმე სრულად გადმოგვეცა საქართველოს უზენაესი საბჭოს ეკონომიკური პროფილის მუდმივმოქმედი კომისიებისა და საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში. ბუნებრივია, ეს ძალზე რთული მისია გახლდათ და მიმაჩნია, რაც ითქვა, მაინც სრულყოფილად ვერ ასახავს ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მთელ საქმიანობას ეკონომიკური მიმართულებით. იყო რა თქმა უნდა, წარმატებები, ნაკლოვანებებიც და შეცდომებიც. ეს ბუნებრივიცაა, მივდიოდით გაუკვალავი გზით. ძალისხმევას არ ვიშურებდით სიძნელეთა დასაძლევად. თუმცა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა მიმდინარე პროცესები და ფაქტობრივად საქართველო უფსკრულში გადაჩეხა რის შედეგებსაც ჯერ კიდევ ვიმკით.

ახლა რამდენიმე სიტყვით მინდა აღვნიშნო 1991 წლის ბოლო თვეებში უზენაეს საბჭოში მუშაობის შესახებ. მოსკოვის პუტჩის შემდეგ თბილისშიც თანდათან იძაბებოდა სიტუაცია. ოპოზიცია უფრო აგრესიულდებოდა, რადგან ისინი შეუკავშირდნენ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს, გართულდა კრიმინალური მდგომარეობაც. 1991 წლის ნოემბერ-დეკემბერში დაიწყეს პერსონალური მანქანების წართმევა და ამიტომაც ხელმძღვანელობამ გაგვაფრთხილა, არ გვევლო ასეთი მანქანებით. მე ჩვეულებრივ, განვაგრძობდი სამსახურში მუშაობას შაბათ-კვირასაც და გაფრთხილების მიუხედავად, პერსონალური მანქანით გადავაადგილდებოდი, რადგან უწესრიგობას თავს ვერ დავუხრიდი („მოსკვიჩი“ მყავდა, რომელიც ჯერ კიდევ 1985 წელს განვადებით ვიყიდე). ერთხელ, დილით, სახლიდან რომ წამოვედი, ვარკეთილში გაგვაჩერეს შეიარაღე-

ბულმა პირებმა და მძღოლს მანქანა მოსთხოვეს. გადავედი მეც და მკაცრად ავუხსენი, ვინც ვიყავი. მათ ხმაც არ ამოუღიათ. განვაგრძეთ გზა.

შემდეგ, თენგიზ კიტოვანი ტელევიზიაში როცა დაბანაკდა, ბატონ ზვიადს ვუთხარი, წავალ, რასაც დამაბარებთ, გადავცემ და პასუხსაც მოგიტანთ. ბატონი ზვიადი თავს იკავებდა, შიშობდა, რომ მათ მძევლად არ ავეყვანე. ბოლოს დამთანხმდა. საღამოს 9-10 საათი იქნებოდა. ბატონი ბიძინა ჩოლოყაშვილი გამყვა. მერაბ კოსტავას ქუჩის დასაწყისში, მარცხენა მხარეს მივდიოდით და უცებ, მოპირდაპირე მხრიდან, ზევიდან, გაისმა ავტომატის ჯერი. ადრე იქ ფრინველის ხორცის მაღაზია იყო, წინ კოლონებიანი და იქ შევაფარეთ თავი. ცოტა ხანი დაველოდეთ, როცა ავტომატის ხმა ჩაცხრა, კვლავ გზა განვაგრძეთ. გმირთა მოედანი მილიციას გადაეკეტა და ტელევიზიისაკენ არავის უშვებდნენ. მათ უფროსს მივმართე, ვუთხარი, ვინ ვიყავი და ვისთან მივდიოდი. მე კი გამატარეს, მაგრამ ბატონ ბიძინას უთხრეს, იქვე დაეცადა. ავედი ტელესტუდიაში. შესასვლელში დაცვას განვუმარტე, რა მიზნით მივედი. ცოტახნის შემდეგ შემიშვეს. იქ დამხვდა ბატონი ნოდარ ნათაძე და ოპოზიციის ნაწილი, თავიდან საკმაოდ აგრესიულად შემხვდნენ (დეტალებს აღარ მოვყვები), ხოლო შემდეგ, როცა ავუხსენი მისვლის მიზეზი, დაწყნარდნენ. ბატონმა ნოდარმა მიმიყვანა ბატონ თენგიზ კიტოვანთან. ხანმოკლე საუბრის შემდეგ გადავეცი ბატონი ზვიადის შეთავაზება, რომ გასულიყვნენ ტელევიზიიდან და დაცული იქნებოდა მათი უსაფრთხოება. ის, რა თქმა უნდა, არ მენდო, ეგონა, ჩვენი მხრიდან მაინც ესროდნენ, შევეცადე დამერწმუნებინა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლიდა, ამიტომ შევთავაზე, რომ მათ კოლონებში ჩავდგებოდით დეპუტატები ჩემი ჩათვლით, ჩავიცმევდით მათ ფორმებს, რომ ვერ გავარჩიეთ და ერთად გავიდოდით. მათთან ერთად დავრჩებოდით, სანამდეც საჭიროდ ჩათვლიდა. დაფიქრდა და მითხრა, პასუხს შემოგითვლითო. გვიან დავბრუნდი, ღამის 3 საათი იწყებოდა, ბატონი ზვიადის მდი-

ვანმა რომ დამინახა, გაუხარდა და მითხრა, სად ხარ ამდენი ხანი, პრეზიდენტი ნერვიულობს, შედი სასწრაფოდო. შევაღე ბატონი ზვიადის კაბინეტის კარი, დამინახა და გახარებულმა მკითხა: სად იყავი ამდენი ხანიო?! ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. კარგი, წადი დაისვენე, დაველოდოთო. კიტოვანთან კიდევ რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა ამ საკითხზე, მართლაც გავიდნენ ტელევიზიიდან. ჩემი შეთავაზებული პირობა აღარ გახდა საჭირო.

სხვათა შორის, თენგიზ კიტოვანთან სხვა დროსაც მომინია შეხვედრა (ერთი შეხვედრის გამო, რომლის შესახებაც ველარ ვიტყვი, როდის და რატომ) ვარკეთილში, ჩემს სახლში, რომ მოჰყავდათ, თურმე ნერვიულობდა, ის აქეთ არ უნდა ცხოვრობდეს, ხომ არ მატყუებთ, იმხელა თანამდებობა ჰქონდაო... ბინაში რომ შემოვიდა, შეათვალიერა რა იქაურობა, მომმართა: მართლა დასამხობი ყოფილხართ, აქ როგორ ცხოვრობო.

ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ უზენაესი საბჭოს შენობის ალყის დროს სულ ზევით, მეოთხე სართულზე ვიყავი, ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთად. გარკვეული პრობლემები შეექმნა ბატონ იური ბურკაძეს (სამწუხაროდ, ახლახან გარდაცვლილა, აცხონოს უფალმა) და ბატონი ზვიადის თანხმობით ჩვენთან, ზემოთ ავიყვანეთ. „ბუნკერიდან“ (წინათ იქ სასადილო იყო) გასვლის შესახებ უზენაესი საბჭოს შენობიდან გვიან გავიგეთ. როდესაც დაბლა ჩავედით, ორი „იკარუსის“ მარკის ავტობუსი იდგა: ერთს ბორბლები დაცხრილული ჰქონდა, მეორე კი გადაჭედილი იყო. ავტობუსში მსხდომნი მანიშნებდნენ, მეც ავსულიყავი. ხალხი კიბეებზე იდგა და მძღოლმა კარები ძლივს დახურა, როგორღა ავიდოდი. ზევით, ჩიტაძის ქუჩაზე დავინახე „ბეტეერი“ და პრეზიდენტის დაცვის ბიჭები. დედაქალაქიდან გასასვლელად ემზადებოდნენ. მივედით, ბატონ ზვიადს დავემშვიდობეთ. წამოვედით ფეხით, ქალაქის მერიასთან დავშორდი ბიძინა ჩოლოყაშვილს და იური ბურკაძეს. მე და ჩემი მძღოლი კი ფეხით გავუყევით ჩვენს გზას. ამ გზაზეც

მრავალი ხიფათიანი თავგადასავალი გადაგვხდა. ღმერთის წყალობით გადავრჩით...

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო ზუგდიდის ამბებიდან. თავიდან კარგად ვითარდებოდა მოვლენები, შემდეგ კი გარკვეული პრობლემები შეგვექმნა. მთავრობის სხდომაზე ბატონმა ზვიადმა გვკითხა, ნუთუ არავის შეგიძლიათ თბილისში მთავრობაში დარეკოთ და დაელაპარაკოთ? ერთ-ერთმა წევრმა თქვა, ჩვენთან არავის სურს ლაპარაკიო. მე კი ვუპასუხე, დავრეკავ და ვცდი. ბატონმა ზვიადმა ტელეფონის აპარატზე მიმითითა. დავრეკე. ყურმილი აიღო ნაცნობმა პიროვნებამ, ჩემი ხმა რომ გაიგო, გაუხარდა. ამ დროს მომეჭრა ის კაცი, რომელმაც პრეზიდენტს უთხრა, არავის უნდა ჩვენთან დალაპარაკებაო. გამომგლიჯა ყურმილი და დაუწყო ლანძღვა. ყურმილი დაკიდეს და კავშირი შეწყდა. ბატონი ზვიადი ძალიან გაბრაზდა. ყველა დაითხოვა, მე მომიტრიალდა და მითხრა, თუ შეგიძლია ახლიდან დარეკეო. ამჯერად ყურმილი აიღო ჩემთვის მეტად პატივცემულმა ადამიანმა. სწრაფი მოკითხვის შემდეგ ვუთხარი, სათხოვარი მაქვს-მეთქი. მან შემაწყვეტინა, ტელეფონში ნუ იტყვი, კაცი გამოგზავნეო. ყველაფერი გასაგები იყო. ბატონი ზვიადის თანხმობით, მართლაც გავგზავნეთ კაცი თბილისში და საჭირო ტვირთიც გამოგვიგზავნეს. მაგრამ ახლა პრობლემა სამტრედიაში შეიქმნა, სადაც მოწინააღმდეგის ჯარი იდგა და ტვირთს არ ატარებდნენ. მოვიდნენ ის პირები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ ამ ტვირთის ჩამოტანაზე. გამოვართვი იმ გზის დაცვის უფროსის ტელეფონის ნომერი, ვისაც შეეძლო ტვირთის გამოტარება. დავურეკე, კარგა ხანს ვისაუბრეთ, ბოლოს დამპირდა, რომ ტვირთს გამოატარებდნენ და მართლაც შეასრულეს დანაპირები. ამ შემთხვევას როცა ვიხსენებ, სულ ვემადლიერები იმ დაპირისპირებაში მყოფ ქართველებს და დარწმუნებული ვარ, მაშინ შეიძლებოდა ჩვენი შერიგება და ქვეყნის გადარჩენა. შეურიგებელ მტრებს ბევრად ჭარბობდნენ შემრიგებლური ქართველები...

დაბოლოს, საქართველოს უზენაეს საბჭოში და მთავრობაში ბევრ საინტერესო პიროვნებასთან ერთად მომიწია მუშაობა, მათგან ზოგიერთი სამწუხაროდ, ამ ქვეყნიდან უდროოდ წავიდა. მართლაც, რად ღირდა ბატონ ზვიადთან მუშაობა, ახლაც დარწმუნებული ვარ, იგი მოკლეს. მავანი მკითხავს, სად ვიყავი იმ დროს. მე დამევალა ტრანსპორტის მობილიზება და კოდორის გზით გადმოსული ლტოლვილებისათვის, სვანეთის საზღვართან, სამგზავრო და სატვირთო მანქანების დახვედრება. შემდეგ, ამ ლტოლვილების დიდი ნაწილი სამეგრელომ შეიფარა. საჭირო იყო ფქვილის განაწილება და ა. შ. შემდეგ კი ჩემი კოლეგების წინადადებით, ფოთში უნდა გადავსულიყავი სამუშაოდ, რაც ძალიან არ მესიამოვნა და უკმაყოფილებაც გამოვთქვი, მაგრამ ბატონი ზვიადი მათ დაეთანხმა და იძულებული გავხდი, ფოთში წავსულიყავი სამუშაოდ. იქაც საკმაოდ მოგვიგროვდა ლტოლვილები და თამაზ ვაშაძე, რამდენიმე დეპუტატი და მე ზღვით (სახმელეთო გზას პუტჩისტები აკონტროლებდნენ) ბათუმში გავემგზავრეთ, რათა ასლან აბაშიძისათვის გვეთხოვა, ჩვენგან გაგზავნილი ლტოლვილები თბილისისაკენ გაემგზავრებინა (ამ დროს კი მათი ტელევიზია უსირცხვილოდ აცხადებდა, „სამეგრელო, ერთი ლტოლვილი მაინც შეინახეო“). მოლაპარაკების დასრულების შემდეგ დაბრუნებას ვაპირებდით. მოულოდნელად გაგვაფრთხილეს, უკან არ წავსულიყავით. ფოთში პუტჩისტები შესულიყვნენ. ვისაც პრეზიდენტის უსაფრთხოება ევალებოდა, ისინი გვამშვიდებდნენ, უსაფრთხოდ არისო. ბოლოს რაც მოხდა, ყველამ ვიცით. სამწუხაროდ, 2007 წელს მისი ნეშთის გადმოსვენებას გროზნოდან თბილისში ვერ დავესწარი, ჩემი ავადმყოფობის გამო.

კარგად ვიცნობდი ჩვენს ეკონომიკის პირველ მინისტრს, მურმან გედენიძეს, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშვნიდან სულ მალე მოულოდნელად გარდაიცვალა. ჯერ კიდევ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ერთად ვმუშაობდით. ასევე ძალიან

დამწყვიტა გული უზენაესი საბჭოს წევრების – ჯემალ გოლეთიანის, ირაკლი ჩხეიძის, ტარიელ გელანტიას და სხვათა, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის პირველი პრეზიდენტის, გია თოფურიას გარდაცვალებამ, 2017 წელს გარდაიცვალა თემურ ქორიძე. მისი მონახულება კი მოვასწარი. დიდხანს ვისაუბრეთ, ბევრი ფაქტი შევაჯერეთ. იგი იყო უზენაესი საბჭოს განათლების, კულტურისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე. მის კომისიაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის უშუალო მონაწილეობით, შეიქმნა დებულება ფასიანი სასწავლებლების შესახებ. მართალია, თავიდან სოკოებივით მომრავლდნენ ასეთი სასწავლებლები, მაგრამ დროთა განმავლობაში კონკურენციისა და სხვა გარემოებათა გამო, ბევრი დაიხურა ან გაუქმდა. გარკვეული ნაწილი განვითარდა და გაძლიერდა და ახლა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს უმაღლესი, საშუალო სპეციალური და ზოგადი საშუალო განათლების სისტემაში.

საქართველოს უზენაეს საბჭოში მუშაობისას გავიცანი ბევრი ღირსეული თანამემამულე და უცხოელი სტუმარი. მათთან თანამშრომლობამ ბევრი რამ შემძინა. ამასთან მომიწია ურთიერთობა უაღრესად საინტერესო მეცნიერ-მუშაკებთან და სპეციალისტებთან სხვადასხვა დარგში, მათი დახმარებით შევძელი ბევრი პრობლემის მოგვარება, რისთვისაც მათი მადლიერი ვარ. ბევრ მათგანთან ახლაც ვმეგობრობ.

რა თქმა უნდა, საქართველოს უზენაეს საბჭოში მუშაობის ხანმოკლე პერიოდმა, მიუხედავად თავისი სირთულეებისა, წარუშლელი კვალი დაამჩნია ჩემს ცხოვრებას. ცხოვრება კი წინ მიდის. გული მწყდება, რომ აქამდე არ არის გამოძიებული ბატონი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე, ფაქტობრივად არ არის შეფასებული 1991-1992 წლების იანვარ-დეკემბრის მოვლენები...

თითქმის 30 წელიწადი გავიდა იმ ჩემთვის დაუვიწყარი მოვლენებიდან, მაგრამ საქართველო ისევ თითქმის გამოუვალ პრობლემებშია ჩაფლული...

ალბათ მოვა დრო, ღმერთის წყალობით და ჩვენი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად ყველაფერი აღორძინდება. ამისთვის კი საჭიროა, ქვეყანას რეალური პატრონი ჰყავდეს და სამშობლოზე რეალურად შეყვარებული, მზრუნველი, ხალხის ბედ-იღბლით დაინტერესებული და მისი მოჭირნახულე ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლებაში. თავდადებული, მძიმე და ხანგრძლივი შრომა მოგვიწევს. როგორც უინსტონ ჩერჩილი ამბობდა, „24 საათში 25 საათი უნდა ვიმუშაოთ“.

დანართი 1

წარმოგიდგენთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შემუშავებულ „კანონპროექტს, საქართველოში წარმოებისა და მომსახურების სფეროში კოოპერაციის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“[1]. სამწუხაროდ, ამ კანონპროექტის მიღება და კანონად დამტკიცება უზენაესმა საბჭომ ვერ მოასწრო. თუმცა თვით პროექტის შემუშავება მოკლე დროში მოხდა და დროულად გამოქვეყნდა, პრესაშიც ამ კანონპროექტის ირგვლივ გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი. ჩემი აზრით, მისი აქტუალობიდან გამომდინარე მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამ კანონპროექტის გაცნობა.

კანონპროექტი „საქართველოში წარმოებისა და მომსახურების სფეროში კოოპერაციის შესახებ“ შედგება ოთხი კარისაგან და ოცდათერთმეტი მუხლისაგან. კანონპროექტი იწყება ზოგადი დებულებებით, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივების (შემდგომში კოოპერატივები) ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ პირობებს. კანონმა უნდა დააჩქაროს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გააძლიეროს სამეურნეო ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი, შექმნას მოსახლეობის ფართო ფენების კოოპერატივებში ჩაბმის პირობები. მისი მიზანია კოოპერაციული მოძრაობის ყოველმხრივი გამოყენება სურსათზე, სახალხო მოხმარების საქონელზე, ბინაზე, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების სხვადასხვაგვარ პროდუქციაზე, სამუშაოებზე, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის

[1] საქართველოს რესპუბლიკის კანონი /პროექტი/ „საქართველოში წარმოებისა და მომსახურების სფეროში კოოპერაციის შესახებ“. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა!“ 30.10.1991.

მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. კანონი ადგენს კოოპერაციული დემოკრატიის განვითარების ძირითად პრინციპებს, განსაზღვრავს სახელმწიფოსა და კოოპერაციის ურთიერთობას, უზრუნველყოფს კოოპერატივების სამეურნეო საქმიანობის ფორმათა თავისუფალ არჩევას, სახავს ინიციატივისა და თვითმმართველობის ფართო ასპარეზს, ზრდის კოოპერატივის წევრთა პასუხისმგებლობას თავიანთი შრომის შედეგებისათვის. კანონი მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს კოოპერატივებში ნებაყოფლობითი შესვლისა და იქიდან გამოსვლის, კოოპერატივის ყველა საქმის მართვაში მონაწილეობის უფლებას; კოლექტიური მეურნეობის დამოუკიდებლობას და სანესდებო ამოცანათა შესრულებისათვის გადაწყვეტილებათა მიღებაში კოოპერატივის დამოუკიდებლობას; სოციალურ სამართლიანობასა და სოციალურ თანასწორობას, შრომის ოდენობისა და ხარისხის შესაბამისად პირადი შემოსავლისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებას“.

კანონპროექტის „საქართველოში წარმოებისა და მომსახურების სფეროში კოოპერაციის შესახებ“ პირველი კარი ეძღვნება წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერაციასა და მის ადგილს რესპუბლიკის ეკონომიკაში და მოიცავს პირველ-მესამე მუხლებს. პირველ მუხლში – კოოპერაცია საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში – მითითებულია: „კოოპერაცია – ლათინური სიტყვაა და თანამშრომლობას ნიშნავს. წარმოების ეს ფორმა დამახასიათებელია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის. კოოპერაცია, კოოპერატივის წევრებს აძლევს რეალურ შესაძლებლობებს და მატერიალურად აინტერესებს მათ, გაადიდონ მეურნეობრიობის ეფექტიანობა. საქონლის წარმოების, გაყიდვის, განაწილების, სამუშაოთა შესრულების, მომსახურების გაწევის და სხვა სახეობათა საქმიანობის განხორციელება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით აკრძალული არ არის“.

მომდევნო, მეორე მუხლი ეხება კანონმდებლობას კოოპერაციის შესახებ, რომელშიც მითითებულია, რომ „კოოპერატივების შექმნასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთო-

ბას არეგულირებს ეს კანონი, კანონი მეწარმეობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონები და კანონქვემდებარე სხვა ნორმატიული აქტები. აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სხვა ნორმატიული აქტები, რომელიც ზემოალნიშნული კანონებიდან გამომდინარე გამოიცემა".

მესამე მუხლში – წარმოებისა და მომსახურების კოოპერაციის სისტემა – აღნიშნულია, რომ „კოოპერაციის მოძრაობის თანმიმდევრული განვითარება კოოპერაციას გადააქცევს ფართოდ განშტოებულ სისტემად, რაც ორგანულად არის დაკავშირებული ეკონომიკის სახელმწიფო სექტორთან და მოსახლეობის ინდივიდუალურ შრომით საქმიანობასთან. კოოპერატივები შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში, ფასიანი მომსახურების სფეროსა და წარმოების და სოციალურ-კულტურული ცხოვრების სხვა დარგებში. კოოპერატივებს უფლება აქვთ მისდიონ ყოველი სახეობის საქმიანობას, საქართველოს და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით აკრძალულის გარდა".

ამ კანონპროექტის მეორე კარში განხილულია კოოპერატივი, როგორც წარმოებისა და მომსახურების კოოპერაციის პირველადი რგოლი. ეს კარი მოიცავს მეოთხე-მეთხუთმეტე მუხლებს. ამ კარის მეოთხე მუხლში მითითებულია, რომ

„1. კოოპერატივი არის მოქალაქეთა ორგანიზაცია, რომლებიც ნებაყოფლობით ერთიანდებიან წევრობის საფუძველზე ერთობლივი სამეურნეო და სხვა საქმიანობისათვის საკუთრების უფლებით მისი კუთვნილი იჯარით აღებული ან უფასო სარგებლობისათვის, მოცემული ქონების, დამოუკიდებლობისა და თვითდაფინანსებისა, აგრეთვე კოოპერატივის წევრთა მატერიალური დაინტერესების კოლექტივის და საზოგადოების ინტერესებთან მათი უფრო სრული შეხამების ბაზაზე.

2. კოოპერატივი, როგორც რესპუბლიკის კოოპერაციის სისტემის პირველი რგოლი, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

3. ამ კანონით განსაზღვრულ ამოცანათა და უფლებამოსილებათა განხორციელების ინტერესებისათვის კოოპერატივს უფლება აქვს მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუკი ის არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და კოოპერატივის წესდებას. კოოპერატივი არის იურიდიული პირი, სარგებლობს უფლებებით და ასრულებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი.

4. კოოპერატივის შემადგენლობაში შეიძლება შეიქმნას სტრუქტურული ქვედანაყოფები (მათ შორის ტერიტორიულად განკერძოებულები) განყოფილებანი, საამქროები, ფერმები, სახელოსნოები, ატელიები, მაღაზიები და სხვები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც წესი, ოჯახური და ინდივიდუალური იჯარის საწყისებზე, მათ შორის ქონების არენდით. კოოპერატივს უფლება აქვს გახსნას თავისი ფილიალები (განყოფილებები) და წარმომადგენლობები. კოოპერატივების ფილიალების (განყოფილებების) რეგისტრაცია წარმოებს კოოპერატივების რეგისტრაციისათვის გათვალისწინებული წესით ამ ფილიალების (განყოფლიებების) ადგილმდებარეობის მიხედვით".

მეხუთე მუხლი ეხება კოოპერატივის შრომითი კოლექტივის დახასიათებას და მითითებულია, რომ

„1. კოოპერატივის წევრები, რომლებიც თავიანთი შრომით მონაწილეობენ მის საქმიანობაში, აგრეთვე პირნი, რომლებიც კოოპერატივში მუშაობენ შრომითი ხელშეკრულებით, შეადგენენ კოოპერატივის შრომით კოლექტივს.

1. სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კოოპერატივის საქმიანობას ეხება, ამუშავებენ და იღებენ მისი მმართველობის ორგანოები შრომითი კოლექტივის მონაწილეობით".

მეექვსე მუხლში განხილულია კოოპერატივის საკუთრება და აღნიშნულია, რომ

„1. კოოპერატივების საკუთრება არის მისი კუთვნილი წარმოების საშუალებები და სხვა ქონება, რომლებიც საწესდებო ამოცანათა განხორციელებისათვის სჭირდება. კოოპერატივს შეიძლება ეკუთვნოდეს შენობები, ნაგებობები, მანქანები,

მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, წარმოებული პროდუქცია, საქონელი, ფულადი სახსრები და სხვა ქონება, მისი საქმიანობის შესაბამისად.

2. კოოპერატივის ქონება ყალიბდება მის წევრთა ფულადი და მატერიალური შენატანების, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის, მისი რეალიზაციისა და სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის, კოოპერატივის აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვისაგან შემოსულობებისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე. კოოპერატივის ქონების ფორმირებაში ფულადი და მატერიალური შენატანების გზით სახელშეკრულებო საწყისებზე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს (ორგანიზაციებს), აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან მოცემული კოოპერატივის წევრები, მაგრამ მასში შრომითი ხელშეკრულებით მუშაობენ.

3. კოოპერატივის საკუთრება არის მის მიერ შექმნილი საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონება, აგრეთვე სამეურნეობათშორისო საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონება მისი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად. გაერთიანებათა ქონება, რომელთა შემადგენლობაში შედიან კოოპერატივები, სხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, არის სახელმწიფოს, კოოპერატივებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრება. კავშირის (გაერთიანებების) ქონება, რომელთა შემადგენლობაში შედიან მხოლოდ კოოპერატივები, საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნიან ამ კოოპერატივებს, ანდა შეიძლება იყოს კავშირის (გაერთიანების) საკუთრება.

4. კოოპერატივი, როგორც საკუთრების უფლებით მისი კუთვნილი, აგრეთვე მის სარგებლობაში არსებული ქონების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, მოვალეა ამრავლოს იგი, ეფექტიანად გამოიყენოს და დაიცვას. არავის არა აქვს უფლება გამოიყენოს კოოპერაციული საკუთრება უკანონო შემოსავლის მიღებისა და სხვა ანგარებითი მიზნებისათვის".

მეშვიდე მუხლი ეძღვნება კოოპერატივის საკუთრების სამართლებრივ დაცვას, სადაც აღნიშნულია:

„1. კოოპერაციული საკუთრება, როგორც ჯგუფური საკუთრების ფორმა, ხელშეუხებელია და მას სახელმწიფო იცავს. მას იცავს კანონი სახელმწიფო საკუთრების თანაბრად. კოოპერატივის ქონება შეიძლება ამოღებული იქნეს მხოლოდ სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, მათი კომპეტენციის შესაბამისად.

2. ქონების განკარგვის უფლება ეკუთვნის მხოლოდ თვით კოოპერატივს. არ შეიძლება კოოპერატივის ქონების გამოყენება მიზნებით, რომლებიც დაკავშირებული არ არის მის საწესდებო საქმიანობასთან.

3. კოოპერატივს უფლება აქვს: – მიჰყიდოს და გადასცეს სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და მოქალაქეებს, გაუცვალოს, მისცეს იჯარით, სესხად და დროებითი სარგებლობისათვის უფასოდ გადასცეს შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი, ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობანი. აგრეთვე ბალანსიდან ჩამოწეროს ძირითადი ფონდები, თუ ისინი გაცვდა ან მოძველდა. გადასცეს სახელშეკრულებო საწყისებზე მატერიალური და ფულადი რესურსები სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას ან ასრულებენ კოოპერატივისათვის სამუშაოებსა და მომსახურებას.

4. კოოპერატივს ეკისრება დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა გამო, მისი კუთვნილი ქონების, მათ შორის, ძირითადი საშუალებებით. სახელმწიფო პასუხს არ აგებს კოოპერატივის ვალდებულებათა გამო. კოოპერატივი პასუხს არ აგებს სახელმწიფოს და თავისი წევრების ვალდებულებათა გამო. კოოპერატივის წევრები პასუხს არ აგებენ მისი ვალების გამო, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის და მასში შემავალი ავტონომიების სხვა კანონმდებლობით“.

მერვე მუხლი ეძღვნება კოოპერატივების მიერ ბუნებრივი რესურსებისა და ქონების გამოყენებას, რომელიც მისი საკუთრება არ არის. აქ აღნიშნულია, რომ

„1. მიწებითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით კოოპერატივი სარგებლობს საქართველოს და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. კოოპერატივი პასუხს აგებს მისთვის სარგებლობაში გადაცემული მიწების, წყლების, წიალის, ტყეებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ეკოლოგიური პირობების დაცვის მოთხოვნების შესრულებისათვის.

2. კოოპერატივი მოვალეა უზრუნველყოს მიწის ეფექტიანი გამოყენება, მუდმივად იზრუნოს მისი ნაყოფიერების გადიდებისათვის, მომჭირნედ ისარგებლოს მიწით იმ მიზნების შესაბამისად, რისთვისაც მიეცა იგი, დაიცვას გარემო გაჭუჭყიანებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან და ამასთან დაკავშირებით განახორციელოს წარმოების ორგანიზაცია მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების ბაზაზე. კოოპერატივი საკუთარი სახსრების და კრედიტების ხარჯზე ახორციელებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს, უზრუნველყოფს გარემოზე წარმოების უარყოფითი ზემოქმედების კომპენსაციას. ცალკეულ შემთხვევაში დაშვებულია ასეთი ღონისძიებების დაფინანსება ცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე. კოოპერატივის საქმიანობა, რომელიც უხეშად არღვევს ბუნებათსარგებლობის დადგენილ რეჟიმს, აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შეჩერდეს, სანამ არ აღმოფხვრის დაშვებულ დარღვევებს“.

მეცხრე მუხლში – კოოპერატივის საქმიანობის პრინციპები – მითითებულია, რომ

„1. კოოპერატივის საქმიანობას საფუძვლად უდევს კოოპერატივში ნებაყოფლობითი შესვლისა და იქიდან დაუბრკოლებლად გამოსვლის, პირადი, კოლექტიური და სახელმწიფო ინტერესების შეხამების, სამეურნეო დამოუკიდებლობის, მატერიალური დაინტერესების და სოციალური სამართლიანობის, კოოპერატივის წევრთა კოოპერაციული დემოკრატიის,

კანონიერების საფუძველზე მის საქმეთა მართვაში უშუალო მონაწილეობის პრინციპები.

2. კოოპერატივების სამეურნეო თუ სხვა საქმიანობაში ამ და სხვა შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევით ჩარევა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანოების მხრიდან არ დაიშვება. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ან კოოპერაციული ორგანო გამოსცემს ნორმატიულ აქტს, რომელიც არ შეესაბამება მის კომპეტენციას ან არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს და კოოპერატივი მისი შესრულების გამო დაზარალდება, კოოპერატივს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ან არბიტრაჟს განცხადებით ასეთი აქტის მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე და ზარალის ანაზღაურებისათვის.

3. საწარმოო პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების, საქონლის (სამუშაოები, მომსახურება) წარმოებისა და რეალიზაციის გაფართოების მიზნით კოოპერატივებს ნებაყოფლობით საწყისებზე შეუძლიათ თავიანთი სახსრების ნაწილი გააერთიანონ სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებთან, ე. ი. შექმნან საიჯარო მეურნეობები.

კოოპერატივებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ: საწარმოთა და წარმოებათა რეკონსტრუქციასთან და ტექნიკურ განახლებასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებასთან და მოსახლეობის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ერთობლივ შესრულებაში; დარგთაშორის წარმოებების, სარემონტო-სამშენებლო, სავაჭრო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნაში; სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოო, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობასა და ექსპლოატაციაში, აგრეთვე მშენებლობაში; სპეციალისტთა მომზადებასა და სასწავლო-სამრეწველო საწარმოების შექმნაში.

აღნიშნული და სხვა ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად კოოპერატივები დებენ ხელშეკრულებებს, რომლებითაც გათვალისწინებულია ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. „კოოპერატივებს, სხვა საწარმოებთან ერთად, უფლება აქვს ნებაყოფლობით საწყისებზე შედიოდეს ასოციაციებში, კონცერნებში, კონსორციუმებსა და სხვა გაერთიანებებში". პრეფექტურები და სხვა სახელმწიფო ორგანოები კოოპერატივებს ეხმარებიან ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების განვითარებაში, ხელს უწყობენ მათ ამ დარგში მინიჭებული უფლებების რეალიზაციაში".

მეათე მუხლი ეძღვნება კოოპერატივის შექმნასა და მის წესდებას, სადაც აღნიშნულია, რომ

„1. კოოპერატივი იქმნება მოქალაქეთა ნებაყოფლობით საწყისებზე. კოოპერატივის წევრთა რიცხვი არ შეიძლება სამ კაცზე ნაკლები იყოს. კოოპერატივი იქმნება და მოქმედებს დამოუკიდებლად, სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, კოოპერატივი ურთიერთობებს ახორციელებს მხოლოდ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. კოოპერატივის წესდებას იღებს მოქალაქეთა საერთო კრება, რომლებსაც სურთ კოოპერატივის დაფუძნება. კოოპერატივის წესდებაში განისაზღვრება: კოოპერატივის დასახელება, მისი ადგილსამყოფელი, საქმიანობის საგანი და მიზნები, კოოპერატივში შესვლისა და იქიდან გამოსვლის წესი, კოოპერატივის წევრთა უფლებები და მოვალეობანი, მისი მმართველობისა და კონტროლის ორგანოები, მათი კომპეტენცია, კოოპერატივის ქონების შექმნისა და შემოსავლის (მოგების) განაწილების წესი, კოოპერატივიდან გარიცხვის საფუძველი და წესი, კოოპერატივის რეორგანიზაციისა და საქმიანობის შეწყვეტის პირობები. წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნას კოოპერატივის საქმიანობის თავისებურებებთან დაკავშირებული სხვა დებულებები, რომლებიც კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგებიან.

3. კოოპერატივი შექმნილად ითვლება მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან. კოოპერატივს რეგისტრაციაში ატარებს რაიონული და საქალაქო პრეფექტურები. კოოპერატორთა რაიონული და საქალაქო გაერთიანებათა წარდგინებით. სახელმწიფო რეგისტრაციისათვის კოოპერატივმა უნდა წარადგინოს წესდება და სხვა დოკუმენტები, რომელთა ნუსხას ადგენს საქართველოს და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. იმ შემთხვევაში, როცა კოოპერატივის საქმიანობისათვის საჭიროა მიწის ნაკვეთი ან სხვა ბუნებრივი რესურსები, მის რეგისტრაციაში გასატარებლად შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს, მიწათმფლობელის, მიწათმოსარგებლისა ან სხვა ბუნებრივი რესურსების პირველადი მოსარგებლის თანხმობა აუცილებელია მათ მიცემაზე.

4. კოოპერატივის სახელმწიფო რეგისტრაცია უნდა მოხდეს არა უგვიანეს 30 დღისა პრეფექტურაში განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების შეტანის მომენტიდან. სახელმწიფო რეგისტრაციაზე შეიძლება უარი ეთქვას იმასთან დაკავშირებით, თუ დარღვეულია კოოპერატივის შექმნის დადგენილი წესი, მისი წესდება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, აგრეთვე თუ წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივის წესდებაში გათვალისწინებული არ არის კოოპერატივის წევრთა პასუხისმგებლობა კოოპერატივის ვალებისათვის. მიზანშეუწონლობის მოტივით კოოპერატივის რეგისტრაციაზე უარის თქმა არ დაიშვება. თუ სახელმწიფო რეგისტრაცია დადგენილ ვადაში არ განხორციელდა ან მასზე უარი უთხრეს, განმცხადებელს შეუძლია საჩივრით მიმართოს სასამართლოს. კოოპერატივი სახელმწიფო რეგისტრაციისათვის იხდის საფასურს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით და ოდენობით. მიღებული სახსრები ირიცხება რაიონისა და ქალაქის ბიუჯეტში კოოპერატივის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

5. კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მის წესდებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები უნდა შეუთანხმდეს პრეფექტურას, რომელმაც რეგისტრაცია-

ში გაატარა კოოპერატივი, კოოპერატივების სახელმწიფო რეგისტრაციისათვის ამ მუხლით გათვალისწინებული წესითა და ვადებში“.

მეთერთმეტე მუხლში განხილულია კოოპერატივის წევრობის პირობები და მითითებულია, რომ

„1. კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ყოველი მოქალაქე. კოოპერატივის კოლექტიური წევრები შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა კოოპერატივები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოები და ორგანიზაციები, კოოპერატივებისა და მათი კოლექტიური წევრების ურთიერთობა მყარდება სახელშეკრულებო საწყისებზე.

2. მოქალაქეს უფლება აქვს იყოს სხვადასხვა სახეობის რამდენიმე კოოპერატივის წევრი, მაგრამ არ შეიძლება იყოს ამავე დროს ერთი სახეობის ორზე მეტი კოოპერატივის წევრი, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით.

3. წევრთა ურთიერთობის შედეგად წარმოქმნილ საქმეთა გამო, დავას წყვეტენ კოოპერატივის ორგანოები მისი წესდებით განსაზღვრული წესით, ხოლო რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლო.

4. კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან მისი საერთო კრების გადაწყვეტილებით წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კრების ხმების თანაბარი ოდენობის პირობებში, გადამწყვეტია ის მხარე, საითაც ხმა მისცა კოოპერატივის თავმჯდომარემ. კოოპერატივის წევრებიდან გარიცხვა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

5. პირები, რომლებსაც სასამართლომ აუკრძალა გარკვეული საქმიანობა ან გარკვეულ თანამდებობათა დაკავება, არ შეიძლება იყვნენ შესაბამისი სახეობის საქმიანობის კოოპერატივის წევრები, მონაწილეობდნენ მის მუშაობაში შრომითი ხელშეკრულებით ან ეკავოთ კოოპერატივში შესაბამისი თანამდებობა. პირები, რომლებიც ნასამართლევი არიან დატაცების, მექრთამეობისა და სხვა ანგარებითი დანაშაულობებისათვის, არ შეიძლება არჩეული იქნენ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ ან წევრად, სარევიზიო კომისიის

თავმჯდომარედ ან წევრად (რევიზორად), აგრეთვე დაიკავონ სხვა ხელმძღვანელი პოსტები და მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული თანამდებობანი".

მეთორმეტე მუხლში განხილულია კოოპერატივის წევრთა უფლება-მოვალეობანი, სადაც აღნიშნულია, რომ

„1. კოოპერატივის წევრებს აქვთ უფლება: მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივის საქმიანობასა და მის საქმეთა მართვაში, აირჩიონ და იყვნენ არჩეულნი კოოპერატივის მართვისა და კონტროლის ორგანოებში, შეიტანონ წინადადებანი კოოპერატივის საქმიანობის გაუმჯობესების, მისი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ; მიიღონ იმ შემოსავლის (მოგების) ნაწილი, რომელიც კოოპერატივის წევრებს შორის უნდა განაწილდეს შრომითი წვლილის შესაბამისად, ხოლო წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში აგრეთვე კოოპერატივში ქონებრივი შენატანის შესაბამისად, ისარგებლონ კოოპერატივის ქონებით, კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული შეღავათებითა და უპირატესობით; მიიღონ კოოპერატივის თანამდებობრივ პირთაგან ინფორმაცია ყოველ საკითხზე, რომელიც მის საქმიანობას ეხება;

საწარმოო კოოპერატივის წევრებს, გარდა ამისა, უფლება აქვთ: მიიღონ სამუშაო კოოპერატივში, მათ შორის ის უფლება, რომ აირჩიონ პროფესია და საქმიანობის სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და კოოპერატივის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით; ისარგებლონ დასვენებით, ყოველწლიური ფასიანი შვებულებით, რომლის ხანგრძლივობა შესაბამის კატეგორიათა მუშა-მოსამსახურეებისათვის დაწესებულზე ნაკლები არ უნდა იყოს; სოციალური დაზღვევითა და სოციალური უზრუნველყოფით; კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებითა და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებით კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ დადგენილი წესით.

2. კოოპერატივის წევრები ვალდებულნი არიან: დაიცვან კოოპერატივის წესდება და შეასრულონ კოოპერატივის საერ-

თო კრების, მართვისა და კონტროლის არჩევითი ორგანოების გადაწყვეტილებანი; აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივის საქმეთა მართვაში; გამოიყენონ შრომის მოწინავე ფორმები და მეთოდები კოოპერატივში. პასუხი აგონ თავიანთი მუშაობის შედეგებისათვის, დაიცვან საწარმოო და შრომის დისციპლინა, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესები, აიმაღლონ კვალიფიკაცია; რაციონალურად გამოიყენონ და გაუფრთხილდნენ კოოპერატივისათვის გადაცემულ ბუნებრივ რესურსებს".

მომდევნო, მეცამეტე მუხლი ეხება კოოპერატივის მართვას. აქ აღნიშნულია შემდეგი:

„1. კოოპერატივის მართვა ხორციელდება თვითმმართველობის, ფართო დემოკრატიის, საჯაროობის, კოოპერატივის საქმიანობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში, მისი წევრების აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

2. კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მიმდინარე საქმეების ხელმძღვანელობისათვის ირჩევს თავმჯდომარეს, დიდ კოოპერატივებში კი აგრეთვე გამგეობას. კოოპერატივის თითოეულ წევრს, მათ შორის კოლექტიურს, აქვს ერთი ხმა, მისი ქონებრივი შენატანის ოდენობის მიუხედავად. კოოპერატივში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მოქალაქენი საერთო კრებაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

4. საერთო კრება იღებს კოოპერატივის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები; ირჩევს კოოპერატივის თავმჯდომარეს, კოოპერატივის გამგეობას და სარევიზიო კომისიას (რევიზორს), ისმენს ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ; წყვეტს კოოპერატივის წევრად მიღების, კოოპერატივიდან გარიცხვის საკითხებს, აგრეთვე კოოპერატივიდან გასვლასთან დაკავშირებულ საკითხებს; იღებს და ცვლის კოოპერატივის შინაგანაწესს, შრომის ანაზღაურების, ქონებისათვის მიყენებული ზარალის გამო მატერიალური პასუხისმგებლობის დებულებებს, კოოპერატივის სხვა შინაგან აქტებს; განსაზღვრავს კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული

შესასვლელი და საპაიო შენატანების ოდენობას; ადგენს შემოსავლის (მოგების) განაწილების წესს, კოოპერატივის ფონდებისა და რეზერვების გამოყენების ოდენობასა და მიმართულებებს, იხილავს ფასწარმოქმნის საკითხებს; წყვეტს კოოპერტივის საქმიანობის რეორგანიზაციისა და შეწყვეტის საკითხებს.

გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე განეკუთვნება, მხოლოდ და მხოლოდ, კოოპერატივის საერთო კრების კომპეტენციას. კოოპერატივის წესდების შესაბამისად ან საერთო კრების გადაწყვეტილებით მის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეიძლება განეკუთვნოს კოოპერატივის ორგანიზაციული, სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა საკითხებიც. დიდ კოოპერატივებში საერთო კრების გამგებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის შეიძლება რწმუნებულთა კრების მოწვევა.

4. კოოპერატივების გამგეობა (თავმჯდომარე კოოპერატივისა, რომელშიც გამგეობა არ არის) ახორციელებს ხელმძღვანელობას კოოპერატივის მიმდინარე საქმიანობისადმი და იღებს გადაწყვეტილებებს საკითხებზე, რომლებიც არ განეკუთვნება, მხოლოდ და მხოლოდ, საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) კომპეტენციას. გამგეობის თავმჯდომარე არის კოოპერატივის თავმჯდომარე. კოოპერატივის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, წარმოადგენს კოოპერატივს სახელმწიფო ორგანოებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და სხვა კოოპერატივებთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს, ახორციელებს სხვა მოქმედებებს.

სარევიზიო კომისია (რევიზორი) ამოწმებს გამგეობის ფინანსებს და სამეურნეო საქმიანობას“.

მეთოთხმეტე მუხლი ეძღვნება კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტას და საჯარიმო სანქციებს, მასში მითითებულია:

„1. კოოპერატივის რეორგანიზაცია (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) და მისი საქმიანობის შეწყვე-

ტა (ლიკვიდაცია) წარმოებს კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

2. კოოპერატივის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს აგრეთვე პრეფექტურის გადაწყვეტილებით, რომელმაც კოოპერატივი რეგისტრაციაში გაატარა, იმ შემთხვევებში:

ა) თუ კოოპერატივს რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წლის ვადაში არ დაუწყია საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა ან არ განუახლებია ფაქტობრივად შეწყვეტილი საქმიანობა ერთი წლის გასვლიდან შემოსავლის შესახებ უკანასკნელი დეკლარაციის მიცემის შემდეგ;

ბ) კოოპერატივის ხანგრძლივი (ექვს თვეზე მეტი) გადახდისუუნარობის დროს:

გ) თუ კოოპერატივის რეგისტრაციაში გამტარებელი პრეფექტურის მიერ გამოტანილი გაფრთხილების მიუხედავად კოოპერატივი უხეშად არღვევს კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს კოოპერატივის საქმიანობას, საფინანსო დისციპლინას, საგარეო-სავაჭრო ოპერაციების განხორციელების დადგენილ წესსა თუ წესდებას. პრეფექტურის გადაწყვეტილება კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ერთი თვის ვადაში კოოპერატივისათვის მისი გადაცემის დღიდან. კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის აღნიშნული ვადის გასვლისას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა იგი გასაჩივრებულია – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

2. კოოპერტიული საკომისიო და კომერციული მაღაზიების საქმიანობას წყვეტს პრეფექტურები იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის განმავლობაში შემმოწმებელი ორგანოების მიერ 3-ჯერ იქნა აღმოჩენილი გაუფორმებელი ეგრეთ წოდებული მარცხენა საქონელი, ან გაფორმებულზე ზევით ფასების გამოცხადება; ამასთან პირველ შემთხვევაში ხდება ამ საქონლის კონფისკაცია, მისი სრული ღირებულებით; მეორე შემთხვევაში კონფისკაცია გაორმაგებული ფასით და ა. შ. – ბიუჯეტის სასარგებლოდ.

3. კოოპერატივის ლიკვიდაციის დროს ბიუჯეტთან, ბანკებთან და სხვა კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება კოოპერატივის წევრთა შორის. მეთხუთმეტე მუხლში – კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებანი) – აღნიშნულია შემდეგი:

1. კოოპერატიული მოძრაობის სწორი კოორდინაციის მიზნით კოოპერატივები ერთიანდებიან ტერიტორიული და დარგობრივი ნიშნის მიხედვით, რაიონულ, საქალაქო და ავტონომიურ რესპუბლიკათა გაერთიანებებში, ასოციაციებში, რომლებიც ქმნიან რესპუბლიკურ კავშირს. ამასთან ეს გაერთიანებები და კავშირები იქმნება ნებაყოფლობით საწყისებზე.

2. კოოპერატივების კავშირების, ასოციაციების (გაერთიანებების) ძირითადი ამოცანებია: განავითაროს კოოპერაციული დემოკრატია, კოლექტიურად განიხილონ კოოპერატივების საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, განაზოგადონ გამოცდილება და შეიმუშაონ რეკომენდაციები არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების უფრო სრული გამოყენების შესახებ, გაუწიონ პროპაგანდა კოოპერაციულ მოძრაობას; ხელი შეუწყონ კოოპერატივებს საწარმოო პროცესების განხორციელებაში; შეისწავლონ იმ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ბაზრის მდგომარეობა და პერსპექტივები, რომლის წარმოებასა და გაყიდვაზე დასპეციალებული არიან კოოპერატივები; უზრუნველყონ კოოპერატივების უფლებების დაცვა და გაუწიონ მათ იურიდიული დახმარება. წარმოადგინონ მათი ინტერესები შესაბამის სახელმწიფო და სხვა ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში; დაეხმარონ კოოპერატივებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვაში, მათი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეკლამაში, კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

3. კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებები) მოქმედებენ კოოპერატივთა ყრილობების, დელეგატთა (რწმუნებულთა) კრებების მიერ მიღებულ წესდებათა საფუძველზე; კოოპერატივთა კავშირი (გაერთიანება) ითვლება შექმნილად,

აღიარებულ იურიდიულ პირად და შეუძლია განახორციელოს სამეურნეო და სხვა საქმიანობა მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებები) იქმნება კოოპერატორთა კონფერენციებსა და ყრილობებზე. კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ ჰქონდეთ ქონება, რომელიც სჭირდებათ მათ თავიანთი საწესდებო ამოცანების შესასრულებლად და სხვა სახეობათა საქმიანობის განსახორციელებლად. კავშირების (გაერთიანებების) და მათი მართვის აპარატების შენახვის ხარჯები ხორციელდება შესაბამისი კოოპერატივების შემოსავლების ანარიცხების ხარჯზე, აგრეთვე ამ კავშირების (გაერთიანებების) სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლების ხარჯზე".

ზემოთ აღნიშნული კანონის მესამე კარი ეძღვნება კოოპერაციის სისტემაში სამეურნეო მექანიზმის ეკონომიკურ საფუძვლებს. ეს კარი მოიცავს მეთექვსმეტე-ოცდამეათე მუხლებს. მეთექვსმეტე მუხლში – კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობის საფუძვლები – მითითებულია შემდეგი:

„1. კოოპერაციის საქმიანობა იგება სამეურნეო ანგარიშიანობისა და თვითდაფინანსების, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ფართოდ გამოყენების პრინციპების საფუძველზე. ამასთან, პროდუქტის წარმოებისა და წარმოებული პროდუქტების, აგრეთვე შემოსავლის განაწილების კოოპერაციული ფორმა განაპირობებს კოოპერაციაში სამეურნეო მექანიზმის თავისებურებებს: ფასწარმოქმნაში, შრომის ანაზღაურებაში, სახელმწიფო ბიუჯეტთან, ბანკებთან ურთიერთობაში, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

2. საწარმოო კოოპერატივი ეკონომიკურად დამოუკიდებელი ჯგუფური საქონელმწარმოებელია. მოქმედებს რა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, იგი განსაზღვრავს თავისი საქმიანობის მიმართულებას, წარმოების მოცულობასა და სტრუქტურას, ახორციელებს მის დაგეგმვას, ორგანიზაციას, პროდუქციის (სამუშაოს, მომსახუ-

რების) რეალიზაციას. კოოპერატივს უფლება არ აქვს განახორციელოს საქმიანობა, თუ იგი არ შეესაბამება მისი წესდებით გათვალისწინებულ საგანსა და მიზნებს, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში – გაცემულ ლიცენზიებსაც. კოოპერატივს აქვს სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა თავის საქმიანობაში და დანახარჯებს ფარავს კოოპერატივის წევრთა შესატანებისა და მისი სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

3. კოოპერატივის სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობა სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან – მისი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მომხმარებელთან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიმწოდებლებთან ხორციელდება მხოლოდ სახელშეკრულებო საწყისებზე. მართვის სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩარევა კოოპერატივებისა და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება-განხორციელებაში დაუშვებელია.

მეჩვიდმეტე მუხლი ეძღვნება კოოპერატივის პროდუქციის ფასებისა და ტარიფების, ფასწარმოქმნის საკითხებს, სადაც აღნიშნულია, რომ

„1. კოოპერატივის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ფასები და ტარიფები უნდა ასახავდეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საზოგადოებრივად საჭირო ხარჯებს, ითვალისწინებდეს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) სამომხმარებლო თვისებებს და ხარისხს, მომხმარებელთა მოთხოვნას.

2. კოოპერატივი ასაღებს საკუთარი წარმოების პროდუქციასა და საქონელს, ასრულებს სამუშაოებს და ეწევა მომსახურებას იმ ფასებით და ტარიფებით, რომლებსაც კოოპერატივი აწესებს მომხმარებელთან მორიგებით ან დამოუკიდებლად.

3. სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად სახელმწიფო ფასებით მიწოდებული ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქციის

(სამუშაოს, მომსახურების) კოოპერატივები რეალიზაციას უკეთებენ ცენტრალიზებულად განსაზღვრული ფასებით (ტარიფებით), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ნებადართულია სახელმწიფო საწარმოებისათვის – სახელშეკრულებო ფასებით (ტარიფებით)".

მეთვრამეტე მუხლი ეხება შემოსავალის და მის განაწილების საკიხებს და აღნიშნულია რომ

„1. კოოპერატივი თავისი სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით თვითანაზღაურებად საწარმოს (ორგანიზაციას) წარმოადგენს. ზარალიანი მუშაობა შეუთავსებელია მის არსთან. კოოპერატივის შემოსავალი ყალიბდება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციისაგან მიღებული მოგებით, ერთობლივ საწარმოებში მონაწილეობით მიღებული თანხების, აქციების, დივიდენდებისა და სხვა შემოსულობათა ხარჯზე. საწარმოო-სოციალური განვითარებისათვის, აგრეთვე შრომის ანაზღაურებისათვის მთლიანი შემოსავლის განაწილება, მხოლოდ და მხოლოდ, კოოპერატივის წევრთა საერთო კრების უფლებაა. წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივებში იქმნება სადაზღვევო (სარეზერვო) ფონდი ბიუჯეტთან და ბანკებთან ანგარიშსწორების შემდეგ მათ განკარგულებაში დარჩენილი შემოსავლის (მოგების) არანაკლებ ხუთი პროცენტის ოდენობით. ყოველწლიური ანარიცხები სადაზღვევო (სარეზერვო) ფონდში წარმოებს წინანდელ წელს შექმნილი ამ ფონდის სახსრების ნაშთის ჩათვლით".

მეცხრამეტე მუხლში საუბარია კოოპერატივებში შემოსავლის დაბეგვრის შესახებ. კერძოდ კი მითითებულია:

„1. კოოპერატივი მონაწილეობს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში გადასახადების და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელების გადახდის მეშვეობით. დაბეგვრა წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო სისტემის კანონის შესაბამისად.

2. კოოპერატივის წევრებისა და შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირების შემოსავლის გადასახადები მთლიანად შე-

დის ადგილობრივ ბიუჯეტში და გამოიყენება შესაბამის ტერიტორიათა ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის“.

მეოცე მუხლში – კოოპერატივის ფინანსები – აღნიშნულია:

„1. კოოპერატივის ფინანსური რესურსები იქმნება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის ამონაგების, საამორტიზაციო ანარიცხების ამონაგების, კოოპერატივის ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრთა, სხვა საწარმოო-ორგანიზაციათა, შრომითი ხელშეკრულებით კოოპერატივში მომუშავე პირთა საპაიო და სხვა შენატანების ხარჯზე, აგრეთვე კრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების (აქციების) გაყიდვის შედეგად მიღებული სახსრების ხარჯზე.

2. კოოპერატივი საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის იყენებს მის განკარგულებაში არსებულ ფინანსურ რესურსებს თავის შეხედულებისამებრ შეუზღუდავად, მათი შექმნის წყაროების მიუხედავად. სახელმწიფოს, რომელიც ფინანსურ მხარდაჭერას უწევს კოოპერატივს, შეუძლია საჭირო შემთხვევაში გამოუყოს ბიუჯეტის სახსრები საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების კაპიტალური მშენებლობისათვის, სახსრების დაბრუნების პირობით.

3. კოოპერატივს მყარი ფინანსური მდგომარეობის შექმნისა და სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, შეუძლია დააზღვიოს თავისი ქონება, დაზღვევა ნებაყოფლობითია, კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

4. კოოპერატივებსა და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ გამოუშვან აქციები კოოპერატივის წევრების და შრომითი ხელშეკრულებით კოოპერატივში მომუშავე პირებისა და საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის) მისაყიდად. აქციებს უშვებს კოოპერატივი ან კოოპერატივების კავშირი (გაერთიანება) განსაზღვრული წესით და უზრუნველყოფს მთელი თავისი ქონებით. აქციების საერთო ღირებულება, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი წლიური შემოსავლების ოდენობას. აქციების შეძენის უპირატესი უფლებით სარგებლობენ კოოპერატივის წევრები. კოოპერატივი ან კოოპერატივების კავშირი (გაერთიანება) აწესებს მთელი პერიო-

დისათვის აქციების მიმოქცევის უცვლელ, მათ ნომინალურ ღირებულებას და აქციებზე წლიური შემოსავლის გაცემის წესს. სახელმწიფო პასუხს არ აგებს კოოპერატივის ვალდებულებათა გამო, რომლებიც აქციების გამოშვებასთან და მიმოქცევასთანაა დაკავშირებული".

ოცდამეერთე მუხლში საუბარია კრედიტებსა და ბანკებთან ანგარიშსწორებაზე და მითითებულია:

„1. ბანკს შეუძლია კოოპერატივს მისცეს კრედიტი მისი საწესდებო საქმიანობის განსახორციელებლად. კოოპერატივს უფლება აქვს დამოუკიდებლად აირჩიოს ბანკი საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებისათვის.

2. კოოპერატივი თავის ფულად სახსრებს ინახავს ბანკის დაწესებულებაში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე. ბანკები ახორციელებენ კოოპერატივის საკასო-საანგარიშსწორებო მომსახურებას, საჭირო დახმარებას უწევენ მას ფულადი მეურნეობის გაძღოლის ორგანიზაციაში. კოოპერტივი აწარმოებს ანგარიშსწორებას თავისი ვალდებულებებით – სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან უნაღდო წესით, ბანკების მეშვეობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ხოლო მოქალაქეებთან – როგორც უნაღდო წესით, ისე ნაღდი ფულით.

3. კოოპერატივების ყველა სხვა ურთიერთობები ბანკებთან რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის კანონით ბანკების შესახებ.

4. კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ მათში შემავალი კოოპერატივების თანხმობით და მონაწილეობით შექმნან კომერციული ბანკები საფინანსო-საანგარიშსწორებო ცენტრები, ფონდები და სხვა.

5. საერთო კრების გადაწყვეტილებით კოოპერატივს შეუძლია თავისუფალი ფულადი სახსრების ნაწილი დააბანდოს სახელმწიფო სესხების ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში, რომლებიც ბრუნვაში გამოდის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის გავრცელებისათვის, შეძენილი ობლი-

გაციებისა და ფასიანი ქაღალდებისაგან მიღებული შემოსავალი გადადის კოოპერატივის განკარგულებაში".

ოცდამეორე მუხლი ეძღვნება კოოპერატივის სოციალურ განვითარებას და მითითებულია შემდეგი:

„1. კოოპერატივი სოციალურ პოლიტიკას აქტიურად ახორციელებს. მისი სოციალური განვითარების საკითხებს წყვეტს საერთო კრება. კოოპერატივი იჩენს მზრუნველობას თავისი წევრების, აგრეთვე შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირების, მათი ოჯახების შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, აგრეთვე უწევს მათ ყოველმხრივ დახმარებას კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში, აძლევს სესხს ამ მიზნით. განსაკუთრებით ზრუნავს კოოპერატივი შრომისა და ომის ვეტერანებისათვის.

2. კოოპერატივი საკუთარი სახსრების ხარჯზე ახორციელებს საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების და სხვა სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, წილობრივ მონაწილეობას იღებს მათ მშენებლობაში, აგრეთვე შეუძლია იჯარით აიღოს ან შეიძინოს ასეთი ობიექტები.

3. თავის სოციალურ საქმიანობას კოოპერატივი ეწევა ადგილობრივ პრეფექტურასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით".

ოცდამესამე მუხლში განხილულია კოოპერატივში შრომისა და მისი ანაზღაურების საკითხები და აღნიშნულია:

„1. კოოპერატივში შრომას სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეთა შრომას თანაბარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. კოოპერატივის წევრთა შრომით ურთიერთობას არეგულირებს ეს კანონი და კოოპერატივის წესდებანი, ხოლო კოოპერატივში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირებისას – საქართველოს და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობა ამ კანონით დაწესებულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. კოოპერატივი დამოუკიდებლად განსაზღვრავს კოოპერატივის წევრთა და სხვა მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფორმებსა და სისტემებს. შრომის ანაზღაურება კოოპერატივში შეიძლება როგორც ფულით, ისე ნატურითაც. შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება იგება, როგორც წესი, კოლექტიური, ოჯახური ან ინდივიდუალური იჯარის პრინციპებზე მუშაობის საბოლოო შედეგის გათვალისწინებით. კოოპერატივის წევრთა ინდივიდუალური ხელფასი განისაზღვრება მათი შრომითი წვლილით და მისი მთლიანი შემოსავლის იმ ნაწილის ოდენობით, რომელიც ხმარდება შრომის ანაზღაურებას. კოოპერატივში მომუშავე მოქალაქეებს სრულად უნარჩუნდებათ პენსია, სტიპენდია სწავლის ადგილას და ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილას. კოოპერატივის წევრთა და სხვა მუშაკთა ხელფასის მაქსიმალური ოდენობა არ არის შეზღუდული.

3. სამუშაო დღის ხანგრძლივობა და განრიგი კოოპერატივში, დასვენების დღეების, შვებულების, მათ შორის დამატების მიცემის წესი, აგრეთვე შრომის სხვა პირობები განისაზღვრება კოოპერატივის შინაგანაწესით. საერთო კრების გადაწყვეტილებით კოოპერატივს უფლება აქვს საკუთარი შემოსავლის ხარჯზე დააწესოს დამატებითი შეღავათები თავისი წევრების სოციალური უზრუნველყოფისათვის.

4. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდში შესატან თანხას, თუკი კოოპერატივი არ შეიტანს დადგენილ ვადაში, გადახდებათ უდავო წესით, იმ ორგანიზაციათა ნარდგენით, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ დაზღვევას".

ოცდამეოთხე მუხლი ეძღვნება კოოპერატივებში მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და პროდუქციის ხარისხს და მითითებულია:

„1. კოოპერატივის საქმიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში მიზნად უნდა ისახავდეს ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებას. კოოპერატივი ზრუნავს მისი დროული განახლებისათვის, ამასთან ითვალისწინებს მომხმარებელთა

საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათ ამაღლებასა და ტექნოლოგიის სრულყოფას.

2. კოოპერატივის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხისადმი მოთხოვნები, მისი უზრუნველყოფის საჭირო ღონისძიებანი უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის შესახებ არსებულ კანონმდებლობას. კოოპერატივი მოვალეა ზუსტად ასრულებდეს სახელმწიფოსა და მომხმარებელთა ინტერესების დამცავ სახელმწიფო სტანდატებსა და სხვა ნორმებს, უწინარეს ყოვლისა, მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა უსაფრთხოებას, მათ ჯანმრთელობასა და გარემოს დაცვას. კოოპერატივის პროდუქციას უნდა ჰქონდეს საწარმოო მარკა და დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარებული სასაქონლო ნიშანი, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით".

ოცდამეხუთე მუხლში – კოოპერატივის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა – მითითებულია, რომ

„1. კოოპერატივი საჭირო ნედლეულს, მასალებს, ინსტრუმენტებს, მოწყობილობასა და სხვა ქონებას იძენს საბითუმო თუ საცალო ვაჭრობის წესით სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების და ორგანიზაციებისაგან, იყენებს შემკვეთთაგან (მოქალაქეთაგან, საწარმოთა და ორგანიზაციათაგან) დადებული ხელშეკრულებებით მიღებულ მატერიალურ რესურსებს, აგრეთვე იძენს საქონელს სახელმწიფო საცალო სავაჭრო ქსელსა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სავაჭრო ქსელში. სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის, ქსელიდან ნაყიდი საქონლის გაყიდვა აკრძალულია. ასეთი ოპერაციის შედეგად მიღებული შემოსავალი უნდა გადაირიცხოს ბიუჯეტში. კოოპერატივს უფლება აქვს აგრეთვე შეიძინოს საქონელი საკოლმეურნეო ბაზარზე, აუქციონებზე, გამოფენა-გაყიდვებზე და მოსახლეობისაგან (სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელში ნაყიდი საქონელი შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ 10 პროცენტის დარიცხვით).

2. კოოპერატივი ცენტრალიზებულად განაწილებული რესურსებით უზრუნველყოფილია შემდეგი წესით:

კოოპერატივი, რომელიც დადებს სახელმწიფო შეკვეთის შესრულების ანდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციაში მონაწილეობის ხელშეკრულებას – მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული და დარგობრივი ორგანოების და ორგანიზაციების მეშვეობით სახელმწიფო შეკვეთის შესრულების, ანდა აღნიშნული პროგრამების რეალიზაციის ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო მოცულობით; კოოპერატივს შეუძლია აგრეთვე შეიძინოს ცენტრალიზებულად განაწილებული რესურსები დამამზადებელი საწარმოებისაგან იმ პირობებით, თუ ისინი ასრულებენ თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებას, და იმ შემთხვევებში, როცა ასეთი პროდუქციის მიღებაზე უარი თქვეს მომხმარებლებმა, რომლებისთვისაც იგი იყო გამოყოფილი.

3. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებისათვის კოოპერატივი საჭირო შემთხვევაში აწყობს ადგილობრივი ნედლეულისა და დადგენილი წესით სასარგებლო წიაღისეულთა მოპოვებასა და გადამუშავებას, მეორეული რესურსებისა და ნარჩენების შეგროვება-გადამუშავებას, დამხმარე სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მოწყობილობას, ინსტრუმენტისა და აღჭურვილობის დამზადებასა და შეკეთებას, აგრეთვე თავისი პროდუქციის საფირმო მომსახურებას.

4. კოოპერატივს უფლება აქვს შეიძინოს, გაცვალოს, იჯარით, სესხად, უსასყიდლოდ აიღოს (მათ შორის ბალანსიდან ბალანსზე) სახელმწიფო, კოოპერატიული ან სხვა საზოგადოებრივი საწარმოებისაგან და მოქალაქეებისაგან გამოუყენებელი შენობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ნედლეული და მასალები.

5. კოოპერატივი, რომელიც სახალხო მოხმარების საქონელს ამზადებს და მომსახურებას უწევს მოსახლეობას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისათვის ანგარიშს ასწორებს

მზარდ კოეფიციენტიანი საბითუმო ფასებით ან საცალი ფასებით, მათი არ არსებობის დროს კი სახელშეკრულებო ფასებით“.

ოცდამეექვსე მუხლში ასახულია კოოპერატივის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის საკითხები, სადაც გადმოცემულია:

„1. კოოპერატივები და მათი კავშირები (გაერთიანებები) აქტიურად მონაწილეობენ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში, ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას, სავალუტო რესურსების დაგროვებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და კოოპერაციული წარმოების ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობათა შექმნას. კოოპერატივისა და მათი კავშირების (გაერთიანებების) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება სავალუტო თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე.

2. კოოპერატივებს, რომლებიც ახორციელებენ საწარმოო საქმიანობას და მათ კავშირებს (გაერთიანებებს), რომელთა პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება) კონკურენტუნარიანია საგარეო ბაზარზე, დადგენილი წესით შეიძლება მიეცეთ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციათა უშუალო შესრულების უფლება. ამასთან კოოპერატივს შეუძლია საექსპორტოდ გაიტანოს თავისი პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება), მათ შორის სხვა კოოპერატივებთან და საწარმოებთან ერთად ერთობლივი საქმიანობის შედეგად შექმნილი კავშირების (გაერთიანებებს), აგრეთვე, მათ შემადგენლობაში შემავალი კოოპერატივების წარმოებული პროდუქცია. კოოპერატივებსა და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ აგრეთვე განახორციელონ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციები სახელშეკრულებო საფუძველზე შესაბამისი საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით. კოოპერატივებს და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) უფლება აქვთ, დადგენილი წესით, განახორციელონ საგარეო-სავაჭრო ოპერაციები საზღვრისპირა ვაჭრობაში უცხოელ პარტნიორებთან.

3. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, კოოპერატივებს და მათ კავშირებს, რომლებიც საწარმოო საქმიანობას ახორციელებენ, შეუძლიათ შექმნან ერთობლივი საწარმოები, საერთაშორისო გაერთიანებები და ორგანიზაციები".

ოცდამეშვიდე მუხლი ეძღვნება კოოპერატივებში აღრიცხვის, ანგარიშგების და კონტროლის საკითხებს და აღნიშნულია შემდეგი:

„1. კოოპერატივები ახორციელებენ თავიანთი საქმიანობის შედეგების აღრიცხვას, ეწევიან საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშგებას და დადგენილი წესით პასუხს აგებენ სახელმწიფოს მიერ კოოპერატივებისათვის მისი სარწმუნოებისა და წარდგენის დროულობის გამო.

2. კოოპერატივების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიას წარმართავს მისი სარევიზიო კომისია (რევიზორი) ან ეწყობა აუდიტორულ ორგანიზაციასთან ანდა კოოპერატივთან შესაბამისი კავშირის (გაერთიანების) მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროკურატორისა და სასამართლო ორგანოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია შეიძლება ჩაატაროს საფინანსო ორგანოების საკონტროლო-სარევიზიო აპარატმა.

3. კოოპერატივების მუშაობას ამოწმებენ კონტროლის საერთო ან სპეციალური ფუნქციების მქონე სახელმწიფო ორგანოები მხოლოდ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. ამასთან რევიზიები და შემოწმებები არ უნდა არღვევდეს კოოპერატივის მუშაობის ნორმალურ რიტმს. კომპლექსური შემოწმებები შეიძლება მოეწყოს სულ ბევრი, წელიწადში ერთხელ".

ოცდამერვე მუხლში განხილულია კოოპერატივის მიერ წარმოებული საქონლის რეალიზაციის საკითხები და მითითებულია შემდეგი:

„1. წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივები მათ მიერ დამზადებულ პროდუქციას აწვდიან მოსახლეობას,

სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დამოუკიდებლად, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის მაღაზიების მეშვეობით, როგორც ნაწარმის დამზადების ადგილზე, ისე სხვა ქალაქებსა და რაიონებში. მის მიერ წარმოებული პროდუქციის დამოუკიდებლად რეალიზაციის დროს კოოპერატივს შეუძლია პრეფექტურასა და საკრებულოებთან შეთანხმებით გახსნას მაღაზიები, ფარდულები, კიოსკები, მათ შორის, რამდენიმე კოოპერატივის წილობრივი მონაწილეობით. შესაძლებელია საჭირო სათავსოების იჯარით აღებაც".

ოცდამეცხრე მუხლში – კოოპერატივების წევრთა ქონებრივი პასუხისმგებლობა – აღნიშნულია, რომ „წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივის წევრებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ლიკვიდირებული კოოპერატივის ვალების მიხედვით, ქონების არასაკმარისობის დროს, მისი წესდებით გათვალისწინებული წესით, ოდენობითა და პირობებით. კოოპერატივის წევრის პასუხისმგებლობის ფარგლები არ უნდა იყოს მის მიერ მიღებულ წლიურ შემოსავალზე ნაკლები".

ოცდამეათე მუხლში ასახულია კოოპერატივების ქონების რეალიზაციისა და განაწილების საკითხები მისი ლიკვიდაციის დროს. აქ მითითებულია, რომ „წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივების ლიკვიდაციის დროს შენობები, ნაგებობანი, მანქანები, მოწყობილობა, აღჭურვილობა, ნედლეულის, მასალების მარაგი, არარეალიზებული მზა პროდუქციის ნაშთები და სხვა ქონება, რომელიც კოოპერატივის საკუთრებაა, მიეყიდება საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, აგრეთვე მოქალაქეებს სახელშეკრულებო ფასებით. ქონების გაყიდვისაგან მიღებული ამონაგები და კოოპერატივის ფულადი სახსრები კოოპერატივში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირებთან შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორებისა და ბიუჯეტის, ბანკების, სხვა კრედიტორების წინაშე ვალდებულებების შესრულების შემდეგ ნაწილდება კოოპერატივის წევრთა შორის".

ამ კანონის ბოლო, მეოთხე კარი ეძღვნება სახელმწიფოსა და კოოპერაციის ურთიერთობას. იგი მოიცავს ერთ, ოცდამეთერთმეტე მუხლს, სადაც მითითებულია შემდეგი:

„1. სახელმწიფო და მისი მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ კოოპერატივებისა და მათი წევრების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, საერთოდ რესპუბლიკის მთლიანი სახალხო მეურნეობის ინტერესებთან კოოპერატივების ინტერესების შეხამებას. სახელმწიფო ორგანოები მაქსიმალურად ხელს უწყობენ კოოპერაციული მოძრაობის სწორად წარმართვას, მათი წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მოთხოვნათა გათვალისწინებით განსაზღვრავენ კოოპერაციის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს. სახელმწიფო ორგანოები ხელს უწყობენ ზარალიანი სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე კოოპერატივების შექმნას.

2. პრეფექტურები, საკრებულოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები მრავალფეროვან დახმარებას უწევენ კოოპერატივებს: აძლევენ მათ სარგებლობისათვის უსასყიდლოდ მიწას, აგრეთვე იჯარით, საწარმოო და სხვა ნაგებობებს, მოწყობილობას, ხელს უწყობენ ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფაში, მათი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეკლამაში, ეხმარებიან წარმოების ეკონომიკურად ეფექტიანი სტრუქტურის შემუშავებაში, ანიჭებენ კოოპერატივებს სხვადასხვაგვარ შეღავათებსა და უპირატესობას. ამავე დროს ეს ორგანოები ახორციელებენ მათი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს იმისადმი, თუ როგორ იცავენ კოოპერატივები მოქმედ კანონმდებლობას შრომის დაცვის უსაფრთხოების, ტექნიკის, საწარმოო ჰიგიენისა და სანიტარიის, სახანძრო უსაფრთხოების, პირუტყვისა და მცენარეების დაავადებებთან ბრძოლის, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის საკითხებზე, აგრეთვე როგორ ასრულებენ კოოპერატივები სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი გადარიცხვის მოვალეობებს, როგორ ახორციელებენ აღრიცხვასა და სახელმწიფო ანგარიშგებას.

3. სახელმწიფო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და სხვა ფორმების გამოყენებით, ყველაზე ხელშემწყობ იდეოლოგიურ წანამძღვრებს უქმნის კოოპერატივების საქმიანობას, ყველგან უზრუნველყოფს ისეთ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელშიც კოოპერატივის თითოეული წევრი იგრძნობს, რომ იგი თავისი მუშაობით ასრულებს დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეს, ეხმარება სახელმწიფოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში.

4. არ დაიშვება წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივების წევრებად შესვლა და მათში შრომითი ხელშეკრულების მიხედვით მუშაობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების, რომელთა ფუნქციებში შედის კოოპერატივების საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელება“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტი საქართველოში წარმოებისა და მომსახურების სფეროში კოოპერაციის შესახებ, ძალზე საჭირო, აუცილებელი და დროული იყო. ამ კანონპროექტის საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ განხილვა და კანონად დროული დამტკიცება წაადგებოდა საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის და განსაკუთრებით მისი, უმნიშვნელოვანესი დარგების, მრეწველობის და განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებას. ამ კანონს ახალ საკანონმდებლო ჩარჩოებში უნდა მოექცია ჯერ კიდევ ყოფილ საბჭოთა კავშირში ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, ე. წ. გარდაქმნის პერიოდში დაწყებული კოოპერატივების ჩამოყალიბების, გავრცელებისა და განვითარების პროცესი. ამ კანონპროექტთან დაკავშირებით მახსენდება ასეთი შემთხვევა. როგორც უკვე მოგახსენეთ. საბაზრო ეკონომიკის გარკვეული ელემენტები ყოფილ საბჭოთა კავშირში და


მათ შორის, საქართველოში ჯერ კიდევ ე. წ. გარდაქმის („პერესტროიკის") პერიოდში დაინერგა (ჯერ სოფლის მეურნეობაში, ხოლო შემდეგ მრეწველობაში, მშენებლობაში, ვაჭრობაში და მომსახურების სხვა დარგებში), გავრცელება ჰპოვა კოოპერატიულმა მოძრაობამ (თუმცა, მსგავსი ფორმით, ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში არსებობდა, ძირითადად ფარულად, კერძო ინიციატივაზე დაფუძნებული მეწარმეობა, ე. წ. „ცეხავიკების" სახით, თუმცა ეს ინიციატივიანი ხალხი, იმის მაგივრად რომ სახელმწიფოს და ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ, მაშინდელი ქვეყნის ლიდერების განკარგულებით ზოგი დააპატიმრეს და ციხეებში გამოამწყვდიეს, ზოგიც შუა აზიის რესპუბლიკებში გადაიხვეწა და იქ განაგრძო საქმიანობა). ე. წ. გარდაქმნის პერიოდშიც საქართველოს ბევრმა მოქალაქემ შექმნა კოოპერატივი და დაიწყო სხვადასხვა ფართო მოხმარების საქონლის, კვების პროდუქტების და მომსახურების სხვადასხვა საშუალების წარმოება. მაშინ, როგორც ცნობილია, სახელმწიფო საწარმოები ერთგვარმა კრიზისმა მოიცვა. ბევრი ფართო მოხმარების საქონელი თუ კვების პროდუქტი სახელმწიფო ფასებში ძნელად იშოვებოდა, ხოლო კოოპერატივების პროდუქცია და მომსახურება სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, შედარებით ძვირი იყო. ეს კი ხალხში, რომელიც მიჩვეული იყო სახელმწიფო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის შედარებით დაბალ ფასებში შეძენას, უკმაყოფილობას იწვევდა და მათ კოოპერატივების წინააღმდეგ განაწყობდა. სამწუხაროდ, ეს განწყობაც უზენაესი საბჭოს წევრთა დიდ ნაწილსაც გადაედო და უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სესიაზე (1990 წლის დეკემბერში ან 1991 წლის დასაწყისში) დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა მოითხოვა კოოპერატივების დახურვა, იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელნი ნედლეულს და მასალებს სახელმწიფო საწარმოებიდან ან ყიდულობდნენ, ან იპარავდნენ, ხოლო თვით სახელმწიფო საწარმოები კი კოოპერატივების მეშვეობით უფრო ძვირად ყიდიდნენ თავიანთ პროდუქციას. რა თქმა უნდა, იყო მსგავსი

შემთხვევები, მაგრამ ეს არ იყო მასობრივი. ბევრ კოოპერატივს ნედლეული თავისი წარმოებისათვის თვითონ შემოჰქონდა საქართველოში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ზოგიც სახელმწიფო საწარმოთა ნარჩენებს იყენებდა, ზოგიც თვითონ იძენდა სოფლად და ა. შ. აქედან გამომდინარე კოოპერტივების დახურვა მიზანშეუწონლად მიმაჩნდა. ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება არა კოოპერატივების დახურვის შესახებ, არამედ მათ მიერ სახელმწიფო საწარმოებიდან ნედლეულის შეძენის აკრძალვაზე. ამიტომ კიდევ უფრო ბევრმა კოოპერატივმა გეზი აიღო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ნედლეულის შემოტანაზე, ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ, როგორც ვითარებამ ცხადყო, ხალხი აუცილებლად უნდა მიჩვეულიყო კერძო წარმოების განვითარებას და ჩვენც უფრო უნდა მეტად გვეზრუნა კერძო ინიციატივისა და მეწარმეობის კონკურენციის განვითარებისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი დოვლათი შექმნილიყო მათ მიერ და ხელმისაწვდომი ყოფილიყო იგი ხალხისთვის.

დაბოლოს, ერთიც მინდა აღვნიშნო, ჩემ მიერ გადმოცემულ მოგონებებში და მოტანილ მასალებში განხილულია სხვადასხვა (შეიძლება უფრო მეტიც) კანონები და კანონპროექტი, რათა მკითხველისთვის დაგვენახვებინა რამდენად მრავალმხრივ და ინტენსიურ კანონშემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ იმდროინდელი საქართველოს უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრები ეკონომიკის სფეროში უზენაესი საბჭოს მუშაობის იმ ხანმოკლე პერიოდში და ასევე მოკლედ არის გადმოცემული მაშინდელი მთავრობის საქმიანობა ეკონომიკის სფეროში.

დანართი 2

2.1



დანართი №...

ბრძანება №

წიწილა და ხბოვა ძირითადი საშუალებების ოპერაციის გადადების შესახებ

_____ რაიონის სოფელ _____

საკრებულოს გამგებელი _____

(თავმჯდომარე), ერთის მხრივ, გადასცემს, ხოლო მეორე _____

_____, მეორის მხრივ, თანახმა აღებს მიწის

საკარგილეში _____ ჰა საერთო ფართობით. მათ შორის

სახნავი _____ ჰა

მრავალწლიანი ნარგავებში _____ ჰა (კონკრეტული სახეობის მითითებით)

სათიბებ _____ ჰა

საძოვრები _____ ჰა

აღსადგენი ფართობი _____ ჰა

სხვა ძირითადი საშუალებები (ბიბლიოთეკის) აქტის დადგ. 199_____დან

199 წ. ჩათვლით

მიწის ნაყოფიერების და ეკოლოგიური მაჩვენებლები

მიწის საკარგულების ნაყოფიერების შემცირებისას და გარემოსდაცვითი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულება ძალადაკარგულად ცნობილ იქნეს მხარეთა საერთო ხარჯით.

ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე.

საკრებულოს გამგებელი

_____ ხელმოწერა

"____"_____ 199 წ.

მიმღები

_____ ხელმოწერა

"____"_____ 199 წ.